

კვირის პალიტრა

გზა

N6(191) 5/II.-11/II.2004. ღირსი 60 ლ.

**სოფიანი
სიყვარული —
როსა ქალებს
ერთმანეთი
უყვართ**

**„მოძვარს
ვესაუბრა
და ჩემი
განსაჭირი
ავუსხანი“**

მოგზაურის დღიურები — ეს უარინი რეკვირები...



**სანიძე —
ღვან თედიაშვილის
ვაჟს თოჯინებით
გოგონები მოსწონს**

**„ჩემი შვილი
არჩევანში
არ შეხდება“**



**ქალი
საჭანთან —
რატომ აედევნა
რეზო არველაძის
მეუღლეს
აოღიციის შვიდი**

ღებეპტიური ქანრიის მოყვარულთათვის

დოკუმენტური მოთხრობების კრებული



**იკითხათ
საბავთო
ჯიხურებში
და წიგნის
მალაზიებში**

ფასი 2.5 ლარი



მინიატურები	
„ჩაუშვებ ღელას, გაფიცილი მამას, თუკი პარტია მოითხოვს ამას!..“	3
ერთი კითხვა	4
ანონა-დაინონა	
კონსტიტუციური ცვლილებები – აუსილებელი რეფორმა თუ პიროვნებაზე მორგებული კანონი?	5
საპატარალო	
„ჩემ გვერდით უბედინარეს ქალად იბრძნობ თავს“	7
სასიკო	
არ მიყვარს, მაშაქაძეები რომ „თხოვდებიან“...	8
თემა	
როგორ ვიყოვით მილიონი	11
კრიმინალი	
● პატიმარი უზენაესი სასამართლოს განაჩენს პროტესტს მიმდევრობით უსხაღებს	15
● საბრალოდღო ღესკენას პროკურორის ინჟინებს	16
გემოვნება	
ჩილიმის მოყვარულ მოგზაარს ტაბილეული და მაღაზიებში სიარული არ უყვარს	18
შეხვედრები	
მოგზაურობა საიქიოში... მითი თუ სინაგვილი?	20
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა	
ტესტი ერუიციიბა	22
შეამოწმეთ	
● ბუნებით მაქიეპელი ბორა კაპანაძე ჯერ ახალ თეატრს გახსნის და შემდეგ, მორრად ღორჯახაღება	23
● ქართული მუსიკოსების წარმატება საზრანგათში	24
მარჩიელი	
„მას სსოვრება ნამღვილად ბავრ სიურპრიმს უგაღებს“	25
გზავნილები	
როლის შეგრცხვათ თქვენი საქსიელის ყველაზე მებაღ?	27
ტესტი	
ერთგული მაითხველი	29
ანტიღაქრესანტი	
ინფორმაციულ-შემესნებითი კოლაჟი ბორა ღვალის უბის წიგნაქიღან	30
SOS!	
„ჩვენი ცოდვის ბამო ვაგაბთ პასუხს და „რიგს“ არავის ღავუთმობთ...“	30

როგორ ვიყოვით მილიონი



კაპიგალის დაგროვების ძალზე ორიგინალური ხერხი გამოიგონა ქალაქ კანზას-სიგის მცხოვრებმა ამერიკელმა ჯემს ნელსონმა, რომელმაც ინტერნეტ-აუქციონის – eBay-ს მეშვეობით... საკუთარი თავი გაყიდა.

11

არ მიყვარს, მაშაქაძეები რომ „თხოვდებიან“...

საპატარალოს ოჯახის მაგერიალურ მხარეს არავითარ ყურადღებას არ მივაქცევ. აუცილებლად დაინტერესდები მათი ოჯახური გრადიციებით. მამამისმა და მამაჩემმა უნდა იმბაკაცონ, ერთად გადაიკარგონ ხოლმე სახლიდან და სიდედრი და დედაჩემი გააბრძონ...



8

მოგზაურობა საიქიოში... მითი თუ სინაგვილი?



მორგში შემეყვანეს და რომ გამანძრეის, ხელი ცოცხალი ადამიანით გადამივარდა. მიხედნენ, გარდაცვლილი არ ვიყავი. ყველა ერთხმად ამბობდა – ამის გადარჩენის შანსი არ არისო, – მე კი, „გამოვიყერი“ და ახლა საღ-საღამათი, აგერ, თქვენ გესაუბრებით.....

20

„სახიფათო სიტუაციებში რეიკო უზრო იბნება, ვიღრე – მე“

ჭაჭაჭაქაძეზე ერთი მანქანა ამეღვენა – გაღამისწრო და გზა გაღამიჭრა, იძულებული ვიყავი გავჩერებულიყავი. მძლოლი გაღმოვიღა და ჩემკენ გამოემართა. აზრზე არ ვიყავი, ვინ იყო. ჩემმა ღამ მთხოვა – ოღონდ, ახლა ამ კაცს არაფერი უთხრა და მერე გეგყვი, ვინც არისო.



32

ქალი საქონთან	
„სახიფათო სიტუაციაში რევიკო უფრო იბნევა, ვიდრე – მე“	32
ტაქარი	
რა უნდა ვიცოდეთ სამფლელო ხარისხსა და სამფლელო შესამოსელთან დაკავშირებით	34
ქართველები უსსრ-ში	
ალექსანდრა ბატონიშვილი – 100 ქასრ ოქროდ შეფასებული უფლისწული (დასასრული)	35
სკანდალი	
პრემიერ-მინისტრ რაბინის მკვლელს დაქორწინებას უპრეკალავენ	37
საუზნებურთო მინდვრებზე	38
ფაქტობრივად	40
ავტო	41
რომანი	
რუსულან ბერიძე. თაყვისუფალი თემა (ბაზრკელება)	42
პარსკვლავი	
ნაოში უოტსი: „2003 წელი ჩემი წელიწადი იყო!“	46
სკოლა	
სოლნის ბალრმაკების ხელშეწყობი პროექტი	49
პომოდო	52
საკითხავი ქალებისათვის	54
ჯანმრთელობა	
• წამლები და ალკოჰოლი	56
• სობა რამ თირკმლების შესახებ	57
• სამკურნალო მებნარა	57
• კუკუთი კვების შესახებ	58
იუმორი	59
ჰოროსკოპი	
კვირის (9-15 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი	60
სქანვორდი	61
შოუბიზნესი	62
ტესტი	
რამდენად კეთილგონიერი ხართ?	63
კალიდოსკოპი	
ჰრელ-ჰრელი ამბები	64

პარნილი: „მეუბნე მნაშვილი სკრიალების უნელო გიბი გსდგე“



შეიძლება, წარმოუდგენლად მოგეზვნოთ, მაგრამ მამუკა გულით დიდ სეედას დაატარებს, რომელსაც არავის უმხელს. თითქოს ამ სეედიტ ცხოვრობს, ის მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად არის ქცეული.

25

როგორ ვინაგდი თავს ჩიბაგოში ნარკომანებისა და მანანალებისგან...

მათხოვრების თავხედობამ ძალიან გამანერვიულა. გავივლიდი ასიოდე მეგრს და წინ ახალი მანანაწალა გამომისგებოდა. ვერაფრით მივხვდი, რა მჭირდა, რით ვიზიდავდი ამ „ფენას“, თან მობილურზე ჯოს ნომერი აკერბე. მაშინვე მიპასუხა და მეც ავუსხენი ჩემი გასაჭირი. ჯომ გულიანად გაიცინა და...



50

ნაოში უოტსი: „2003 წელი ჩემი წელიწადი იყო!“




ჰოლივუდის სამყაროს მთელი სისასტიკე ნაომიმ საკუთარ გყავზე იწვინია. ქერთმიან ლამაზმანთან თავის შექცევას ყველა ელგვოდა. ნაომის მოურიდეზლად ეპატიყებოდნენ იქვე, კუთხეში მდებარე ბარში და არც ლამის ერთად გატარების შეთავაზებისგან იკავებდნენ თავს...

46

თავისუფალი თემა

– შენ უნდა წაგიყვანო, გოგნი, ძალიან მევასე და იმიგომ.
– რა ბრძანეთ? – ხელები გამაღლა გაოგნებულმა ამირანმა.
– რა ვბრძანე, ბიძაჩემო და შენი გოგო ცოგა ხნით უნდა მათხოვო... ნუ გეშინია, ორ-სამ დღეში დაგიბრუნებ...



42

ბარეკანვა: გიორგი შორჰოლიანის კოლაჰი

საწომგალმობრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“ გამოდის კვირაში პრინეშელ, სუთუბატიოზით გაჯემთ „კვირის კალიტრის“ ღამატმბა შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე

მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8

ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com

შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„ჩავუშვებ დედას, გავყიდი მამას, თუკი ჰაჩიწია მოითხოვს ამას!..“



მას შემდეგ, რაც ახალმა პრეზიდენტმა წინა პრეზიდენტის ჩაი დალია, წინა პრეზიდენტმა კი – „ჩაილურის წყალი“, ბევრ პოლიტიკოსს გაუჩნდა ლოგიკური კითხვა საკუთარი პარტიისადმი: „ეს პარტია მთავრობამდე მიგვიყვანს?..“ და პასუხიც თვითონვე გასცა: „არა“. ჰოდა, რა საჭიროა პარტია, რომელიც მთავრობამდე ვერ მიგვიყვანს?!

ხელისუფლებამდე მიმყვანი კი, ორად ორი პარტიაა საქართველოში და ამ ორმაც გაერთიანება გამოაცხადა. არც იმისთვისაა საჭირო მკითხავი და მარჩიელი, რომ მიხვდე – სწორედ ეს ძალა გაიმარჯვებს არჩევნებში და პარლამენტიც, ფაქტობრივად, ერთპარტიული იქნება.

სხვათა შორის, ბევრმა დროულად იყნოსა რევოლუციის სუნი, დროულადვე გადავიდა მათ მხარეზე და რომ იტყვიან, „შავი დედალივით გაკეთდა“. მაგალითად: „ფრჩხილებში ჩასმული“ შრომის პარტიის ერთი წევრი ისე ოსტატურად „გავიდა ფრჩხილებს გარეთ“ და მაშინდელი საკრებულოს თავმჯდომარის ბანაკში გადავიდა, რომ დღეს თვითონაა საკრებულოს თავმჯდომარე; არც ზოგიერთ ბიზნესმენს უღალატა ალღომ და ნოემბრის ბატალიების ბოლოს, თვით „მისტერ კოკა-კოლა“ ვიხილეთ, ტაშს რომ უკრავდა ჯერ არმოსულ ახალ მთავრობას; უღვაშდამშვენებულმა ქველმოქმედმა კი, მარტო გვართ რომაა „პატარა კაცი“, თორემ, რაც ზევითაა, ორი იმდენი – მიწაში, სამი ტაოტიანი „ნივა“ აჩუქა ახალ შს მინისტრს – ამით სდიე დამნაშავეებსო... ალბათ, ბოლო „მერსედესი“ გაყიდა საწყაღმა, რომ ეს სამი „ნივა“ ეყიდა და ახალი ხელისუფლებისთვის ესია მოვნიბინა...

ბევრს კი გაცილებით გვიან გაეხსნა გონება, მაგრამ „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“... ჰოდა, ატყდა პარტიიდან პარტიაში გადასვლა, გადასწრება, გადაძრომა და ა.შ., მაგრამ ის გამარჯვებული პარტიაც ხომ კოლექტივი არაა, ყველა რომ დაიტიოს?! იქაცაა რაღაც მოთხოვნების შესრულება საჭირო: ქრთამს ვერ შეჰკადრებ; შეჰკადრებ და შეგაკადრებენ იზოლირებულ „ას-აბნიაკს“ ორთაჭალაში... ამიტომ საქმით უნდა დაამტკიცო მათადმი ერთგულება: თუ მიქარული გაქვს, უნდა მოინანიო, წაღებული დააბრუნო, ერთი-ორი სხვაც ჩაუშვა და ყველაფერი გეპატიება.

მოკლედ, დედამიწა ბრუნავს და კვლავ მობრუნდა კომუნისტების დროინდელი დევიზი: „ჩავუშვებ დედას, გავყიდი მამას, თუკი პარტია მოითხოვს ამას!“ ამის შესანიშნავი მაგალითი ხომ, თვით პარლამენტის თავმჯ-



დომარე ქალბატონმა გვიჩვენა ყველას: მშობელი მამის ძმად-ნაფიცსა და პარტიულ თანამებრძოლ პრეზიდენტს ჩაუდგა ჯერ ოპოზიციაში, მერე – კრიჭაში და მანამდე არ მოისვენა, სანამ მისი უფლებები არ გადმოიბარა, ახალი პრეზიდენტის არჩევამდე.

კანონი ყველასთვის კანონია და ჩემიანი და შენიანი არ იცის. ჰოდა, ზაშურის მთავარი „დემოკრატიც“ მოყვა ზაფანგში რაღაც 9 ტონა მილის ჯართად გაყიდვის გამო. მისმა პროგრესულად მოაზროვნე შვილმა კი, ამაყად განაცხადა – თუ დამტკიცდა, რომ დამნაშავეა, მამაჩემმაც უნდა აგოს პასუხი... აი, საუკეთესო მაგალითები იმისა, რომ თუ სამართლიან და კანონიერ ქვეყანაში გვინდა ცხოვრება, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ არ გვყავს დედა და მამა, და და ძმა; კონსტიტუციაა ჩვენი დედა, პრეზიდენტი – მამა, პარლამენტი – და, კანცელარია კი – ძმა. სწორედ ამიტომ დაადო „მამაჩვენმა“ ხელი „დედაჩვენს“ და დაიფიცა – კარგი „მამა“ ვიქნებიო...

მოგეხსენებათ, ოჯახი „უკმაყოფილების“ გარეშე არ არსებობს. ჩვენს „ოჯახშიც“ ხდება პაწა უთანხმოება „დედაში“ ცვლილებების შეტანის გამო და შეიძლება, „მამაშ“, „დედაშ“ და „ძმაშ“ ერთმანეთი „დახოცონ“ ამის გულისთვის: „ძმა“ იქით იქაჩება – მე უნდა ვიყო მთავარიო; „დედა“ – მე თუ მოვინდომებ, „მამას“ „მამობას“ ჩამოვართმევო; „მამა“ იცინის – თქვენი „დედაცო“!.. ჩვენ კი, ხალხი, როგორც ჩანს, გერები ვართ და რაზეც არ უნდა იჩხუბონ, ყველაზე მეტი მაინც ჩვენ მოგვხვდება. ამიტომ, რაც უფრო ნაკლები იქნება ოჯახში კამათი და მეტი – იდილია, მით უფრო კარგია ჩვენთვის...

P.S. დილა „ელიტურ“ საკანში:
– დილა მშვიდობისა, მინისტრებოოო, დილა მშვიდობისა, კორუმპირებულებოოო!.. დილა მშვიდობისა, მექრთამებოო!.. აღექით, გათენდა...

– ვისთვის გათენდა, შოშია, ვისთვის – დაღამდა... ძილი მაინც გვაცადე ამ პატიოსან ხალხს...

– პატიოსანი ერთი კაცი იყო ჩვენში მხოლოდ, გვარს არ დავასახელებ.

– ეჰ, შოშია, შენ დაასახელებ თუ არა, მაღე მაინც გვერდით მოგვისვამენ და ჯობია, ფანჯარასთან ადგილი მოვუშალოთ...

პროპოკატორი

„სიტყვის გაყოფა ადამიანების დაპატიმრებას კერძო სიტუაციებში მივყავართ“

— გიორგი ბარამიძე ახალი საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის. ვინაიდან სამართალდამცველები ე.წ. კანონიერი ქურდების წინააღმდეგ სამხილის შეგროვებას ვერ ახერხებენ, უნდა გაასამართლონ ყველა, ვინც საკუთარ თავს ქურდს უწოდებს. თუ არსებობს სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში მსგავსი პრაქტიკა?

ნანა კბაძაძე, საზოგადოებრივი დამცველი:

— მე ვერ წარმოიდგენია, რომელიმე ქვეყანაში არსებობდეს ამგვარი პრაქტიკა. ადამიანი, რომელიც არ ატარებს იარაღს, ნარკოტიკს, არ არის მხილებული რაიმე დანაშაულში, დააპატიმრონ იმის გამო, რომ საკუთარ თავს ქურდს უწოდებს, — ეს არასერიოზულად შეჩვენება. ნებისმიერი დანაშაულის შესახებ არსებობს მტკიცებულებები, რომელიც გამოიძიებამ უნდა აღმოაჩინოს და მოიძიოს. თუ სამართალდამცველებმა ეს ვერ შეძლეს, ჩვენი კანონის შესაბამისად, ბრალი დადასტურებული არ არის და ადამიანის დაპატიმრება ყოველად დაუშვებელია. ბარამიძე აცხადებს, რომ ე.წ. ქურდები სხვისი ხელით მოქმედებენ და მათი გარემოცვა წარმოადგენს იარაღს ამ ადამიანების ხელში. მაშინ დააკავონ თავად შემსრულებლები და სწორი ძიება საჭირო სამხილებითაც თავად გაამაგრონ. კაცს ათქმევინო — ქურდი ვარო, — ძელი არ არის იმ მეთოდების გამოყენებით, რომელიც პოლიციას აქვს, მაგრამ აღიარება არავითარ მტკიცებულებას არ წარმოადგენს. ეს ინიციატივა იძლევა იმის საშუალებას, რომ მალაჩინოსნების სურვილისამებრ, მოხდეს ამა თუ იმ პირის, ვისთვის მიღმა გაგზავნა. არასერიოზულია იმის მტკიცებაც, რომ „ორთოდოქსი“ ქურდები საკუთარ სტატუსს ვერ დამალავენ. ყოველ მეორე დღეს, კონსტიტუციას ვცვლით და ისინი ვეღარ შეთანხმდებიან „კანონების“ შერბილებაზე? ციხეში უნდა ივადეს ის, ვისი ბრალეულობაც დამტკიცებულია. სიტყვის გამო ადამიანების დაპატიმრება კი, კურორულ სიტუაციებში მივყავართ. ■


„შურნალობები ხან თავდასვნი მინისტრობას „მიპირებენ“, ხან...“

— ბატონო ზვიად, ამბობენ, რომ თავდაცვის მინისტრის პოსტზე აქტიურად განიხილება თქვენი კანდიდატურა. გაქვთ თუ არა კონსულტაციები ამ საკითხთან დაკავშირებით?

ზვიად ძიძიშვილი, „ნაციონალების“ ერთ-ერთი ლიდერი:

— ამ ინფორმაციას ალბათ, საფუძვლად უდევს ის განცხადება, რომელიც მე თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე გააკეთე: მაშინ ვთქვი, რომ ვაპირებ თავდაცვის სფეროში მუშაობას. პარლამენტში ვიმუშავე თუ სამინისტროში — ამის გადაწყვეტა პრეზიდენტის პრეროგატივაა. მე ამ საკითხზე პრეზიდენტთან საუბარი არ მქონია. შურნალობები

ათასგვარ ვერსიას ავრცელებენ — ხან თავდაცვის მინისტრობას „მიპირებენ“, ხანაც საბაჟოს უფროსად „მნიშნავენ“. ზედმეტი სიჩქარე საჭირო არ არის, თავის დროზე ყველაფერი გაირკვევა. ■



„სამეზობლანო სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით მითვისებასთან“

— ყოფილი თუ მოქმედი მალაჩინოსნების დაპატიმრების სერია გრძელდება. ბოლო დროს, ამა თუ იმ საქმეზე მონიშნის სახით დაკითხვა აღარ ხორ-

იმყოფება განსაკუთრებულ ვითარებაში, ხშირ შემთხვევაში განსაკუთრებული ზომების გატარებაც გვიწევს. როცა ამა თუ იმ ადამიანის შესახებ ინფორმაციას ვაგროვებთ და სამხილის მოძიება ხდება, ცალკეულ შემთხვევებში ამ პიროვნების დაკითხვამდე ინფორმაცია იჟონება და დანაშაულები მალვას ახერხებს. არ გვინდა, გამეორდეს იგივე, რაც ლევან მამალაძის შემთხვევაში მოხდა. დღეს სახელმწიფოს საკმაოდ დიდი თანხა ეხარჯება იმისათვის, რომ მოვებნით და მისი ექსტრადიცია მოვახდინოთ. ინფორმაციის გაჟონვის შიშით მოხდა ადგილობრივი დაკავებაც: პროკურატურამ იცოდა — ტრანსპორტის მინისტრს ეჭვი გაუჩნდა, რომ ჩვენ მის საქმეზე ვმუშაობდით, ამიტომ შესაძლებელი იყო, გაქცევა ეცადა. ადგილობრივი თანხების არასწორი განკარგვით ნახევარი მილიონით აზარალა ბიუჯეტი, შესაძლოა გამოიძიების შედეგად, ეს თანხა 13 მილიონამდე გაიზარდოს. საქმე გვაქვს სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით მითვისებასთან, ამიტომ ადგილობრივ გაქცევას უფლებას ვერ მივცემდი. ჩვენ განერგებას არ ვაპირებთ. ყველა ყოფილი თუ მოქმედი მალაჩინოსანი, ვისაც კანონის წინაშე ბრალი მიუძღვის, პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა. ■



ციელდება — ეჭვმიტანილს მოულოდნელად ესხმიან თავს და დაპატიმრებენ. ასე მოხდა ტრანსპორტის მინისტრის, მერაბ ადგილობრივი შემთხვევაშიც. რატომ აიძინა პროკურატურამ დაპატიმრების ასეთი ფორმა?

ირაკლი ოძრუაშვილი, გენერალური პროკურორი:

— მიმანია, რომ დღემდე განხორციელებული არც ერთი დაკავება, კანონის დარღვევით არ მომხდარა. არსებობს მოსამართლის მიერ გაცემული სანქციის საფუძველზე დაკავების და გადაუღებელ შემთხვევაში, დაპატიმრების წესები. ვინაიდან სახელმწიფო დღეს

**ლელა ჭანკოტაძე
ხათუნა მაღრაძე**

ინტერესმა საკონსტიტუციო ცვლილებების მიმართ მოლოდინს გადააჭარბა. არასამთავრობო ორგანიზაციები და ისედაც მისუსტებული ოპოზიცია ამოღებულ ცვლილებებს, პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღება გადააფიქრებინონ. როგორც მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, ახალი მოდელით პრეზიდენტის უფლებამოსილება გარკვეულწილად იზღუდება, რადგან მას ყოველდღიურ მართვაზე გავლენა არ ექნება. მას შეეძლება პარლამენტის დათხოვნა. მთავრობას წარმოადგენს პრემიერ-მინისტრი, რომლის დათხოვნის უფლება ექნება პარლამენტს. რას ფიქრობენ პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები და არასამთავრობო ორგანიზაციები — როგორ უნდა იყოს ძალთა თანაფარდობა პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის? და საერთოდ, რამდენად საჭიროა კონსტიტუციური ცვლილებების გატარება?

ბია ნოღია:

— ამ პარლამენტის ლეგიტიმურობა „წყალშეყენებულია“. ამას ხელისუფლებაც აღიარებს და ამიტომ მის მიერ რაიმე მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ცვლილებების მიღება, დაუშვებელია. რაც შეეხება თავად ცვლილებას — თუ ამერიკული სისტემა გვიდა, მაშინ პრეზიდენტის ინსტიტუტი უნდა იყოს ძლიერი, ხოლო თუ ვეროპული — მაშინ ძლიერი პრემიერ-მინისტრი და სუსტი პრეზიდენტი. დღეს კი, საქართველოს აუცილებლად სჭირდება ძლიერი პრეზიდენტი.

რამაზ საყვარელიძე:

— ჩემი აზრით, პრემიერ-მინისტრი ქვეყანას საერთოდ არ სჭირდება, იმის გამო, რომ გუნდური პასუხისმგებლობის პრინციპი ნაკლებია, პრეზიდენტს დაუმატო პრემიერ-მინისტრი, — ძალიან გაუგებარია: თითქმის ერთი და იგივე ფუნქციები აქვს ორივეს. თანაც, პრეზიდენტს შეუძლია პრემიერის და მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებათა გაუქმება. ეს ჩვეულებრივი ორხელისუფლებიანობაა, რომელიც მომავალი სტაბილურობისთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. როცა ოჯახში ვაჟი



**კონსტიტუციური
ცვლილებები —
აუსილაბელი
რეფორმა თუ
პიროვნებებზე
მოკბეული
კანონი?**

იზრდება და მას ოჯახის უფროსობა უნდა, მამა-შვილს შორის იწყება განხეთქილება. შევარდნადის ხელისუფლების კრიტიკაში ერთ-ერთი თემა პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღების საკითხიც იყო. ახლა იმავეს აკეთებს ახალი ხელისუფლება...

რა ფუნქცია რჩება პარლამენტის თავმჯდომარეს?

— იურიდიულად, მას სპიკერის ფუნქცია ენიჭება, ფსიქოლოგიურად და პოლიტიკურად ძალიან წონიანი ფიგურაა: ის სახელმწიფო მეთაურის მემკვიდრე გახლავთ სულ უმნიშვნელო გაუგებრობის შემთხვევაშიც კი, თუმცა რეალური ძალაუფლება არ გააჩნია. ამიტომ მიმაჩნია, რომ ან საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე უნდა გადავიდეთ ან საპრეზიდენტო სისტემა შევინარჩუნოთ. საკონსტიტუციო ცვლილებებში არის ერთი გაუგებრობა: პრემიერ-მინისტრს პრეზიდენტი ნიშნავს, წესით კი, პარლამენტში უმრავლესობით მოსული პარტია უნდა ნიშნავდეს.

მიხეილ სააკაშვილს ხელს აძლევს საკონსტიტუციო ცვლილებები: მას ორივე მხარის გაუგებრება შეუძლია — როგორც პარლამენტის, ასევე მინისტრთა კაბინეტის, სამაგიეროდ, ვერც ერთი მხარე ვერ აიძულებს, საკუთარი ნების საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგმეინოს.

გომი ხოშტარია:

— მთავარია ბალანსი და თითოეული შტოს დამოუკიდებლობა. ყველა მაქსიმალურად უნდა ფუნქციონირებდეს და ავლენდეს საკუთარ შესაძლებლობებს. ჩემი აზრით, საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი უფრო მოერგებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში, საპარლამენტო რესპუბლიკა ვერ შეიქმნება — თუნდაც, არსებული პოლიტიკური სპექტრისა და პარტიათა სისუსტის გამო. მაგრამ ხალხი ძლიერია და ხალხს უნდა ჰყავდეს ძლიერი პარლამენტი, რომელიც ყველაზე მეტად არის მისი ნების გამოხატველი. მაგრამ საპარლამენტო რესპუბლიკა მხოლოდ მომავლის საქმეა, ახლა პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღებით უნდა შემოვიფარგლოთ, რისი მომხრეც თავიდანვე ვიყავი.

— ე. აუცილებელია, კონსტიტუცია კონკრეტულ პიროვნებებს მთავრობს და პრემიერ-მინისტრის პოსტი შემოიღონ?

— ვერ ვიტყვი, რომ ჩვენთან კონსტიტუციას პიროვნებებს არგებენ, მაგრამ შემძლია ვთქვა, რომ კონსტიტუციას, სიტუაციას არგებენ. სამწუხაროა, რომ ასეთი მორგება გვიხდება. ამერიკამ რომ შექმნა კონსტიტუცია, აღარ შეუცვლია, — ათწლეულების მანძილზე, მხოლოდ 27 შესწორება შეიტანეს, მაგრამ საქართველოში ახლა ეს ცვლილება აუცილებელია. ბრძოლა დაიწყო კორუფციის წინააღმდეგ. იმდენად ბევრი შეცდომა დაშვებული, იმდენად საჩქაროა კანონის უზენაესობის აღდგენა, რომ ძლიერი ხელი აუცილებელია. არ ვგულისხმობ დიქტატორს, ძლიერი პრეზიდენტის პრემიერის და პარლამენტის თავმჯდომარის შეთანხმებული მუშაობაა გამოსავალი. ოღონდ, შენარჩუნებული უნდა იყოს სამივე მათგანის დამოუკიდებლობა.

ზაქარია ძუცნაშვილი:

— მიუღებლად მიმაჩნია, რომ ანონიმურად, გასაიდუმლოებულად მიმდინარეობდა საუბრები კონსტიტუციის მოდელთან დაკავშირებით, თორემ ასეთი ცვლილებების შეტანა კონსტიტუციაში მიზანშეწონილია. ფრაქცია „სოციალისტი“ მხარს არ დაუჭერს საკონსტიტუციო ცვლილებებს. ჩვენთვის მიუღებელია, რომ პრეზიდენტს შეუძლია პარლამენტის დათხოვნა; თუ პარლამენტი მოითხოვს მთავრობის გადადგომას, პრეზიდენტს შეეძლება პარლამენტის დათხოვნა. საზოგადოებამ პრეზიდენტი აირჩია პრობლემების გადასაჭრელად. ქვეყნის მთავარსარდლის ფუნქციაც განსაზღვრულია ამ მოდ-

ვლით; შეიძლება, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაც და ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტაც. ამათ კი ოთხი კვირა მონადომეს იმაზე ფიქრს, რომელს უფრო მეტი ძალაუფლება ექნება – პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს თუ პარლამენტის თავმჯდომარეს...

ლევან რამიშვილი:

– პრეზიდენტი უნდა განსაზღვრავდეს სტრატეგიას. პრემიერი უნდა აკომპლექტებდეს აღმასრულებელ ხელისუფლებას და პასუხისმგებელი უნდა იყოს ოპერატიულ, მიმდინარე საკითხებზე. ჩვენ პრემიერის პოსტის შემოღების კი არა, პარლამენტის დასუსტების წინააღმდეგ ვართ. ჩვენ ხელისუფლების დანაწილებას ვუჭერთ მხარს. ცხადია, უნდა მოხდეს დღევანდელი ვითარებისა და ამ სამი ფიგურის ინტერესების გათვალისწინება, მაგრამ ეს არ უნდა გაკეთდეს დემოკრატიის საზიანოდ.

დავით უსუფაშვილი:

– ქვეყანაში უკვე ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები და შექმნილია აღმასრულებელი ხელისუფლება. მან საკუთარ თავზე უნდა აიღოს ის პასუხისმგებლობა, რომელიც ხალხმა დააკისრა. ამიტომ, იმის მცდელობა, რომ საპარლამენტო მმართველობაზე გადავიდეთ, უკიდურესად სარისკოა. მიმაჩნია, რომ ჯერჯერობით უმჯობესი იყო, არსებული მოდელი დაგვეტოვიანა. თუ მის დასახვეწად რაიმე კონსტრუქციული ცვლილება განხორციელდება, ამას მივესალმები, მაგრამ არა იმ ჰიბრიდის შემოღების მცდელობას, რომელიც თავის დროზე, შევარდნადის სანუკვარი ოცნება გახლდათ. უნდა შეიქმნას მოდელი, სადაც იქნება ისეთი მთავრობა-კაბინეტი და პრემიერ-მინისტრი, რომელსაც მოუწევს პასუხისმგებლობა ქვეყანაში მომხდარ ყოველივე ცუდზე.

რატომ დასჭირდა ახალ ხელისუფლებას საკონსტიტუციო ცვლილებების გატარება?

– რატომ დადგა დღის წესრიგში საკონსტიტუციო ცვლილებების გატარება, ეს ჩემთვის ძალზე გაუგებარია. ახალი ხელისუფლება საკონსტიტუციო ცვლილებებს უკავშირებს რეფორმების დაწყებას: ამბობენ, რომ სხვანაირად ქვეყნის მართვა შეუძლებელია. ამას არ ვიზიარებ და ვფიქრობ, რომ ეს ყოველგვარ საფუძველს მოკლებული არგუმენტია. აქ უფრო იმის ინტერესი იკვეთება, რომ ერთი მხრივ აღმასრულებელი ხელისუფლების შიგნით მოხდეს უფლებების გაყოფა პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს

შორის, მეორე მხრივ კი, აღმასრულებელ ხელისუფლებას მიეცეს მეტი კონტროლი შესაძლებლობა.

ზურაბ შვანიძე:

– საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, სადაც ქვეყნის პირველი პირი სიმბოლური ფიგურა არ უნდა იყოს, მაგრამ ცვლილებების მიხედვით, მთავრობას ექნება ავტონომიურობა, როგორც კოლექტიურ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება, პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე. საკანონმდებლო ორგანო ძალზე ძლიერი იქნება, რადგან პარლამენტს შეეძლება, ნებისმიერ მომენტში ხმების 3/5-ით დაითხოვოს ნებისმიერი მთავრობა. შემოტანილია პარლამენტის დათხოვნის მექანიზმი, მაგრამ ეს უკიდურესი პოლიტიკური კრიზისის პირობებში განხორციელდება. ამავე დროს ჩვენ გვჭირდება მთავრობა, რომელიც მიიღებს ოპერატიულ გადაწყვეტილებებს. ჩვენ გვექნება საშუალება, მივხედოთ იმ პრობლემებს, რაც ხალხს აწუხებს. ეს იქნება კოლექტიური, უფლებამოსილი ერთიანი ორგანო – მინისტრთა კაბინეტი, რომელიც პასუხს აგებს მმართველობით საკითხებზე. პრეზიდენტს შეუძლია, შეაჩეროს მთავრობის გადაწყვეტილება, თუ ის კანონს ეწინააღმდეგება, თუმცა ამის გამო ერთპიროვნული მმართველობის საფრთხეს ნამდვილად ვერ ვხედავ, რადგან დღევანდელი კონსტიტუციით კონტროლის მექანიზმი პარლამენტს იმპიჩმენტის მექანიზმით აქვს შენარჩუნებული. მართებულად არ მიმაჩნია პარლამენტის უფლებამოსილების შესუსტებაზე საუბარი, რადგან აქამდე საკანონმდებლო ორგანოს არ ჰქონდა მთავრობის დათხოვნის უფლება, არ ექვემდებარებოდა კონსტროლის პალატა და ვერ მისცემდა აცილებას ცალკეულ მინისტრებს. ახალი კანონპროექტის შესაბამისად კი, ამ საკითხების გადაწყვეტა პარლამენტის კომპეტენცია იქნება.

პანტანო ხმაღამი:

– ამ კანონპროექტში არაერთი სადავო მუხლია, რომლის ერთობლიობა ქმნის იმის საშიშროებას, რომ საუკეთესო შემთხვევაში, მივიღებთ ავტორიტარული სახელმწიფოს კონსტიტუციას, უარის შემთხვევაში კი – წმინდა წყლის დიქტატურას. პრეზიდენტს ცალკეულ შემთხვევებში ენიჭება პარლამენტის დათხოვნის უფლება – მაგალითად, თუ იგი სამი თვის განმავლობაში ვერ დაამტკიცებს ბიუჯეტის პროექტს, ან იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტმა საკანონმდებლო ორგანოს წარუდგინა მთავრობა,

რომელსაც პარლამენტმა რამდენჯერმე გამოუცხადა უნდობლობა. სად არის იმის გარანტია, რომ დეპუტატები თუ იმას არ გააკეთებენ, რისი მიღწევაც ქვეყნის პირველ პირს სურს, ყოველგვარი მოტივაციის გარეშე. შინ არ გაუშვებენ და უშუშევრებს არ დატოვებენ?!. თავის მხრივ, მთავრობასაც შეუძლია იმის პროვოცირება, რომ პარლამენტი დაითხოვოს. ასეთ სიტუაციაში ჩვენ მივიღებთ სრულიად უუფლებო და მორჩილ პარლამენტს, რომელიც ვერც მთავრობისა და ვერც პრეზიდენტის წინააღმდეგ ვერ გაილაშქრებს. გარდა ამისა, არის ერთი საგულისხმო დეტალიც: პრეზიდენტს შეუძლია, გამოეცხადოს ნორმატიული აქტები, ამის გაკეთების უფლება აქვს მთავრობასაც, მაგრამ არ წერია – რომელი სფერო ვის კომპეტენციაში შედის. ამავდროულად, ქვეყნის პირველ პირს უფლება აქვს, მოიწვიოს მთავრობის სხდომა და თავად უხელმძღვანელოს მას, შეადგინოს აქტი, რომლის მიხედვითაც მთავრობის ნებისმიერი გადაწყვეტილება გაუქმებულად გამოცხადდება, თუმცა შედეგებზე პრეზიდენტი პასუხს არ აგებს. თეორიაში ასეთ მოდელს – როცა ერთ ადამიანს აქვს განუზომელი ძალაუფლება, მაგრამ ვერაფერზე პასუხს ვერ მოსთხოვ, მთავრობა კი არის განტეგების ვაცი – უპასუხისმგებლო პრეზიდენტის მმართველობას უწოდებენ. საბოლოოდ კი, მოსახლეობა დაზარალდება...

კობა დავითაშვილი:

– კატეგორიულად არ ვეთანხმები ამ საკონსტიტუციო ცვლილებებს. სრულიად მიუღებელია შევარდნადისეული მოდელი, რომლის მიხედვითაც, საკანონმდებლო ინიციატივა ერთი კაცის ამბიციების დასაკმაყოფილებლად ხორციელდება. ჩვენი ღრმა რწმენით, არ შეიძლება კონსტიტუცია მოვარგოთ ადამიანებს – ყველაფერი პირიქით უნდა ხდებოდეს. მე მიჭირს ამის ხმადალა განცხადება, მაგრამ მიმაჩნია, რომ საზოგადოებას სიმართლე არ უნდა დაუმალოთ; კარგად უნდა დაფიქრდეთ და არ მივიღოთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებები, სანამ კიდევ არსებობს შანსი იმისათვის, რომ საქართველოში პარლამენტარიზმი გადარჩეს. ჩემი განცხადება არ გულისხმობს პრეზიდენტთან დაპირისპირებას, პირიქით – მე მინდა, სააკაშვილს დავეხმარო, რათა თავიდან იქნას აცილებული პარლამენტის დისკრედიტაციისკენ მიმართული ნაბიჯები.

მარი ჯაფარიძე

„მარი, როგორ უძლებ ამდენ „მესიჯს“? — სწორად მეკითხებიან მეკითხველები. რადგან „ხანუშას“ მძიმე სვედრი ვიტვირთე, მეტი რა გზა მაქვს?! ისე, ერთია — გვიან ღამით რომ მირეკავენ, „სასიძლოსა“ „თუ საპატარძლოს“ თაყვანისმცემლები, მაშინ ვბრაზდები სოღმე, თორემ, სხვა მხრივ ყველაფერი რიგზეა... ერთ-ერთმა ასეთმა ღამურა მეკითხველმა წინა „საპატარძლოს“, ლელა ოთარაშვილთან დაკავშირებით დამირეკა ღამის სამ საათზე:

- გამარჯობათ. მე თქვენი ჟურნალის მეკითხველი ვარ... გეძინათ?
- რა თქმა უნდა...
- არა, ღელას გაფიცებ, მართლა გეძინა? მითხარი, რომ არ გეძინა... გთხოვ...
- არა, არ მეძინა...
- რას აკეთებდი?
- მითხარით, რა გაწუხებთ. ასე გვიან რატომ დამირეკეთ?
- ჯერ მითხარი, რას აკეთებდი, რატომ არ გეძინა? ჩემს თავს გაფიცებ, მითხარი.
- სიძინდს ვარჩევდი, ფუჩჩეს ცალკე ვაწყობდი და ტაროს — ცალკე!
- თქვენ გაიხარეთ! კიდევ კარგი, არ გეძინა, თორემ, სინდისის ქენჯნა მომკლავდა... იცი, მე „საპატარძლოს“ თაობაზე გირეკავ... ლელა ძალიან ღამაში და მომხიბვლელი გოგონაა. ძალიან მომწონს... ასე გვიან იმიტომ გირეკავ, რომ ოჯახის წევრების ღრმად ჩაძინებას დაველოდე...
- რატომ, ტელეფონით საუბარს ვიშლიან?
- არა, მაგრამ არ მინდა, წინასწარ გაიგონ. დარწმუნებული ვარ, ლელას გულის მოგებას შევძლებ, ჰოდა, სიურპრიზი მინდა მოუწყო ოჯახის წევრებს... ამისთანა ანგელოზივით გოგოს რომ მივაყენებ კარზე, წარმოიდგინე, როგორ გაუხარდებათ. ლელას შემახვედრებ?
- მოდი, ზვალ დამირეკეთ და ვისაუბროთ, ახლა კი... ნახვამდის...
- არა, არ გათიშო ტელეფონი, გთხოვ... ჩემს თავს გაფიცებ, არ გათიშო. რაღაც მინდა დაგაბარო ლელასთან.
- კარგი, ვისმენთ...

ჩემ გვერდის აბეჯინიონებს ივნიძნომ სავსე



— ასე უთხარით, თუ ნებით არ გამოყვება, მოვიტაცებ. ეგ გოგო კარგა ხანია, გულში ჩამიფარდა. მე კი დასაწუნი არაფერი მჭირს. კარგი გარეგნობის, შეძლებული, მანქანიან-ბინიანი ბიჭი ვარ. ეგ არის, ცოტა სახელი „მიტეხავს“ — ტერენტი მქვია. თუ საჭირო იქნება, სახელს გამოვიცვლი...

მოკლედ, ამ ჩემმა რესპონდენტმა ძილიც დამიფრთხო და იმ დღის მერე, მოსვენებასაც არ მძღვეს — დღეში სულ მცირე, ათჯერ მაინც მირეკავს და ლელასთან შესვედრას მეხვეწება...

ახლა კი დანარჩენ გამოსმაურებებს გადავხედოთ:

„ლელა, შენაირ გოგოზე მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ვოცნებობდი და შენც გამოჩნდი: ღამაში, მშენიერი, ჭკვიანი... აღფრთოვანებული ვარ შენი ხასიათითა და ცხოვრების სტილით. ვნატრობ, რომ ოდესმე გნახო და შენს უძირო თვალებში ჩავიძირო. შენი ერთგული თაყვანისმცემელი“.

„ლელუკა, მიყვარხარ! ფოთში ვცხოვრობ და მთელი ფოთის სახელით

გთხოვთ, — ჩამოხვიდეთ. ფოთელები. გვიყვარხართ შენც და „რონდოც“. ღათო“.

„ლელა! ძალიან მიყვარხარ, შენი თაყვანისმცემელი, ერთი ღატაკი, ხევსური ვაჟკაცი ვარ. მინდა, ლექსი მოგიძღვნა: „რომ შამაგხედე, ქალაო, შენმა თოლებმა დამწვაო, ნეტავი გამაგებინა, შენი თოლების ხედვაო“... ისე, ლელა, ჰოროსკოპით მეც ლომი ვარ. ზუსტად იგივე თვისებები მაქვს, რაც შენ. შემხვდი და თავად დარწმუნდები. სიყვარულით, ლევანი“.

„ლელა, ვარ ძალაღი, უხვი, მღაბალი, ლაშქარმრავალი... გარეგნულად — „ნიჩივო“, სიმპათიური ტიპი ვარ. ბინით, ავტომობილით, მატერიალურად უზრუნველყოფილი. მეც ლომი ვარ და შენზე 1 წლით უფროსიც. ძალიან მომწონს არ და შენი დიდი თაყვანისმცემელი ვარ. დანარჩენს ჩემ შესახებ, თუ შემხვლები, მერე მოგიყვები. აბა, ჰე! ლეო“.

„ლელა, ძალიან მოვიხიბლე შენით. ძალიან ბედნიერები ვიქნებით ერთად. ღათო. ბათუმი“.

„ლელა, ძალზე სანდომიანი გოგონა ხარ. იმიტომ კი არ მიყვარხარ, რომ კარგი ხარ. არამედ იმიტომ ხარ კარგი, რომ მიყვარხარ. რომო“.

„რონდოც“ თმახუჭუჭა მზეთუნახავო, ვფიქრობ, შენს მოთხოვნებს ვაკმაყოფილებ. პირობას გაძღვევ, ჩემ გვერდით უბედნიერეს ქალად ივნიძნობ თავს. ვიცი, თაყვანისმცემელთა მთელი არმია გახვევია თავს, მაგრამ მაინც ვიტოვებ იმედს, რომ შევძლებ შენი ყურადღების მიპყრობას. შევეცდები, ვიბრძოლო რონდოს მეორე სიძის ადგილისათვის. გიორგი“.

„ლელა, ძალიან მომწონხარ. ძალიან მომწონს თქვენი ოჯახი და შემოქმედება. გარეგნობასთან ერთად, ხასიათიც მომხიბვლელი და ღამაში გქონია. გისურვებ ბედნიერებას. სიყვარულით. ნ.კ.“

„ლელას. მე ვნახე მთვარე, ვიყავი მზესთან, მაგრამ ყოველთვის მინდოდა შენთან“.

„ლელა, ჩემო კარგო, არ გიცნობ, მაგრამ ალბათ არაფერი დაშავდება, ასე რომ მოგმართავ. იმედია, მალე გიხილავთ ახალ-ახალი წარმატებებით. გისურვებ წინსვლას. ვახო“.

არ იფიქროთ, ვწუნუნებ, მაგრამ ჩემი გასაჭირი უნდა გაგიზიაროთ. თუ მიყოლებით ორი „საპატარძლო“ წარმოგიდგინეთ, გოგონები მიკლებენ რეკვით „სასიძო“ „გამოუშვიო“... თუ „სასიძოები“ მიპყვენ ერთმანეთს — მამაკაცები „მიტევენ“ — რატომ გვჩაგრავთ? „საპატარძლო“ სად არისო?! მოკლედ, ორ ცეცხლს შუა ვინვი და რადგან ბოლო ორი კვირის განმავლობაში, გოგონების გულისწყრომა დავიმსახურე, კომპენსაციად, ფრიად შეძლებულ, განათლებული ოჯახის შვილს (ოღონდ არ მითხრათ — ასეთი ჩვენს ქალაქში დიმიტრია გელოვანიო), საინტერესო პიროვნებასა და „ქალების რისხვას“ წარმოგიდგინო.



ლევანი დედასთან, ქალბატონ ნანასთან ერთად

მამაკაცები რომ

მარი ჩაშარიძე

ეს გახლავთ ბესო თედიაშვილი. მისი ინტერვიუდან შეიტყობთ, თუ როგორ იქცევა ის, როცა ადრენალინის ჭარბად გამოყოფა სურს, რას გადაარჩენს პირველ რიგში, ბინაში ხანძარი რომ გაჩნდეს, რატომ მოისურვა ტაქსის მძღოლობა და შეიძლება თუ არა, თავლისფერთვალეობა ბიჭი ერთ დღეში „მწვანეთვალეობად“ იქცეს? მანამდე კი, კიდევ ერთი საინტერესო რუბრიკაში: დღეიდან, ყველა „საპატარძლოსა“ და „სასიძოს“

არ ვიფიქრო, თუ როგორ „თხოვდება“ ...

ოჯახის წევრების მინილოსიეს გაგაცნობთ. მაშ ასე:

მამა — ლევან თედიაშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი, წარსულში სახელგანთქმული მოჭიდავე, ხუთგზის მსოფლიო და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ფრიად საინტერესო და კოლორიტული პიროვნება;

დედა — ნანა თედიაშვილი, თვალის სნეულებათა ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თვალის კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგე.

— ბესო, რამდენი წლის ხარ და ზოდიაქოს რომელ ნიშანს მიეკუთვნები?

— 28 წლის გახლავართ. ზოდიაქოს ნიშანი — ტყუბი. დაბადებული ვარ 7 ივნისს.

— მოდი, შენი დადებითი და უარყოფითი თვისებების შესახებ ვისაუბროთ...

— სიამოვნებით. კარგი, რაც ხასიათში მაქვს, ის გახლავთ, რომ არა ვარ ბოროტი, შურიანი, ცუდს არავის გავუკეთებ. რუსებს ასეთი გამოთქმა აქვთ: мне прощения нет, но я никому не прощаю. მეც ასე ვარ — ბოროტებას არავის გავუკეთებ, მაგრამ არც არაფერს შევარჩენ სხვას. ძალზე მხიარული ადამიანი ვარ, მიყვარს კარგ საზოგადოებაში ყოფნა და მოღვინა. „მუღო“ არა ვარ... ცუდი კი ის მაქვს, რომ ძალზე ჯიუტი ვარ. შესაძლოა, რაღაც საკითხზე ვიკამათო, მივხვდე, რომ ვცდები, მაგრამ მაინც ისე მოვიქცევი, როგორც საჭიროდ ვთვლი, რადგან მიმანია, რომ პრინციპის საკითხია. ხშირად, ოჯახში სწორედ ამის გამო მეღავეებიან ხოლმე.

ქალბატონი ნანა:

— ბესოს ხასიათის ცვლილებას ეტაპებად დავყოფდი: ბავშვობაში უფრო მიზანდასახული გახლდათ, ახლა ხასიათი ცოტა დაუმძიდა... პატარაობიდანვე ლაღად იხრდებოდა, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. დარწმუნებული ვარ, კაცური კაცის სახელი აქვს და მთავარი, სწორედ ეს გახლავთ.

— ბესო, ვუჯღუნა ხარ?

— არა, ვუჯღუნე და ბუჯღუნე არ მჩვევია. საერთოდ, ჩემს პრობლემებს არავის ვუზიარებ, მეგობრებსა და მშობლებს არ ვუყვები ხოლმე. საერთოდ, ჩემი ცხოვრების პრინციპი ასეთია: „ვიცის დედა ტიროდა, არ ვიცისა — იცინოდა“. შესაძლოა, ძალზე ბევრი პრობლემა მქონდეს, მაგრამ გაღიმებული დავლიოდე და არ ვიმჩნევდე. ჩემთვის, ცალკე დავჯღუნე და მოვიფიქრებ, როგორ გადავჭრა ეს პრობლემა...

— რას შეუძლია წონასწორობიდან შენი გამოყვანა?

— შესაძლოა, სულ პატარა ნიუანსმა დამაკარგვინოს წონასწორობა — მაგალითად, უზრდელმა ადამიანმა ან კიდევ, თუ ისე მოქცევიან, როგორ მოქცევასაც არ ვიმსახურებ...

— გაბრაზებას როგორ გამოხატავ ხოლმე?



საინტერესო პიროვნებასა და „ქალების რისხვას“ წარმოგიდგინო

— ო-ო, თუ გავბრაზდი, მუშტი-კრივზეც გადავალ... ჩემი ჰაბიტუსიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგეს ადვილად გაუესწორდები, მაგრამ ერთი რამ მინდა გითხრა: თუ არ მერჩიან, მეც არავის ვერჩი.

— როგორი სიმთვრალე გაქვს?

— ძალზე იშვიათად ვსვამ და „ბულკივით“ სიმთვრალე მაქვს, მაგრამ სხვადასხვა სასმელი ჩემზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. ღვინოს ან კონიაკს თუ დავლევ, ანგელოზივით ვიქცევი, მაგრამ არყით თუ დავთვერი, შესაძლოა, შარიც ავიკიდო, ისიც — მაშინ, თუ რაიმე ბოღმა მასწრწობს.

ქალბატონი ნანა:

— ბესო მთვრალი უკეთესია, ვიდრე ფხიზელი. თუ ნასვამი არ არის, სულ საკუთარ თავშია ჩაკეტილი, ტელევიზორს უყურებს და ხმას არ გვცემს; თუ ნასვამია, მაშინ სიტბოს გამოხატვა უფრო ეხერხება, გვესაუბრება და გვეფერება ხოლმე.

— ბესო, გინება და ბილ-ნსტიყვაობა გრვევია?

— კი, აბა ცუდი ხასიათი რას ნიშნავს?! თუ ჩუმად ვარ, გუგულივით ვარ, თუ არა და — ვევირი და ვიგინები...

— პროფესიით ვინ ხარ?

— ეკონომისტი ვასწავლავარ. კოლუმბიის უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული. აგერ, იმ დიპლომს ხომ ხედავთ (ჩარჩოში ჩასმული დიპლომი, კედელზე რომ კიდია)? სახლში ხანძარი რომ გაჩნდეს, პირველ რიგში მაგას გადავარჩენ, რადგან რომ დამეკარგოს, დუბლიკატს არ იძლევიან. ხელახლა უნდა დაამთავრო უნივერსიტეტი, რომ ახალი დიპლომი მოგცენ. ახლა ნავთობკორპორაციაში ვმუშაობ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტზე.

— რატომ ხარ აქამდე უცხოლო?

— საერთოდ, ყოველგვარ გადაწყვეტილებას დიდი ფიქრის შემდეგ ვღებულობ. მით უმეტეს, ისეთ სერიოზულ საკითხთან მიმართებაში, როგორიც ოჯახის შექმნა ვასწავლავთ. შესაძლოა, გოგონა მომეწონოს, დიდი ხნის განმავლობაში ვხვდებოდე, მაგრამ უცებ, ისეთი თვისება გამოავლინოს, რომელიც არ მომეწონება. ასეთ შემთხვევაში, გადავიფიქრებ მასზე დაოჯახებას, რადგან მივხვდები, რომ ეს შემთხვევით კი არ მოუხდა, არამედ ხასიათში აქვს. ძალზე პრინციპული ვარ. მინდა, ცოლი ერთხ-



საერთოდ, სხვადასხვანაირი სილამაზე არსებობს, მაგალითად — „შხვართული“...

ელ მოვიყვანო და ცხოვრების ბოლომდე მასთან ვიყო. ამ საკითხს იმდენად სერიოზულად ვუდგები, რომ ხელის მოწერის დროს, შესაძლოა, გული წამივიდეს, ცუდად გავხდე და ვალერიანი დამჭირდეს...

— როგორი გოგონები მოგწონს?

— საერთოდ, შეიძლება, რომელიმე გოგო არ მოგეწონოს?! შესაძლოა, გონებაში სულ სხვა ტიპაჟი გყავდეს ჩამოყალიბებული, ცოლად კი, სრულიად განსხვავებული გარეგნობის გოგო მოიყვანო. საერთოდ, სხვადასხვანაირი სილამაზე არსებობს, მაგალითად — „შხვართული“... მე თოჯინასავით ლამაზი გოგონები მომწონს, აი, ისეთი, ბარბის რომ ჰგვანან...

— ქალბატონო ნანა, ოჯახის წევრები არ აჩქარებთ ცოლის მოყვანას?

— კი, წინათ ვსაყვედურობდით ხოლმე, მაგრამ დაგვარწმუნა, რომ ამ საქმეში აჩქარება არ ვარგა. საერთოდ, თედიაშვილები ისეთი ბუნებისა არიან, რომ დაძალება არ ჭრის — მაინც იმას აკეთებენ, რაც თვითონ სურთ. შეწინააღმდეგებასა და შენი აზრის თავზე მოხვევას, აზრი არა აქვს.

— ბესო, როგორ ფიქრობ ბუნებით აზიატი ხარ?

— ისე, რა! არ მიმაჩნია, რომ ქალი შინ უნდა იჯდეს და „კუხნის“ იქით არ უნდა გაიხედოს, მაგრამ არც იმის მომხრე ვარ, დღედაღამ დაქალებში იჯდეს. სულ შინ რომ იყოს და მე მელოდოს, შეიძლება, გაგიჟდეს, მით უმეტეს, რომ ისეთი განრიგი მაქვს, დიდხანს მოუწევს ლოდინი; ისეთი მეგობრები უნდა ჰყავდეს, მათთან რომ იქნება წასული, მე მშვიდად ვგრძნობდე თავს.

— განათხოვარ ქალს თუ შეირთავ?

— არა. არა მგონია, ასეთ ქალზე დავექორწინდე.

— ქალბატონო ნანა, თქვენ თუ ჩაერევით შვილის არჩევანში?

— არა მგონია. ვახო (ვახტანგ თედიაშვილი საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლისას აფხაზეთში დაიღუპა. — ავტ.) ბავშვობიდან სულ შეყვარებული იყო, 18 წლისამ მოიყვანა ცოლი და ჩვენ ამაში მისთვის ხელი არ შეგვიშლია. ბესო უფრო აზიატია. ვფიქრობ, საუკეთესო გოგონას შეარჩევს. დარწმუნებული ვარ, არჩევანში არ შეცდება. ჩვენ კი, რძალს შვილად მივიღებთ.

— ბესო, ბედისწერის თუ გჯერა?

— არ მინდა, რომ მჯეროდეს; არ მინდა ვიფიქრო, რომ ვიღაც წინასწარ გეგმავს ჩემს ცხოვრებას. მაშინ რა აზრი აქვს ჩვენს ძალისხმევას?! დავსხდეთ, გულზე ხელი დავიკრიფოთ და ყველაფერი თავისით მოხდება... მე მჯერა ფორტუნის. ეს განსხვავებული ცნებებია. მაკიაველიმ თქვა: „ადამიანის ბედის 70% დამოკიდებულია შანსზე, 30% — ფორტუნაზე“. ხანდახან, როდესაც ჩემს ძმაზე ვფიქრობ, მინდა დავიჯერო, რომ მას ასეთი ბედი ჰქონდა... ადამიანი საკუთარ ბედს თვითონ ჰქვდავს. ვახომ აირჩია ჯარისკაცობა. ჯარისკაცები კი სამშობლოსთვის კვდებიან... მისი დაღუპვიდან ორი წლის მანძილზე შურისძიების წყურვილით ვიყავი ადვსილი და მისი მკვლელის სისხლი მწყუროდა. ახლა — აღარ. სისხლი სისხლით არ განიბანება. თუ საქართველოს ერთიანობისთვის მეც რაიმე წვლილს შევიტან, ვფიქრობ, ეს ყველაზე დიდი ვალის მოხდა იქნება ძმის წინაშე.

— შენს ძმას შვილი დარჩა?

— არა. ორი შვილი დაბადებისთანავე



დედაჩემს დავურეკე – ასე და ასე დამემართა-მეთქი. თურმე, ასეთი რამ მილიონში ერთხელ ხდება. იმის შემდეგ მწვანე თვალები მაქვს

დაელება. მას რომ შეილი ჰყოლოდა, „სასიძოს“ რუბრიკისთვის ინტერვიუს აღარ მოგცემდით, გეტყვოდათ – ცოლი არ მინდა, ძმისშვილი მყავს და იმას ვანაცვალე თავს-მეთქი...

— შენს რჩეულს წინასწარ თუ წარუდგენ ოჯახს?

— დიახ. იმიტომ კი არა, რომ გაგიყო, ისინი რას იტყვიან – უბრალოდ, მინდა, ჩემი ცოლი მათთან მეგობრობდეს. მიყვარს, რძალ-დედამთილი რომ შეიკვრება და საერთო ენას გამოიხატავს.

— რას მიანიჭებ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როდესაც დაოჯახებას გადაწყვეტ?

— რა თქმა უნდა, საპატარძლოს ოჯახის მატერიალურ მხარეს არავითარ ყურადღებას არ მივაქცევ: არ მიყვარს, მამაკაცები რომ „თხოვდებიან“. აუცილებლად დავინტერესდები მათი ოჯახური ტრადიციებით. მამამისა და მამაჩემს უნდა იძმაკაცონ, ერთად გადაიკარგონ ხოლმე სახლიდან და სიდედრი და დედაჩემი გააბრაზონ... მთავარია, პატიოსანი ოჯახის შვილი იყოს.

— სიდედრს დედას თუ დაუძახებ?

— არა. არავითარ შემთხვევაში. კახელი კაცი ვარ და სიდედრს დედა რომ დაუძახო, „ტყეის“ იქით აღარ გამიშვებენ. სიდედროჯახს დაუძახებ – მოვუკახურებ.

— ნათქვამია, კახელებს მოფერებაც დედას გინებთ სჩვევიათო...

— მართლია. ჰოდა, სიდედრს ხშირად მოვეფერები...

— დარწმუნებული ვარ, ბევრ სახალისო ამბავს გაიხსენებ, ქალებთან დაკავშირებით...

— უჰ, მთელი ცხოვრება კურიოზი არ არის?! ოღონდ, ვეცდები, ისე გაიბოთ, სხვებმა ვერ ამოიცნონ, ვისზე გესაუბრებით. ერთ ქმრიან ქალთან დავდიოდი. ჰოდა, ერთხელ ქმარმა მოგვისწრო. ჩემი ტანისამოსისა და ფეხსაცმლის სააბაზანოში შეყრა მოვასწარი, მეც შეგვარდი და კარი შეგნიდან ჩავკეტე. შემდეგ წყნარად შევიმოსე და გამოვედი (ხელოსანი გაითამაშა. – ავტ.) ქმარი ოთახში იჯდა. მე რაღაც მოვიმიზეზე, მაღლობა გადავუხადე და წამოსვლა დავაპირე, მაგრამ ვინ გამომიშვა? ვიდრე ყავა არ დამალევინეს და პატივი არ მცეს, ვერ გამოვალწვი... ერთხელ, ქმარმა რომ მომიწწრო, აივანზე ვიმალებოდი...

— რა სულ გათხოვილ

ქალებს იხსენებ?..

— მიყვარს, როცა ბედს ვეთამაშები: ურთიერთობები რისკთანაა დაკავშირებული და ამ დროს ადრენალინიც ჭარბად გამოიყოფა. ერთ შემთხვევასაც გავიხსენებ: ჩემს გელფრენდს პაემანზე შევეუთანხმდი. ცოტა ხნის შემდეგ, დამირეკა და მითხრა: არ მომაკითხო, ქმარი მახლავსო. ერთი დანჯღრეული „ჟიგული“ ვიშოვე, რომელიც ერთიანად მოყანყალბული გახლდათ. სალონში ბენზინის სუნი იდგა და სავარძლებიც მორყეული იყო. ძველი „ტელეგრეკა“ ჩავიცვი, „უშანკა“ დავიხურე, მანქანის საქარე მინაზე ტაქსის ნიშანი მივამარე და – ჰაიდა!.. გზაში, ნაცნობმა პოლიციელებმა გამაჩერეს და გაცხებულები შემომყურებდნენ. მე ვუთხარი – საიდუმლო ოპერაციას ვატარებ-მეთქი. ქალს დავურეკე – ამა და ამ ნომრიანი მანქანი ვარ, ტაქსის ნიშანი აქვს – ხელი ამიწვი და გამაჩერე-მეთქი. ასეც მოიქცა. ქმარი მეკითხება – რამდენად წაიყვანო? ვინაიდან ფასები არ ვიცოდი, ჯერ ვუთხარი – რამდენსაც გადაიხდი-მეთქი, – მერე, 6 ლარი მოვთხოვე. – ბევრიაო, – მითხრა... ერთი სიტყვით, კარგა ხანს ვივაჭრეთ, შემდეგ ფული გადაიხადა და მთხოვა – აბა, შენ იცი, მშვიდობით მიიყვანო... აი, ასეთი ამბავიც გადამხდენია თავს.

— თვალების ფერის გამო კომპლიმენტს ხშირად გეუბნებიან სოლმე?

— საოცარ ამბავს გეტყვით. დაბადებიდან თაფლისფერი თვალები მქონდა. ამერიკაში რომ წავედი სასწავლებლად, მაშინ 17 წლის ვიყავი. ერთ საღამოს, ძალზე ბევრი ტეკილა დავლეე, დავთვერი და დილით სარკეში რომ ჩავიხედე, მწვანე თვალები მქონდა. დედაჩემს დავურეკე – ასე და ასე დამემართა-მეთქი. თურმე, ასეთი რამ მილიონში ერთხელ ხდება. იმის შემდეგ მწვანე თვალები მაქვს.

პაზღ და ვეკრან, საქართველო, მე ვარ შენთან!...
ნოსტალგია
 საპროექტო მართვით მსოფლიო მარკეტინგის სპეციალისტების გუნდი
 მარკეტინგული კამპანია დაგეგმვა 2001 წლის 15 დეკემბერი

პირველი და ერთადერთი ქართული გაზეთი საბარკნეთში
ვიმდენაქაობს გამოვწერა საბარკნეთის ნებისმიერ მხარაში,
აბრათვე ვიმდენაქაობს ყველა ქართული შარნალ-გაზეთების
გამოვწერა. მისაბარკნი: ათანი, ომონია, კახაძეაქანი 18,
ტელ: 210 56-95-470 გიორგი ყარაღაბილი
გაზეთები იყიდება ათანში, ბარისბულ ოფისებსა და ჯინუაქაში

ლელა ჭანკოტაძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №5

ერთ-ერთი სფერო, რომელშიც ნამდვილად შეიძლება მილიონების შოვნა, საკვებია. ოღონდ, ეს ამოცანა არ არის მარტივი — ისევე, როგორც ნებისმიერ წარმატებულ ბიზნესში — მთავარი მასობრიობის მიღწევაა — ანუ პოტენციურ მომხმარებელთა რაც შეიძლება დიდი რაოდენობის მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამას ერთი უბრალო, კლასიკური ამერიკული საკვები პროდუქტის — ჰამბურგერის საუკუნოვანი ისტორია ადასტურებს.

მის წარმოშობაზე თურმე, აშშ-ში დღესაც კამათობენ და ჰამბურგერის „მამად“ სხვადასხვა ადამიანს ასახელებენ. ყველაზე გავრცელებული ვერსიის თანახმად, ბრტყელი კატლეტის ფუნთუშაში ჩაღება პირველად, 1900 წელს კონექტიკუტის შტატში მცხოვრებ ვინმე ლუის ლასინგს მოაფიქრდა, მაგრამ მისი სახელი მილიონერთა სიაში არასდროს მოხვედრილა. ეს ბედნიერება არც წვრილ მეწარმეს — უოლტერ ანდერსენს რგებია წილად, რომელიც პირველი იყო, ვინც სწრაფი კვების მომსახურების მცირე სისტემა — White Castle Hamburger — შექმნა. XX საუკუნის 30-იან წლებში, ამერიკა აჭრელდა Fast food-ის (სწრაფი კვების) რესტორნებით, რომელიც მომხმარებლებს ძირითადად, ჰამბურგერს, შემწვარ კარტოფილს და რძის კოქტეილს სთავაზობდა. მაგრამ არც ამ დაწესებულების რომელიმე მესპატრონე დარჩენილა ბიზნესის ისტორიაში. ეს ხვედრი — ჰამბურგერით გაძლიერება რეი კროკს ეწერა, რომელიც 40-იან წლებში რძის კოქტეილის დასამზადებელ მიქსერებს ყიდდა და ნამდვილი „ოქროს იდეა“ მოუვიდა: მან გადაწყვიტა, ჩამოეყალიბებინა თვითმომსახურების რესტორნების ქსელი, რომელშიც ერთი და იგივე ნაწარმი, ერთი და იმავე ფასად გაიყიდებოდა. კროკმა ყველაფერი ზუსტად გათვალა. მან გაითვალისწინა მთავარი — ის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამერიკელთათვის სტანდარტი.

ბედნიერი შემთხვევის წყალობით, კროკმა გაიცნო ძმები — რინარდ და მორის მაკდონალდები, რომლებმაც თავიანთი პირველი ობიექტი 1940 წელს გახსნეს. თავიდან ჩვეულებრივი სასაუზმე იყო — ისეთივე, როგორიც ათასობით სხვა. დღეს საყოველთაოდ ცნობილი MacDonald`s-ის სახელის მატარებელი პირველი რესტორანი კი, კალიფორნიის შტატის პატარა ქალაქ სან-ბერნარდინში 8 წლის შემდეგ

როგორ ვიშოვოთ მილიონი

გაჩნდა, მაგრამ არც ის ჰგავდა დღევანდელ „მაკდონალდსს“. და აი, ამ დროს, რეი კროკმა ძმებს რამდენიმე იდეა გაუზიარა: დაეპატენტებინათ საგაჭრო ნიშანი, მოეხდინათ მენიუსა და მომსახურების სტილის სტანდარტიზაცია და შემდეგ, მიყიდათ ყოველივე ეს, ლიცენზიის სახით ნებისმიერი მეწარმისთვის, რომელიც ამას ისურვებდა. ამგვარად, თითოეული რესტორნის მესპატრონე დამოუკიდებლად უძღვება საკუთარ ბიზნესს, მაგრამ შემოსავლის წილს უხდის სათავო კომპანიას. წლების შემდეგ, ძმები მაკდონალდებისგან კროკმა იდეა, კონცეფცია და კომპანიის ლოგოტიპი სულ 3 მლნ დოლარად შეისყიდა. მას არ უღალატა კომერციულმა ალლომ, რასაც ასეთი მონაცემები ადასტურებს: 1970 წლისათვის ამერიკის 50-ე შტატში გახსნილი იყო „მაკდონალდსის“ 1 რესტორანი მაინც, 1972 წელს კი, რამდენიმე თვის განმავლობაში მსოფლიოში ყოველდღიურად, თითო „მაკდონალდსი“ იხსნებოდა! როცა 1984 წელს, სწრაფი კვების იმპერიის შემქმნელი ამ ქვეყნიდან წავიდა, სტატისტიკოსებმა დააფიქსირეს, რომ მსოფლიოში უკვე 50 მილიარდი ჰამბურგერი იყო გაყიდული...

მილიონების შოვნა სხვის სახელზეც შესაძლებელია — თუნდაც ეს სახელი არა რეალურ პიროვნებას, არამედ ლიტერატურულ გმირს ეკუთვნოდეს. ამის კლასიკური მაგალითია ინგლისელი მწერლის კონან დოილის გმირი შერლოკ ჰოლმსი, რომელიც (ნაწარმოების მიხედ-



ვით) ექიმ უოტსონთან ერთად ლონდონში, ბეიკერ-სტრიტზე, №221b სახლის ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. აღნიშნული ნომრის სახლი ბეიკერ-სტრიტზე არასოდეს ყოფილა, მაგრამ ამან არ შეუმალა ხელი გამოჩენილი მძებრის მუშეუმი გახსნას. მუშეუმი სახლის მეორე სართულზეა განთავსებული. პირველი კი, მთლიანად მალაზიას დაეთმო. მასში შეგიძლიათ შეიძინოთ: კონან დოილის თხზულებათა სრული კრებული, შერლოკ ჰოლმსისა და ექიმ უოტსონის თოჯინები, ჰოლმსის ქუდი, თამბაქო, რომელსაც აწერია, რომ სწორედ ამ ჯიშის თუთუნს ამჯობინებდა მისტერ ჰოლმსი... საინტერესოა, რომ ამ ნივთების დიდი ნაწილი, ფართო მოხმარების საგნების აწ უკვე ყოვლისმომცველი, ჩინური მრეწველობის პროდუქტია, რომლის მოგების მოცულობა მილიონობით დოლარს აღწევს.

კაპიტალის დაგროვების ძალზე ორიგინალური ხერხი გამოიგონა ქალაქ კანზას-სიტის მცხოვრებმა ამერიკელმა ჯეიმს ნელსონმა, რომელმაც ინტერნეტ-აუქციონის — eBay-ს მეშვეობით... საკუთარი თავი გაყიდა: მას 7.000 დოლარი იმისთვის გადაუხადეს, რომ 5 წლის მანძილზე, ტენასის ინტერნეტ-კომპანიის — CitHost. Com. — რეკლამა საკუთარი თავით ატაროს, რისთვისაც კეფა შესაბამისი სვირინგით მოიხატა. მოხერხებული ამერიკელის თქმით, „ამ სარეკლამო ადგილის გაყიდვა“ სწორედ მომავალი ბიზნესის წამოსაწყებად მოაფიქრდა. „მე მგონი, მსგავსი რამ აქამდე, დედამიწის ზურგზე არავის ჩაუდენია, — განაცხადა მომავალმა ბიზნესმენმა, — ყოველ შემთხვევაში, ეს ბანკში კრედიტის აღებაზე გაცილებით უკეთესია...“





მიგროფანე
ლაღიძე

გახდება თუ არა მილიონერი ჯეიმს ნელსონი, ამას მომავალი გვიჩვენებს. ერთს კი ნამდვილად ვერ წაართმევ – მან საწყისი კაპიტალის შოვნის მართლაც, უჩვეულო ხერხი მოიგონა.

როგორი წარმატებით მოღვაწეობენ ქართველები ბიზნესის სამყაროში? ვინ გვყავს ქართველებს ამ სფეროში საამაყო და თავმოსაწონებელი? ალბათ, ქართული კონიაკის მამის – დავით სარაჯიშვილის მოღვაწეობის განხილვაც საკმარისია. ის ოჯახში ერთადერთი ვაჟი იყო. მამისგან შემკვიდრებით 70.000 მანეთის ქონება მიიღო. მასვე ერგო უფროსი ბიძის ქონებაც, რომელიც უშვილო გახლდათ. დავით სარაჯიშვილი საზღვარგარეთ მევენახეობის ჩინებულ სპეციალისტად ჩამოყალიბდა და გადაწყვიტა, საქართველოში სპირტის წარმოება დაეწყო.

1885 წელს დავითმა თავის სიმამრთან – ივანე ფორაქიშვილთან ერთად შეიძინა პრიმიტიული ტექნიკით აღჭურვილი არყის სახდელი ქარხანა ვლადიკავკაზთან ახლოს და სულ მალე, ევროპული დონის საწარმოდ აქცია იგი. მისი ქარხნის ტერიტორიაზე მცირე დამხმარე საამქროებიც ამუშავდა – წისქვილები, სახელოსნოები, საზეინკლო, სამჭედლო, სიმინდისა და ჭერის სარეცხი და საშრობი საამქროები. იქვე აშენდა საერთო საცხოვრებელი მუშებისთვის. ქარხანა წელიწადში 10 თვის განმავლობაში მუშაობდა. 1885 წელს სარაჯიშვილმა თბილისშიც გახსნა საქართველოში პირველი, არყის რექტიფიკაციის (გაფილტვრით მიღებულა სუფთა სპირტი) ქარხანა, რომელიც მხოლოდ ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობდა.

ქარხნები მოგებას იძლეოდა. ბუნებრივია, ნიჭიერი მეწარმე მიღწევით არ დაკმაყოფილდა – 1886 წელს, ქალაქის ცენტრში ვლადიკავკაზში მეორე ქარხანა ააშენა. შემდეგ თბილისში გაიხსნა სარაჯიშვილის ლიქორის ქარხანა – ეს უკვე ახალი საქმე იყო. მეწარმემ საფრანგეთიდან

მოიწვია სპეციალისტები და ქართველი გლეხებისა და მემამულეებისგან ჩაბარებული ხილულისგან სხვადასხვა ნაყენის, ლიქორისა და ხილის ფერადი არყის წარმოება დაიწყო. ქართულმა პროდუქციამ ღირსეული კონკურენცია გაუწვია ევროპულ ანალოგებს. დავით სარაჯიშვილმა ქართული ბაზარი დაიპყრო, რის შემდეგაც თავისი ოცნების ასრულება შეძლო – ქართული კონიაკის წარმოება დაიწყო.

1900 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენაზე დავით სარაჯიშვილის კონიაკმა სპეციალური ჯილდო და ოქროს მედალი მიიღო. კონიაკის სამშობლოში ამ პარიზის მიღებამ ნამდვილი ფურორი გამოიწვია.

დავით სარაჯიშვილი ერთდერით ქართველ მეწარმედ არ დარჩენილა, ვინც საზღვარგარეთ ასეთ დიდ წარმატებას მიაღწია. 1913 წელს პეტერბურგისა და ვენის ძალზე პრესტიჟულ, სასმელების საერთაშორისო გამოფენებზე მიტროფანე ლაღიძის „ტკბილი წყლები“ ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდა. მას არა მარტო „ტკბილი წყლების“ საწარმოებელი ქარხნების ქსელი ჰქონდა, არამედ ის ამიერკავკასიის სამთო-ქიმიურ მრეწველობაში პირველი იყო, ვინც ქუთაისთან ახლოს გეოლოგიური საშუალები დააფინანსა და იქ მღებარე საბადოებიდან ბარიტის – საღებავის დამზადებისთვის აუცილებელი ნივთიერების მოპოვება დაიწყო, რომელსაც მთელი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე განთავსებულ ქარხნებში იყენებდნენ...

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მილიონების შოვნა უფრო ხშირად, საეჭვოდ ეჩვენებათ, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან 90-იან წლებში ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში „გამორეკლი“ ბევრი ბიზნესმენი, ან კერძო სექტორში სახელმწიფო სახსრების „გადაქაჩვის“, ან კიდევ, სხვადასხვაგვარი მაქინაციის შედეგად გამდიდრდა. ამ ცოტა ხნის წინ, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ეჭვი გამოთქვა იმის გამო, რომ შესაძლებელია კანონიერი გზით რამდენიმე წელიწადში მილიონების დაგროვება. სწორედ ამ საბაბით ერთ-ერთ რუსულ გაზეთში მიმოიხილეს იქაური ოლიგარქების გზა დიდ ბიზნესში და მათ შორის, რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი საქმოსანი, ჩვენი თანამემამულე კახა ბენდუქიძეც მოხვდა.

„სამრეწველო ჯგუფის – „ურალმაში-იუორის“ გენერალური დირექტორი „წარმოშობით „სამეცნიერო წრეებიდანა“ – წერს ერთ-ერთი საგაზეთო წერილის ავტორი. – ის უნივერსიტეტის მათემატიკის მასწავლებლის ოჯახში გაიზარდა, თავად თბილისის უნივერსიტეტის ბი-

ოლოგიის ფაკულტეტი და მოსკოვის უნივერსიტეტის ასპირანტურა დაამთავრა. მუშაობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიისა და ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, რამდენიმე წლის შემდეგ კი, ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის ცხოველთა უჯრედების მოლეკულური გენეტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელად დანიშნეს. კომერციას ბენდუქიძემ გორბაჩოვისეული „პრესტროიკის“ დაწყებისთანავე მიჰყო ხელი: მან დააფუძნა რამდენიმე კოოპერატივი, რომელიც სამეცნიერო დანიშნულების ბიოქიმიურ პრეპარატებს აწარმოებდა. როგორც თავად აღუნიშნავს ერთ-ერთ ინტერვიუში – „ეს ძალზე მოსახერხებელი დრო იყო: ზღვა ენთუზიაზმი, ბევრი ფული... შესაძლებელი იყო, წინასწარ მიგელო იმ ნაწარმის საფასური, რომელსაც მხოლოდ 3 თვეში დაამზადებდი...“ ასე დაგროვდა საწყისი კაპიტალი...

1992 წელს, კახა ბენდუქიძე რუსეთის სავაჭრო-სანდღეულო ბირჟაზე ვაუჩერების ბაზრის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ მონაწილედ ითვლებოდა. მომდევნო წელს კი, მისმა კომპანიამ – „ბიოპროცესმა“ გაიმარჯვა აუქციონზე, რომელიც „ურალ-მამის“ აქციების საბრევიტაზიო ჩეკების გაყიდვის უფლებისათვის მოეწყო. დღეისთვის მისი ლეკლარიებული ქონება 67,6 მილიონ დოლარს შეადგენს!

კახა ბენდუქიძის სახელი ქართველი ოლიგარქის – ბიძინა ივანიშვილის სახელს უკავშირდება. ისინი ვაუჩერებისა და აქციების მსხვილი პაკეტების შეძენის ოპერაციებს ერთად ატარებდნენ. ივანიშვილი-ბენდუქიძის ერთობლივი მოღვაწეობის შედეგად შეიქმნა ასოციაცია „ეკოლოგია, ტექნოლოგია, განათლება“.

ბიძინა ივანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა გასაიდუმლოებულია. ის „ჩა-



დავით
სარაჯიშვილი

კეტილი ადამიანების“ კატეგორიას მიეკუთვნება, მონღოებით ასაიდუმლოებს თავის ოჯახურ ცხოვრებას. ბიძინა საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში დაიბადა და გაიზარდა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, შემდეგ სწავლა მოსკოვში განაგრძო და იქიდან დაიწყო კიდევ მისი, როგორც ბიზნესმენის აღმასვლა. მას არასდროს ჰქონია საქმე სამართალდამცავ ორგანოებთან და მშვიდად უძღვება მოსკოვის უმსხვილეს ბანკს – „როსკრედიტს“. საკუთარი ბიზნესი საქართველოშიც აქვს. უმდიდრესი ბიზნესმენი თბილისში „ქართუ-ჯგუფის“ მფლობელია. მის დაქვემდებარებაშია ბანკი, თავისი ფილიალებით, რძის პროდუქტებისა და ფენსაცმლის მწარმოებელი ქარხნები, ტელეკომპანია. როცა მოულოდნელად, ქართულ-ამერიკულმა ბანკმა „ასოლუტმა“ დახსლოებით ორი მილიონი დოლარის ზარალი განიცადა, მისი შეეჩა და თავის ფილიალად გადაქცევა ბანკმა „ქართუმ“ „სულ რაღაც“ ხუთ მილიონად შეძლო.



ნიკო ლეკვიშვილი

სოფლელი ბიჭის გამდიდრების ამბავი ბევრი ქართველისთვის ლეგენდად იქცა. მის შესახებ უამრავ ჭორ-მართალს ჰყვებიან. ერთი რამ კი უტყუარია: მან ნულიდან დაიწყო და ოცნება აისრულა. დამწვარი მამისეული სახლის ადგილას დღეს სასახლე დგას. მან იპოვა პასუხი კითხვაზე: როგორ ვიშოვო ბევრი ფული – თუნდაც, მილიონი?!

როგორი გარემოა საქართველოში ბიზნესის განვითარებისთვის? შესაძლებელია თუ არა, ვიშოვოთ მილიონი? რატომ ეწევიან ბიზნესს ქართველი მილიონერები საქართველოს ფარგლებს გარეთ? გვესაუბრება საქართველოს მსხვილ გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარე **ნიკო ლეკვიშვილი**:

— როდის გადაიგდა ჩვენში პირველი ნაბიჯები კერძო ბიზნესის განვითარებისათვის და ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც საკუთარი კაპიტალის დაგროვება დაიწყეს?

— პირველი ნაბიჯები გადაიგდა 80-იანი წლების ბოლოს, როცა კოოპერატივები ჩამოყალიბდა. მაშინ დაიწყო კოლექტივების მიერ პატარა ობიექტების შესყიდვის პროცესი, რომელიც სამოქალაქო ომის დროს შეფერხდა. მაშინ საქართველოში მხოლოდ სავაჭრო ოპერაციები ხორციელდებოდა. ქვეყანაში მხოლოდ უცხო კაპიტალი შემოდინდა, მაგრამ ზოგიერთმა კომპანიამ („ბორჯომი“, „კოკა-კოლა“, „სამუბა“, „ფაზბეგი“), როგორც წყალი გაიკვლევს ხოლმე ყველგან გზას, ისე გაიკვლია გზა და დღეს რამდენიმე დიდი ბანკი და

კომპანია გვაქვს. მაშინ ჩამოყალიბდა „ბორჯომი“, „ომეგა“, „კოკა-კოლა“, „სამგორი“ და ა.შ. ვინც მაშინ მოასწრო განვითარება, დღემდე ის კომპანიები ინარჩუნებენ სიძლიერეს, რადგან შემდგომ, ქვეყანაში ისეთი საგადასახადო კოდექსი ამოქმედდა, რომ შეუძლებელი გახდა ბიზნესის დაწყება.

— რას ურჩევდით ადამიანს, რომელსაც აქვს სურვილი, ბევრისთვის საოცნებო, ბიზნესის სამყაროში მოხვედნის?

— დიდი ხანია, რაც ბიზნესსაქმიანობას ჩამოვიცილდი. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია სწორი მომენტის შერჩევა. როცა მე ვიწყებდი ამ საქმიანობას, ბევრმა თავი შეიკავა, მერე კი როცა ამის სურვილი გაუქნდა, უკვე საამისოდ საკმარისი კაპიტალი აღარ ჰქონდა – ეი. დრო გაექცა. ახლა დიდი ბიზნესის დაწყება თითქმის შეუძლებელია. თავის დროზე, ყველამ მცირედით დავიწყეთ და ნელ-ნელა ვვითარდებოდით. თუ საჭირო სასტარტო პირობები არ შეიქმნა, ვერაფერს შეძლებს საქმის წამოწყებას. მაგალითად, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მიწა კრედიტის მომტანი არ არის...

— რა თანხა უნდა ჰქონდეს ადამიანს სანციის კაპიტალად, საქმე რომ წამოიწყოს?

— შეუძლებელია ამ თანხის დასახელება, რადგან ზოგი უფულოდ აკეთებს საქმეს, ზოგს კი, საწყისი კაპიტალი ნახევარი მილიონი აქვს, მაგრამ არაფერი გამოსდის. ჩვენთან კარგად მუშაობენ ტვირთის გადაზიდვის კომპანიები. ამ ბიზნესის დაწყებას საწყისი კაპიტალი საერთოდ არ სჭირდება, იგივე თქმის მომსახურების სფეროს რამდენიმე კომპანიაზე; თუ ვინმეს უნდა კონფერენციის ჩატარება და მოწვეული ჰყავს სტუმრებიც, ასეთ კომპანიას შეუკვეთს მომსახურებას და მისი წარმომადგენლები ყველაფერს საკუთარ თავზე იღებენ: ხელებიან სტუმრებს აერობორტში, აბინავებენ მათ სასტუმროში, უჯავშნიან ბილეთებს, ზრუნავენ წვეულების სათანა-

დო ღონეზე მოსაწყობად. ამას არანაირი საწყისი კაპიტალი არ უნდა. შეიკრიბა რამდენიმე აქტიური ადამიანი, მოიფიქრა ეს შესანიშნავი იდეა და უფულოდ დაიწყო მისი განხორციელება. ძალიან მომწონს კომპანიები, რომლებსაც დაურეკავ, მოვლენ და დაგიმზადებენ რეკლამას, ლოგოს, ბუკლეტებს და ა.შ. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ბრწყინვალე კომპანიები ჩამოყალიბდებოდა... იგივე ითქმის „ისთენ ფრომოუშენზე“, რომელსაც უცხოელი მოძღვრლები ჩამოჰყავს. ცხადია, ძნელია უფრო დიდი ბიზნესის დაწყება, თუმცა ყველაფერი პირველი ნაბიჯიდან იწყება და როგორ განვითარდებიან მომავალში, მათზე დამოკიდებულია. რა თქმა უნდა, სახელმწიფომაც უნდა შეუწყოს ხელი. მივესალმები გადასახადებისგან მცირე ბიზნესის გათავისუფლების იდეას. ეს ბევრ ადამიანს ხელს შეუწყობს საკუთარი საქმის წამოწყებაში.

— თუ არსებობს კონკრეტული პასუხი კითხვაზე — როგორ გავხდეთ მილიონერი?

— საქართველოში მილიონის შოვნა ძნელია, რადგან სულ ოთხი მილიონი ადამიანი ცხოვრობს და გასაღების ბაზარი შესაბამისად, მცირეა. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: მაგალითად, გერმანიაში ძალზე ცოტა მილიონერი ცხოვრობს, მაგრამ ბევრი ძლიერი კომპანია და ქვეყანაც ძლიერია; საბერძნეთს ბევრი მილიონერი ჰყავს, მაგრამ იქ ცოტაა ძლიერი კომპანია, ამიტომ ქვეყანა შედარებით სუსტია. ჯობს, ქვეყანაში ბევრი მდიდარი კომპანია იყოს და არა ბევრი მილიონერი. საქართველოში ბევრი მილიონერი არასდროს იქნება...

თბილისში ცხოვრობს რამდენიმე ოჯახი, რომლის შეილებიც რუსეთში წარმატებულ ბიზნესმენებად ითვლებიან, მაგრამ მათ შესახებ ინფორმაცია მხოლოდ იმიტომ არ ხმაურდება, რომ ისინი ჯერ ვერ მოხვდნენ რუსეთის უმდიდრეს ადამიანთა სიაში. ერთ-ერთი ბიზნესმენის ოჯახს დაუკავშირდი. აი, რა მითხრეს მისი ოჯახის წევრებმა: — მას კრემლში ფეხზე ადგომით ვეებებიან. ის რუსეთის მაღალ წრეებში მიღებული და დაფასებულია, მაგრამ ამის აფიშირება არ გვსურს, ძალზე მარტივი მიზეზის გამო — აქაური ბანდიტებისა და „ლეკიანობის“ გვემინათ. თუმცა, თავმოსაწონებლად ბევრი რამ მაძმებს და ჩვენი საუბრის ნაწილს შემოეთავაზებთ.

დედა:

— ბავშვობიდან ნადირობა უყვარდა. სულ გვეხვეწებოდა — თოფი და მონადირის ქუდი მიყიდეთო. ახლა კი, სანადიროდ აფრიკაში დადის. მდიდრებისთვის იქ სპეციალური ადგილებია გამოყოფილი. თუ ნადირობა გინდა, ფულიც უნდა გადაიხადო. ნაკრძალში ერთი ცხოველი რომ



ზურაბ
ცყემალაძე

გამოუშვან, 10.000 დოლარის გადახდა საჭირო, მაგრამ რამდენიმე კაცი ერთ ცხოველს ხომ არ დაუწყებს ღვენას?! ჩემი ბიჭი სამ მხეცს უკვეთს ხოლმე... ერთხელ ლომებზეც ინადირა. მაშინ მითხრა: ჩემი ბავშვობის ყველა სიზმარი ამიცხადდა...

— თქვენ რატომ ცხოვრობთ თბილისში? მამა:

— ჩვენ უკვე ოთხმოც წელს მივუხლოვდით. ისიც გვაღიზიანებს, დაცვის ორი ბიჭი გამუდმებით კულში რომ დაგვცემა. მთელი ცხოვრება მემანქანეობაზე ვოცნებობდი. ლიანდაგების შეკეთებაზე უკეთესი არაფერი მეღირსა; ახლა პენსიაზე ვარ, მინც ვლებულობ: ჩემი კაპიკი სხვას რატომ უნდა დაუტოვო?! ჩემი ბიჭი მოსკოვში რომ გავუშვით სასწავლებლად, თორმეტი წლის ნაგროვები ფული მქონდა. ბევრი არ იყო. იქ ამით ორი თვე ირჩინა თავი. მას მერე, მისთვის ფული აღარ მიმიცია. აქეთ დაგვინიშნა ყოველთვიური „პენსია“... ბანკში მივდივართ და ვლებულობთ. წუთით არ გვიფიქვანდება.

— რამდენია ეს „პენსია“?

— მე ორას მანეთს მიგზავნის, ჩემს ცოლს — ოთხასს; ის ქალია, უფრო მეტი სჭირდება, მაგრამ საჭმელ-სასმელი ჩვენი საყიდელი არ არის — დასახლისი მკაცრად გვეკარებს ყველაფერს. ამიტომ ფულს ზოგჯერ ვერც კი ვხარავავ, სამაგიეროდ, ყველა ჩემს მეზობელსა და მეგობარს ჩემი ვალი აქვს...

— როგორ იშოვა თქვენმა შვილმა მილიონი?

— თქვენ რა იცით?! მე მხოლოდ ორი წლის წინ ვაკვირე, მილიონი რომ ჰქონდა. ყურებს არ დაუჯერებ. მაშინ თვითმფრინავი იყიდა: მოსკოვიდან ხშირად უწევს ხოლმე ციმბირში გაფრენა და ამისთვის... ჩვენ ყოველთვის ხელფასზე ვცხოვრობდით. ერთხელ ჩემმა შვილმა (მაშინ ცხრა წლის იყო) სოფელში უამრავი კალია დაიჭირა. ვერ ვერ მივხვდი, რად უნდოდა, მერე დავინახე, რომ ხის პატარა ფიკარზე მახათი დაამგრა, კალია ზედ ჩამო-

აცვა და „გალაქა“. მთელი სოფლის ბავშვები კალიებს დასდევდნენ; მათგან ათ კაპიკად ყიდულობდა, შემდეგ კი მანეთად ყიდდა. მაშინვე მივხვდი, ბიზნესის ნიჭი რომ ჰქონდა და ბევრს მიაღწევდა...

დედა:

— მოსკოვში რომ წავიდა, აქედან სიგარეტს ვუგზავნიდით, იქ ყიდა. მერე რა საქმიანობას მოჰკიდა ხელი, არ ვიცი. მდიდარი კი, ნამდვილად გახდა... უკვე ორჯერ გადამიხადა დაბადების დღე „მერიოტში“. მთელი ესტრადის მომღერლები ჩემთვის მღეროდნენ. მომსახურე პერსონალი ამბობდა, რომ არავის არაადროს აქ ამხელა წვეულება არ გაუმართავს...

რა პრობლემები აქვთ იმ ბიზნესმენებს, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობენ? საიდან დაიწყო მათთვის ბიზნესის სამყაროსკენ მიმავალი გზა? გვესაუბრება ცნობილი მეღვინე **ზურაბ ცყემალაძე**.

— საკუთარი ჯიბიდან ამოღებული ფულით დაწყებული ბიზნესი არ არსებობს. სესხი უნდა აიღო და ბიზნესგემის საფუძველზე მოახდინო ამ ფულის რეალიზაცია. მარტო სურვილი იმისთვის, რომ ბიზნესმენი გახდე, საკმარისი არ არის. გარკვეული კაპიტალი თუ არ გაქვს, ბანკი სესხს არ მოგცემს. ბანკები რისკზე იშვიათად მიდიან და თუ გარანტია არა აქვთ, რომ გაცემულ ფულს უკან დაიბრუნებენ, ისე სესხს არ გაცემენ.

— თქვენ როგორ მოხვედით ბიზნესის სამყაროში?

— უმაღლესი სასწავლებელი რომ დავამთავრე, სამუშაოდ წითელწყაროს ღვინის ქარხანაში მეღვინედ გამავზავნეს. თბილისის დატოვება, იქ წასვლა და ნაქირავებ ბინაში ცხოვრება, ცხადია, იოლი არ ყოფილა. ზოგჯერ დღე და ღამე ვმუშაობდი. ქარხანაში გათენებული უამრავი ღამე მახსენდება. მაშინ მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა იმაზე, რომ ოდესმე, საქართველოში ისეთი დრო დადგებოდა, როცა ვინმე საკუთარი კაპიტალის დაგროვებას გაბედავდა, საკუთარ ქარხანასა და ვენახებზე ოცნება მხოლოდ ილუზიად შეიძლებოდა ჩავთვალო... მერე, თბილისის ღვინის ქარხნებში მიმუშავია. 1983 წლის ბოლოს, საგარეჯოს ღვინის ქარხანაში აღმოვჩნდი. „პერესტროიკის“ დროს, როგორც კი პრივატიზაციის პროცესი დაიწყო, მე და ჩემმა მეგობარმა ჩამოვყავალიბეთ ფირმა „სამება“ და პირდაპირი კავშირები ჩეხეთის, არგენტინის, პოლონეთისა და საფრანგეთის ღვინის ქარხნებთან დავამყარეთ. როცა საბჭოთა კავშირში ღვინის ებრძოდნენ, ჩვენ წარ-

მატებულად განვაყოთარეთ ღვინის ბიზნესი. ძირითადად, ბარტერის პრინციპით ვმოქმედებდით: ღვინოს, ერთჯერად ნემსებზე, სამედიცინო აპარატურაზე, კომპიუტერებსა და საკვებზე ვცვლიდით. ჩემი ოცნება — მქონოდა საკუთარი ღვინის ქარხანა — 1992 წელს ახდა.

— ახლა რომ იწყებდეთ, რას მოიმოქმედებდით? რა საქმეს მოჰკიდებდით ხელს?

— ახლა ამის გაკეთება, ძალიან რთულია. ჩვენი ბაზარი გადატვირთულია, ამიტომ რაღაც ორიგინალური უნდა მოიფიქრო, ამ ბაზარზე რომ დამკვიდრდეთანაც, ბაზარზე კონტრაბანდული და უხარისხო პროდუქციის სიმრავლეა. მათ რომ სუფთა ბიზნესით მიღებული პროდუქციით კონკურენცია გაუწიო, თითქმის შეუძლებელია. ამიტომ მხოლოდ ათეული ბიზნესმენი და მისი ბიზნესია წარმატებული. სამაგიეროდ, საქართველოდან წასული ბევრი ბიზნესმენი რუსეთში ძალზე წარმატებულად მოღვაწეობს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ აქ სახელმწიფო არ უწყობს ხელს ბიზნესის განვითარებას. ჩვენთან ყოველთვის გამიჯნული იყო ბიზნესმენის, მეწარმისა და სახელმწიფოს ინტერესები. გახსოვთ ალბათ, ცნობილი ფრაზა: „რაც კარგია, „ფორდისთვის“, ის კარგია ამერიკისთვის“. საქართველოში არასდროს უთქვამთ: „რაც კარგია თოფაძისთვის, ის კარგია საქართველოსთვის“... იმავეს ვიტყვი გია ჯოხთაბერიძეზე, მამუკა ხაზარაძეზე, თემურ ჭყონიაზე და ა.შ. იდეოლოგიაა, ისეთი, რომ ქართველებს არ უყვართ ბიზნესმენები. სახელმწიფო ჩინოვნიკისთვის მე ყოველთვის მოწინააღმდეგე ვიყავი, არადა, მისი პარტნიორი უნდა ვყოფილიყავი. ეს არასწორია. კაცმა რომელმაც ფული იშოვა, ხალხის ნაწილი ხომ დაასაქმა?!

— რამდენი მილიონერი შეიძლება იყოს საქართველოში?

— მათ შორის, ვინც ბიზნესს მისდევს — ძალიან ცოტა. მე მილიონერი არა ვარ. ნეტავ, ვიყო...

სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი მილიონერი ცხოვრობს საქართველოში, ვერჯერობით არ არსებობს. სტატისტიკის სამმართველოში ვერც იმას ვაგვიხელენ, თუ როგორ უნდა მოხდეს სიმდიდრის განსაზღვრა და მდიდრების რაოდენობის დადგენა.

ბუნებრივია, ბევრი მალავს ფულის დაგროვების საკუთარ გამოცდილებას — ან რაღაც საჩოთირო აქვს ჩადენილი, ან კიდევ შიმშობს — კონკურენტები არ მომიძრაველდნენ... იქნებ, ამის გამო იყო, რომ ბევრმა ქართველმა ბიზნესმენმა მოცემულ თემაზე საუბარს თავი აარიდა...

კაზიშარი უზენაესი სასამართლოს განაჩენს პროცესს უიჟილოგით უხსნაღეს

24 წლის პატიმარი — იური კალაძე შიმშილობას აცხადებს. იგი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის — განზრახ მკვლელობის, მკვლელობის მცდელობისა და ყაჩაღობისთვის განლაგეთ მსჯავრდებულნი.

შარშან, უზენაესმა სასამართლომ მას 23 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. დღეს პატიმარი სწორედ ამ განაჩენს აპროტესტებს და აცხადებს, რომ ციხეში დაუმი-სახურებლად ზის.

იური კალაძე:

„მკვლელობა არ ჩამიდენია. სასამართლო პროცესზე ამის დამტკიცებას შევეცადე, მაგრამ ჩემს სიტყვებს ყურადღება არავენ მიაქცია. იმის გამო, რომ ხონელი ვარ და პატრონი არ მყავს, პროკურატურაში სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულიც მე მომაწერეს. თავიდან უარს ვამბობდი, ხელს არ ვაწერდი ოქმებს, მაგრამ შემდეგ, ტრადიციულ მეთოდს მიმართეს — დენით მაწამეს და იტულებული გამხადეს, აღიარებითი ჩვენება მიმეცა. მოხუცი მშობლები და 8 წლის შვილი მყავს, რომელიც აწ გარდაცვლილი მეუღლისგან დამრჩა. ოჯახში მატერიალურად უმძიმესი მდგომარეობა გვაქვს, თუმცა ამას ყურადღება არც სასამართლოში მიაქცევენ, უსაფუძვლოდ და უსამართლოდ 23 წელი მომიხაჯეს. ციხეშიც საშინელი სიტუაციაა. ორი თვეა, რაც კარცერში ვზივარ. გარეთ მყოფ ადამიანს არ შეუძლია აღიქვას ის, რაც ციხეებში ხდება. ეს რომ განიცადო, პატიმარი უნდა იყო. შეუძლებელია, ასეთ პირობებში კაცი გამოხსროდეს. იქიდან გათავისუფლებული უარეს დანაშაულს სჩადის. ახალგაზრდა ბიჭი მაიბულებს, ციხეში დაუმსახურებლად წლები გაატარა. ამიტომაც უარს ვამბობ იქაურ პურზე და საჭმელზე. მათი მოწოდებული პური არაფერში მჭირდება“.

როგორც გაირკვა, იური კალაძეს აღნიშნული განაჩენი თავის დროზე ზედა ინსტანციაში, საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია. ეს იმით ახსნა, რომ სასამართლოსადმი ნდობა დაკარგა და ჩათვალა, რომ გასაჩივრებას აზრი არ ჰქონდა. ამჯერად, განაჩენის გადასინჯვის ერთადერთი გზა დარჩა — ახალადმოჩენილი გარემოებების საფუძველზე (თუკი ასეთი აღმოჩნდა) საკასაციო პალატაში საჩივრის შეტანა.

კალაძის სიტყვების ნაკლებად სჯერათ ოფიციალურ პირებს, მათ შორის

პროკურორს. მსჯავრდებულის მიერ აღწერილი ციხის სიტუაცია რომ სინამდვილეს შეეფერება, ცხადია, მაგრამ რაც შეეხება შიმშილობას, ამ ფაქტში სახელმწიფო ბრალდებელს ეჭვი ეპარება. მისი თქმით, კალაძე განგებ აზვიადებს თავის მდგომარეობას, რადგან სურს, სხვა დანაშაულისთვის მოსალოდნელი სასჯელი აიცილოს თავიდან. პროკურორი 2003 წლის პირველ ივლისს, რუსთავის კოლონიიდან 12 მსჯავრდებულის გაქცევის ფაქტს გულისხმობს. პატიმართა შორის იური კალაძე და ვლადიმერ ჩაჩუაც იყვნენ. გაქცეულთაგან პოლიციამ მხოლოდ მათი დაკავება შეძლო. აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებულ ბრალდების საქმეებს ამჟამად უზენაესი სასამართლო განიხილავს. წინა განაჩენის გაპროტესტება კალაძემ ამ სასამართლო სხდომაზეც სცადა.

განაჩენის მიხედვით, 2002 წლის 25 ივნისს, ხონის რაიონის სოფელ ქვიტირში მცხოვრები იური კალაძე მთელი დღე შინ იმყოფებოდა. ალკოჰოლური სასმელი დალია, მთვრალმა კი მეზობლისთვის — აპოლონ ტერელაძისთვის სანადირო თოფების წართმევა გადაწყვიტა. ტერელაძეს შინ ორი თოფი ჰქონია, მათი არსებობის შესახებ კალაძემ წინასწარ იცოდა. ხსენებულ მეზობელზე განაწყენებული იყო და ამიტომაც განიზრახა მისთვის იარაღის წართმევა.

ლამის პირველ საათზე სახლიდან აიღო ორლულიანი სანადირო თოფი და წავიდა. ტერელაძე შინ იყო და ტელევიზორს უყურებდა. კალაძემ საკუთარი ხელით დამზადებული წითელი ნილაბი ჩამოიფარა და თავზე დაადგა მეზობელს, სახეზე იარაღი მიადო და მოკვლის მუქარით მოსთხოვა ზემოთ აღნიშნული თოფები. ტერელაძემ მოულოდნელად აუკრა თოფზე ხელი, შემდეგ მისი გარეთ გაგდებაც მოახერხა და კარი მიუხსრა. მაშინ კალაძემ იარ-

აღიდან გაისროლა და ტერელაძე ხელსა და იდაყვი დაჭრა. სროლის ხმაზე, იქვე მყოფმა ტერელაძის დედამ ყვირილი ატენა, კალაძეს შეეშინდა და მიიმაღლა.

გადაწყვიტა, სოფლიდან წასულიყო და სიტუაციის ჩაწყნარებას დალოდებოდა. შემთხვევიდან მესამე დღეს, ოჯახის წევრებისგან შეუქმნევლად, თავისი სანადირო თოფის კონდახი და ლულები გადაჭრა, კუსტარულად დაამზადა იარაღი, მოიმარაგა კალაშნიკოვის კონსტრუქციისთვის განკუთვნილი დანა, ხელყუმბარა და სოფელი დატოვა.

2002 წლის 16 ივლისს, კალაძე ხაშურის რაიონის დაბა სურამში ახლობლის ოჯახში სტუმრად იმყოფებოდა. იმავე დღეს, მთვრალმა მიკროავტობუსის დაყჩაღება განიზრახა. ტომარაში ჩაალაგა ხის დანა, ხელყუმბარა, ცეცხლსასროლი იარაღი, ცენტრალურ ავტომაგისტრალზე გავიდა და ხელსაყრელ მომენტს დაელოდა.

დაახლოებით საღამოს 6 საათი იქნებოდა, როცა მან ქუთაისი-თბილისის მარშრუტით მოძრავი თეთრი მიკროავტობუსი გააჩერა და შიგ ჩაჯდა. 900 მეტრის გავლის შემდეგ, ტომრიდან იარაღი ამოიღო, მეორე ხელში ყუმბარა დაიკავა და მძღოლსა და მგზავრებს მუქარით ფული მოსთხოვა. ავტომანქანაში მსხდომთა დასაშინებლად ერთ-ერთი მგზავრის — კახაბერ ჩავიძის მოკვლა გადაწყვიტა. გაისროლა კიდევ მისი მიმართულებით. ჩავიძეს ტყვია კეფაში მოხვდა, ამის შედეგად, თავის ტვინის ღია ტრავმა მიიღო და ადგილზე გარდაიცვალა. ავტობუსი გაჩერდა. კალაძე ჩავიდა და ახლა მძღოლს დაუმიზნა იარაღი. როცა დარწმუნდა, რომ მას ფული არ ჰქონდა, გაიქცა და მიიმაღლა.

სასამართლო პროცესზე განსაჯელმა მხოლოდ ნაწილობრივ ცნო თავი დამნაშავედ. აპოლონ ტერელაძის მკვლელო-

ბის მცდელობა და კახაბერ ჩაფიძის მკვლელობა უარყო, თუმცა ყაჩაღობის ფაქტები დაადასტურა. აღიარა, რომ ტერორისტულად თოფების წასართმევად მივიდა, მან კი გარეთ გააგდო. „შესაშინებლად ვისროლე კარის მიმართულებით, შემძლო, მეორედაც გამესროლა, მაგრამ ეს არ გავაკეთე. აპოლონ ტერორისტის მკვლელობის განზრახვა არასდროს მქონია“, – განაცხადა მან სასამართლოზე.

კალაძემ მიკროავტობუსის დაყრდნობა აღიარა. „იმ დროს ფული მჭირდებოდა“, – ასე ახსნა დაკითხვისას მან თავისი საქციელი. ისიც დასძინა, რომ თოფი მოულოდნელად გაუვარდა და ტყვია მძღოლის გვერდზე მჯდომ მამაკაცს მოხვდა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ იგი წინასწარი განზრახვით, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობაში ცნო დამნაშავედ. განაჩენის საფუძველად კოლეგიამ საქმის განხილვისას მოპოვებულ მტკიცებულებებსა და მოწმეთა ჩვენებებზე მიუთითა.

სასჯელს კალაძე რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იხდიდა. ცოტა ხანში კი იქიდან, 11 მსჯავრდებულთან ერთად გაიქცა. გაქცევიდან მეორე დღეს, ის და მეორე მსჯავრდებული – ჩაჩუა, პოლიციამ „აზოტის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავა. ძიების შემდეგ, პროკურატურამ ორივე მათგანს სხვადასხვა მუხლით 7 ბრალდება წაუყენა. ბრალდებულებმა არც ამ შემთხვევაში ცნეს თავი დამნაშავედ და დუმილის უფლება გამოიყენეს.

პროკურატურის ინფორმაციით, სასჯელის მოხდის პერიოდში კალაძემ და ჩაჩუამ გაქცევა გადაწყვიტეს. დაუკავშირდნენ სხვა მსჯავრდებულებს და ჩანაფიქრი მათაც გაუზიარეს. შეიძინეს „აკმ“-ის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, რისი გამოყენებითაც შეიარაღებული თავდასხმა მოაწყვეს №9 საგუშაგოზე, გუშავს – ილია ჯავახიშვილს კი ესროლეს. ჯავახიშვილი გულმკერდისა და მხრის არეში დაიჭრა, თუმცა სიკვდილს გადაურჩა. ამის შემდეგ, მსჯავრდებულებმა აკრძალული ზოლი გადალახეს და გარე დაცვის თანამშრომელს ცეცხლი გაუხსნეს. ამ დროს, შემთხვევით დაჭრეს მოქალაქე – მახარბეგ გაგიევი, ვაიტაცეს რუსთავი-გარდაბნის მარშრუტით მოძრავი მიკროავტობუსი და მიიმალნენ. ავტობუსი პროვინტილაციის საწარ-

მოს მიმდებარე ტერიტორიაზე მიატოვეს, თავად კი სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ.

ბრალდებულის სახით დამატებითი დაკითხვისას კალაძემ აჩვენა: „...იმ დღეს კარცერში სამ მსჯავრდებულთან ერთად ვიჯექი. მათი სახელები და გვარები არ ვიცი. საღამოს, საკნის კარი მორიგე – დემურაძემ გაგვიღო. მოგვიანებით დემურაძეს მსჯავრდებულები თავს დაესხნენ და სცემეს. სწორედ ამ დროს ჩაჩუამ ამანათი მომიტანა. გავხსენით და იქიდან კერძს ვიღებდით. მოულოდნელად გავივინეთ სროლის ხმა, რაც 2-3 წუთი გავრძელდა. კარცერიდან გავედი და დავინახე, რომ კედელზე პატიმრები გადადიოდნენ. მივხვდი, რაშიც იყო საქმე, ყველაფერი მივატოვე და მეც გავიქეცი. ჩაჩუას ტყეში შევხვდი. აღმოჩნდა, რომ ის უკან მოძევებოდა. ტყეში ვზა ავკვებნა, იქიდან რომ გამოვვლით, პოლიციელებმა დაგვააკვეს“.

რაც შეეხება ვლადიმერ ჩაჩუას, იგი 28 წლის გახლავთ და საყვარლის ქმრის – ვალერი ნიკოლეიშვილის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობისთვისაა ნასამართლევი (აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გასული წლის „გზის“ ნომრებში ვწერდით). განაჩენის თანახმად, ჩაჩუამ უმწეო მდგომარეობაში მყოფ, მძინარე ნიკოლეიშვილს თავში რამდენჯერმე ჩაარტყა ჩაქუჩი და ასე გამოასალმა სიცოცხლეს. ჩაჩუა ამ ბრალდებას დღესაც უარყოფს. მისი თქმით, მკვლელობა მისმა საყვარელმა, სამი შვილის დედამ – ფატიმა იატუევამ ჩაიდინა, ამის თაობაზე სახლის ეზოში თვითონ უთხრა, თუმცა შემდეგ, დანაშაული მას გადააბრალა. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ჩაჩუას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯა. განაჩენი დაზარალებულის მხარემ გაასაჩივრა და ჩაჩუასთვის სასჯელის დამძიმება მოითხოვა. ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა და 13 წელი, 17 წლით თავისუფლების აღკვეთით შეიცვალა.

მისცემენ თუ არა ჩვენებას სასამართლოს ჩაჩუა და კალაძე რუსთავის კოლონიიდან გაქცევასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით გაურკვეველია. ჩაჩუა პირადი დამცველის აყვანას ამ კვირაში აპირებს, კალაძე კი აცხადებს, რომ შიმშილობას გააგრძელებს და სასამართლო პროცესს არ დაესწრება.

საგაყვამო დასკვნას პროკურორის იწინაა

სამსჯავროს წინაშე ოთხი ბანასჯელი, მათ შორის არასრულწლოვანი წარდგა

ოთხი განსასჯელი, მათ შორის ერთი არასრულწლოვანი ამ დღეებში, სამსჯავროს წინაშე მძიმე ბრალდებებით — ადამიანის განზრახ მკვლელობის მცდელობის, ყაჩაღობისა და ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების ბრალდებით წარდგა.

პროკურატურის ინფორმაციით, ძმებმა – 24 წლის რევაზ და 19 წლის ალექსანდრე კახიანიძეებმა დანაშაულში თავიანთი არასრულწლოვანი ძმა – დათო და 15 წლის ალექსანდრე ხაჩიროვი ჩაითრიეს. დათო კახიანიძის დაკავება სამართალდამცავებმა ვერ შეძლეს, რაც შეეხება მეოთხე განსასჯელს – 37 წლის ამირან კავლილიშვილს, საბრალდებო დასკვნის თანახმად, მან ძმები კახიანიძეების განზრახვის შესახებ არაფერი იცოდა, თუმცა პროკურატურამ მას 375-ე მუხლი – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა – მაინც წაუყენა. დღეს კავლილიშვილის მიმართ წაყენებული ბრალდება, პროცესის მონაწილეთა შორის გაკვირვებას იწვევს, რადგან მათი თქმით, გამოძიების მასალებში შესაბამისი მტკიცებულება არ მოიპოვება და დაკითხვის ოქმებშიც გამოძიებლის მიერ ბევრი ლაფუსუსია დამსჯებული.

2003 წლის პირველ სექტემბერს, გლდან-ნაძალადევის რაიონულ პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე თბილისელი იური ჯვანტიასვილის განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ასევე თბილისელ ლინბირგ იმერლიშვილის ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების ფაქტებზე. დაზარალებულებმა, წინასწარი გამოძიების პერიოდში, ბრალდებულები ამხილეს. ჯვანტიასვილი ძმებ კახიანიძეებსა და ხაჩიროვს, ხოლო იმერლიშვილმა – რევაზ კახიანიძეს დაადო ხელი.

საქმის მასალების თანახმად, ორივე დანაშაული ერთ დღეს – 2003 წლის 31 აგვისტოს მოხდა. დაახლოებით დღის 4 საათისთვის, კახიანიძეები, ხაჩიროვსა და კავლილიშვილთან ერთად, ამ უკა-

ნასკნელის კუთვნილი ავტომანქანა „ოპელ-ომეგათი“ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოსკენ წავიდნენ. სწორედ იქ გადაწყვიტეს რევაზ და ალექსანდრე კახოიანცებმა, თავიანთი ნაცნობი – ჯლანტიაშვილი დაეყარალებინათ. განზრახვა მათ არასრულწლოვნებს – ხაჩიროვსა და დათო კახოიანცსაც გაანდევს, თუმცა არაფერი უთხრეს ამირან კავლილიშვილს. მას მხოლოდ მანქანით იმ ქუჩაზე წაყვანა სთხოვეს, სადაც ჯლანტიაშვილი ცხოვრობდა. კავლილიშვილი დათანხმდა.

რევაზი, დათო, ალექსანდრე კახოიანცები და ხაჩიროვი, ჯლანტიაშვილის ბინაში შევიდნენ თუ არა, მაშინვე მუქარასა და ძალადობას მიმართეს. ბრალდების თანხმად, როცა ჯლანტიაშვილმა მათ წინააღმდეგობა გაუწია, მისი მოკვლა განიზრახეს.

იური ჯლანტიაშვილი:

„31 აგვისტოს შინ ვიყავი. საღამოს 5 საათისთვის, უცნობი ბიჭები მოვიდნენ და მოკვლის მუქარით მომთხოვეს ფული. უარი ვუთხარი. მაშინ ოთხივემ ერთად დამიწყო ცემა. ერთ-ერთმა მათგანმა (ამოცნობისას დაზარალებულმა რევაზ კახოიანცზე მიუთითა. – ავტ.) დანა ამოიღო და გულმკერდისა და მუცლის არეში დამჭრა. მაშინვე გონება დაკარგე. გონს რომ მოვედი, დავინახე, რომ ჩემს სახლს მარცხავდნენ. შეშემინდა, მეგონა, მომკლავდნენ და ამიტომაც არ შევიძინე, რომ გონზე მოვედი. მათ წასვლას დაველოდე. ამის შემდეგ, დასახმარებლად ახლობლებს მივმართე. საავადმყოფოში გადამიყვანეს და სიკვდილს ვადამარჩინეს“.

მიმხდართან დაკავშირებით სამართალდამცავებს ჩვენება რევაზ კახოიანცმაც მისცა. მან წარდგენილ ბრალდებაში ნაწილობრივ ცნო თავი დამნაშავედ, ჯლანტიაშვილის დაჭრა აღიარა, თუმცა დასძინა, რომ ეს განზრახ არ ჩაუდენია. რევაზ კახოიანცმა, ისევე, როგორც მისმა ძმამ – ალექსანდრემ და ალექსანდრე ხაჩიროვმა, ჯლანტიაშვილის დაყარალების ფაქტი არ დაადასტურა.

რევაზ კახოიანცი (წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებიდან):

„...შევედით ბინაში, მე ჯლანტიაშვილს ვალის დაბრუნება ვთხოვე. ჩემი ძმისთვის ჰქონდა ფული მისაცემი. მან უარი მითხრა და ამის გამო შელაპარაკება მოგვიხდა. ჩხუბის დროს, დანა თავდაცვის მიზნით ამოვიღე, ჯლანტიაშვილს მოგერიებისას მივაყენე გულმკერ-



დისა და მუცლის არეში ჭრილობები. ამის შემდეგ მან შემომთავაზა – ფულის ნაცვლად, სახლიდან ნივთები წაიღეო. დავთანხმდი. ნივთები ავიღეთ, ჩავალაგეთ მანქანაში და ცოტნე დადიანის ქუჩისკენ წავედით“.

როგორც საქმის მასალებში წერია, კახოიანცებმა და ხაჩიროვმა ბინიდან „ელექტრონის“ ფირმის პატარა შავთური ტელევიზორი, ორთვლიანი ველოსიპედი, მაგიდის საათები, თაბაშირის ცხენი და სხვა ნივთები წაიღეს. ხაზგასმითაა აღნიშნული ისიც, რომ ბრალდებულები ყველაფერს თვითნებურად, ჯლანტიაშვილის სურვილის საწინააღმდეგოდ დაუუფლნენ.

ვიდრე ცოტნე დადიანის ქუჩაზე მივიდოდნენ, გზაში საწვავი გაუთავდათ და მანქანა იქვე, ერისთავის ქუჩაზე მდებარე ავტოგასამართ სადგურთან გააჩერეს. სანამ კავლილიშვილი მანქანას გამართავდა, რევაზ და ალექსანდრე კახოიანცები და ხაჩიროვი მოპირდაპირე მხარეს მდებარე ავტოსახელოსნოსკენ გაემართნენ. აძჯერად, სახელოსნოს დარაჯთან – იმერლიშვილთან მოუხდათ ჩხუბი. რევაზ კახოიანცმა დარაჯისთვის გულმკერდის არეში დანის დარტყმა სცადა. იმერლიშვილმა ის აიცილია და იარაღი მარცხენა მხარში მოხვდა. ამის შემდეგ, მან გაქცევით უშველა თავს. კახოიანცები და ხაჩიროვი მას არ დადევენბიან, უკან გაბრუნდნენ და კვლავ კავლილიშვილის ავტომანქანაში ჩასხდნენ. ცოტნე დადიანის ქუჩამდე კვლავ ვერ მიაღწიეს, რადგან გზაში ავარია მოუხდათ. შემთხვევის ადგილას რამდენიმე წუთში პოლიციელები აღმოჩნდნენ, თუმცა, მათ მხოლოდ რევაზ და ალექსანდრე კახოიანცებისა და ხაჩი-

როვის დაკავება შეძლეს, რაც შეეხება დათო კახოიანცსა და ამირან კავლილიშვილს – როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, ისინი პოლიციელებს ხელიდან დაუსხლტნენ და მიიმალნენ. მოგვიანებით, კავლილიშვილი სამართალდამცავებთან გამოცხადდა.

რევაზ კახოიანცი იმერლიშვილის დაჭრის ფაქტსაც ადასტურებს წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში. როგორც დაზარალებული აღნიშნავს, ბიჭებს მან ავტოსახელოსნოში თვითნებური შესვლის გამო უსაყვედურა და შელაპარაკებაც ამან გამოიწვია. „საღამოს 8 საათი იქნებოდა. სამსახურიდან ოდნავ მოშორებით, „სასწრაფოსთან“ ახლოს ვიდექი. დავინახე, რომ ავტოსახელოსნოში უცნობი ბიჭები შედიოდნენ. შენიშვნა მივეცი, ისინი კი განაწყენდნენ და ჩხუბი დამიწყეს. ერთ-ერთმა – კერძოდ, რევაზ კახოიანცმა დანა ამოიღო...“ – წერს იმერლიშვილი. გამოძიების თქმით, მან ბრალდებულთან დაპირისპირების დროსაც იგივე გაიმეორა.

პროკურატურაში საქმის გამოძიების პერიოდში, ალექსანდრე კახოიანცმა და არასრულწლოვანმა ხაჩიროვმა თავი დამნაშავედ არ ცნეს. ამჯერად, სასამართლოში მათ განაცხადეს, რომ ბრალს ნაწილობრივ აღიარებენ. თუმცა, ლეტალურ ჩვენებას სასამართლოს მოგვიანებით მისცემენ. რაც შეეხება განსასჯელ კავლილიშვილს – მან კატეგორიულად უარყო წინასწარი გამოძიებისას მის მიერ დაფიქსირებული სიტყვები – „თავს სრულად ვცნობ დამნაშავედ“. აღსანიშნავია, რომ პროკურატურისთვის მის მიერ მიცემული ჩვენება ზემოთ აღნიშნულ სიტყვებთან სრულიად შეუსაბამოა. კავლილიშვილი ჩვენებაში აღნიშნავს, რომ იმ დღეს ჩადენილი დანაშაულების შესახებ არაფერი იცოდა. ამის თაობაზე ჩვენებებში არაფერს ამბობენ დანარჩენი ბრალდებულებიც. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ საბრალდებო დასკვნაში კავლილიშვილის მიმართ ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულება მითითებული არ არის. სხვათა შორის, ამ ლაფსუსს პროცესში მონაწილე სახელმწიფო ბრალმძებელიც ადასტურებს. მისი თქმით, აუცილებელია, სასამართლო სხდომაზე გამოძიების დაკითხვა და თუ შესაბამისი მოთხოვნით სასამართლოს დაცვის მხარე არ მიმართავს, მაშინ შუამდგომლობას თავად დააყენებს.

ზურა დოიჯაშვილი უკვე კარგა ხანია, ცოლ-შვილთან ერთად ვაკეში, მეუღლის — ძითი ვადაძაძორიას ბინაში ცხოვრობს. თავად მომღერლის ბინა მინისძვრის შედეგად დაზიანდა და დღემდე დაკეტილია, რადგან იქ ცხოვრება შეუძლებელია. დოიჯაშვილებს წლეულს ზაფხულში გაურემონტებიათ ბინა. ამ სახლში ბევრი უბედურება დატრიალდა და მე და ზურამ გადავწყვიტეთ, რაღაც შეგვიცვალაო, — საუბრისას აღნიშნა ქეთიმ:



ზურას მოსწონს, ქალს რომ გრძელი თმა აქვს, მაგრამ...

ჩილიმის მოყვარულ მოღარალს ტკბილად და მალაზიებში სიარული არ უყვარს

ნინო ჯაბახიძე

ჩემი ბავშვობა ამ სახლს უკავშირდება, აქ დავიბადე და გავიზარდე, ბევრი მწუხარებაც მინახავს და სიხარულიც. ბოლო წლებში, ჩვენს ოჯახში ლხინის სუფრა აღარ გაშლილა: ორი წლის წინ მამა გარდამეცვალა, მერე კი — ძმა და დედა. ამ მოგონებების გასაფერმკრთალედად გადავწყვიტეთ, ინტერვიუ შეგვეკვალა. მთელი ზაფხული რემონტს ვაკეთებდით, აგვისტოს ბოლოს კი, ყველაფერს მოვრჩით და ახალგარემონტებულ ბინაში დავიწყეთ ცხოვრება.

ბინა ფართო და ნათელია. შესასვლელიდან ხელმარცხნივ ბავშვებისა და ცოლ-ქმრის საძინებელია, პირდაპირ კი — ბავშვების კაბინეტი, სადაც რბილი

სამეული, პიანინო და კომპიუტერი დგას. დროის უმეტეს ნაწილს ყველანი მისალებში ატარებენ. სამზარეულოში მისალებიდანაც მოხვდებით და შემოსასვლელიდანაც. სამზარეულო ლურჯ ფერებშია გადაწყვეტილი, მისალები — აგურისფერი; ცოლ-ქმრის საძინებელს — სალათისფერი კედლები აქვს, ბავშვებისას კი — ვარდისფერი და აგურისფერი.

ვისი გემოვნებით მოაწყვეთ ბინა?

— აქ რასაც ხედავთ, ყველაფერი, ტექნიკის გარდა, ჩემი მშობლების შექმნილია. რემონტი კი მხოლოდ ჩემი გემოვნებით გააკეთეთ, ფერებიც მე შევარჩიე. ზურა მაშინ გასტროლებზე იყო წასული და რჩევებს უახლოეს მეგობარს — ნინო ლომიძეს ვეკითხებოდი.

როდესაც ზურამ გარემონ-

ტებული ბინა ნახა, მოეწონა?

— ძალიან მოეწონა, მით უმეტეს — იმ სახლის ფონზე, სადაც მანამდე ვცხოვრობდით: იქ კედლები სულ „გადახსნილი“ იყო და ბავშვები შიშით ვერ იძინებდნენ... ზურას ძველ თბილისში, ვერცხლისა და ნაკაშიძის ქუჩის გადაკვეთაზე ჰქონდა სახლი, ყველას ძალიან გვიყვარდა იქაურობა, მაგრამ მიწისძვრის შემდეგ, იქ ცხოვრება შეუძლებელი გახდა... რემონტით ყველანი კმაყოფილები ვართ. ჩვენი საძინებლის კედლები ზუსტად ზურას თვალების ფერია... თვალს რომ გაახელ, ოთახის კედლები სიმშვიდეს უნდა გგვიჩვენებდეს, მწვანე კი დამამშვიდებელი ფერია. ზურას უყვარს კომფორტი, დროის უმეტეს ნაწილს საძინებელში ატარებს — ტელევიზორს იქ უყურებს ხოლმე, მარტო.

როდესაც შინაა, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს?

— ჩაის მომზადებით დაწყებული, ტანსაცმლით დამთავრებული — ყველაფერი უნდა გაუმზადო. ტრადიციული ოჯახი გვაქვს და ვფიქრობ, რომ ცოლის მოვალეობა ესაა — შემძლია, დაღლილი და ნამუშევარი თუ მოვიდა, სადილი ლოგინშიც კი მივართვა.

თვითონაც ასეთი ყურადღებანი თქვენ მიმართ?

— ყურადღებანი, მაგრამ წელიწადში 8 თვე შინ არ არის — გასტროლებზეა, ამიტომ ჩვენგან უფრო მეტ ყურადღებას გრძნობს, ვიდრე მისგან — ჩვენ. ვცდილობთ, რომ შინ მოსულმა, თავი კომფორტულად იგრძნოს.



ზურა დოიჯაშვილი ქალიშვილთან და მეუღლესთან ერთად

— მისი მუსიკალური გამოცდების შესახებ გვიამბეთ — უფრო სწორად, რა მუსიკას უსმენს?

— უსმენს ჯოკოკერს, „ბითლბებს“, „როლინგ სტოუნს“, მიკ ჯაგერს... რუსულ ესტრადას მაინცდამაინც არ წყალობს...

— როდესაც ახალ სიმღერას წერს, თუ გასმინებთ ან რჩევას თუ გეკითხებათ ხოლმე?

— მასმინებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ საქმეში კომპეტენტური მაინც არა ვარ და ვიბრუნებ, თვითონ იგრძნოს სიმღერა, ტექსტი... ისე, ყოველთვის გულახდილად ვეუბნები, რომელი სიმღერა მომწონს და რომელი — არა. არის რამდენიმე სიმღერა, რომელიც ჩემი აზრით, არ უნდა შეესრულებინა. მიხარია, რომ ზურამ სასიმღერო სტილი არ შეიცვალა — არ „გარემიქსდა“, არ „გაჯაზდა“ და არ „გარეჟდა“.

— ყველაზე მეტად მისი შესრულებული რომელი სიმღერა გიყვართ?

— მომწონს დუეტი ლელა წურწუმიასთან ერთად, აღარაფერს ვამბობ „მელიქიშვილის გამზირზე“, რომელიც არ „ბერდება“ და ყველა თაობისთვის საყვარელი სიმღერაა.

— ახლა გასტრონომიულ გამოცდებსაც შეგვხვით. მითხარით — სამზარეულოში დიდ დროს ვატარებო? ყველაზე მეტად თქვენი მომზადებული რომელი კერძი უყვარს?

— რასაც ვაკეთებ, ყველაფერს დიდი სიამოვნებით მიირთმევს. ისე, ხორცეული და შემწვარი კარტოფილი უყვარს ყველაზე მეტად. ერთ, რამეში ვერ ვთანხმდებით — ეს მარილის დოზა: ზურას მარილიანი კერძები უყვარს, მე მლაშეს ვერ ვჭამ... ტკბილეულს არ ვჭამ — არც მურაბას, არც ნამცხვარს, არც შოკოლადს; მისთვის ერთადერთი „ტკბილეული“ — ჩაია.

— ცდილობს თუ არა, აქტიურობა გამოიჩინოს შვილების გამოცდების ჩამოყალიბებაში?

— ზურას დამსახურებაა, რომ ნუცამ და ნიკამ იციან, თუ ვინ არიან: ბარი

ერთ, რამეში ვერ ვთანხმდებით — ეს მარილის დოზაა




ჩემი გამოცდებით გაგაკეთე, ფერებიც მე შევარჩიე...

„უაითი, „ბითლბები“ — რომ აღარაფერი ვთქვა, ქართულ მუსიკაზე. ბავშვებმა კარგი და ცუდი მუსიკის გარჩევა იციან და ეს ძალიან კარგია. არასდროს ჩარეულა მათი ჩაცმულობის სტილში და არასდროს უთქვამს — ეს რატომ გაცვი-აო?! არც მე ვერევი ასეთ რამეებში — აღაძინა უნდა ჩაიცვას ის, რაც თვითონ მოსწონს. არ მომწონს ვოგონებს გრძელი საყურე რომ უკეთაით, მაგრამ ჩემს შვილს არასდროს ვეტყვი — მე არ მომწონს და არ გაიკეთო-მეთქი... თვითონ ზურა უბრეტენზიოა ტანსაცმლის არჩევას. შავი ფერი უყვარს და ამის გამო სულ ვეჩხუბები — ყოველთვის შავ ტანსაცმელში რატომ ხარ გამოწყობილი-მეთქი?! ზაფხულში, თეთრ ან ცისფერ მაისურსაც იცვამს ხოლმე.

— თვითონ ირჩევს ტანსაცმელს თუ ერთად მიდინართ რაიმეს შესაძენად?

— უმეტესად, თვითონ ყიდულობს, ზოგჯერ მეც ვურჩევ — ვიცი, რა მოეწონება და რა — არა, ერთად კი იშვიათად მივდივართ რაიმეს შესაძენად. მაღაზიებში სიარული არ უყვარს. არადა, მიხარია, როცა მომყვება ხოლმე ბაზრობაზე ან მაღაზიებში — მისი ხატით ბერჯერ, ნახევარ ფასში გვიყიდია რაღაც. მას კი, სწორედ ამიტომ არ უყვარს ჩემთან ერთად რაიმეს საყიდლად წასვ-



ეს სანთებელა კი, მოტოციკლეტის ფორმა რომ აქვს, ისრაელში აჩუქეს...

ლა — ის ხალხი უხერხულ მდგომარეობაში რატომ უნდა ჩავაგდო?! — ამბობს ხოლმე.

— რისი ყიდვა უყვარს?

— საოჯახო ნივთების ყიდვა მაინცდამაინც არ უყვარს, ურჩენია, დისკების, ან, თუ საჭიროა, ტელევიზორის ან მაგნიტოფონის შესაძენად გაისარჯოს. ჰალსტუხებისა და სანთებლების ყიდვაც უყვარს, თუმცა მე არ მომწონს ჰალსტუხიანი ზურა... ეს სანთებელა კი (მაგიდაზე დადებულ სანთებელაზე მანიშნებს), მოტოციკლეტის ფორმა რომ აქვს, ისრაელში აჩუქეს. უცნაური ფორმის საფერფლეებსაც აგროვებს. განსაკუთრებულად უყვარს ჩილიმი, რომელიც ასევე ისრაელიდან ჩამოიტანა. ბანანის, კივისა და სხვა ხილის არომატიზებულ თამბაქოს, ჩილიმში ყრის და ისე ეწევა.

— მის ლიტერატურულ გამოცდებზე რას იტყვით? რას კითხულობს?

— ბოლო დროს, იშვიათად იცლის წიგნის წასაკითხად. ძალიან უყვარს „დათა თუთაშხია“, კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებები. როცა დრო აქვს, გადმოიღებს ხოლმე გალაკტიონის, ანა კალანდაძის ლექსებს...

— კინოზე რას გვეტყვით? როგორი ფილმები მოსწონს?

— ამერიკული ფილმები უყვარს და კიდევ — ძველი რუსული ფილმები. ბოლო წლებში გადაღებული ქართული ფილმებიდან კი, „ორმაგი სახე“ მოეწონა.

— საერთოდ, რაში ემთხვევა თქვენი გამოცდება ერთმანეთისას? რამეზე თუ კამათობთ ხოლმე?

— ზურას მოსწონს, ქალს რომ გრძელი თმა აქვს, მაგრამ მე უფრო სწორად, მოკლე ვარცხნილობას ვატარებ. მიუხედავად იმისა, რომ არ მოსწონს, მაინც არ მთხოვს — თმა მოკლედ არ შეიჭრაო. ისე, სწორად ვკამათობთ რაღაც-რაღაცებზე და თითქმის ყოველთვის ვიბუტები. ზურა ბრაზობს — რა არის, რომ გაიბუტები ხოლმეო?!

სიტყვა „საიქოს“ სულხან-საბა ასე განმარტავს: „მერმისი სოფელი, სიკვდილის უკან“. უამრავი ლეგენდა გვსმენია იმ ადამიანების შესახებ, ვინც იმ სოფელს სტუმრად სწვევია და კვლავ უკან დაბრუნებულა, მათთან უშუალოდ შეხვედრის შესაძლებლობა კი პირველად, ამ ცოტა ხნის წინ მომეცა.

პირველი რესპონდენტი, **ომბრ აბრამიძე** გახლავთ. როგორც თავად გვიამბობს, ის სამი დღე-ღამის განმავლობაში მორგში, მეტლახის ფილებზე „ეგდო“, შემდეგ კი, რაღაც შემთხვევის წყალობით, ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ მიცვალებული კი არა, ცოცხალი იყო და მხოლოდ კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში იმყოფებოდა...



მითხვარება სამიღმედი... miTi Tu sinamdviLe?

მარი ჯაშარიძე

— დავიბადე 1942 წელს და ვინაიდან ამ დროს, მეორე მსოფლიო ომი მიმდინარეობდა, ომარი დამარტევეს. ბელი იმაშიც არ მქონდა, რომ დედის რძით გავზრდილიყავი. ჩემი „დედა“, თხა გახდა. დიდი გაჭირვებით დავამთავრე საშუალო სკოლა და ჩავაბარე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. შემდეგ წავედი ჯარში და სიკვდილს თვალეში პირველად სწორედ იქ შევხვდი.

— სად მოიხადეთ სამხედრო სამსახური?

— მიუხედავად იმისა, რომ დედისერთა გახლდით, ჯარში ყაზახეთში, მანგეშლაკში გამიწვიეს. იქ ურანის მადნის საბადოებია და ჯანმრთელობისათვის ძალზე საშიშია. იქ მომსახურე ადამიანების უმეტეს ნაწილს სისხლის გათერთება ემართება. იმ არემარეზე არც

წყალია, არც მცენარე ხარობს. ერთადერთი, რაც დადებითი გახლდათ, დიდი ხელფასი იყო. მადნის მოპოვებასა და გადამუშავებაზე ძირითადად, ისინი მუშაობდნენ, ვისაც მუდმივი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. სამხედრო ნაწილი, რომელშიც ვმსახურობდი, გასაიდუმლოებული იყო. ამის გამო, ჯარისკაცებს შეუძლებელია არ გვიშვებდნენ. ჩემი მშობლები კომისარიატში მისულან და უკითხავთ — როგორ მოვახერხეთ, ომარი ერთი თვით შინ რომ ჩამოვიყვანოთ? კომისარს დაურიგებია: ვინაიდან იქ ჩასული ან იქიდან გამოგზავნილი ყველა წერილი იკითხება, შვილს მისწერეთ, რომ ოჯახის რომელიმე წევრი ძალზე ავად არის, შემდეგ ჩვენც გაეგზავნით მოთხოვნას და იქნება, გამოუშვანო. მამჩემმაც გამომიგზავნა წერილი, რომელშიც დედაჩემის ავადმყოფობის შესახებ მწერდა. ეს რომ წავიკითხე, რას წარმოვიდგენდი, რომ „ჩაწყობილი“ საქმე იყო?! ვიფიქრე, დედა მიკვდება-მეთქი და არაყს მივეძაღე. ერთხელ, ისე დავთვერი, გონება მებინდებოდა. მერე პლანიც მოვწიე. მიუხედავად იმისა, რომ მოსაწვეი უხვად იშვებოდა, მანამდე, არასოდეს გამისინჯავს; არ ვიცოდი, რა შედეგი შეიძლებოდა, მოჰყოლოდა ნასკამზე მოწვევას და ისე ცუდად გავხდი, რომ იფიქრეს — მოვკვდი. პირველი კლინიკური სიკვდილი მაშინ მქონდა. შემთხვევით გადავრჩი...

— გამოდის, კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში მეორედაც აღმოჩნდით?..

— დიას, სულ სამჯერ მქონდა. ახლა გვიამბობთ მეორე შემთხვევას: ჯარიდან რომ დავბრუნდი, ინსტიტუტში სწავლა გავაგრძელე. ჩემი თანაჯგუფელი გოგონა, გვარად ჯაჯვანი, გათხოვდა და მთელი ჯგუფი მის ქორწილში ვიყავით. მე შეღარებით ადრე წამოვედი და საბჭოს მოედანზე, ტაქსის ველოდებოდი. ამ დროს, ვილაკამ გვერდით ჩამირბინა. ცოტა ხნის შემდეგ, კიდევ ორი კაცი გამოჩნდა, რომელიც პირველს მისდევდა. რატომღაც იფიქრეს, რომ სწორედ მე ვიყავი ის პირველი, სიტყვაც არ უთქვამთ, ისე მომიხლოვდნენ და ერთერთმა დანა დამარტყა; ბარძაყში დამჭრა და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, თურმე არტერია გადაამეჭრა. ზამთარი იყო, გაყინულ მიწაზე დავეცი. ვვრძობდი, სისხლისგან ვიცლებოდი, მაგრამ მშველელი არავინ ჩანდა. ამ დროს, შემთხვევით ვილაკამ მოტოციკლით გამოიარა, მასუქის სინათლეზე დაუნახავს ჩემი სისხლისგან ავარდნილი ორთქლი, მოტოციკლი გაუჩერებია და რომ დაინახა, დაჭრილი ვიყავი, მოტოციკლის „კალაისკაში“ ჩამსვა და საავადმყოფოში მიმიყვანა. მესმოდა, მორიგე ექიმმა რომ უთხრა — ჩვენ მორიგე საავადმყოფო არა ვართ და დაჭრილს ვერ მივიღებთო... მერე პულსი გამისინჯეს და ისიც გავიგონე, როგორ თქვა: გული გაჩერებული აქვს, ვეღარაფერს ვუშველით, მორგში გადაასვენეთო... მინდოდა მეთქვა — მეკვდარი არა ვარ, ყველაფერი მესმის-მეთქი, — მაგრამ ხმას ვერ ვიღებდი... იმ საავადმყოფოში ჩემი მეზობელი, ავთო



მორგში შემეყვანეს და რომ გამანძირიეს, ხელი ცოცხალი აღამიანივით გადამიყარდა. მაშინ მიხვდნენ, რომ გარდაცვლილი არ ვიყავი

აღუაშვილი მუშაობდა და აღმოჩნდა, რომ სწორედ იმ დღეს ყოფილა მორიგე-საბუთები რომ უნახავს, თავში შე-მოუკრავს ხელი — ეს ხომ ომარიაო!.. გამოეკიდა ურიკას, უკან დამაბრუნა და იმდენი ქნა, რომ სააკაოს დამაბრუნა. ცხონებული ნოდარ ბოხუა გამოიძახეს, საოპერაციოში შემოიყვანეს, სისხლიც გადამისხეს და გადამარჩინეს. ოპერაციის დროსაც მესმოდა ექიმების საუბარი — არ გადარჩებაო, — რომ ამბობდნენ, მაგრამ გადავრჩი. გონზე მე-9 დღეს მოვედი. ქირურგმა ფულიც კი არ გამომართვა: ისეთი ოპერაცია გავაკეთე, კარიერას ფულზე მეტად რომ წაადგებო...

— მესამედ როგორ აღ-მოჩნდით კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში?

— მესამედ უკვე 1983 წელს, ავარი-აში რომ მოხვდი, სწორედ მაშინ აღ-მოვჩნდი კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში. იმ პერიოდში, თბილისის ზღვაზე, მასველად ვმუშაობდი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირდაპირ, საკუთარი მანქანით ბოძს შევასკდი. გონება მაშინვე დამიბნელდა, თუმცა ყველაფერი მესმოდა. ამჯერადაც უცხო ადამიანებმა მიმიყვანეს საავადმყოფოში. შაბათი დღე იყო. მაშინვე მორგში გამაქანეს. ორშაბათამდე ქვის იატაკზე ვვედე. ორშაბათს სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები მოვიდნენ. პრაქტიკას გადიოდნენ. მორგში შემოიყვანეს და რომ გამანძირეს, ხელი ცოცხალი ადამიანივით გადამივარდა. მაშინ მიხვდნენ, რომ გარდაცვლილი არ ვიყავი. დაფაცურდნენ და სასწრაფოდ ექიმები დამახვიეს თავს. ყველა ერთხმად ამბობდა — ამის გადარჩენის შანსი არ არისო, — მე კი ამ დროს ვფიქრობდი: აუცილებლად გადავრჩები-მეთქი. მართლაც, „გამოვკვირი“ და ახლა სალ-სალამათი, აგერ, თქვენ გესაუბრებით...

— საიქიო ნახეთ?

— ფილებზე რომ ვვედე, მაშინ გონებაში სულ იმას ვიმეორებდი: არ მოკვდები, გადავრჩები-მეთქი... თვალეზე ბინდი მქონდა გადაკრული. მერე თითქოს ყველაფერი განათდა და ერთ ტრიალ მინ-

დორში აღმოვჩნდი. ვიდექი და აქეთ-იქით ვინებობდი, მაგრამ არც ერთი სულიერი არ ჭაჭანებდა. თითქოს შემეშინდა. უცებ, მანქანის ხმაური შემომესმა. ცოტა ხანში დავინახე, რომ მანქანა მი-ახლოვდებოდა. საჭესთან კი ჩემი გარ-დაცვლილი მეგობარი იჯდა (სწორედ იმ მანქანით მოყვა ავარიამი). ხელი აუწვიე, გამიჩერე-მეთქი, — დაფუძახე კიდეც, მაგრამ ყურადღება არ მომაქცია და ჩამ-იარა. გული დამწყდა, მაგრამ არ შევიმ-ჩნიე. შემდეგ ისევ ჩამობნელდა...

*ჩემი მეორე რესპონდენტი სოხუმე-ლი, აფხაზეთის ომის მონაწილეა და საკმაოდ ტკივილიანი წარსული აქვს. გული სწყდება, რომ „საიქიოში იმოგ-ზაურა“ და თავის გარდაცვლილ ძმას ვერ შეხვდა... ბატონი **დავით მელქაძე** ამჟამად თბილისში ცხ-ოვრობს, ორი შვილი ჰყავს და მათთვის ტკივილის მიყენებას მოერიდა, როდე-საც მობოდიშებით, თავისი ფოტოსუ-რათის გამოქვეყნებაზე უარი მითხრა...*

— სოხუმში დავიბადე და გავიზარდე. ომის დაწყების პირველი დღიდანვე, ხე-ლში ავიღე იარაღი და ჩემი მიწა-წყლი-ის დასაცავად ვიბრძოდი. მაშინ ცოლი არ მყავდა. შინ მხოლოდ დედა და 16 წლის ძმა დავტოვე. ვემუდარებოდი — სამშვიდობოს გაგიყვანო-მეთქი, მაგრამ დე-დაჩემი უარზე იყო: ამდენი წელია, აფხ-აზეთის გვერდით ვცხოვრობთ და არ გაგვიმეტებენ, ცუდს არაფერს გაგვიკეთე-ბენო... შინ ორ კვირაში ერთხელ მივ-დიოდი, რომ მენახა, როგორ იყვნენ. ბო-ლოს, უკვე ამასაც ვეღარ ვახერხებდი. ოჯახი სამი თვის უნახავი მყავდა. ერთ დღეს ავიკვიატე — შინ უნდა წავიდე-მეთქი. მეგობრები არ მიშვებდნენ — სოხ-უმში შენი გამოჩენა და სიკვდილი ერთი იქნებაო, — მაგრამ არ დავიშალე. როგორც იქნა, სოხუმამდე მივალწვი. დაღამებას დაველოდე და ქალაქში ისე შევედი. ყველაფერი ცეცხლის ალში იყო გახ-ვეული. სახლს რომ მივუახლოვდი, დე-დაჩემის კივილის ხმა შემომესმა. ჩვენი სახლიც იწვოდა. ვიფიქრე — რადგან ჩემები ცოცხლები არიან, სახლს რაღას ვნივი-მეთქი?! ახლოს რომ მივედი, დედამ შემომტირა — ზაზა, ზაზა იწვის სახლ-შიო. სახეს იხოკავდა, რამდენიმე ქალი ძლივს აკავებდა... შინ შევევარი. კვამლსა და ცეცხლში ძლივს გავარჩიე ბოძზე მიბმული ჩემი ძმის სხეული და კინაღამ ჭკუიდან შევიშალე: იმ სულძაღლებს ჩემი ძმისთვის თავი მოუკვეთავთ. ბლავილით მივვარდი, თოკები შევხსენი და სხეული

გარეთ გამოვიტანე. დედაჩემი გულწა-სული დავარდა. ფეხებზე ცეცხლი მეკი-და. მიუღ ტანზე წყალი გადავივლე და სველი, უკანვე შეგებრუნდი, რომ თავი მომეტებნა. დემთო, ეს რა საშინელება ვიხილე საკუთარი თვალით! მიკვირს, ცოცხალი როგორ გადავრჩი... ოთახში მუხლებით დავლოლავედი, კვამლი მიშლი-და ხელს, თვალები ისედაც ცრემლით მქონდა სავე... ვერაფერს ვხედავდი, მხოლოდ ხელებს ვაფოთურებდი, თან მიე-ლი ხმით ვლაპარაკობდი... ტანისამოსი გაცხ-ეულდა და ტანს მწვაავდა, მაგრამ არ ვე-პუებოდი. ბოლოს და ბოლოს, ტახტის ქვეშ გადავწვიე იმას, რასაც ვეძებდი... გულში ჩავიხუტე ჩემი ზაზა და გარეთ გამოვვარდი... ზაზას სხეულის გვერდით დედაჩემის ნეშტი დავევენებინათ: როგორც ჩანს, გული გაუსკდა... იმავე ღამით, ორივე მივაბარე მიწას და გზას გაუვლედი. ალიონმა ქალაქში მომიწვრო. აღარ ვი-მალეობდი, დემთოს ვეხვეწებოდი, ვინმეს მოვეკალი, მაგრამ თითქოს ჯიბრზე, არავინ შემხვედრია. ასე დავტოვე ქალაქი, რომელ-იც იმ დღიდან შევიზიზღე... შურისძიე-ბის წყურვილით ავღსილმა, გადავწყვიტე, ტყვიას მკერდით შეგვებოდი. აღარ ვფრთხილობდი, სიკვდილი მწყუროდა და პირველი მივიღიოდი ყველაზე ცხელ წერტილში, მაგრამ ტყვია არა და არ მეკარებოდა... მერე სოხუმში დავეცა და ომი დამთავრდა... მე სვანეთში წავიდი. სამი წელი იქ ვცხოვრობდი, იმ იარებს ვიშუშებდი, რომელიც ჩემს სულს დააჩნ-და. შემდეგ თბილისში წამოვედი, დავოჯახ-დი და შურისძიების წყურვილი დღემდე არ გამწვავებია...

— დამპირდით — „საიქი-ოში“ მოგ ზაურობის შესახებ მოგიყვებითო...

— დიახ, ეს სამი წლის წინ მოხდა. სამსახურიდან მივლინებით მოსკოვში გახლდით წასული. სასტუმროში ვცხ-ოვრობდი. ნომერში დასაძინებლად ვემზა-ლებოდი, როდესაც ვიგრძენი, რომ გულ-მა შემომიბტია. ეს ჩვეულებრივი მოვ-ლენა იყო და არ შემშინებია, თუმცა, მაინც დავრეკე სართულის მორიგესთან და ვთხოვე — ექიმი გამომიძახეთ-მეთ-ქი. კარი ღია დავტოვე და ლოგინზე წამოვწვიე. მერე აღარაფერი მახსოვს. მხოლოდ ხმები ჩამესმოდა: ვიღაც დან-ანებით ამბობდა — საწყალი, როგორი ახალგაზრდა დაიღუპაო, — მორგსაც ახ-სენებდნენ... შემდეგ მახსოვს, ძალიან ლამაზ, ხვედრლოვან მინდორზე ვიყავი, სადაც პატარა კოცონი ენთო და კო-ცონთან ორი კაცი იჯდა. მივხვდი, რომ საიქიოში ვიყავი. ამ კაცებს ველაპარ-აკებოდი, ვკითხე — საით უნდა წავიდე, ზაზა რომ ვნახო-მეთქი? — მაგრამ



ომარ აბრამიძე: მორგიდან რომ გამოიყვანეს, ხორხი გამიჭრეს და ხელოვნური სასუნთქი მილი ჩამიდგეს...

ტესტი ერუდიციზე

1. საგარეოთის გარდა, კიდევ რომელ ქვეყანაშია ცნობილი ქართული გუდა-სტვირის მსგავსი მუსიკალური ინსტრუმენტი?



- ა) შოტლანდიაში;
- ბ) ინგლისში;
- გ) პორტუგალიაში

2. ჭიდაობის რომელ სახეობაში ასპარეზობდა მანსონი ბლანკი?



- ა) თავისუფალში;
- ბ) ბერძნულ-რომაულში;
- გ) კლასიკურში.

3. რაში იყენებენ ჰოლანდიაში ქარის ძველ ნისქვილებს?



- ა) ელექტროენერჯის გამოსაშუშავებლად;
- ბ) არხებში წყლის ამოსაქაჩად;
- გ) მხოლოდ მარცვლეულის დასაფუჭავად.

4. ვინ იყო ივანე ტურგენევის ნაწარმოების — „მშობს“ პერსონაჟის, მიაჩოვის გერასიმის პროტოტიპი?



- ა) მწერლის მამა;
- ბ) მწერლის დედის ყმა;
- გ) პროტოტიპი არ ჰყოლია.

თითქოს ვერც მამწევედნენ, ხმას არ მცემდნენ. მერე ბევრი ვიარე და ქალი შემომხვდა, წყლიანი ღოჭით ხელში. ვთხოვე — წყალი დამალევიწმეოთქი, — მაგრამ იმანაც მღუმარედ ჩამიარა... შემდეგ მოხუცი, ჯოხზე დაყრდნობილი კაცი ვნახე, ხუთ ცხვარს ედგა მწყემსად. მან ხელი გაიშვირა, მანიშნა — იქით წადიო. მეც წავიდე და ამ დროს, გონზე მოვედი და სუსტად განათებულ ოთახს მოვაველე თვალი... ჩემ გვერდით, ოთხი მიცვალებული იწვა; ზეწრები ჰქონდათ გადაფარებული. მივხვდი, რომ მორგში ვიყავი. ვცადე, დამევიწრა და ვინმესთვის ხმა მიმეწვინა, მაგრამ ძალზე სუსტი ბგერები ამოვთქვი... შემდეგ დავიწყე „ვარჯიში“. ჯერ ხელის თითები ავამოძრავე, მერე — მკლავები, შემდეგ — ფეხები; თან ხმასაც ვავარჯიშებდი: აა-ა-ა-მეთქი, — ვიძახდი და რაც დრო გადიოდა, ხმას უფრო ვუწყევდი. ბოლოს, როგორც იქნა, დარჯჯის ყურამდე მიადწია ჩემმა ყვირილმა; უფრო სწორად — მეგონა, რომ ვვივროდი, თორემ, თურმე, ძლივს გასავონად ვკნაოდი. იმ დარჯჯს მთელი საავადმყოფო შეუყვარა — მკვდარი გაცოცხლდა!.. ბოლოს, კარი გააღეს და შემოვიდნენ. თვალგაფართოებულნი მიყურებდნენ. სასწრაფოდ რეანიმაციაში გადამიყვანეს, იქიდან კი, ერთი თვის შემდეგ გამოვეწერე და შინ დავბრუნდი... სასტუმროდან ჩემს სამსახურში დაურეკავთ და უცნობებით — დავით მელქაძე გარდაიცვალაო. სამსახურიდან შინ დაურეკავთ და მეუღლისთვის შეუტყობინებთ. ძაბებით შემოსილი ჩემი ცოლი გულგახეთქილი ჩამოვიდა მოსკოვში რამდენიმე ნათესავთან ერთად, რომ ჩემი ნეშტი გადმოესვენებინათ, მე კი ცოცხალი დავხვდი... უნდა გენახათ, როგორ გაიხარეს!.. სამსახურში ახლაც „მკვდარს“ მეძახიან, მაგრამ არ მწყინს...

მესამე რესპონდენტი, 49 წლის ქალბატონი **მამაქალაქი ფოფხაძე** გახლავთ. წინა რესპონდენტებისგან განსხ-

საიქიოში ვიყავი და ვნახე მამაჩემი, გავიცანი ბებია და ბაბუა, რომლებიც სიცოცხლეში არ მინახავს... სიცოცხლეში არ მინახავს... ძალიან ლამაზი იყო ის ქვეყანა, სულ მწვანე, ირგვლივ საოცარი სიმშვიდე სუფევდა. ხალხი მიდი-მოდიოდა და დარბაისლურად საუბრობდა... ამის შემდეგ, ძალზე განმვიტარდა წინათგონობა. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს ნისლში მივცურავ და შემდეგ „ვითიშები“. იოლად შემიძლია ადამიანის ფარული აზრის წაკითხვა და მისი მომავლის განსაზღვრა. თუმცა, ამ ნიჭს იშვიათად ვიყენებ...



პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ინაუგურაციის ერთ-ერთი რეჟისორი გორა კაპანაძე თავდაპირველად, რუსთაველის თეატრის სცენაზე თამაშობდა, შემდეგ — რეჟისურაშიც მოსინჯა ძალები. როგორც შევითქვით, მალე მის ცხოვრებაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდება: გორა ახალი თეატრის გახსნას აპირებს, აგრეთვე — დაოჯახება აქვს განზრახული.



ბუნებით შეპოქეაღი გორა კაპანაძე ჯერ ახალ თეატრს გახსნის და შემდეგ, მეორედ დაოჯახდება

ნიწო ჯავახიშვილი

— თავდაპირველად, ინაუგურაციის შესახებ გკითხავთ. როგორც ამბობენ, პრეზიდენტი კმაყოფილი დარჩა ჩატარებული საზეიმო ღონისძიებით. თქვენ თვითონ თუ ხართ კმაყოფილი?

— ქვეყანაში არსებული მძიმე ფინანსური სიტუაციის ფონზე, ინაუგურაციის დღესასწაული, ვფიქრობ, ბრწყინვალე იყო. არა იმიტომ, რომ მე და ბატონმა ავთო ვარსიმაშვილმა გააკეთეთ, არამედ იმიტომ, რომ ძალიან დაგვეხმარა ხალხი. ვარსკვლავები მოდიოდნენ და გვეუბნებოდნენ — გვითხარით, თუ რამეში გჭირდებათ, რა გავაკეთოთ. ამ შემთხვევაში ერთად დგომის ფენომენმა გაამართლა. ადამიანები ერთხელ მაინც უნდა მიხვდნენ ერთად დგომის საჭიროებას და კიდევ იმას, რომ დიდი ქვეყნის შვილები არიან...

— ბატონმა ავთომ ტელევიზიით გამოსვლისას იხუმრა — ედუარდ შევარდნაძე კი მოვიწვიეთ, მაგრამ უარი განაცხადა — ეგ უკვე ნანახი მაქვსო... წლების შემდეგ, კვლავ თქვენ რომ მიგიწვიონ ინაუგურაციის რეჟისორად, რას იზამთ — ამავვე მიზეზით თქვენც უარს ხომ არ იტყვიან?

— (იცინის) არა, არავითარ შემთხვევაში, თუნდაც იმიტომ, რომ იმას, რაც ახლა გავაკეთე, აღარ გავიმეორებ და ვეცდები, ახალი საზეიმო ღონისძიება აბსოლუტურად განსხვავებული იყოს ძველისგან. არსებობს პროტოკოლური

კანონები, რაც ნებისმიერმა რეჟისორმა უნდა დაიცვას. ამ შეზღუდვების გათვალისწინება მეც მომიწევს, მაგრამ 5 წლის შემდეგ, იმედია, პრეზიდენტის დაპირებისამებრ, უფრო ძლიერი ქვეყანა გვექნება და აქედან გამომდინარე, მაშინ უფრო საინტერესო ღონისძიებას არ ჩავატარებთ?! გარდა ამისა, ვიამაყებ კიდევ, ინაუგურაციის დადგმას თუ კვლავაც შემოთავაზებენ.

— მოდიოთ, ახლა თქვენზე, როგორც ხელოვანზე ვისაუბროთ. რა იყო პირველი სერიოზული განაცხადი რეჟისურაში?

— როგორც მსახიობი, ვმოდლაწეობდი რუსთაველის თეატრში. ვითამაშე სპექტაკლებში — „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ანა ფრანკი“, „ამდამ მგონი, იქნება ქარი“, „ჰამლეტი“. 1991-92 წლებში უცხოეთში ვცხოვრობდი. სტაჟირება საფრანგეთში, თეატრის საერთაშორისო სკოლაში გავიარე და საქართველოში დავბრუნდი. დაბრუნებისთანავე, რუსთაველის თეატრში დავდი „ბერნარდა ალბას

მოვიცავთ არაერთ ქანრს — პაგარა ოპერებიდან დაწყებული, ბალეტით დამთავრებული

სახლი“. ეს იყო ჩემი რეჟისორული დებიუტი. პარალელურად სცენაზეც გამოვდიოდი. ვითამაშე ყველაზე დიდი როლი, რომელიც შეიძლება მსახიობმა ინატროს — ეს იყო ჰამლეტი, რომლისთვისაც 1999 წელს სახელმწიფო პრემია მომანიჭეს. დღემდე ასეა — ზოგი, როგორც რეჟისორს, ისე მიწვევს, ზოგი — როგორც მსახიობს. ეს ერთმანეთს ხელს არ უშლის. სცენაზე თამაში და გარდასახვის უნარი სასწაული რამ არის და ამიტომ უარს არასდროს ვამბობ შემოთავაზებულ როლებზე, რაგინდ დაკავებულიც არ უნდა ვიყო.

— როგორც რეჟისორს, თუ გენმარებათ თქვენი სამსახიობო გამოცდილება?

— რეჟისორი კარგად უნდა იცნობდეს მსახიობის ფსიქიკას და რადგანაც ზედმიწევნით ვიცნობ, ალბათ ამიტომაც, უფრო მკაცრი და მომთხოვნი ვარ — ვიცი, მსახიობებისგან რა მჭირდება. ჩემს სპექტაკლებში მაცურებელი მსახიობს სულ სხვა, მანამდე უცნობი კუთხით რომ ხედავს, ვფიქრობ, ეს უკვე დიდი მიღწევაა.

— როდის აპირებთ ახალი თეატრის გახსნას და თუ გაქვთ სახელი შერჩეული?



— მარტში ვაპირებ და მგონი, ძალზე საინტერესო იქნება. მოვიცავთ არაერთ ფანრს — პატარა ოპერებიდან დაწყებული, ბალეტით დამთავრებული. სახელი ჯერჯერობით არ შემიჩვენია. შეიძლება, „კამერული თეატრი“ ან „თეატრი — მშრალი ხიდი“ დავარქვა. თეატრი ათონელის ქუჩაზე დაიდებს ბინას. ერთდროულად 7-8 სპექტაკლზე ვმუშაობთ, გარდა ამისა, ვიწყებთ მზადებას გახსნის დღისთვის — ახლა სცენარზე ვმუშაობ. მინდა, რაღაც არატრადიციულად გავაკეთო და არა — ტრადიციული, სპექტაკლით გავხსნა ახალი თეატრი. ეს იქნება თეატრი ნებისმიერი ასაკისა და გემოვნების მქონე მაყურებლისათვის, რომელსაც უყვარს თეატრი.

— საკუთარ თავსა და ოჯახზეც გვითხარით რაიმე?

— საკუთარ თავზე რა ვითხრათ? ბუნებით მადიებელი კაცი ვარ. მიყვარს ჩემი საქმე, კოლეგები. არა ვარ შურიანი და ყოველთვის შემიძლია მათი ნამუშევრით აღფრთოვანება, რაც ვფიქრობ, კარგი თვისება უნდა იყოს... ადამიანებთან ურთიერთობისას ძალზე კონტაქტური ვარ. მეუღლესთან განქორწინებული ვარ და ამჟამად მარტო ვცხოვრობ. თუმცა ვაპირებ დაქორწინებას, შეიძლება — ძალიან მალეც. ვნახოთ, რა იქნება. ისე კი, მგონი, უკვე დროა...

— დაბოლოს, თქვენს საქმიანობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი კითხვა: თუ არსებობს სპექტაკლი, რომლის დადგმაზეც ოცნებობთ?

— ყველაზე მეტად მინდა ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ დადგმა და თუ ყველაფერი კარგად იქნება, შეიძლება სექტემბერში დავდგა კიდევ. ეს სპექტაკლი ჯერ არ დადგმულა ქართულ სცენაზე და ჩემი ინტერესი ამის გამო კიდევ უფრო დიდია...

ქართული მუსიკოსების წარმატება საფრანგულში

დრომ მოიტანა: ბევრი ქართველი დღეს უცხოეთში მოღვაწეობს, საკუთარ შესაძლებლობებს ევროპისა და ამერიკის აუდიტორიის წინ უკეთებს რეალიზაციას. ბატონი არჩილ ხარაძე საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმებიან კვარტეტში უკრავდა. კვარტეტს ისეთი წარმატება შქონდა, რომ უცხოელებს არაერთხელ შეუთავაზებიათ მათთვის კარგი პირობები, მათი ქვეყნის მოქალაქეობის მიღების და მისი სახელით გამოსვლის სანაცვლოდ. მაშინ უარს ამბობდნენ წასვლაზე. მერე პირობები კიდევ უფრო გაუარესდა და საყოველთაო არეულობის წლებში კვარტეტის წევრებს ინსტრუმენტით ხელში ქუჩაში გამოსვლისაც კი ეშინოდათ. იყო შემთხვევები, როცა ჩელოს ან ვიოლინოს ართმევდნენ, ზოგჯერ კი უმტყრევდნენ (კი არ ძარცვავდნენ!) მუსიკოსებს.



ბატონი არჩილი მეუღლესთან, ქალიშვილთან და სიძესთან ერთად

ლეო ჯიყაშვილი

არჩილ ხარაძე ალტზე უკრავდა. ეკვიპტეში, კაიროს კონსერვატორიაში მისი ინიციატივითა და მონაწილეობით დაარსდა სიმებიანი კვარტეტის კათედრა. როცა საფრანგეთის კულტურის მინისტრმა ჟაკ ლანგმა არჩილ ხარაძე სამუშაოდ მიიწვია, მუსიკოსი დათანხმდა.

დღეს არჩილ ხარაძე საფრანგეთში მოღვაწეობს. იქ მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად ცხოვრობს, აქვთ ოჯახური „ხარაძეების კვარტეტი“. ამ ბოლო დროს კვარტეტი „ხარაძეების კვინტეტი“ სახელითაც გამოვიდა, რადგან ბატონი არჩილის ქალიშვილი — თეონა გათხოვდა ფრანგ მუსიკოსზე (ალტი) — უერომ ლუმეშინზე.

ვაუიშვილი გიორგი რვა წლის ასაკში წაიყვანეს მშობლებმა საფრანგეთში, სწავლობდა ბლუას მუსიკალურ სასწავლებელში. 13 წლის გიორგი უკვე ორლენანის კონსერვატორიაში ჩაირიცხა და 2 წელიწადში დაამთავრა 4-წლიანი კურსი. 15 წლის გიორგი უკვე პარიზის უმაღლესი კონსერვატორიის სტიპენდიანტი გახდა, ხოლო ორ წელიწადში მტუტგარტის საერთაშორისო კონკურსში მიიღო მონაწილეობა და იმის მიუხედავად, რომ ყველაზე უმ-

ცროსი იყო, პირველი პრიზი დაიმსახურა... გაზეთები აჭრელდა გიორგი ხარაძის ქებით: „ეს იყო მეტი, ვიდრე ალტაცება: გიორგი ხარაძე სავიოლონგელო სცენის მომავალი ნიურტინგეშია!“

სამწუხაროა, რომ საქართველოში ხარაძეების ოჯახის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით. საფრანგეთში კი ისინი კულტურული ცხოვრების ცენტრში არიან და საქართველოსკენ აქვთ მომართული სული და გონება. გიორგი ხარაძეს, მამიდებმა ქართული წმინდანის ოჯარი გაუზზავნეს.

— სწორედ ეს ჯვარი მეხმარება, როცა კონცერტზე გამოვდივარ. ჩელოს თავი სწორედ ჯვარზე მეყრდნობა და ვიცი, ამ დროს მთელი საქართველოს მაღლი მე დამტრიალებს თავს.

არჩილ ხარაძესა და მის ოჯახს არაერთხელ შესთავაზეს საფრანგეთის მოქალაქეობა, მაგრამ ისინი უარს ამბობენ: უცხო ქვეყნის მოქალაქეები გავხდეთ და სამშობლოში სტუმრის სტატუსით დავბრუნდეთო? — კითხულობენ თურმე. ელოდებიან ორმაგი მოქალაქეობის შემოღებას საქართველოში, რომ ბოლოს და ბოლოს, ამოისუნთქონ: თავიანთი მოღვაწეობით საქართველოსთვისაც გააკეთონ კეთილი საქმე და საფრანგეთშიც უფრო დიდი ასპარეზი მოიპოვონ.

ნობის ტელეფონი
კონსულტაცია
ინსტიმი 18 წლიდან
822 009 005

„მათი“ „ჯიყაშვილი“
 „მეგაკომი“ — 0,70 ლ.
 თბილისი — 0,45 ლ.
 რაიონები — 0,65 ლ.



„მას სსრკ-ზე ნაფიქრად ბევრ სიუჟეტს უნდა ჰქონდეს“

ნათელმსილგველი ნატაშა სკოროხოდოვა აგრძელებს ფოტოსურათებით მარჩიელობას, გათავაზობთ მის მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რა ელოდებათ: მიშა მშვილდაძეს, გიორგი გიორგანაშვილს, თინა ხიდაშელს, მამუკა ონაშვილსა და ლელა ნურნუმიას.

ლელა ჭანკობაძე

„მიშა მშვილდაძე ბიზნესის სამყაროს დაიპყრობს“

— ნიჭიერი და პატივმოყვარე, სათნო და თავშეკავებულია. სხვებისგან უზადო გემოვნებით გამოირჩევა. ადამიანებთან ურთიერთობას იოლად ამყარებს. მაგრამ სირთულეები ახლო ნათესავებთან ურთიერთობაში ექნება. თითქმის არასდროს კარგავს წონასწორობას, გადაწყვეტილებებს ყოველთვის საღი გონებით იღებს. წინდახედულია და ამიტომ შეცდომებს იშვიათად უშვებს. მისი კეთილშობილება შეუქმნველი არასდროს რჩება. სწორედ ესაა იმისი მიზეზი, რომ ადამიანებს მის მიმართ ნაზი გრძნობე-



ბი აქვთ. მას აქვს უნარი, ერთი მშერით შეაყვაროს თავი ადამიანებს, თუმცა ამ ხერხს მაშინ ვერ იყენებს, როცა ამას წინასწარგამიზნულად აკეთებს. მის თვალში სიკეთე და სიყვარული ჩანს. ღმერთის მადლიერია იმის გამო, რაც აქვს. ზედმეტს არასდროს ითხოვს.

— მისი უარყოფითი თვისებებიც ჩამოთვალეთ.

— ცოტა ჭორიკანა და ცნობისმოყვარეა, მაგრამ გაცნობიერებული აქვს, რომ ეს მისი ნაკლია და ცდილობს, აღმოფხვრას, განვითარების საშუალება არ მისცეს. ტაქტიანია. გამორიცხულია, თუნდაც მისი ახლობლებიდან, ვინმე გაისინოს რაიმე უტაქტობა, რომელიც მიშას ჩაუღონია. მდრეკილება აქვს მელანქოლიისკენ. თუმცა, მისი ეს თვისება ძალზე იშვიათად იჩენს თავს.

— როგორია მისი ინტიმური სამყარო?

— მორცხვია. პირველი ნაბიჯი მისკენ ქალმა უნდა გადადგას, თორემ, მიშამ შეიძლება, ვერასდროს შენიშნოს ის. თუ მისი გულის დაპყრობა გსურთ, დაადგვიანეთ სიმორცხვე, რომელიც ნებისმიერ ქალთან ურთიერთობისას, ბორკილად ექცევა ხოლმე... მას მოსიყვარულე ცოლი, სამი შვილი და ჯანსაღი ურთიერთობები ელოდება. ოჯახი მისთვის ყველაზე მყუდრო გარემო აღმოჩნდება. თავს იქ სრული ბედნიერების უფლებას მისცემს.



— ყველაზე მოულოდნელი რა ელოდება?

— ის წლების შემდეგ ყველაზე მკაცრი სახის მამაკაცი იქნება. მასზე ჟურნალ-გაზეთებში აღარ დაწერენ, რადგან ის ბიზნესს მიჰყოფს ხელს და მისი სახელი პრესის ფურცლებიდან გაქრება. ვერ გეტყვით, ყველაზე ცნობილი და გავლენიანი ბიზნესმენი იქნება-მეთქი, მაგრამ წარმატებები ნამდვილად ექნება. ყველაზე მეტად ახლა ფული აკლია, მომავალში კი, ბევრი ფული ექნება.

„გიორგი გიორგანაშვილი ძლიერ და ფულიან საცოლეს ეძებს“

— მუდამ ორჭოფობს და ყოველთვის ბედის უკმაყოფილოა. დროის შვერძნება არ გააჩნია და საშინლად უღისციპლიონა. უყვარს წუწუნი, მოსწონს, როცა მასზე ლაპარაკობენ, აქებენ და რჩევებს ეკითხებიან. მაგრამ მაინც კეთილი და საყვარელია. გიორგი იმ „მასალისგან“ არის შექმნილი, რომლისგანაც, როგორც კურტიზანები და სუტენიორები, ასევე უდიდესი მსახიობები და მწერლები გამოდიან, ამიტომ მას უკიდურესობები ახასიათებს — ხან ძალიან მორჩილია, ხანაც — ძალიან ცბიერი. მისი ცხოვრების პირველი ნაწილი ბედნიერი იყო, მეორე მღვლელოვანი და არეული იქნება, მესამე — მშვიდი და სტაბილური.

— რა ელის?

— ჯერჯერობით ისეთი წარმატება არა, როგორც მას სურს და როგორც ცხოვრებისგან აუცილებლად მიიღებს. ის ჩრდილში არ ღარჩება, მას ახალ სატელევიზიო პროექტს შესთავაზებენ, სადაც მთელ შესაძლებლობებს გამოავლენს და იბრწყინებს.

— მისი ხასიათის უარყოფითი და დადებითი თვისებებიდან რომელი ჭარბობს?

— საშინლად ვიოტია. მასთან კამათს აზრი არა აქვს. ყოველთვის ურჩევნია, ვინმე მართავდეს. უყვარს, როცა მასზე მბრძანებლობენ. ეს ორი თვისება ბევრჯერ გაურთულებს მას ცხოვრებას. მაგრამ იმდენად კეთილი და თბილია, რომ მასთან მეობრობას არაფერი სჯობს. მეგობრისთვის ყველაფერს გაიღებს, მეგობრების პრობლემებს ყოველთვის საკუთარზე მაღლა აყენებს... შეგიძლიათ, ბრძად ენდოთ — სწორი გზიდან არასდროს გადაგასვევინებთ. მისთვის ტრაგედიაა, თუ გააცნობიერა, რომ ვინმეს გულს სტკენს. გიორგი სულ რამდენიმე წელია ღარჩება საქართველოში. შემდეგ ის უცხო-

ეთში წავა საცხოვრებლად.

— როგორია მისი ინტიმური სამყარო?

— სასიყვარულო პრობლემები ზოგჯერ მის ცხოვრებას აუტანელს ხდის. ის იოლად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ, ამიტომ ძლიერი ქალის გვერდით თავს მყუდროდ და მშვიდად იგრძნობს. ისეთი ცოლი სჭირდება, რომელიც მისთვის მყარი დასაყრდენი იქნება. რამდენიმე უიღბლო ქორწინების შემდეგ, ასეთ ქალს შეხვდება.

— რისი ემონია?

— პანიკურად ემონია იმ ყველაფრის დაკარგვის, რაც უკვე მოპოვებული აქვს. ყოველი ახალი წელი აშინებს — სულ ფიქრობს, დაკმაყოფილდეს იმით, რასაც სთავაზობენ, რომ არ აღმოჩნდეს თამაშვარე მდგომარეობაში. ხელმოკარულმა, შეიძლება, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულოს.

— როგორი იქნება მისთვის მაიმუნის წელი?

— ეს მისი წელია. შეუძლია, ფრთები გაშალოს და ცხოვრებით დატკბეს. შანსი აქვს, ფულიანი საცოლვე იპოვოს.

„თინა ხიდაშელი მომავალში, გენერალური პროკურორი გახდება“

— საოცრად ენერგიული და იღბლიანი ადამიანია. რისთვისაც არ უნდა მოეციდა ხელი, ყველაფერში გაუმართლებდა, რადგან ფორტუნა ყოველთვის მის მხარესაა. თუმცა, თავად ამის აღიარება არ უნდა. იქნებ, ბედისწერის არც სჯერა?! მას ცხოვრება ნამდვილად ბევრ სიუპრიზს უმზადებს, ძირითადად — კარგს, თუმცა სირთულეებიც არ მოაკლდება.

— როგორი ხასიათი აქვს?

— მის თვალში ჩანს, რომ ზოგჯერ, ზედმეტად უხეშია. ამბიციურიცაა, სამაგიეროდ, იმდენად მზრუნველია, რომ ეს თვისება ყველა მის ნაკლს ფარავს. სხვათა პრობლემების მოგვარების საოცარი უნარი აქვს. საკმარისია, მასთან საკუთარ პრობლემებზე დაიჩიელოთ, რომ ის მამინვე იწყებს იმაზე ფიქრს, როგორ დაგეხმაროთ.

— რას მალავს?

— მალავს იმას, რომ ძალიან სუსტი და უმწეოა. ავრესიული და მბრძანებლური ხასიათის მიღმა, სევდიანი და გულჩვილი ქალი იმალება, რომელსაც ყოველ წუთს, თვალზე ცრემლი ადგება და წყნას ძნელად ივიწყებს. რამდენადაც აქტიური და დამოუკიდებელი ჩანს, იმდენად ნაზი და სენტიმენტალურია. შინაგანად ყველაზე ექსტრემალურ სიტუაციაშიც კი, ქალად რჩება და საბირისპირო სქესის წარ-



მომადგენლებთან ურთიერთობისას ხელოვნურ ბარიერს არასდროს აღმართავს.

— როგორ აენწყობა მისი პირადი ცხოვრება?

— კიდევ ერთი შვილი და სტაბილური ცოლქმრული ცხოვრება ელოდება. უფრო და უფრო ნაკლები დრო დარჩება ოჯახისთვის, თუმცა ეს უსიამოვნების მიზეზი არ გახდება.

— მისი უარყოფითი თვისებებიც გავიხსენოთ...

— ზედმეტად ამბიციურია. ეს მის თვალში აშკარად ჩანს. ფეთქებადი ხასიათი აქვს და გაძულებით ცდილობს, თავი აკონტროლოს.

— რა ელის?

— ის მომავალში, გენერალური პროკურორი გახდება. ამაში ეჭვი არ მეპარება. მისი ცხოვრების არცთუ ისე ხანმოკლე პერიოდი მთლიანად კრიმინალებთან ბრძოლას დაეთმობა. დაიმასსოვრეთ ჩემი ნათქვამი — მას ძალზე დიდი მომავალი ელის.

„მამუკა ონაშვილი სერიאלების უცვლელი გმირი გახდება“

— რა ანუხებს მამუკა ონაშვილს?

— შეიძლება, წარმოუდგენლად მოგეჩვენოთ, მაგრამ მამუკა გულით დიდ სევდას დაატარებს, რომელსაც არავის უმხელს. თითქოს ამ სევდით ცხოვრობს, ის მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად არის ქცეული. საერთოდ, გულჩვილი ადამიანია. ისევე, როგორც ტანით, გულითაც დიდი ადამიანია: სწორედ მამუკასნაირ ადამიანებზე იტყვიან — დიდი გული აქვსო.

— რისი დამალვა სჩვევია?

— მალავს ნებისმიერ პრობლემას, რომელიც მის ცხოვრებაში ჩნდება. როცა გაბრაზებულია, ბილწისიტყვაობა სჩვევია, უხეში და უმართავი ხდება. ასეთ დროს ჯობს, მოერიდოთ. იშვიათად ღიზიანდება და ამიტომ მისი ხასიათის ეს უარყოფითი მხარე ბევრისთვის შეუმჩნეველი რჩება. როცა მამუკა ონაშვილზე ვსაუბრობთ, აუცილებელია ვთქვათ, რომ ის ისეთი მხიარული არ არის, როგორც გარეგნულად ჩანს. გულჩათხრობილ და სენტიმენტალურ მამუკას კი, ძალზე ცოტა ადამიანი იცნობს.

— როგორ აენწყობა მისი ცხოვრება?

— ყოველთვის ყურადღების ცენტრში იქნება. მასზე ბევრ ჭორ-მართალს იტყვიან, რადგან ყოველთვის პოპულარული მო-



მღერალი იქნება და ხალხის სიყვარული არ მოაკლდება. მომავალში, ის ბელს კინოშიც (ცდის. ქართულ სერიალში ერთ-ერთ მთავარ როლს შესთავაზებენ. ის სერიאלების უცვლელი გმირი გახდება.

— შეგიძლიათ, ჩამოთვალოთ მისი ხასიათის დადებითი მხარეები?

— ძალიან კეთილი, მგრძობიარე ადამიანი და საუკეთესო მეგობარია. ვინც მას მეგობრად აირჩევს, ნამდვილად არ ინანებს — ის სიკვდილამდე მისი ერთგული დარჩება. შეცდომების პატიება შეუძლია. თავადაც არასდროს უშვებს გამოუსწორებელ შეცდომებს. პრინციპულია და საკუთარ პრინციპებს არასოდეს ღალატობს.

„ლელა წურწუმიას მაიმუნის წელს ბეწვის ხიდზე გავლაც კი შეეძლება...“


— ბევრი ფული, ბევრი საბუშაო და ხშირი მოგზაურობა! — 2004 წელს ლელა წურწუმიას ღვევი იქნება. ის გადაიღება კიდევ, ხანგრძლივი გასტროლები-სგან. მისი პოპულარობა გაიზრდება. ინტერტული დღეები, რომლითაც წინა წელმა თავი მოაბეზრა, წარსულში დარჩება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მის ცხოვრებაში აღმავლობის წელი იწყება. თუმცა, იმავეს ვერ ვიტყვი მის პირად ცხოვრებაზე, რომელიც უსიამოვნებებითა და პრობლემებით იქნება აღსავსე. ასე რომ, მოღუწების საშუალება წუთითაც არ მიეცემა. ვურჩევ, ეს წელი მაქსიმალურად გამოიყენოს კარიერაში წინსვლისათვის. შეუძლია, აზარტულ თამაშებში სცადოს ბედი, რისკზეც წავიდეს, რადგან მაიმუნის წელს მას ბეწვის ხიდზე გავლაც კი შეეძლება.



მარი ჯაფარიძე

არ მეგულება ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც არ მოსდებია სირცხვილის ალბური. და თუ ასეთი არსებობს, როგორც ნოდარ დუმბაძის გმირი, ზაზა ნაკაშიძე ამბობს, მაშინ მისთვის „ალარც სინდისი არსებობს, არც ნამუსი, არც შუბლი და ალარც ძარღვი?“ როგორც ჩანს, სირცხვილი პირობითია, რადგან ის, რაც ჩვენში სირცხვილად ითვლება, სხვა ქვეყანაში დადგენილი წესი გახლავთ და... პირიქით. მაგალითად, ქართულ ოჯახში სტუმრად მისულმა, შესასვლელში ფეხსაცმელი რომ გაიხადოთ და მასპინძლებს წინდისამდარა გამოეცხადოთ, მერწმუნეთ, დამხვდურთ უეჭველად შერცხვებათ. იაპონიაში კი, ფეხსაცმლით ოჯახში შესვლა მასპინძლის შეურაცხყოფა გახლავთ. ჩვენი გოგონები თუ ჭიპს, ფეხებსა და მკერდს თამამად იშვილებენ, ბევრ აზიურ ქვეყანაში ქალისთვის სახის გამოჩენაც კი სირცხვილად ითვლება... „გზის“ წინა ნომერში გამოცხადებულმა თემამ მკითხველთა აქტიურობა გამოიწვია, რამაც ცოტა გაგვაკვირვა კიდევ. ენახოთ, როდის შერცხვათ ჩვენს მკითხველებს ჩადენილი საქციელის გამო? პირველი რესპონდენტი, 36 წლის ტყბულელი კაცი, მანუჩარ ობოლაძე გახლავთ.

როგორ უპირისუპო



თქვენი საქციელი უფლებაა თუ არა?

„სამარცხვინო არ არის, ქმარს ორჯერ გაეყარო, ორჯერვე შეურიგდე?!“

სირცხვილი „პოსლემე“

„წინათ, კომუნისტური რეჟიმის პერიოდში, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან ჩვენს ქალაქში პრაქტიკანტები ჩამოდიოდნენ ხოლმე. ერთხელ ტყბულს მოლდოველი გოგონები ეწვივნენ. ერთ-ერთი მათგანი, ლენაჩკა, აბანოს საპარაკმახეროში მუშაობდა და გარკვეული თანხის საფასურად, არც ქართველ ბიჭებზე ამბობდა უარს. რამდენჯერმე მისი კლიენტი მეც გახლდით. ერთ საღამოს, მეგობარ მამაკაცთან ერთად მაღაზიაში შევედი. უცებ, ვილაც მკლავში ჩამბლაუჭა, თავისკენ შემბრუნა და მითხრა (ლენაჩკა გახლდათ): „შენ ბიჩო, მანუჩარი არ ხარ? „პოსლემე“ რომ „იმასქენი“, ფული რატომ არ მომეცი?“ ჩემი ძმაც კი სიცილით მოკვდა, მე კი, ისე შემრცხვა, ჭარხალივით გაწვითლდი... მეორე დღესვე მიუვტანე 10 მანეთი, მაგრამ მეგობრები დღემდე დამცინიან: ბიჭო, ყველაფერი გაგვიგია „პოსლემე“, მაგრამ ქალებში სიარული

„...მაშ, შენ ამბობ, რომ ღიპი მაქვს?“

„ბათუმელი გახლავართ. სამსახურის გამო ხშირად მიწევს ხოლმე თბილისში ჩამოსვლა. ჰოდა, ერთ თბილისელ, დარბაისელ ქალბატონს „ვეკურკურებოდი“. ის ქალბატონი ქმარს გაცდებოდა და ხელს დასაქვდა, ასე ვთქვათ, პატიოსანი ქალის სახელიც ჰქონდა. სწორედ ამიტომ, ძალზე ფრთხილად ვმოქმედებდი, რომ არ დამეფრთხო. რას არ ვაკეთებდი, ნემსის ყუნწშიც ვძვრებოდი, რომ მისი თანაგრძნობა დამეშინებინა. დიდი ძალისხმევა დამჭირდა, პაემანზე დასათანხმებლად. მოკლედ, თითქმის მთელი წელი ვჩალიჩობდი. ბოლოს „ვატყდა“. აღიარა, რომ ვუყვარდი და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვოცნებობდი იმ დღეზე როდესაც ჩემი გახდებოდა. ჰოდა, ერთ დღეს გამოვუცხადე – ამაღამ შინ ვერ მიხვალ, ერთად ვრჩებით-მეთქი... რის ვაი-ვაგლახით დავითანხმე და ერთ, საკ-

მაოდ სოლიდურ სასტუმროში მივიყვანე. ქალი მორცხვობდა, ხმას ვერ იღებდა, თვალებში ვერ მიყურებდა... დავამშვიდე და ვუთხარი: შენ ცოტა მოშინაურდი, მე შხაპს მივიღებ-მეთქი... სააბაზანოდან გამოსულს, ის ზუსტად ისეთივე მდგომარეობაში დამხვდა, როგორშიც დავტოვე. შიშველ ტანზე პირსახოცი მქონდა შემოხვეული, მივუახლოვდი, ვიფიქრე, გავამხარულებ-მეთქი და ვუთხარი: მაშ, შენ ამბობ, რომ ღიპი მაქვს? აბა, შემომხედე! – და ამ სიტყვებზე, კულტურისთვის ფორმა მივიღე... მუცელი კი „შევისუნთქე“, მაგრამ უცებ, პირსახოცი შემომქსნა, იატაკზე დავარდა და ასეთ სასაცილო პოზაში, დელიშობილა დავიჩინე... ქალმა სიცილი დაიწყო. ისე შემრცხვა, კინაღამ მოვკვდი. პირსახოცს ხელი დავავლე და ავიფარე... სამაგიეროდ, სიტუაცია განიმუხტა. დღემდე ვინსენებთ ხოლმე ამ ამბავს და კარგადაც ვხალისობთ“.

„პერი, არ შემარცხვინო, თავი არ მომჭრა მანდილოსანთან, უპ! შეგირცხვა ნამუსი, შე კაცო...“ – ასეთი შეძახილებით ამხნევებდა ძაღლს პიპინია ერისთავი, (მ/ფ „არაჩვეულებრივი გამოფენა“), როდესაც მის ზვალს „პატარძალი“ მოჰკვარეს. როგორც ჩანს, ძაღლისთვისაც სირცხვილად ითვლება, თავს

მოხვეულ მანდილოსანზე უარის თქმა... როგორ არის საქმე მამაკაცის შემთხვევაში? ამის შესახებ 35 წლის ლევანის ნაამბობიდან შეიტყობთ.

„...მთავარი იყო, ჩემი კაცური სახელი მეხსნა“

„ცოლი საკმაოდ გვიან, 32 წლის ასაკში შევირთე. მანამდე კი, თუ რაიმე ამქვეყნიური სიამე არსებობს, არაფერი მომიკლია. ფინანსებიც მქონდა და მამაკაცებსაც ვაგრიანებდი ხოლმე. რომ დავოჯახდი, გადავწყვიტე: მორჩა, ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა და ცოლს არასოდეს ვუღალატებ-მეთქი, თუმცა, ამის შესახებ ხმამალა არ მითქვამს. მეგობრებს არ გამოჰპარავიათ, რომ ქალებში აღარ დავდიოდი. ვიცოდი, დაცინვის ობიექტი გავხდებოდი, ამიტომ მათ ვატყუებდი ხოლმე: ქალებში დავდივარ, მაგრამ ცოლმა რომ არ გაიგოს, ძალზე ვფრთხილობ და თქვენ ამიტომ ვერ გეხელობთ-მეთქი. შარშან ზაფხულს, მეუღლე და ბავშვი დასასვენებლად გაეგუშვი, მე კი თბილისში დავრჩი. საღამოობით უცოლო მამაკაცთან ვიკრიბებოდი, ლუდს ვსვამდი, ფეხბურთს ვუყურობდი, ვერთობოდი. ერთხელ გადავწყვიტეთ, გვიქეიფა. მოგვიანებით, ერთ-ერთმა მამაკაცმა ქალები „გაჩითა“. რადგან წინასწარ ნათქვამი მქონდა – ამაღამ აქ დავრჩები-მეთქი, – ვეღარ გადავთქვი, ყველანი ცალ-ცალკე ოთახებში განაწილდნენ და რა თქმა უნდა, მეც ერთი ქალი მერგო. ის ღამე ჯოჯოხეთად მექცა: ფიცის გატეხა არ მინდოდა, არადა, როგორია – გვერდით ქალი გიწევს და შენ არაფერი მოიძოქმელო?! ოთახს ღია აივანი ჰქონდა და მთელი ღამე იქ ვავატარე. სიგარეტს სივარეტზე ვწვდი, ეშმაკი კი ჩამძახოდა – მიდი, ერთხელ გატეხე ფიცი, რა მოხდა, ვერაფერს გაიგებსო, – მაგრამ ეშმაკს ვძლიე; ახლა მთავარი იყო, ჩემი

კაცური სახელი მეხსნა და ეს ამბავი მამაკაცების ყურადღე არ მისულიყო... დილით იმ გოგოს 200 ლოლარი მივეცი (წესით ფული არ უნდა გადაემხნა) და ვთხოვე: – ჩემს მამაკაცებთან არ გამცემ-მეთქი. – თავი დამიქნია. ცოტა ხანში, ყავაზე დაგვიდახეს. ორივე გავვლით. თავიანთ „საგმირო“ საქმეებზე დაიწყეს ლაპარაკი. ქალები პიკანტურ დეტალებს ჰყვებოდნენ. ჩვენ გაჩუმებულები ვიყავით. – ლევან, რას გაჩუმებულხარ? შენ არაფერი გაქვს სათქმელი? ამ გოგომ ჩანთიდან ჩემი მიცემული ფული ამოიღო, მაგიდაზე, ჩემ წინ დადო და გამოაცხადა: ჩვენ და-ძმასავით გვეძინა, თქვენმა მამაკაცმა თითოც არ დამაკარა, როგორც ჩანს, პრობლემები აქვს, ეს ფული კი, იმისთვის გადამიხადა, რომ თქვენთან ამაზე ხმა არ ამომელო... სახეზე ალმური მომელო, სიბრაზისა და სირცხვილისაგან. წამოეხტი და უკან-მოუხედავად გამოვიქეცი. იმის შემდეგ, მეგობრების დაცინვამ თავი მომაბეზრა. იქნებ, წაიკითხონ ჩემი „მესიჯი“ და ახლა მაინც დამანებონ თავი...“

გრძელი კაბა ჯობს თუ მოკლე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ალბათ ისევე ძნელია, როგორც იმაზე – ქთამი უფრო ადრე გაჩნდა თუ კვერცხი. მოძღვერო ორი ამბავი ქალბატონებს ვაკვირდებარ. წაიკითხეთ და დასკვნა თავად გამოიტანეთ.

„...უცებ, ქვედაბოლო ჩამძვრა“...

„მიუხედავად იმისა, რომ კარგი აღნაგობა მაქვს, უპირატესობას ყოველთვის ვგრძელ ქვედაბოლოს ვანიჭებ. ერთ დღეს, ბაზარში წავედი. მოგესხენებათ, ზოგიერთ გამყიდველს პროდუქტი პირდაპირ მიწაზე გაფენილ ცელოფანზე უწყვია ხოლმე. ჰოდა, მეც ასეთი ვაჭრის წინ ჩავცუცქდი და პროდუქტის არჩევა დავიწყე. ფეხზე რომ წამოვდექი, უცებ, ქვედა

ბოლო ჩამძვრა და საცვლის ამარა დავრჩი... თურმე ჩაცუცქულს, ქვედაბოლო მიწაზე დამეფინა, გვერდით, მამაკაცი კარტოფილს ყიდულობდა და მასზე ფეხი დაუდგამს, კაბა წელზე მხოლოდ რეზინით იყო შემოჭერილი და იოლად ჩამძვრა. წარმოიდგინეთ, როგორ შევრცხვი. დღემდე ვწითლდები, რომ ვისხენებ...“

ქალბატონს მოკლე ქვედაბოლო რომ სცმოდა, კაბაზე ფეხს ხომ ვერ დაადგამდნენ?! მაგრამ შესაძლოა, მეორე უკიდურესობაში გადავარდნილიყო. აი, ისეთში, როგორიც 23 წლის შორენას გადახდა...

„უკაცრაგად, „ტრუსიკი“ გიჩანთ...“

„მაღალი გოგონა ვარ, კარგი ფეხები მაქვს, მაგრამ სახე – დიდი არაფერი. სწორედ ამიტომ, ყოველთვის მოკლე კაბას ვიცვამ, რომ ყურადღება ფეხებზე გადავიტანო... ერთხელ, სამარშრუტო ტაქსით ვმგზავრობდი. ისეთ სკამზე მომიწია ჯდომა, რომ დანარჩენი მგზავრების პირისპირ აღმოვჩნდი. კაბა ჩამოვქაჩე, ფეხები შევატყუე და ფანჯარაში ყურება დავიწყე. უცებ, ჩემ წინ მჯდომი ახალგაზრდა მამაკაცი წამოიწია, პიჯაკი გაიხადა და ფეხებზე დამაფარა: „ტრუსიკი“ გიჩანთ და დაიფარეთო. სირცხვილისგან კინაღამ მოვკვდი. შინ გავიქეცი, შარვალი ჩავიცვი და საქმეზე ისე წავედი. იმის შემდეგ, კაბები ცოტა დავაგრძელე, რომ ასეთ უხერხულ სიტუაციაში აღარ აღმოვჩნდე.“

ვინც ჟურნალ „გზას“ და „გზავნილებს“ თვალყურს ადევნებს. აცის, რომ ამ რუბრიკის თითოეულ წერილს კონკრეტულ თემას ვუთმობთ. მაგრამ არიან მკითხველები, რომლებიც ჩვენს თხოვნას ყურად არ იღებენ და თავიანთ სატკივარსა თუ სიხარულს გვიზიარებენ. ეს მკითხველები რომ არ გავანაწყენოთ, დღეიდან ასეთ „თავისუფალ“ თემებზე გამოვზავნილ „მესიჯებსაც“ დავუთმობთ ადგილს.

„ჩემს დედამთილ-მამამთილს ჩემი ხელი სთხოვა...“

„17 წლის გავთხოვდი. აღმოჩნდა, რომ ჩემს მეუღლეს ტუბერკულოზი ჰქონდა. რამდენიმე თვეში დაიღუპა, მისი გარდაცვალებიდან 6 თვის შემდეგ, ისეთმა

წამალი „მთახინდა“

- თმის დაავადებები, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბულობრივი ცვენა (ამოდის თმა);
- ტილები, წილები, ისპობა 1 საათში;
- კანის და ფრჩხილის სოკო, ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი, ნაოჭების გასწორება, მცენარეული საპნები;
- ნატურალური მკვებავი მალამოები.

მკურნალობა მარანთით
მის: ჭავჭავაძის გამზ. 2/2, ჩიის სასტან, სოფიაპოლიში
აქციონისაჟი, მიწაა ყოველღა 11-18 სთ-მდე, პქაღიქი, გვააჟიქი
☎ 30-94-73; 34-35-16 (საღაჟი)



მკურნალობამდე და შემდეგ

მამაკაცმა მითხვა, რომელიც მუხლზე დაჩოქილი მევედრებოდა, რომ ცოლად გავეყოლოდი. ის ჩემს დედამთილ-მამამთილთან მივიდა და ჩემი ხელი სთხოვა. უარი არ უთქვამთ. ერთი სიტყვით, მეორედ გავთხოვდი... მასთან ორი შვილი შემეძინა. უფროსი, 6 წლის გახლავთ, უმცროსი – 3-ის. ერთი წლის წინ, მეუღლეს გავეყარე. წავიდა და აღარც გვეკითხულობს, არც მე, არც – შვილებს... ამ ცოტა ხნის წინ, გამოჩნდა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც მეგობრობას მთავაზობს. ჯერჯერობით, ფიზიკური ურთიერთობა არა გვაქვს, მაგრამ ვგრძნობ, რომ სიცოცხლეში პირველად შემიყვარდა ასე თავდავიწყებით. ჩემი ოჯახი მასთან ურთიერთობის სასტიკი წინააღმდეგი გახლავთ. ახლა ბავშვებთან ერთად ცალკე ვცხოვრობ და ბინის ქირას მშობლები მიხდიან. დედა დამემუქრა – თუ მის გვერდით იქნები, ყოველგვარ საარსებო წყაროს გადაგიკეტავო!.. მე უმუშევარი ვარ. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. ეს ბიჭი მეუბნება, რომ ძალიან ვუყვარვარ, თუმცა, ძალზე უყურადღებოა და არც მატერიალური მდგომარეობა უწყობს ხელს, რომ შემინახოს... ერთი ქვრივი მამაკაცი მთხოულობს, რომელიც ერთადერთ შვილს მარტო ზრდის. დედა მასზე გათხოვებას მაძალეებს, რადგან ამ შემთხვევაში, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ვიქნები. მე კიდევ, არ მინდა... აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. ვფიქრობ, ჯობს, ისე გადავწყვიტო ეს საკითხი, როგორც ჩემს შვილებს წაადგებათ... გამაღობთ, რომ მომიხმინეთ...“

ბოლოს, ტრადიციისამებრ, მოკლე „მესიჯებს“ გადავხვდით...

სად არის „ნავაროჩენი“ თოხი?

„ცოლიანი ბიჭი მიყვარს. ერთი განხვრატ, როგორ ვემალეებით ხოლმე მის გომ ცოლს... მასთან თავს მაგრად ვგრძნობ, ვგთჟობთ, მაგარი მოფერებაც იცის. მაკა კ.“

„თამუნა ლოლუას: 5 თვეა, არ მინახინარ, რაც ჩემთვის მთელი ცხოვრებაა. გულს ვერ უბრძანებ. იქნებ, კარგად დაფიქრდე? მიყვარხარ. „ნაცნობი დუმილი“.

„ბავშვობიდან სიგიჟემდე მიყვარდა მაკო გოლეთიანი, მაგრამ თვითონ სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ჩემი გრძნობა. ისე იქცეოდა, თითქოს ვერც მამჩ-

ნევდა. სულ „მესტერებოდა“. ჰოდა, ერთხელ ჩემს ძმაცაც ვათქმევინე, ვითომ მოვკვდი. საწყალი გოგო, ორი დღე შინ იჯდა და ტირიდა. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ არც ისეთი „სტერვა“ ყოფილა. როდესაც სიმართლე გაიგო, ისეთი დღე მაყარა, მერჩინა, მართლა მოვკვდარიყავი... ეს ამბავი ორი წლის წინ მოხდა და დღემდე ვნანობ, მაკო ასე რომ ვანერვიულე. გაგი წერეთელი.“

„საერთოდ, ძალზე მორცხვი ადამიანი ვარ, მაგრამ ყველაზე მეტად მაშინ შემრცხვა, როდესაც ზღვაზე, მეგობრების თვალწინ „კუპალნიკი“ გამძვრა... ბათუმი. მ.“

„შეყვარებული მყავს. სულ ვუმტკიცებ – პირველი ხარ, ვისაც ვაკოცემეთქი. არადა, პირველი კი არა, მესამეა. ძალიან მრცხვენია, მაგრამ რა ვქნა?! პირველი კოცნა ზღაპრული იყო. დათო კი, სიგიჟემდე მიყვარს. ამ სიყვარულის დაკარგვას ვერ გადავიტან. მაპატიე, ჩემო სიცოცხლე! ნინი, 17 წლის“.

„შვიდი წელია, ერთმანეთი გვიყვარს. ის საზღვარგარეთ გაემგზავრა. ორი წლის განმავლობაში, მასზე საერთოდ არაფერი მსმენია. თუმცა, ახლა ხშირად რეკავს, მაგრამ იმ ცრემლიან ორ წელიწადს ვერ ვპატიობ“.

„ქობულეთელი ბიჭი მიყვარს – სულხან ბეჟანიძე. ახლა ქალაქიდან გაემგზავრა და მგონი, თბილისშია. ძალიან მენატრება. მინდა, რომ ვნახო. სულხან, რომ შემპირდი – „ნავაროჩენი“ თოხს ჩამოგიტანო, – რატომ მომატყუე? სულხანი „გზის“ აქტიური მკითხველია და აუცილებლად წაიკითხავს ჩემს „მესიჯს“. ცირა“.

„აბა, სამარცხვინო არ არის, ქმარს ორჯერ გაყვარო, ორჯერვე შეურიგდე და მესამედაც გაქცევაზე ფიქრობდე?“

„ყველაზე მეტად მაშინ შემრცხვა, როცა თბილისის ზღვიდან ამოსულს, ტანსაცმელი აღარ დამხვდა და სახლში ნიფხვის ამარა წავედი. სირცხვილით, მეორე დღეს, თბილისი ერთი თვით დავტოვე“.

დღეისთვის სულ ეს გახლდათ. შემდეგი გზავნილების თემა იქნება – პირველი სიყვარული, რადგან „გზის“ მომდევნო ნომერი 12 თებერვალს გამოდის, 14-ში კი, მოგეხსენებათ, ვალენტინობის დღესასწაულია. დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8.77 (45.68.61).

ერთგული პიტიხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. საპარის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთ ავტომობილსა და მანქანას შორის განსხვავება: „ჩაასხიო საწვავი ჩვენთან! ყველა მომდევნო ავტომობილისა და მანქანის...“ რომელია გამოტოვებული სიტყვა?



- ა) მირაჟია;
- ბ) შორსაა;
- გ) დაკეტილია.

2. ქასრში დაყენებული ღვინის რომელი ნაწილი ფასობდა საფრანგეთში უფრო ძვირად?



- ა) ზედა;
- ბ) ქვედა;
- გ) მნიშვნელობა არ ჰქონდა.

3. იაკობ გომეზაშვილმა სიკვდილის წინ ნიგნის მალაზიაში შეიარა, ერთი ნიგნი მოიკითხა და შინსაქან განსია. რომელი იყო ეს ნიგნი?



- ა) „ვეფხისტყაოსანი“;
- ბ) ბიბლია;
- გ) „დედა ენა“.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკვანძო:

1. რუსთაველის თეატრი 1949 წელს დაიწვა.
2. ვაზუთი „ტუნდრა თაიმსი“ ალიასკაზე გამოდის.
3. ნოტების დასაღვმელს გერმანულად პულტი ჰქვია.
4. დოლის ცხენებს ალუმინის მსუბუქი ნალბები ჭედავენ.
5. მხატვარი დელაკრუა ტალიერანის უკანონო შვილი იყო.
6. ესპანურ გიტარას XIII საუკუნეში ოთხი ორმაგი სიმი ჰქონდა.



7. 1510 წელს თომას მორი ლონდონის შერიფის თანაშემწედ მუშაობდა.
8. ქუთაისში ტროლეიბუსის პირველი ხაზის სიგრძე 8 კილომეტრი იყო.
9. ფრანგული ფირმა „სიტროენი“ ოდესელი ებრაელის, ციტრონის დაარსებულაია.
10. კამიკაძეებისთვის განკუთვნილ თვითმფრინავებს ფირმა „მიცუბიში“ ამზადებდა.
11. აბრეშუმის შესახებ ნებისმიერი ცნობის საზღვარგარეთ გატანა ჩინეთში სიკვდილით ისჯებოდა.
12. მელა გავრცელებულია ყველგან, ანტარქტიდის გარდა. ავსტრალიაში იგი ხელოვნურად მოაშენეს.
13. წყლის მოტოციკლი ჰავაიელმა მაშველებმა, ტრავმირებული სერფინგისტების დასახმარებლად გამოიგონეს.
14. ალექსანდრ კუპრინმა ლუკმაპურის ბუნაში მტვირთავის, მთევზისა და კალათის პროფესიები გამოიცვალა.
15. ევკალიპტის ფოთლები მზისკენ გვერდულად არის შებრუნებული. ამის გამო, ევკალიპტს „უწრდილო ხეს“ ეძახიან.
16. ისეთი ცირკი, რომლის არენაზე ერთმანეთს ცვლის წყლიანი აუზი, საცივურაო ყინული და ქვიშიანი ზედაპირი, სულ ორია მთელ მსოფლიოში – მოსკოვსა და პარიზში.
17. პროფესიონალურ დაგადებათა სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ მევიოლინეებს მარცხენა ყურში სმენა აქვთ დაქვეითებული.
18. ძველ ეგვიპტეში ფულს რგოლების ფორმა ჰქონდა, ძველ ბრიტანეთში – ფირფიტების ფორმა, ხოლო ძველ რომში – მცირე ზოდების ფორმა.
19. „თუ გინდა, მოხვდე „ღამის შოუში“, გაიღიმე და ბლანჟე მოუშვი,“ –

«ჩვენი ცოდვის გამო ვაგებთ კასუსს და «რიგს» არავის დავუთმოვთ...»

ამას წინათ ასეთი „მესოფი“ მივიღე: „მარი, გთხოვ, „გზანდობის“ თემად ლესბოსელები „გაუშვი“. ვიტანჯები. საშველს ვერსად ვხედავ...“ გოგონას ინტერვიუზე შევეუთანხმდი. ის თავის მეგობართან, ანასთან ერთად მოვიდა. ნანა 28 წლის გახლავთ, მისი მეგობარი კი 16-ის და ის ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეა...

ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ, მკითხველის სამსჯავროზე გამოვეტანა ეს ამბავი. პრობლემის მიჩქმალვით მისი გადაჭრა შეუძლებელია და რაკი, სამწუხაროდ, ეს პრობლემა ჩვენშიც არსებობს, ვიმსჯელოთ და რამდენადაც შესაძლებელია, მის გადასაჭრელად, სათანადო აქტიურობა გამოვიჩინოთ.

მარი ჯაშარიძე

- ნანა, პირველად როდის მიხვდი, რომ ქალი გაინტერესებდა?
- საერთოდ, ბავშვობიდან ქალაბიჭა ვიყავი. სულ მანქანებით ვერთობოდი და 16 წლამდე, ფეხბურთს ვთამაშობდი. ათი წლის ვიყავი, როდესაც მივხვდი, რომ ჩემი მეგობარი გოგონა მიყვარდა. რაც თავი მახსოვს, სულ გოგონები მომწონს.
- მამაკაცი არასოდეს გყვარებია?
- არა. მამაკაცის სიყვარული არ შემიძლია, უფრო მეტიც – მეზიზღებიან და მეჯავრებიან...
- გარეგნობით ჩვეულებრივი ქალი ხარ...
- კი, გარეგნობით ნამდვილად ასეა, მაგრამ შინაგანად მამაკაცი ვარ. ერთადერთი ის ვიცი, რომ ქალი მიყვარს.
- რამდენი წლის იყავი, როდესაც ქალთან ფიზიკური კონტაქტი დაამყარე?
- 18-ის. ის გოგონა ჩემი მეზობელი იყო. ვუთხარი – მიყვარხარ-მეთქი, – და უარი არ უთქვამს.
- ანა როგორ გაიცანი?
- ჩვენ საერთო ახლობელი გყავს. ერთმანეთი ტელეფონით გავიცანით. გარეგნობით არც კი ვიცოდი, როგორი იყო, მაგრამ ერთმანეთი მანამდე შეგვიყვარდა, სანამ შევხვდებოდით...
- ანა, ნანა რომ ასე ხშირად გირეკავდა, არ გიკვირდა?
- მე იმ პერიოდში შეყვარებული მყავდა. კარგი ბიჭი იყო. ნანა როგორ შემიყვარდა, ახლაც არ ვიცი... ტელეფონით სიყვარულზე არ ვლაპარაკობდი. ძირითადად, ისეთ თემებზე ვსაუბრობდი, რომელიც ორივეს გვაინტერესებდა. შემდეგ მითხრა, შეყვარებული მყავსო. ისე ვიჭვივანე, კინაღამ გავგიჟდი... აღმოჩნდა, რომ გამოსაცდელად მითხრა. როდესაც დავრწმუნდი ჩემს გრძობებში, თავზარდ-



აცემულმა მეგობარს მივმართე საშველად. მეგონა, დამეზმარებოდა. მან კი ზურგი მაქცია, თანაც – ქვეყანას მოსლო ჩემი ამბავი. დეპრესიაში ჩავვარდი. რამდენჯერმე თავის მოკვლაც ვცადე, ვენებიც გადავიჭერი, მაგრამ ვაღამარჩინეს...

— მშობლები არ დაინტერესდნენ, რატომ იქცეოდი ასე?

— დელაქში საზღვარგარეთაა სამუშაოდ წასული, მამას არ უკითხავს... შემდეგ ეკლესიაში, მოძღვარს ვესაუბრე და ჩემი გასაჭირი აუხსენი. მითხრა – ეს ეშმაკისეული სიყვარულია და განაგდე სატანა შენგანო. ვცადე, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე. მივიღი მეორედ და ვუთხარი – არაფერი გამომდის-მეთქი. იმის შემდეგ აღარ მივსულვარ. ვფიქრობ, რომ ეშმაკს სიყვარული არ შეუძლია. ეს გრძობა საიდან მოვიდა, ახლაც არ ვიცი...

— შენმა მშობლებმა რომ შეიტყონ შენი და ნანას სიყვარულის შესახებ, რას გეტყვიან?

— მე ისეთი მშობლები მყავს, რომ ყველაფერს მიგებენ. შეილი ვარ და ვალდებულნი არიან, ამ საკითხშიც გამივიონ. შესაძლოა, არ მოეწონოთ, მაგრამ ხელს არ მკრავენ...

ნანა:

— მე ვერ გამოვხატე. ეს რომ ჩემი ოჯახის წევრებმა შეიტყონ, ერთ წუთსაც არ მცოცხლებენ... ჩემმა ოჯახმა რომ იცოდეს, ქალები მომწონს, საზოგადოებას არ დავე-

მალეობი და ჩვენი ურთიერთობის აფიშირებას არ მოვერიდებოდი... ერთმანეთს ერთ-ერთ კაფეში ვხვდებით. იქ არ ვმალავთ ჩვენს ურთიერთობას, ვეფერები, ვკოცნი ყველას თანდასწრებით. მომსახურე პერსონალი ამას ჩვეულებრივად აღიქვამს.

— ნანა, ფიზიოლოგიურად ქალი ხარ?

— დიას, სრულყოფილი ქალი გახლავართ და არაფრით განვსხვავდები თითოეული თქვენგანისგან.

— მატერიალური შესაძლებლობა რომ გქონდეს, სქესს შეიცვლიდი?

— არა. არასოდეს გადავიცევი მამაკაცად. ჩემს ახლანდელ მდგომარეობას ტანჯვა მოაქვს, მაგრამ გარეგნულად არასოდეს შევიცვლები.

— შენმა მეგობრებმა თუ იციან ამის შესახებ?

— დიას, უმეტესობამ იცის და ანას მეგობრებისგან განსხვავებით, გაგებით ეკიდებიან. თქვენ გგონიათ, მე ეს მინდა? ყველაფერი რაღაცნაირად, შიგნიდან მოდის და მე უძლური ვარ ამის წინაშე.

— ოჯახის წევრები გათხოვბას არ გადალებენ?

— არა, არავინ მელაპარაკება ამის შესახებ. ვფიქრობ, ისინი ხვდებიან კიდევ, მაგრამ არაფერს მეკითხებიან. შეუძლებელია, ვერ შენიშნო, რადგან მე ქალბუნთან ისე ვიქცევი, როგორც მამაკაცი...

— ანა, შენ თუ აღიქვამ ნანას მამაკაცად?

— არა, ვერ აღვიქვამ.

ნანა:

— თქვი, რომ აღმიქვამ, თქვი!..

ანა:

— არა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენ, რომ ის მამაკაცია. ერთს კი ვიტყვი — სხვა ქალს ვერასოდეს დაგაყენებ მის ადგილზე. შესაძლოა, მამაკაცი მომეწონოს, ქუჩაში თვალიც კი გავაყოლო და მისით აღვფრთოვანდე, მაგრამ ქალს ვერასოდეს

ნანა და ანა რედაქციაში (ეთიკური მოსაზრების გამო მათი გვარების დასახელებისა და მათი სახეების გამოჩენას მოვერიდეთ)



შეგხვდავ ასე...

— შენ მხოლოდ 16 წლის ხარ. იქნებ, მამაკაცთან ურთიერთობა ვერ გარისკვ, რადგან, როგორც ამბობ, ქალწული ხარ და სწორედ ამიტომ გადაწყვიტე ქალთან ურთიერთობა?

— არა, გამორიცხულია. მე შეგვარებული მყავდა. ის მომფერებია, უკოცნია კიდევ, მაგრამ... არა, ეგ არაფერ შუაშია.

— ნანა, შენც ისევე ეჭვიანობ, როგორც მამაკაცი?

— რა თქმა უნდა. კიდევ უარესად. სულ 5 ქალი მყავდა. ერთ-ერთმა მიმატოვა და კაცთან წავიდა. ძალზე განვიცადე, თავის მოკვლაც კი ვცადე. დედამ გამამარჩინა — თოკიდან ჩამომხსნა... ერთ-ერთი ჩემი ქალი ჩემივე ნათესავმა მოიყვანა ცოლად. იმ ბიჭმა იცოდა, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა; მოვიდოდა, მომხვეოდა და თვალცრემლიანი მეტყოდა ხოლმე — ვიცი, რომ გიყვარს, მაგრამ მეც მიყვარს და ცოლად უნდა მოვიყვანო... რას ვიზამდი? ახლა, ანამაც რომ მიმატოვოს, თავს არ ვიცოცხლებ. ამას ვერ გადავიტან...

— როგორ იქცევი ხოლმე მამაკაცთან ურთიერთობის შემთხვევაში „შებმას“?

— არავითარ შემთხვევაში არ მოუყვამენ. მე მამაკაცისადმი ლტოლვა არ გამაჩნია. სწორედ ამიტომ, უხეშად ვიცილებ ხოლმე თავიდან.

— არასოდეს გიფიქრია, რომ შეილი გყავდეს?

— არა. არ მინდა! არავითარ შემთხვევაში! შეიძლება, მე დამემსგავსოს და მთელი ცხოვრება იტანჯოს... არა, ამას არ დავუშვებ და საერთოდ, სურვილიც არა მაქვს.

ანა:

— მე კი, შეილი მინდა. ოდესმე, ალბათ გავთხოვდები...

ნანა:

— და... მიმატოვებ? გაგიჟდი? არა, ამას არ დავუშვებ. შეილი გააჩინე და ჩემთან იყავი... არა, ვერც იმას ავიტან, კაცის გვერდით რომ დაგიმანაო...

— როგორ ხედავთ თქვენს მომავალს?

ანა:

— გაურკვეველია, არ ვიცი...

ნანა:

— ვიცხოვრებთ ასე და გვეყვარება ერთმანეთი... ბოლოს, მინდა საზოგადოებას მივმართო: ნუ განიკითხავთ და არ განიკითხებით. ჩვენ ჩვენი ცოდვის გამო ვაგებთ პასუხს და „რიგს“ არავის დავუიძობთ...

ინფორმაციულ-შეგნებითი კოლაჟი

ეორი ღვალის უბის წიგნაკიდან:

ასე გაეხუმრა ეკა კანიანი დათო გოგონაიშვილს მისსავე გადაცემაში.

20. ჯეკ ლონდონი, ჟიულ ვერნი, კილე მოპასანი, ალბერტ აინშტაინი, ერნესტ ჰემინგუეი და ალექსანდრ კუპრინი საიალქნო სპორტით იყვნენ გატაცებული.

21. იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი განეკურნა, კაშპიროვსკი ტელესენსებს ატარებდა, ჩუმაკი წყალს მუხტავდა, ხოლო ფრანც ანტონ მესმერმა 150 წლის წინ, მთვარე „დამაგნიტა“, რათა დახმარებოდა მსოფლიოს ყველა მოგზაურს.


22. პაპუასებში ჯადოქრები განუზომელი ძალაუფლებით არიან აღჭურვილნი. ერთმა ჯადოქარმა რაღაც დანაშაულისთვის თანასოფელელს უბრძანა — მოკვდიო, — რის შემდეგაც, ამ უკანასკნელმა ჭამა შეწყვიტა და რამდენიმე დღეში, დარდისა და უჭმელობისგან გარდაიცვალა.



23. იუნესკოს სპეციალისტების გაანგარიშებით, თითოეული აფრიკულ ლომს თავისი ქვეყნისათვის ყოველწლიურად, 27 ათასი დოლარი მოაქვს, სპილოთა ოჯახს კი — 610 ათასი დოლარი. ეს ცხოველები ტურისტებს იზიდავენ და ამით ამაღლებენ ქვეყნის კეთილდღეობას.

24. ბაღდადის მთავარი მკურნალი არ-რაზი IX საუკუნეში მოღვაწეობდა. ერთხელ მან ქალაქის სხვადასხვა რაიონში ხორცის ნაჭრები ჩამოაკიდებინა. არ-რაზის აზრით, იქ, სადაც ხორცის ნაჭერი დიდხანს შეინახებოდა, ყველაზე ჯანსაღი ჰაერი იყო და საავადმყოფოც იქ უნდა აშენებულიყო.

25. ოქტომბრის რევოლუციის დროს სასწაულებრივად გადარჩენილმა, რომანოვების ოჯახის წევრებმა და მათთან დაახლოებულმა პირებმა ინგლისს შეაფარეს თავი. ისინი დიდი პატივით მიიღო ინგლისის მეფემ გეორგ მეოთხემ, რომლის დანახვაზეც, შემინებული ემიგრანტები მუხლებზე დაეცნენ და პირჯვრის წერას მოჰყვნენ: საქმე ის გახლდათ, რომ ინგლისის მეფე, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰკავდა ნიკოლოზ მეორეს, ემიგრანტებმა თავიანთ დალუპულ ხელში იფიქრებდნენ მიიჩნიეს.



„სახიფათო სიტუაციებში ჩხიპი უფრო იბნენს, ვიციხე - მე“

თეონა თავართქილაძის ამჟამად საკუთარი მანქანა არ ჰყავს და ზოგჯერ მეუღლის, ზოგჯერ კი — დის ავტომანქანით სარგებლობს. თეონას მანქანასთან ბევრი უსიამოვნო და ბევრიც სასიამოვნო მოგონება აკავშირებს. საჭეს სკოლის ასაკიდან უზის.

ნინო ჯაფარიძე

— აღარც მასხოვს, რამდენი წლის ვიყავი, პირველად რომ მიუჯექი საჭეს. ეს ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. მეგობრებსა და ახლობლებს ხშირად ვთხოვდი, მასწავლეთ მართვა-მეთქი. ქალაქში ჩემი პირველი დამოუკიდებელი გასვლა ინციდენტით დამთავრდა — ბარნოვზე „ნივას“ შევასკდი. გადარჩენით კი გადავრჩი, მაგრამ ორი მანქანა გვარიანად დავამტვრიე და ჩემს მეგობარს ორივე გასაკეთებელი გაუხდა. ამის გამო ძალიან ვინერვიულე. შემეშინდა კიდევ — მეგონა, საჭეს ველარასდროს მიუჯდებოდი.

— პირველად რა მანქანა გყავდათ?

— 17 წლის ვიყავი, საკუთარი მანქანა რომ მყავდა. ჩემი მეგობრები დასასვენებლად დაგომისში მიდიოდნენ, მამჩემმა არ გამიშვა. ამის გამო გავებუტე და პროტესტის ნიშნად, იანვრიდან აპრილამდე ხმას

არ ვცემდი. რას აღარ აკეთებდა ჩემი გულის მოსაგებად, მაგრამ არაფერმა გაჭრა... იცოდა, ჩემი ოცნება იყო, საკუთარი მანქანა მყოლოდა. 19 აპრილს, ჩემი დაბადების დღეს, მინ რომ მიველი, ნუგზარ ვუღელი შემეგება და მითხრა — სიურპრიზისთვის მოემზადეო. „ტავრიას“ გასაღები მომცეს.

— როგორი რეაქცია გქონდათ?

— ძალიან გამიხარდა, გადავეხვიე მამჩემს, ვკოცნიდი. მოკლედ, ყველაფერი ვაპატიე და შევურიგდი. მამამ მთხოვა — მართალია, მართვა იცი, მაგრამ ერთი თვე მაინც იარე

ყველაფერმა მობეზრება იცის: ახლა, როცა რემიკოს ფეხი სტკივა, მარტო მაშინ თუ ვჯდები საჭესთან

კურსებზე, დამშვიდებული რომ ვიყო. დავთანხმდი. მძღოლმა რომ დამინანა, გაეცინა — შენ მანქანას ვინ განდობს? — წადი, სათამაშოებით გაერთეო... ისე სწრაფად დავდიოდი, რომ მფრთხილებდა — მარჯვენა ფეხი დაგიგრძელება, გაზს ცოტა ხნით მაინც თუ არ აუშვებო...

— მანქანას ხშირად იცვლით?

— არ ვოცნებობ იმაზე, რომ მაინცდამაინც ძვირად ღირებული მანქანა მყავდეს. მთავარია, კომფორტული იყოს. ჩემი ოცნებაა, ნებისმიერი ფირმის კაბრიოლეტი მყავდეს. „ტავრიას“ შემდეგ, „ნივა“ მყავდა, მერე — „პეო“. ამჟამად კი, ხან ჩემი დის „ფოლკსვაგენ ვოლფით“ დავდივარ, ხან — რეზიკოს ჯიპით.


— რეზიკოსთან მანქანის გამო ხომ არ ჩხუბობთ ხოლმე?

— დილით ვინც დაასწრებს ჩაჯდომას, იმ დღეს მანქანა მისია. ხშირად ეჩხუბობთ კიდევ — არა, დღეს მე მჭირდება მანქანა და არა — მეო.

— როდესაც ერთად მიდინართ სადმე, მაშინაც დაობთ იმაზე, თუ ვინ მიუჯდება საჭეს?

— ადრე უფრო დიდი სურვილი მქონდა, სულ საჭესთან ვმჯდარიყავი. ოღონდ ვინმეს ეთხოვა, სადმე წამიყვანეო და არავის დავზარდებოდი. ყველაფერმა მობეზრება იცის: ახლა, როცა რეზიკოს ფეხი სტკივა, მარტო მაშინ თუ ვჯდები საჭესთან. მიჩვენია, თვითონ მართავდეს მანქანას და მე მის გვერდით მშვიდად ვიჯდე.

— რამდენი ხანია, რაც ვიბე შვიდინეთ?



შტატი აშშ-ში	ერთგვარი რბილი ტყავი	იგივეა, რაც შტო	ფრანგი მსახიობი ქერარ ...	მაგნიტური ქვიშით განთქმული კურორტი საქართველოში	ბოსტნეული	დიდი ქალ
მდინარე სანქტ-პეტერბურგში	ტიბეტის უმაღლესი მმართველი ...-ლამა	ბოსტნეული	გახეხილი ან გასრესილი ბოსტნეული	კეთილთვისებიანი სიმსიენე	მომდერალი ... კოლინგი	ბერძნული ანბანის ბოლო ასო

— უკვე სამი წელია და არც ვაბრებთ გამოცვლას, რადგან ჯიპი ძალზე მოსახერხებელია. ზამთარში ბაკურიანში თუ გულაურში წასასვლელად ჯიპზე უკეთესი მანქანა მგონი, არც არსებობს.

— ვიცი, რომ მანქანასთან უსიამოვნო მოგონება გაკავშირებთ...

— სამი-ოთხი წლის წინ სახლთან მდგარი ჩემი „პეჟო“ დამიწვეს. ის მანქანა ყველაზე მეტად მიყვარდა... დღის 7 საათზე რაღაც ხმაური შემომესმა. ფარდა გადაწვიე და დავინახე, რომ მანქანა ცეცხლის ალში გახვეულიყო. ყველას შეგვემინდა, მაშინვე ის გავიფიქრე — ავზი სავსეა და არ აფეთქდეს-მეთქი. ეს მართლაც, სამწინეუბა იყო... ერთხელ, იმ მანქანით ავარიამიც მოვეყვი და ტვინის შერყევა მივიღე. ჩემი მეგობარი მაშინდელ ჩემს მონაცოლს ასე იხსენებს: თურმე ვამბობდი, რომ მივედიოდი 220 კმ/სთ სიჩქარით, მკვეთრად მოუხვებე იქ, სადაც ეს არ შეიძლებოდა, ვიღაც „ნაგლი“ კი დამეჯახა-მეთქი!.. მეგობრები გოცბულები კითხულობდნენ: კი, მაგრამ „ნაგლი“ ის არის თუ შენო?!

— მიუხედავად ამ ყველაფრისა, ის „პეჟო“ მაინც გამორჩეულად გიყვარდათ?

— აბა, რა: იმ მანქანასთან დაკავშირებით ბევრი კარგი მოგონებაც მაქვს. მაშინ ჩემს სამეგობრო წრეში მართლმე მყავდა მანქანა და ყველგან ერთად დავდიოდით. ახალ წელს მაჩუქეს რეზინო. მასსოვს, ჩემი საჩუქარი რომ მივართვი, მითხრა: იცი, შენთვის მოტანილი საჩუქარი მგონი, ეზოში დამრჩა და წადი, შემოიტანეო... გავბრაზდი — ეზოში როგორ დატოვე-მეთქი?! გავედი და შაბიანისფერი „პეჟო“ დავინახე. წითელი ბაფთა ჰქონდა დაბნეული...

— თქვენი მანქანა ოდესმე თუ გაუძარცვავთ?

— ჩემს დაბადების დღეს რესტორანში აღვინშნავდი. საჩუქრები მანქანაში მეწყო და რესტორნიდან რომ გამოვედი, აღარაფერი დამხვდა...

— მანქანაში ყველაზე მეტად რა გიქმნით კომფორტს?

— მუსიკა და კონდიციონერი. „ტემპიან“ მუსიკას ვუსმენ ხოლმე და ამის გამო, კიდევ უფრო სწრაფად დამყავს მანქანა.

— მერე რეზინო არ გეჩხუბებთ ამის გამო?

— როგორ არ მეჩხუბება?! მაგრამ მი-

ჭირს თავის გაკონტროლება. მგონია, რომ მანქანას კარგად ვმართავ და თან შიშის გრძნობაც არა მაქვს.

— მოგზაურობა გიყვართ?

— ბავშვებთან ერთად — არა, რადგან ამ დროს, ენერჯიულობ და საჭესთან დაძაბული ვზივარ. ერთხელ მე და მაკა (მამი-დაშვილი. — ავტ.) ბათუმში წავედით. გზა არ ვიცოდით და კითხვა-კითხვით ჩავალწვიეთ. საზღვარგარეთ უფრო მიადვილდებოდა შორ გზაზე მოძრაობა. იქ ავტობანებია და ვიუური სისწრაფით მიქრი. მოძრაობის წესებს ყველა იცავს და არ არსებობს იმის საფრთხე, რომ ვიღაც მოულოდნელად „გადმოვიხტება“ გზაზე... გერმანიიდან პარიზში საკუთარი მანქანით უპრობლემოდ წავსულვარ. ერთხელ, გერმანიაში რომ ვცხოვრობდი, რეზინო უნდა ჩამოსულიყო, ოღონდ — არა იმ ქალაქში, სადაც მე ვცხოვრობდი. გადავწყვიტე, აეროპორტში მანქანით დავხვედროდი. საწვავი, როგორც ხშირად მომდის, შუა გზაზე გამოთავდა. არამობილიზებული მძღოლი ვარ და არასდროს ვამოწმებ, მაქვს თუ არა ავზში საკმარისი საწვავი... რას ვიზამდი? მანქანა შუა გზაზე დავტოვე და აეროპორტამდე როგორღაც მიველწიე. რეზინო რომ დამინახა, გაუხარდა — რა კარგია, მანქანით რომ ხარ, ვერ წარმოძღვინა, აქედან როგორ წამოვიდოდიო... ვუთხარი, რაც დამემართა. ტაქსით მივედით უახლოეს ავტოგასამართ სადგურამდე, ვიყიდეთ საწვავი, მივედით იქ, სადაც მანქანა დავტოვე და ასე წვალეებით მიველწიეთ სახლამდე.

— რეზინო რას გეუბნებათ — კარგი მძღოლი ხარო?

— კაცურად მართავო, — მეუბნება, მაგრამ როგორც უკვე გითხარი, სისწრაფის გამო ხშირად მაძლევს შენიშვნას.

— სახიფათო სიტუაციებში არ იბნევი?


— სხვათა შორის, რეზინო უფრო იბნევა, ვიდრე — მე. ერთხელ მოლიპულ გზაზე მოვსრიალდით და რაღაც სასწაულმა გადაგვარჩინა ხრამში ჩავარდნას. რეზინო სამი თვე საჭესთან ვეღარ ჯდებოდა... ძალიან დაიბნა და სიმწრისგან მანდარინი, რომელიც იმ დროს ხელში ეჭირა, დაწუ-

ვუთხარი, რაც დამემართა და გაქსით მივედით უახლოეს ავტოგასამართ სადგურამდე

რა; რომ შევხედე, სულ ყვითელი წვენი ჰქონდა ტანსაცმელი მოსვრილი.

— ვიცი, რომ მოძრაობის წესებს ხშირად არღვევთ. პოლიციელებთან ურთიერთობას როგორ აგვარებთ?

— ზოგჯერ — ღიმილით... თუმცა ზოგჯერ, ღიმილიც არ ჭრის და მაშინ ვუუბნებ მათ — კი, ბატონო, აბა, ჩემი მართვის მოწმობა და მანქანაც წაიყვანეთ-მეთქი... მერე რეზინო მიდის და მანქანა უკან მოჰყავს. ერთ კურიოზულ შემთხვევას გავიხსენებ. ჭავჭავაძეზე გიჟივით მივექროდი. ერთი მანქანა ამდევდა — გადამისწრო და გზა გადამიჭრა, იტულებული ვიყავი გაჭერე-ბულიყავი. მძღოლი გადმოვიდა და ჩემკენ გამოემართა. აზრზე არ ვიყავი, ვინ იყო. ჩემმა დამ მთხვავა — ოღონდ, ახლა ამ კაცს არაფერი უთხრა და მერე გეტყვი, ვინც არისო. — ვინა ხარ, ასეთი სისწრაფით და დარღვევებით რომ დადიხარო? — მკითხა უცნობმა. — შენ თვითონ ვინ ხარ-მეთქი? — კითხვა შეუუბრუნე. ვინ ვარ და, თემური ვარ მღებრიშვილი, მანქანაში კი, სოსო ალავიძე (მაშინ თბილისის პოლიციის უფროსი იყო) ზის და სწორედ მისი ბრძანებით უნდა ჩამოვართვა მართვის მოწმობაო. ენა ჩამივარდა; მართვის მოწმობა, რა თქმა უნდა, მივეცი, წინააღმდეგობა აღარ გამოწვევია. მერე ისევ რეზინოს მოუხდა ამ საქმის მოგვარება...



გაერითიანება	აშნ. წოდებ. ფრანგ.	მსახიობი ... ბერიმორი	გამის ნოტი	იოგების ალგილი ყელში	მიმართვა ქალისადმი გერმანიაში	დათვის ნაშეირი	ნუსხა	თევზის ძვალი	მცენარეული ცხიმი
მინარე	გომი	ცოლის დედა	მამალი ცხენი	იალქანი	ყურე	გბა	ავტონომიური რესპუბლიკა	საქართველოს	შემადგენლობაში
იგალ-იაში	...	ჯანსი				თბილისში			

„ძველი ალექსის“ მიხედვით, სინას მთაზე ასულ მოსე წინასწარმეტყველს ღმერთი აძლევს კანონებს ანუ სჯულს და ავალებს მოძრავი ტაძრის აგებას. გარდა ტაძრის აგებისა, ავალებს: „აიყვანე შენთან შენი ძმა არონი და მისი ძენი მასთან ერთად, რომ ის იყოს ჩემს მღვდლად“... (გამოს. 28, 1). ღმერთის ბრძანების თანახმად, არონი უნდა აერჩიათ მღვდელმთავრად, მისი ძენი კი მღვდლებად, მათ უნდა აღესრულებინათ ღვთისმსახურება და მღვდელმოქმედებაც. ღმერთმა მოსეს ისიც აუწყა, თუ როგორი შესამოსელით უნდა შემოსილიყვნენ მღვდელმსახურები ღვთისმსახურების დროს — ე.ი. ღვთისმსახურები „ძველი ალექსის“ დროსაც არსებობდნენ. „ახალი ალექსის“ მიხედვით კი, მღვდლობა დაწესდა, როგორც საიდუმლო, რომელიც მოციქულთა დროიდან მომდინარეობს...



ლოესობა“. მღვდელმსახურთა იერარქიაში, ეპისკოპოსის შემდეგ, მოდიან მღვდლები. მღვდლებს უფლება აქვთ, შეასრულონ ყველა საეკლესიო საიდუმლო, გარდა მღვდლობის საიდუმლოსი. ამასთანავე, მღვდლები ვერ აკურთხებენ მირონს და ოდიკს. ყველა მღვდელი თანასწორია, მაგრამ ღირსებისა და მსახურების მიხედვით შეიძლება, მათი წოდება განსხვავდებოდეს. სამღვდლოებაში არის იერარქიული უფროს-უმცროსობა. უპირატესია ის მღვდელი, რომლის ხელდასხმაც უფრო ადრე მოხდა...

თავდაპირველად, მღვდელი ატარებს ვერცხლის ჯვარს და იწოდება პატიოსან მამად. მღვდელი, რომელსაც ენიჭება ოქროს ჯვრის ტარების უფლება, იწოდება ღირს მამად. ღირსი მამა, რომელიც ჯილდოვდება გამშვენებული ჯვრით, იწოდება მაღალღირს მამად. მაღალღირს მამას ეწოდება დეკანოზი. ასევე არსებობს სამღვდლო წოდება — პროსვიტერი, რაც პირველ მღვდელს ნიშნავს.

რა უნდა გიცოდეთ სამღვდლო ხარისხსა და სამღვდლო შესამოსელთან დაკავშირებით

შორენა მერკვილაძე

„ძველი ალექსის სამღვდლო ხარისხები: მღვდელმთავარი; მღვდელი და ლევიტელი. მღვდელმთავარს უფლება ჰქონდა, შესულიყო მოძრავი ტაძრის „წმიდათაწმიდაში“, სადაც აღასრულებდა ღვთისმსახურებას. მღვდელმთავარი მოვალე იყო, ხალხისთვის ეუწყებინა ღმერთის ნება და გაეწვია შუამდგომლობა ღმერთსა და ადამიანს შორის. ამასთანავე, მღვდელმთავარი აღასრულებდა მსხვერპლშეწირვას და ზრუნავდა ადამიანთა რწმენის სიმტკიცეზე. მღვდლებს უფლება ჰქონდათ, შესულიყვნენ ტაძრის „წმიდაში“ და იქ შეესრულებინათ ღვთისმსახურება: მათ უნდა ეკმიათ გუნდრუკი „წმიდაში“, ყოველდღე აენითოთ სანთელი; ყოველ შაბათს გამოეცვალათ დასაგებული პურები და ხალხისთვის ღმერთის სჯული ესწავლებინათ. რაც შეეხება ლევიტელებს — ისინი შეადგენდნენ იერარქიის დაბალ ხარისხს. ლევიტელები მსახურებდნენ მოძრავი ტაძრის ეზოში, როგორც მღვდელთა თანაშემწენი — მათ დავალებული ჰქონდათ ტაძრის სტოას (ეზოს) დასუფთავება, წყლის მოტანა, შემის დაჭრა და მოგზაურობის დროს სჯულის კილობნისა და მისი ჭურჭლის გადატანა. „ახალი ალექსის“ ეკლესიაში არსე-

ბობს მღვდლობის სამი ხარისხი: ეპისკოპოსის, მღვდლის და დიაკვნის. ეპისკოპოსი ეკლესიაში წარმოადგენს უმაღლეს ხარისხს იგი სათავეში უდგას ამა თუ იმ ეპარქიას და წარმართავს ეპარქიის საეკლესიო მმართველობას. ეპისკოპოსი აღასრულებს ეკლესიაში დადგენილ ყველა საიდუმლოს და წესს. ყველა ეპისკოპოსი თანასწორია, მაგრამ თანასწორთა შორის არსებობს იერარქიული უპირატესობა. იერარქიულად ყველაზე აღმატებულ ეპისკოპოსს ეწოდება კათოლიკოს-პატრიარქი. ის არის წინამძღვარი სამოციქულო ეკლესიისა. ეპისკოპოსთა შორის უპირატესია ის, რომლის ეპისკოპოსად ხელდასხმაც ყველაზე ადრე მოხდა. მოხსენიების დროს ეპისკოპოსთა ჩამოთვლაც სწორედ ამ პრინციპით ხდება. ეპისკოპოსთა შორის ასევე არსებობს გარკვეული დაყოფა. დამსახურებულ და ღვაწლმოსილ ეპისკოპოსს ეწოდება მთავარეპისკოპოსი, ხოლო დამსახურებულ და ღვაწლმოსილ მთავარეპისკოპოსს ანიჭებენ მიტროპოლიტის წოდებას.

კათოლიკოს-პატრიარქისადმი მიმართვის ფორმა — „თქვენო უწმინდესობა და უნეტარესობა“; მიტროპოლიტისა და მთავარეპისკოპოსისადმი — „თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობა“; ეპისკოპოსისადმი — „თქვენო ყოვლადუსამღვდე-

სამღვდლოების უდაბლეს ხარისხს წარმოადგენს დიაკანი. დიაკანი ეხმარება მღვდელს სამღვდლო ქმედებების შესრულების დროს. თუ ტაძარში დიაკანი არ მსახურობს, მის ფუნქციას მღვდელი ასრულებს. დიაკანთა შორის ყველაზე უპირატესს ეწოდება პროტოდიაკანი.

სამღვდლოება პირობითად იყოფა ორ ნაწილად — შავ და თეთრ სამღვდლოებად. შავ სამღვდლოებას წარმოადგენენ პირები, რომლებიც ბერებად არიან აღკვეცილები და ამავე დროს, ატარებენ სამღვდელმსახურ წოდებას. თეთრი სამღვდლოების წარმომადგენლები არიან ისინი, რომლებიც იმყოფებიან ქორწინებაში.

ბერს, რომელიც მღვდლის ხარისხში აჰყავთ, ეწოდება მღვდელმონაზონი. მონასტრის წინამძღვრად დადგინების დროს, მღვდელმონაზონს ენიჭება ილუმენის ან არქიმანდრიტის წოდება, ხოლო ბერს, რომელიც აჰყავთ დიაკვნის ხარისხში, ეწოდება ბერდიაკანი. უფროს ბერდიაკვანს — არქიდიაკვანი.

სამღვდლო შესამოსელი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სინას მთაზე სჯულის მისაღებად ასულ მოსეს, ღმერთი აძლევს მითითებას — თუ ვინ უნდა იყვნენ არჩეულნი ღვთისმსახურებად. ამასთანავე ღმერთი მოსეს აძლევს მინიშ-

ნებას იმაზე, თუ როგორი შესამოსელი უნდა სცმოდათ მღვდლებს ღვთისმსახურების დროს. მოსე წინასწარმეტყველმა აღასრულა ყოველივე, რაც ღმერთის მიერ ჰქონდა ნაბრძანები: აკურთხა არონი და მისი ძენი ღვთისმსახურებად და განბანა ისინი ნიშნად იმ სისუფთავისა და სიწმინდისა, რომელიც მოეთხოვებოდათ მათ, როგორც ღვთისმსახურთ. განბანვის შემდეგ, მოსემ სამღვდლო შესამოსლით შემოსა ჯერ არონი, შემდეგ კი მისი ძენი...

„ძველი აღთქმის“ დროს, იმოსებოდნენ შემდეგი შესამოსლით: საწვივე სელისა; გრძელი სამოსელი; სარტყელი; ფარშამანგი; შესასხმელი ფერხთა ანუ ხამლევი; სამხრე; საკითხავი სასჯელისა.

საწვივე სელისა — ფარავდა ღვთისმსახურის სიტიტვლეს მუხლისთავებამდე; ეს შესამოსელი ნიშნავდა განსაკუთრებულ მორცხვობას და მოკრძალებას, რომლითაც უნდა ყოფილიყო შემკული ღვთისმსახური.

გრძელი სამოსელი ანუ კვართი — იყო თეთრი, ვიწრო შესამოსელი, კაბის მსგავსი.

ფარშამანგი — ეწოდებოდა თავსახვევს, რომელიც ეკეთათ ღვთისმსახურთ.

შესასხმელი ფერხთა ანუ ხამლები — იყო ცისფერი შესამოსელი, რომელსაც ბოლოში მიმაგრებული ჰქონდა ოქროს ეფენები, ის გამოსცემდა ხმას და თავისი ხმით ატყობინებდა ადამიანებს მღვდელმთავრის მოძრაობას ლოცვის ჟამს.

სამხრე — მოქოვილი იყო მოლურჯო ფერის მატყლისაგან. იგი ფარავდა გულმკერდს. სამხრე გატარებული იყო ილღიების ქვეშით და ბეჭებზე მიმაგრებული იყო ოქროს ღილებით, რომელშიც ჩასმული იყო ექვს-ექვსი ძვირფასი ქვა, მათზე ამოჭრილი ისრაელის თორმეტი ტომის სახელით.

საკითხავი სასჯელისა — იყო 12 ძვირფასი ქვით შემკული ძვირფასი ქსოვილი. საკითხავი სასჯელისა, მღვდელმთავარს ეკიდა გულზე, რომელზეც ეწერა სიტყვები — „საცხადი“ და „ჭეშმარიტება“. ეს სიტყვები აღნიშნავდა იმ განცხადების სიცხადეს და ჭეშმარიტებას, რომელსაც სამხრეთი და სასჯელის საკითხავით შემოსილი ღვთისმსახური ღებულბდა.

მღვდელმთავრის თავსახვევს წინა მხრიდან მიმაგრებული ჰქონდა ოქროს ფირფიტა, რომელზეც ეწერა — „სიწმინდე უფლისა“; მღვდელმთავრის სამოსელი აღნიშნავდა მის ღილებას და უმაღლეს ღირსებას.

P.S. „ახალი აღთქმის“ სამღვდლო შესამოსლის შესახებ „გზის“ მომდევნო ნომერში მოგიხრობთ.

ალექსანდრე ბატონიშვილი — 100 კასრ ოქროდ შეფასებული უფლისწული

დახანვისი იხ. „გზა“, №5
ნათია უსუბური

რუსეთის იმპერატორის მიერ გაგზავნილი ალექსანდრე ბატონიშვილი პოლანდიაში ყოფნის დროს გაეცნო და დაუახლოვდა ცნობილ პოლანდიელ მეცნიერს, ამსტერდამის ბურგომისტრ ნიკოლოზ ვიტსენს. ეს უკანასკნელი დიდი პატივისცემით განიმსჯვალა ქართველი უფლისწულისადმი. შემდგომში, ის რამდენჯერმე მოსკოვშიც ესტუმრა ალექსანდრე ბატონიშვილს.

ვლადიმერ ტატიშვილის გადმოცემით — „ვიტსენი ვერ შერიგებოდა იმას, რომ პრინცი, რომელსაც, როგორც უფროსს გვარში, დიდი სამეფოს ტახტი უნდა გადასცემოდა. აქ — პოლანდიაში, რუსი მეფის საამებლად და მისი მონარქიის სასარგებლოდ მდაბიურ ხელობას სწავლობდა“...

ქართველი ბატონიშვილის უანგარო მეგობრობას პეტრე პირველიც სიყვარულითა და პატივისცემით პასუხობდა. მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილის მოსკოვში ჩასვლის უმთავრესი მიზანი კვლავ განუხორციელებელი რჩებოდა. პიროვნული მეგობრობა პოლიტიკურ ინტერესს ვერ აღუდგებოდა...

შორეულ ჩრდილოეთში დიდი იმპერიის ქვეშევრდომობაში მყოფი ბატონიშვილი, რომელსაც სრული უფლება ჰქონდა, სამეფო რეგალიები ეტარებინა, ქართული სულის ამბოხის „ჩასაჩუქმბლად“ თუ სამშობლოს ნოსტალგიის ოდნავ მაინც გასაქარწყლებლად, ევროპაში ყოფნის დროსაც კი, „მეცადინეობისა და მძიმე ფიზიკური შრომისაგან თავისუფალ საათებში დადიოდა ქართულ ტანსაცმელში, რომელსაც იგი, როგორც ამას პოლანდიელები აღნიშნავდნენ, აღმოსავლური ბრწყინვალეობით ატარებდა“.

ალექსანდრე ბატონიშვილი გახლდათ პირველი ქართველი, რომელიც ევროპაში სხვადასხვა მეცნიერებას ეუფლებოდა. პოლანდიაში ის ხვდებოდა მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო წრეების წარმომადგენლებს, ეცნობოდა წიგნის ბეჭდვისა და წიგნით ვაჭრობის საქმეს. ბატონიშვილი ოცნებობდა იმ დროზე, როდესაც ქართველებს საშუალება ექნებოდათ, ოჯახში ჰქონოდათ



„ვეფხისტყაოსნისა“ და „ბიბლიის“ ნაბეჭდი ტექსტები. მან სცადა კიდევ ოცნების რეალობად გადაქცევა. არჩილ მეფემ და მისმა უფროსმა ძემ ამსტერდამში ქართული შრიფტი შეუკვეთეს. 1687 წელს, ის უკვე მზად ყოფილა. მაგრამ როცა არჩილ მეფე, ბატონიშვილების თანხლებით, 1689 წელს საქართველოში დაბრუნდა, ამ შრიფტმა, მის დასამზადებლად საჭირო გასამრჯელოს გადაუხდებლობის გამო, მოსკოვამდეც ვერ მიაღწია...

პოლიტიკური ასპარეზიდან არჩილ მეორის ჩამოშორებისა და რუსეთის სატახტო ქალაქში საბოლოოდ დამკვიდრების (1699 წ.) შემდეგ, მამა-შვილმა განაახლა ქართული შრიფტის შექმნაზე ზრუნვა. 1705 წელს ქართულად გამოცემული „დავითნის“ თავფურცელი გვამცნობს, რომ ეს წიგნი იმერეთის მეფე არჩილისა და მისი ძის ალექსანდრე ბატონიშვილის ძალისხმევით დაიბეჭდა მოსკოვში.

ალექსანდრე ბატონიშვილის მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე მოთ აღნიშნული საქმიანობით არ შემოფარგლულა. პეტრე პირველის გენერალ-ფელდცეიხმეისტერის (არტილერიის მეთაურის) მუდმივ საზრუნავს, მშობელი ერის თავდაცვისუნარიანობა წარმოადგენდა. მან რუსულიდან ქარ-

თულ ენაზე თარგმნა საარტილერიო წიგნი, რომელშიც მოცემულია პრაქტიკული რჩევები.

ალექსანდრე არჩილის ძე ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა კიდევ უფრო გაემდიდრებინა ქართველი ერის ლიტერატურული საგანძური. მან რუსულიდან ქართულად თარგმნა „სადიდებლნი გალობანი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტენი“, „სიტყუაი დღესა ყოვლად წმიდისა ტაძრად მიყვანებისასა“, „მეფედ კურთხევის წესი“ და მრავალი სხვა.

ქართველი ბატონიშვილის ლიტერატურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა უეცრად ტრაგიკულად შეაჩერა: დაიწყო რუსეთ-შვედეთის ომი, რომელშიც რუსეთი ბალტიის ზღვაზე გასასვლელის დაუფლებას ისახავდა მიზნად. 1700 წლის გაზაფხულზე, რუსეთის ჯარები შვედებს ციხესიმაგრე ნარვასთან შეხვდნენ. ომის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე (1700 წ. მაისი), უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა რუსეთის არტილერიის გენერალ-ფელდცეიხმეისტერად დანიშნული ალექსანდრე ბატონიშვილი: უვარგისი იყო მის განკარგულებაში არსებული, არა მარტო ასი წლის წინ ჩამოსხმული ქვემეხები, არამედ ცოტა ხნის წინ დამზადებული ზარბაზნებიც. მოსკოვის სამხედრო ძალა აშკარად ჩამორჩებოდა მოწინააღმდეგისას. ყოველივე ამას ზედ დაერთო დალატიც: რუსეთის სარდლობა, რომელიც უმეტესად უცხოელებისაგან შედგებოდა, შვედების სასარგებლოდ მოქმედებდა. ნარვის ბრძოლა რუსეთის კაპიტულაციით დასრულდა. დამარცხებულმა მხარემ კარლოს მეთორმეტეს მშვიდობიანი უკან დახევის პირობა სთხოვა, რაზეც შვედეთის მეფე დათანხმდა. 1700 წლის 20 ნოემბერს დილით, დაიწყო კიდევ ეს პროცესი, მაგრამ უკან დახევა თავისუფალი და მშვიდობიანი არ აღმოჩნდა. რუსეთის ჯარის ნაწილები გაძარცვული იქნა. შვედები ამითიც არ დაკმაყოფილდნენ, მდინარეზე გადასვლისას, თავს დაესხნენ მათ და რუსეთის არმიის მაღალჩინოსანნი ჯარისკაცებს ჩამოაშორეს. შემდეგ კი, ხაფანგში მომწყვდულ რუს გენერლებსა და ოფიცრებს იარაღი დააყრევინეს. კარლოს მეთორმეტემ ხელში ჩაიგდო პეტრე პირველის 80-მდე სამხედრო მოხელე. მათ შორის იყო ალექსანდრე ბაგრატიონიც.

ისტორიკოსი მიხეილ გონიკიშვილი ასე აღწერს შვედების ტყვეობაში ალექსანდრე ბატონიშვილის ყოფნის პირველ დღეს: „ალექსანდრე იმერეწინსკიმ ტყვეობის პირველი დღე გაუთ-

ბობულ, ცივ ოთახში, შიმშილში გაატარა. მას როგორც გენერალს, საყარაულოდ ოფიცერი დაუნიშნეს, ორი შვედი ჯარისკაცი. ჩამოართვეს ყველაფერი, რაც კი თან ჰქონდა. მკაცრად უთვალთვალდნენ, რომ არავითარ შემთხვევაში წერის საშუალება არ ჰქონოდა“.

1701 წლის დასაწყისში, ალექსანდრე არჩილის ძე ნარვიდან სტოკჰოლმში გადაიყვანეს. იქ მას ფრიად დამამცირებელი განაჩენი ელოდა: კარლოს მეთორმეტის ბრძანებით, მოეწო შევდებისთვის ტრიუმფალური, რუს ტყვეთა მსვლელობა, რომელშიც პეტრე პირველის მეგობარი, პოლონეთის ელჩის – გენერალ-მაიორ ლანგეს გვერდით მიაბიჯებდა მწკრივის თავში.

ამ ამბავმა პეტრე I ძლიერ განარისხა. მან კარლოს მეთორმეტეს სამაგიერო მიუზღო. რუსეთის იმპერატორმა შვედ ტყვეებს შვედეთის ელჩის მეთაურობით მოსკოვის ქუჩები შემოარბენინა...

1702 წელს დაიწყო მოლაპარაკება რუსეთსა და შვედეთს შორის. საქმე ეხებოდა ტყვეთა გაცვლის პირობების დადგენას. სტოკჰოლმში საიმპერატორო კარის მიერ გაგზავნილმა რუსეთის წარმომადგენელმა დამაფიქრებელი ცნობა ჩაიტანა მოსკოვში: კარლოს XII ალექსანდრე ბატონიშვილის გასათავისუფლებლად 100 კასრი ოქროს გადახდას მოითხოვდა. სხვა ტყვეთა გაცვლა სამხედრო წოდებრივი თანასწორობის საფუძველზე უნდა მომხდარიყო.

ტყვეობის აუტანელმა პირობებმა სერიოზული დაღი დაასვა უფლისწულის ჯანმრთელობას, რის შესახებაც თავად წერდა თეოდორე ალექსის ძე გოლოვინისადმი 1703 წელს გაგზავნილ წერილში:

„...დიდება უფალს, ჯერ ცვოცხლობ, თუმცა ძლიერ ავად ვარ, ამიტომ მთელი გულით გთხოვთ, ჩემო ხელმწიფე, გამომიგზავნეთ ვინმე მღვდელი მაღლიანი, რომ ქრისტიანული წესით სიკვდილის ღირსი გავხდე“.

ამგვარი უნუგეშო ცნობის მიუხედავად, ტყვეთა გაცვლის საქმე ჭიანჭურდებოდა. შვედები ალექსანდრე ბატონიშვილის სხვა ტყვეზე ჩვეულებრივი წესით გაცვლაზე არ თანხმდებოდნენ. პეტრე პირველს კი, ქართველი მეგობრის გათავისუფლების საფასურად 100 კასრი ოქროს გადახდა უმძიმდა.

არჩილ მეფის სასოწარკვეთილ თხოვნაზე, რაიმე ელონათ მისი ვაჟის გადასარჩენად, გვირგვინოსანმა უპასუხა, რომ რუსეთის იმპერატორი ერთპიროვნულად, ალექსანდრესთან შეთ-

ანხმების გარეშე, გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. როგორც ჩანს, პეტრე დიდს ქართველი მეგობრის ვაჟაკური ბუნებისა და უანგარო ხასიათის იმედი ჰქონდა.

ამონარიდი ალექსანდრე ბაგრატიონის პეტრე დიდისადმი გაგზავნილი წერილიდან (1710 წ.):

„არც მითქვამს და გონებაშიც არ გამივლია, რომ სახელმწიფოსათვის რაიმე ზიანი მიმეყენებინა, არა მარტო ჩემი მიზნით, არამედ სხვათა, ათასჯერ უკეთესნიც რომ ყოფილიყვნენ. ჩვენ მხოლოდ იმისთვის ვართ მოწოდებულნი: მოვითმინოთ და დავიხოცნეთ ხელმწიფისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის“.

ჩრდილოეთის ომში რუსეთის მიერ მიღწეულ წარმატებას ლოგიკურად, ტყვეთა გაცვლის საკითხის მოგვარება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. საშველი არსაიდან ჩანდა.

1711 წელს ტყვეებმა ხელში ჩაიგდეს შვედეთის ერთ-ერთი ზომალდი, მთელი ეკიპაჟით, და გაქცევით უშველეს თავს. მათ შორის იყო ქართველი ბატონიშვილიც. მას თან ახლდა სულიერი მოძღვარი, იმერელი მღვდელი (მისი ვინაობა უცნობია).

ზომალდი, რომელსაც შვედების პატიმრობიდან გაქცეული ადამიანები მიჰყავდა, 1711 წლის 19 ივნისს მიაღვარეველს (თანამედროვე ტალინს). ისტორიკოს ვლადიმერ ტატიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „თავჩაქინდრული გადმოვიდა ქართველი მღვდელი ნაპირზე, იგი არ იზიარებდა საერთო სიხარულს და აღტაცებას, რომელსაც ტყვეობიდან თავდახსნილი ადამიანები შეეპყრო. ხანგრძლივი პატიმრობით დაუძლურებულმა და დაავადყოფებულმა უფლისწულმა ალექსანდრემ სამუდამოდ მის ხელზე განუტევა სული, კუნძულ პიტეოსზე (ბოტნიის სრუტეში. – ავტ.) 1711 წლის ოც თებერვალს, დილის 8 საათსა და 15 წუთზე“.

კარლოს XII, ბატონიშვილის ნეშტის მოსკოვში გადაგზავნას არ ჩქარობდა. ის დიდხანს ევაჭრებოდა პეტრე პირველს: რაკი ცოცხალ ალექსანდრე ბატონიშვილში ვერაფერი მიიღო, ლამობდა, ნეშტი მანც გაეყიდა სარფიანად.

ბოლოს, პეტრე პირველმა მაინც აიძულა შვედები, გამოეგზავნათ ალექსანდრე ბატონიშვილის ნეშტი. ის მოსკოვში, დონის მონასტერში დაკრძალეს.

ასე შეეწირა ქართველი ბატონიშვილი იმ ომს, რომელსაც მისი სამშობლოსთვის არაფერი მოუტანია. ■



იგალ ამირი



ლარისა ტრიმბოლნერი

ისრაელის პრემიერ-მინისტრის იცხაკ რაბინის მკვლელს იგალ ამირს სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი. ცოტა ხნის წინ, ქვეყანა მოიცვა დაფა-კამათმა მის შესაძლო დაოჯახებასთან დაკავშირებით. 34 წლის ფანატიკოსის ცოლობას, რუსეთიდან იმიგრირებული ლარისა ტრიმბოლნერი აპირებს.

პრემიერ-მინისტრ რაბინის მკვლელს დაქორწინებას აყრდნობენ

ბუნებრივია, ისმება კითხვა: რა უფლება აქვს სახელმწიფოს, ჩაერიოს ადამიანის, თუნდაც სამუდამო პატიმრობამისჯილის პირად ცხოვრებაში? თურმე იგალ ამირისთვის შეიძლება გამონაკლისი დაუშვან – ქნესეტის (ისრაელის პარლამენტის) დეპუტატები სპეციალური კანონის შემოღებასაც კი აპირებენ, რომელიც პირადად ამირს აუკრძალავს დაქორწინებას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ორი წლის წინ, ასევე საგანგებოდ მისთვის ქნესეტმა მიიღო საგანგებო კანონი, რომელიც გამორიცხავს ოდესმე, იგალ ამირის შეწყალებას ან ვადაძლეულ გათავისუფლებას.

პრემიერ-მინისტრის მკვლელის შესაძლო დაოჯახების ცნობის გავრცელებისთანავე, რამდენიმე დეპუტატმა აღშფოთება ვერ დაფარა. „დაუშვებელია, რომ ამ სისხლიან კაცს ცოლის შერთვის საშუალება მიეცეს, – თქვა „ლიკუდის“ პარტიის წარმომადგენელმა დანიელ ბენლულუმ. – რაკი ჩვენს ქვეყანაში გაუქმებულია სიკვდილით დასჯა, ერთადერთი უფლება, რომელიც შეიძლება მას დაუტოვოთ, ეს სიცოცხლის უფლებაა!“ ასეთივე რეაქცია ჰქონდათ სხვა პარტიების წარმომადგენელ დეპუტატებსაც.

ისრაელის ციხეების სამმართველოს

უფროსმა იაკობ განოტმა განაცხადა, რომ პატიმრის თხოვნა არ დაკმაყოფილდება. თუმცა, მან ეჭვი გამოთქვა, რომ იგალმა და ლარისამ შეიძლება, თავიანთი უფლების დასაცავად, სასამართლოს მიმართონ. ეს ბუნებრივია, რადგან ქორწინების აკრძალვის არანაირი იურიდიული საფუძველი არ არსებობს. სწორედ ამიტომ ალაპარაკდნენ საგანგებო კანონის მიღების შესახებ და ერთადერთი არგუმენტი, რომელიც ციხეების სამმართველოს შეუძლია მოიშველიოს, ეს უსაფრთხოების საკითხია: საქმე ის გახლავთ, რომ იგალ ამირი დღე-ღამის მანძილზე, ვიდეოკამერების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. როგორც კი სასამართლო დააკმაყოფილებს ამირის თხოვნას – „საქორწინო ურთიერთობების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ“ – ციხის ადმინისტრაციას კამერების გამოთვა მოუწევს, რადგან ეს უკვე პირად ცხოვრებაზე ადამიანის უფლების ხელყოფის ტოლფასი იქნება.

ხელისუფლება იმის გამოცაა შეწუხებული, რომ დაოჯახება საგრძნობლად შეუშლავს პატიმარს სარეჟიმო ყოფას. თუ ცოლ-ქმარს შვილი გაუჩნდება, ამირს უკვე მასთან სისტემატური ურთიერთობის უფლებაც მიეცემა. ასევე

შესაძლებელია, რომ პატიმარმა ცოლთან შეხვედრებიც ბოროტად გამოიყენოს. სასჯელალსრულების სისტემის ყოფილი მაღალჩინოსანი ამბობს, რომ თხოვნა დაქორწინების შესახებ, „მხოლოდ დასაწყისია. გავა მცირე ხანი და ერთხელაც, ქვეყანას მოვევლინება პრეზიდენტი, რომელიც ამ ნაძირალის შეწყალებასაც გადაწყვეტს“.

ბუნებრივია, ისრაელში საყოველთაო ყურადღება მიიპყრო იგალ ამირის რჩეულმა. ლარისა ტრიმბოლნერი ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი და 4 შვილის დედაა. ის რამდენიმე წლის წინ, ქმარ-შვილთან ერთად რუსეთიდან ჩავიდა ისრაელში. ვარაუდობენ, რომ იგალმა და ლარისამ წლების წინ, მოსკოვში გაიცნეს ერთმანეთი – მაშინ ამირი ერთ-ერთმა იქაურმა ებრაულმა ორგანიზაციამ მიიწვია. ლარისა და მისი ქმარი ბენიამინ ვინიკოვი დაახლოებით ერთი წლის წინ დაეკონტაქტნენ პატიმარს. თავიდან ისინი წერილებს წერდნენ და ტელეფონით ელაპარაკებოდნენ ხოლმე ერთმანეთს, გარკვეული ხნის შემდეგ კი, ლარისამ უშიშროების გენერალური სამსახურისაგან მიიღო უფლება, შეხვედროდა მას. შემდეგ ცოლ-ქმარი გაიყარა, თუმცა, ლარისა ირწმუნება, რომ „ეს სრულებით არ უკავშირდება ამირთან მის შეხვედრებს“.

დაბოლოს, იმის შესახებ, თუ რა საერთო აქვთ ფანატიკოს მკვლელსა და ფილოსოფიის დოქტორს ერთმანეთთან. ადგილობრივი პრესის თვალსაზრისით, საქმე გვაქვს ულტრაორთოდოქსი იუდეველი ქალის ალიანსთან ულტრამემარჯვენე ექსტრემისტთან, რომელმაც იდეოლოგიური მოტივით მოკლა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი: ორივე მათგანი პალესტინელებთან ყოველგვარი სამშვიდობო მოლაპარაკების წინააღმდეგია. ლარისა ირწმუნება – შეხვედრების დროს, ისინი მხოლოდ პოლიტიკაზე საუბრობენ.

მათ სურთ, ებრაული პასექის წინ – აპრილის დასაწყისში შეუღლდნენ, მაგრამ სავარაუდოა, რომ ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩება. ამას არა მარტო ხელისუფლება, არამედ რაბინატიც ეწინააღმდეგება, რომლის წარმომადგენელმაც აღნიშნა: რელიგიური კანონების მიხედვით, საპატარძლო ჯერ კიდევ გათხოვილად ითვლება: ის დღემდე, ქმარყოფილთან ერთ სახლში ცხოვრობს და თუმცა ტრიმბოლნერი ამტკიცებს, რომ ვინიკოვს იზოლირებული ოთახი და ცალკე შესასვლელი აქვს, იუდაიზმის წესების თანახმად, მათი განქორწინება ფიქციად რჩება...

„რეალში“ დასაბრუნება ფერნანდო ალბილი „მონაკოში“ დაიბრუნდა



ფერნანდო მორიენტესი ერთ-ერთი იმ ფეხბურთელთაგანია, რომლებიც ბოლო წლებში მადრიდის „რეალში“ მოჭარბებული უცხოელი სუპერვარსკვლავების ჩრდილში იყვნენ მოქცეულნი. ჯერ კიდევ 4-5 წლის წინ, იგი „სამეფო კლუბის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა გახლდათ და რაულთან ერთად თავდასხმის ჩინებულ ტანდემს ქმნიდა. ახალგაზრდა ესპანელი ფორვარდის მდგომარეობა გუნდში განსაკუთრებით მას შემდეგ გაუარესდა, რაც მადრიდელმა გრანდმა რონალდო შეიძინა. 2002-03 წლების საფეხბურთო სეზონში ფერნანდოს ძირითადად, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა უხდებოდა და მოედანზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოჰყავდათ, როდესაც რაული ან რონალდო ტრავმის გამო ვერ თამაშობდნენ. გასულ ზაფხულს კი, მორიენტესი იჯარის წესით „მონაკოში“ გადავიდა და ცნობილ ფრანგულ კლუბში საკუთარი შესაძლებლობები შესანიშნავად გამოავლინა.

ასალ კლუბში გადასვლის შემდეგ, ფერნანდო მორიენტესს, როგორც იტყვიან, მეორე სუნთქვა გაეხსნა და საფრანგეთის ჩემპიონატსა თუ ჩემპიონთა ლიგაში ჩინებულად ათამაშდა, რაც არც იყო გასაკვირი. ფერნანდო ძალისხმევას არ იშურებდა, რათა „რეალის“ ხელმძღვანელობისთვის დაემტკიცებინა, რომ იგი სუპერვარსკვლავებით გაჭვდილ მადრიდულ „სამეფო ნაკრებშიც“ კი არ იყო ზედმეტი.

27 წლის მორიენტესს ლომის წილი მიუძღვის „მონაკოს“ წარმატებულ ასპარეზობაში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპზე, რომლის შემდეგაც ფრანგებმა ყველაზე პრესტიჟიული საკლუბო ევროტურნირის მერვედფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს. „ფერნანდომ გუნდი სულ სხვა სიმაღლეზე აიყვანა, – მიიჩნევს „მონაკოს“ კაპიტანი ლუდოვიკ ჟიული, – იგი ძალიან ტექნიკურია და თითქმის არასოდეს უშვებს ხელიდან საგოლე მომენტს“.

ესპანელმა თავდამსხმელმა საფრანგეთში მალე დამკვიდრა ადგილი და ის კმაყოფილია, რომ მადრიდულ კლუბში ჩატარებული რამდენიმე უფერული სეზონის შემდეგ, როდესაც მეორე პლანზე იმყოფებოდა, კვლავაც აღმოჩნდა საფეხბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრში. „მონაკოში“ გადმოსვლა ჩემთვის ყოველმხრივ სასარგებლოა. ცოტა განსხვავებული ფეხბურთის თამაშს ვეჩვევი, ახალ პარტნიორებს ვეცნობი, ვსწავლობ ენას. ყველას დიდ მადლობას ვუხდის ასეთი თბილი მიღებისათვის,“ – ამბობს მორიენტესი, რომელიც უკვე დიდი ხანია, რაც ძირითად შემადგენლობაში თამაშზე ოცნე-

ბობდა. ამიტომაც, „მონაკოს“ მთავარი მწვრთნელი, დიდე დეშამი არ შემცდარა, როდესაც ფერნანდო „რეალიდან“ იჯარის წესით გადაიყვანა ფრანგულ კლუბში. „გასული სეზონი ჩემთვის არასახარბიელოდ წარიმართა, მადრიდში ხომ საერთოდ არ მიწვევდა მოედანზე გასვლა, – იხსენებს ესპანელი ფეხბურთელი, – „რეალი“ მხოლოდ იმიტომ დავტოვე, რომ თამაში მსურდა. მიმდინარე სეზონის ბოლოს, ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. კლუბში თამაშის საშუალება რომ არ მომცემოდა, ეროვნულ ნაკრებშიც არავინ მიმიწვევდა. ახლა თავს ჩინებულად ვგრძნობ. „მონაკოში“ მიღწეული წარმატება პორტუგალიისკენ მიმავალ გზას გამისწინის“.

მორიენტესისთვის არცთუ ისე ადვილი შესაგუებელი იყო „მონაკოს“ „სტად-ლუი-დოზემის“ ნახევრად ცარიელი ტრიბუნები – „სანტიავო ბერნაბეუზე“ ხომ ყოველთვის ანშლაგია. ესპანელი ფორვარდისთვის ფრანგი გულშემატკივრების მშვიდი ხასიათიც საკმაოდ უჩვეულოა: „სტადიონზე არც ისე ბევრი მაყურებელი დადის. ნებისმიერი პროფესიონალი ფეხბურთელის ოცნება, ხალხით სავსე ტრიბუნების წინაშე თამაშია, მაგრამ აქ ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება“.

სამაგიეროდ, საკუთრივ „მონაკოში“ მეგობრული ატმოსფერო სუფევს. ესპანელი ლეგიონერის თქმით, ეს დიდი დეშამის დამსახურებაა. „ჩვენთვის დიდი იგივეა, რაც გუნდის რიგითი მოთამაშე“. როდესაც ფერნანდო თავის გუნდს მოედანზე ვერ ეხმარება, იგი მორალურად ამხნევებს თანაკლუბელებს.



როგორც ცნობილია, უფასო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში „მონაკომ“ მორიენტესის გარეშე ანგარიშით 8:3 მოუგო „დეპორტივოს“. სწორედ ამ გამარჯვების წყალობით, ფრანგულმა კლუბმა C ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, რის შემდეგაც, „დეშამი და კომპანია“ მოუთმენლად ელოდნენ კენჭისყრას, რომელსაც ტურნირის მერვედფინალში მათი მეტოქე უნდა გამოეყვლინა. ეს გუნდი მოსკოვის „ლოკომოტივი“ აღმოჩნდა, რამაც ძალიან გაახარა ფერნანდო მორიენტესი: მისი აზრით, სავსებით შესაძლებელი იყო, რომ პლეი-ოფში „მონაკოს“ რომელიმე ევროპული გრანდი დაჰპირისპირებოდა. „ვფიქრობთ, ტურნირის ფავორიტები „რეალი“ და „მილანი“ არიან, – ამბობს იგი, – ალბათ მათთან შეხვედრას არავინ ისურვებდა. რაც უფრო გვიან შეხვედრებით ამ კლუბებს, მით უფრო კარგი იქნება ჩვენთვის“.

ფერნანდო არც იმას მალავს, რომ მიმდინარე საფეხბურთო სეზონის დასრულების შემდეგ, შეიძლება, მადრიდის „რეალს“ დაუბრუნდეს, თუმცა ამჟამად იგი მხოლოდ „მონაკოსა“ და მის მომავალ მატჩებზე ფიქრობს: „ხვალინდელ დღეზე ყურადღების გადატანა არ მსურს. მე პროგრესს განვიცდი. ამჟამად, იჯარის წესით „მონაკოს“ ვეკუთვნი. სეზონი კი, ჯერაც არ დასრულებულა. ამიტომ მინდა, რომ ფრანგულ კლუბში ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვაყვლინო. შემდეგ კი, ვნახოთ, რა იქნება...“

ბესტი ისევ ლოტოგს



როგორც ცნობილია, პრემიერლიგაში მოასპარეზე გუნდები ახალი წლის ღღებშიც გამოდიან მოედანზე. ამიტომ, ინგლისური კლუბების ფეხბურთელები იძულებულნი არიან, სიფხიზლე შეინარჩუნონ და ბახუსის მიღებისას თავდავიწყებას არ მიეცნენ. თუმცა, ექსპანსივტიველ ლოტოგს

იმავს ნამდვილად ვერ ვიტყვით არა, ჯორჯ ბესტზე. როგორც ჩანს, იგი ახალი წლის დადგომის შემდეგ, მთელი თვის განმავლობაში აგრძელებდა ქეიფსა და დროს ტარებას. ამას წინათ კი, ბესტი ინგლისის საგზაო პოლიციამ ავტომობილის არაფეხიზელ მდგომარეობაში მართვისთვის დააკავა. როგორც ცნობილია, ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა, როდესაც ჩრდილოირლანდიური ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას ალკოჰოლური სასმელების ბოროტად მოხმარების გამო პრობლემა შეექმნა სამართალდამცავ სტრუქტურასთან. ერთი წლის წინ, შობის დამე მან ციხეში იმის გამო გაატარა, რომ მთვრალი იყო და ფიზიკური შეხლა-შემოსლის წამომწყები სწორედ ის აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ სპირტიანი სასმელებისადმი ლტოლვით ჯორჯ ბესტი ჯერ კიდევ 17 წლის ასაკში გამოირჩეოდა, როდესაც მან „მანჩესტერ იუნაიტედში“ პირველად გაიბრწყინა... რამდენიმე წლის წინ, ინგლისელმა ფეხბურთელმა ღვიძლის ტრანსპლანტაციის ურთულესი ოპერაცია გაიკეთა და საჯაროდ განაცხადა, რომ ლოტოგს თავს ანებებდა, თუმცა...

ვერონმა ოჯარაცია გაიხათა

„ჩელსის“ არგენტინელმა გამთამაშებელმა, ხუან სებასტიან ვერონმა ხერხემლის ოპერაცია გაიკეთა, რის გამოც სამი თვის მანძილზე ვერ შეძლებს თამაშს. ასე რომ, სამხრეთამერიკელი ვარსკვლავი მონაწილეობას ვერ მიიღებს ევროპის ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ მატჩში, რომელშიც „ჩელსი“ გერმანულ „შტუტგარტს“ ხვდება. 28 წლის ფეხბურთელი მოედანზე ბოლოს, შარშან 9 ნოემბერს გამოვიდა, როდესაც ლონდონელებმა „ნიუკასლი“ ანგარიშით 5:0 გაანადგურეს. ორიოდე კვირის წინ კი, ვერონი 2006 წლის მუნდიალის შესარჩევი ტურნირის მატჩშიც მონაწილეობდა. ამ შეხვედრაში არგენტინელები კოლუმბიის ეროვნულ ნაკრებს ხვდებოდნენ. თამაშის დაწყებამდე „ჩელსის“ პლეიმიკერმა პირველად იგრძნო ტკივილი ხერხემლის არეში.



ჩიანსამ „არსენალის“ საბრანსფერო ჩაიორდი გააუგოგასა

ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელი, ხოსე ანტონიო რეიესი „სევილიიდან“ ლონდონის „არსენალში“ გადავიდა. „მე მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი და ამავე დროს ყველაზე უბედური ადამიანი ვარ, – ამბობს რეიესი, – ესპანეთის საუკეთესო კლუბს ვტოვებ, რათა ინგლისის საუკეთესო კლუბში ვითამაშო“. ესპანეთის ჩემპიონატში რეიესის დებიუტი ჯერ კიდევ მაშინ შედგა, როცა ფეხბურთელი 16 წლის იყო. არაოფიციალური მონაცემებით, ლონდონელებმა მასში 35 მილიონი გირვანქა სტერლინგი (43,8 მილიონი დოლარი) გადაიხადეს, რაც უფრო მეტია, ვიდრე „მანჩესტერიდან“ „რეალში“ ლევილ ბექჰემის გადასასვლელი სატრანსფერო თანხა (31,3 მილიონი დოლარი). ერთი სიტყვით, ანტონიო რეიესი „მეთოფეთა“ ყველაზე ძვირად ღირებულ ფეხბურთელად იქცა. ეს რეკორდი 2000 წლიდან, ფრანგ სილვიენ ვილტორდს ეკუთვნოდა (13 მილიონი გირვანქა სტერლინგი).

რონალდინია ბალანაყვანი გახდა

რონალდოს ყოფილი მეუღლე, მილენე დომინგეში ესპანეთის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ტელეკომპანიის, „ანტენა-3“-ის პროგრამის წამყვანი გახდება. თავად დომინგეში არ მალავს, რომ მისთვის უმთავრესი, ქალთა საფეხბურთო კლუბ „რალი ვალეკანოში“ ასპარეზობაა, თუმცა ბოლო დროს, მას სულ უფრო ხშირად იწვევენ სარეკლამო როლების გადაღებებზე. მიუხედავად ამისა, მილენეს არაერთხელ უთქვამს უარი კომერციული თვალსაზრისით ხელსაყრელ, უხამს სატელევიზიო პროექტებში მონაწილეობაზე, რომელსაც ესპანელები „ტელენგავას“ უწოდებენ. ამჟამად რონალდინია ახალ საცხოვრებელ სახლს ეძებს, თუმცა ჯერჯერობით კვლავ რონალდოსთან ერთად ცხოვრობს, რომლის ცოლიც ფაქტობრივად, უკვე აღარაა. აღსანიშნავია ისიც, რომ კიჭასა და მილენეს ჯერ ოფიციალურად არ გაუფორმებიათ განქორწინება, რაც საკმაოდ დიდ ბიუროკრატიულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. რონალდინიას მადრიდის დატოვება არ სურს, რასაც მისი ყოფილი ქმარიც მიესალმება, რადგან ამ უკანასკნელს ვაჟიშვილის, რონალდოს ნახვის საშუალება ნებისმიერ დროს ეძლევა. ბოლო დროს, მილენე დომინგეში არაერთხელ შეუნიშნავთ ესპანეთის მეორე დივიზიონში მოასპარეზე „ლევანტეს“ ფორვარდ, დავიდ ავანსოსთან ერთად, მაგრამ რონალდინია აცხადებს, რომ მასთან მხოლოდ მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს.





ტრადიციული ყოველწლიური ავტოსალონი, რომელიც ინვარში აშშ-ის ქალაქ დეტროიტში ეწყობა, წლუელსაც უპირველესად, კორპორაცია „დაიმლერ კრასლერის“ მიერ წარმოდგენილი ახალი მოდელებით დაამახსოვრდება დამთვალიერებელს. 22 პრემიერიდან, რომელიც იქ შედგა, 11 დებიუტი ექსპერიმენტს – ე.წ. კონცეპტ-კარს წარმოადგენს, მათ შორის ყველაზე დიდ სენსაციად კი, ექსპერტებს Mercedes Vision Grand Sport Tourer (GST) მიაჩნიათ. წარმომადგენლობითი ჰეჩბეკი, რომლის სერიულ წარმოებას ფირმა ერთ წელიწადში

Mercedes-ის ახალი იდეები

გეგმავს, 6-ადგილიანი, სრულამძრავიანი ავტომობილია; მის სალონში ორ-ორადგილიანი 3 სავარძელია. მანქანის სიგრძე 5,12 მ-ს აღწევს. მეორე და მესამე სავარძლების მოხსნის შემთხვევაში, სალონში 2030 ლ მოცულობის, ვრცელი სატვირთო დანაყოფი იქნება.

კონსტრუქტორთა უმთავრეს საზრუნავს, მგზავრებისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნა წარმოადგენდა: მაგალითად, მეორე და მესამე რიგში მსხლომთ საშუალება ექნებათ, ინდივიდუალური DVD და CD-პლეიერებით ისარგებლონ.

მაგრამ GST-ის მთავარ ხიბლს ჰიბრიდული ამძრავი – დიზელის ძრავასა და ელექტროძრავას კომბინაცია წარმოადგენს. 8-ცილინდრიანი დიზელის ავრეგატის სიმძლავრე 250 ცხ.ძ-ს შეადგენს, ელექტროძრავას კი – 50 კილოვატს; ქალაქში მანქანა ელექტროამძრავის მეშვეობით იმობრავებს, ავტოსტრადებზე კი, საჭმეში დიზელი ჩაერთვება. 100 კმ/სთ სიჩქარეს მანქანა 6,6 წმ-ში აღწევს, მისი მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ია და ამიტომ, ავტომობილი სისწრაფის შემზღუდავითაა აღჭურვილი. ერთი გალონი საწვავი GST-ის 30 მილს გაატარებს. ცნობისათვის: 1 მილი – 1,609 კმ-ს, ხოლო 1 გალონი – 3,785 ლ-ს შეადგენს.



გეხმანედი ძხავათი აღჭეხვიდი სპოხსედი Chrysler

კორპორაცია „დაიმლერ კრასლერმა“ არა მარტო „მერსედესის“ ახალი მოდელები წარმოადგინა დეტროიტში. ალიანსის ახალმა ამერიკულმა წევრმა – კომპანია „კრასლერმა“, გერმანელებთან კოოპერირების საკუთარი პროდუქტიც გამოიტანა. ეს გახლავთ სპორტული ავტომობილი Chrysler ME FourTwelve Super Sport, რომელშიც ამერიკული დიზაინი და გერმანული საინჟინრო იდეებია ურთიერთშერწყმული.

ამ მანქანის ძარა და საკიდარი ალუმინისა და სინთეტიკური მასალებისგანაა დამზადებული, რის შედეგადაც, მისი მასა 1310 კგ-ს არ აღემატება. ფოლადის ერთადერთ კვანძს წარმოადგენს ჩარჩო, რომელზეც 12-ცილინდრიანი ძრავა დგას. ავრეგატი გერმანული სატიუნინგო ფირ-

მის – AMG-ის სპეციალისტების მიერაა შემუშავებული და მას წარმატებით იყენებენ სპორტულ მოდელებზე – Mercedes CL 65 AMG. მისი სიმძლავრე 612 ცხ.ძ-ს აღწევს და თითქოს, ამაზე მეტის წარმოდგენაც ძნელი იქნებოდა. მაგრამ „კრასლერის“ ინჟინრებმა 850 ცხ.ძ. სიმძლავრის მიღწევა მოახერხეს.

100 კმ/სთ სიჩქარეს ეს სუპერავტომობილი 2,9 წმ-ში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი – 440 კმ/სთ-ია! კომპანია უახლოეს დღეებში იწყებს ამ მანქანის კომპლექსურ გამოცდას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მისი სერიული წარმოების გადაწყვეტილებაც, უახლოეს მომავალში შეიძლება მიიღოს.




(დასაწყისი იხ.

„გზა“ №48-52,1-5)

მეათეკლასელ გვანცა ჩოხელს 1989 წლის 9 აპრილის ღამეს, დედა მოენამლა და ფსიქიკურად დააგადდა, ცოლის უბედურებით თავგზააბნეულმა მამამ ოჯახი მიატოვა და გვანცა და მისი პატარა ძმა ბებია-ბაბუს — ამირან და ლამარა ანთაძეების იმედად დარჩნენ. ერთადერთი ქალიშვილის უბედურებით გამწარებული ცოლქმარი შვილიშვილებს ცივ ნიავს არ აკარებს, მაგრამ გვანცას სიფათს მაინც ვერ აარიდებს. ერთ დღეს, გვანცა მასზე ბევრად უფროს მამაკაცს, მხატვარ ირაკლი იაშვილს გაიცნობს და უმაღლესე მოიხიბლება. ირაკლი კი ამით ბოროტად ისარგებლებს და გამოუცდელ გოგონას ლოგინშიც თითქმის უპრობლემოდ ჩაინვენს... გვანცას თანაკლასელი ლუკა გუმბინთ ხედება, რომ გვანცას თავს რაღაც საეჭვო ხდება... ამასობაში, თბილისში პოლიტიკური დაძაბულობა პიკს აღწევს და ენ. თბილისის ომში გადაიზრდება. გაოგნებული გვანცა ირაკლისთან გაეშურება, რომელსაც სხვებზე მეტი სადარდებელი აქვს: ომი ომად, მაგრამ ჩემი უბედურება ისაა, რომ აქეთაც და იქითაც ჩემი ძმები — გიორგი და ლაშა — დგანან და როგორმე, ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელი უნდა აგაღებინო... ირაკლი მთავრობის სასახლეში მართლაც შეაღწევს და გვანცასაც თან წაიყვანს. გოგონა იქ იარაღასხმულ მამას გადაეყრება...

დიდი მცდელობის მიუხედავად, ირაკლი ძმებთან ვერაფერს გააწყობს. ცოტა ხანში კი, გიორგი იღუპება... ძმის სიკვდილი ირაკლის ცნობებს თავდაყირა დააყენებს და შურის საძიებლად, მასაც იარაღს ააღებინებს ხელში. მთავრობის სასახლეში წასვლამდე, ირაკლი დასამშვიდობებლად, გვანცას დაურეკავს. გოგონა მაშინვე მასთან მიიბრუნს და შეეხვეწება — მარტო არ დამტოვო. ალერსში გართული ირაკლი და გვანცა მალე ლოგინშიც აღმოჩნდებიან...



თავისუფალი თემა

რუსულან ბერიძე

ირაკლი საომრად მინც წავიდა. მასთან განშორების შემდეგ, გვანცასთვის დრო ჯერ საერთოდ გაჩერდა, შემდეგ კი ისეთი სისწრაფით წავიდა წინ, რომ სანამ გონს მოვიდოდა, ყველაფერი დასრულდა: მოიერიშებმა მთავრობის სასახლე აიღეს, პრეზიდენტი და მისი უახლოესი გარემოცვა ქვეყნიდან გაიქცა, რიგით თბილისელებს კი დანგრეულ-გაპარტახებული რუსთაველის პროსპექტიდა შერჩათ ხელთ. პრეზიდენტის მოწინააღმდეგეები გამარჯვებას ზეიმობდნენ, მომხრეები საპროტესტო მიტინგებს მართავდნენ, უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების ნაწილი კი, ომისგან ნაცარტუტად ქცეულ საკუთარ სასახლარებზე მთავარულივით დაბორილებდა და ორივე მხარეს წყველა-კრულვას უგზავნიდა.

ომით აფორიაქებული ანთაძეების ოჯახში ნელ-ნელა სიმშვიდემ დაისადგურა. ლამარამ წუწუნს უკლო, ამირანი ისევ თავის წიგნებს ჩაუჯდა, პატარა მიშკო კი, როგორც იქნა, ენოში სათამაშოდ გაუშვეს. ერთადერთი, ვისთვისაც ჯერ არაფერი შეცვლილიყო, გვანცა იყო. ის შინიდან ფეხს საერთოდ არ ადგამდა. დილიდანვე შუა ოთახში, ტანტზე მოკალათდებოდა და ერთ წერტილს მიშ-

ტრებულს, შემოსასვლელი კარის ყოველ გახმაურებაზე გული ყელში ებჯინებოდა, სულ ეჩვენებოდა, რომ წუთი-წუთზე კარი გაიღებოდა და სალ-სალამათი და მოლიმარი ირაკლი გამოჩნდებოდა, მაგრამ დღე დღეს მისდევდა, ანთაძეების კარზე კი, მეზობლების გარდა, არავინ აკაკუნებდა...

თუმცა, რამდენჯერმე ლუკაც ესტუმრა. ამირანმა ის სიხარულით მიიღო, ლამარასაც, სხვა რა გზა ჰქონდა და სუფრა გაუწყო. მხოლოდ გვანცა იჯდა ისევ ისე უძრავად, ბოლოს კი, თავის ოთახში შეიკეტა და ლუკას წასვლამდე გარეთ აღარ გამოსულა.

— რა სჭირს ამ გოგოს? — ლუკას გასაგონად აქოთქოთდა ერთხელ ლამარა. — ყველაფერი უცნაური ამას როგორ უნდა დაემართოს? სანამ ომი და უბედურება იყო, რომ დაგება, სახლში მაინც ვერ გააჩერებდი. ახლა კი გარეთ აღარ იხედება, მგონი, სწავლაზეც საერთოდ აიღო ხელი...

— აცალი, ქალო! — მაშინვე შეუტია ცოლს ამირანმა. — ბავშვი ცოტა გონს ხომ უნდა მოეგოს?! მევე კიდევ, მამის დარდიც აქვს, ალბათ... ისე, სად არ ვიკითხე, მაგრამ ეს ჩვენი გადარეული სიძე ვერც მკვდრებში აღმოვაჩინე და ვერც ცოცხლებში...

— ეტყობა, ცოცხალმკვდარია... — ენა საბოლოოდ წაიმწარა ლამარამ.

— ლამარა! — თვალები გადაუბრიალა ცოლს ამირანმა. — შენ კაცის ასე უგზო-უკვლოდ დაკარგვას ნუ ეხუმრები!

— უგზო-უკვლოდ, მაგისმა შხემ, თორემ, აქამდე სულ გვერდით გყავდა... სწორედ მაგაზე ნათქვამი — გინდ, მკვდარი და გინდ, შინმოუსვლელი...

ცოლ-ქმრის კამათში ლუკა არც ამჯერად ჩარეულა, თუმცა, დაშვიდობებისას ამირანს თავისი სამსახურიც შესთავაზა: იქნებ, მეც სადმე მივსულიყავი და რამე ახალი გამეგო?...

— შენ იცი, შვილო, ძალიან დამავალე, თუ რამეს გაიგებ, — მაღლიერი მზერა მიაპყრო მას ამირანმა და რატომღაც, ორივე ხელი ერთად ჩამოართვა...

ერთხელ გვანცა დილაადრიანად წამოდგა, სწრაფად ჩაიცვა და ის იყო, შინიდან შეუძინველად უნდა გასულიყო, რომ საძინებლიდან ახალგაღვიძებულმა ლამარამ გამოიხედა:

— საით გავიწვევია, ქალბატონო?
 — საქმეზე, — მოკლედ უპასუხა გვანცამ.
 — ამ დღილაუთენია რა საქმე გამოვინდა? ცოტას ვერ მოიცდის?
 — ვერა.
 — დაანებე ბავშვს თავი! — გამოსძახა ცოლს ამირანმა. — ოღონდ გარეთ გავიდეს და მაგას უშლი?!
 — სად უნდა გავიდეს, კაცო? — გაწიწმტდა ლამარა. — ჯერ წესიერად არ გათენებულა! ვითომ არ იცი, რომ გარეთ ძაღლი პატრონის ვეღარ ცნობს, შეათრევს ვინმე ბნელ კუთხეში — მიდი მერე და უყარე კაკალი... უცბად სამართალი არ იპოვო...
 — შემათრევს, რა — მართლა ბნელა?!
 — გალიზიანდა გვანცა.
 — ბნელა კი არა, უკუნეთია, უკუნეთი! სიბნელე და სატკივარი არ მოაკლდეს ამ ყველაფრის მომგონსა და მომწყობს! — წყევლაზე გადავიდა ლამარა. — რაკი არ იშლი, მოიცადე ცოტა ხანს, ამასობაში ბაბუაშენიც წამოიზღაზნება ლოგინიდან და გამოგყვება. ამირან, ადექი და გაჰყევი ამ ჩემი ცოლვით სავსეს!
 — მარტოც არ დავიკარგები! — თავისას არ იშლიდა გვანცა.
 — ამირან, არ გესმის, რას გეუბნები?
 — დასჭექა ლამარამ და შეილიშვილს კარში ჩაუღდა.
 — კარგი, ქალო, რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს? — როგორც იქნა, საძინებლიდან ამირანმაც გამოიხედა. — გაუშვი ბავშვი, ქუჩაში მიდის — ტყეში ხომ არა?
 — ახლა თბილისის ქუჩებში სიარულს ტყეში, მხეცებში ხეტიალი თუ არ სჯობდეს, მომკალი!
 — ჰოდა, შენ კიდევ ტყეში წადი და ცოტა დამასვენეთ! — საძინებლის კარი ხმაურით მოიჯახუნა ამირანმა...

შუადღისას გვანცა ქუჩაში მაინც გავიდა და გეზი პირდაპირ ირაკლის სახლისკენ აიღო, საღარაზოში შესულმა, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და კიბეს ნელ-ნელა აუყვა, მაგრამ ირაკლის ბინამდე ასულს, გული მაინც ამოვარდნაზე ჰქონდა. გვანცამ ჰაერი კიდევ ერთხელ ღრმად ჩაისუნთქა და ის იყო, უნდა დაეკაკუნებინა, რომ შეამჩნია — კარი ოდნავ შეღებული იყო. „ირაკლი... ირაკლი დაბრუნდა!“ — მაშინვე სისხარულით შეუხტა გული და კარს მთელი ძალით მიაწვა.
 შესასვლელში შევარდნილი გვანცა რაღაცას წამოედო და კედელს შეასკდა. ხმაურზე ოთახიდან ვიღაც უცნო ახალგაზრდამ გამოიხედა:
 — ვის ეძებთ, ქალიშვილო? — ჰკითხა

მან დამფრთხალ გვანცას.
 — მ-მ-ე... — სული ვეღარ მოითქვა გვანცამ. — მე ირაკლისთან მოვედი.
 — ირაკლისა რა გითხრათ, მაგრამ მისი ძმა ლაშა კი, ნამდვილად აქ არის. მობრძანდით, — მაშინვე გზა დაუთმო უცნობმა.
 გვანცამ ოთახში მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ შეაბიჯა და იქვე შედგა. ოთახის შუაგულში მდგარი ლაშა და ვიღაც სამხედროფორმიანი სიგარეტს ეწოდნენ და რაღაცაზე გაცხარებით ლაპარაკობდნენ. უცბად სამხედროფორმიანმა, რომელიც გვანცასკენ ზურგით იდგა, ანთებული სიგარეტი პირდაპირ იატაკზე მოისროლა და ფეხითაც გულდაგულ გააჭყლიტა.
 — ე, ბიჭო, რას შერები?! — შეიცხადა ლაშამ. — მართლა მტრის სახლში ხომ არა ხარ?!
 — მტერი იყო, მა ვინ? — არ შეეპუა გაგა. — შენ რა უნდა გიყო, თორემ, მაგ შენი „მალიარი“ ძმის ნათხაპნებით აქვე, შუა ოთახში კაი კოცონსაც ავაგვიზიზიბებდი.
 — კარგი რა, გაგა, თავიდან ნუ დაიწყე, — ოდნავ მოლბა ლაშა. — ხომ გითხარი, რომ ახლა აქ ყველაფერი ჩემია და მევე მივხედავ-მეთქი.
 — კი, ძმაო, შენი იყოს! ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს! კაცი არ ვიყო, თუ მეწყინოს ან შემშურდეს! — ფართო მხრები შეათამაშა გაგამ. — „პროსტო“, მაგრამ მიტყდება, რა... ერთი სიგარეტის გულისთვის რომ ამიტყებ ხიპაში!
 — ბიჭებო! — შესძახა უცბად გვანცას გვერდით მდგარმა ახალგაზრდამ. — იქნებ, ჩვენც მოგაკაციოთ ყურადღება! ლაშამ და გაგამ კარისკენ ახლად მიიხედეს.
 — ბიჯოს, ვატო, ეს ნაშა ასე უცბად სად გაჩითე? — მაშინვე თვალები მსუნაგად აენთო გაგას.
 ლაშამ კი გვანცა ჯერ გაოცებულმა აათვალიერა-ჩათვალიერა, შემდეგ, ეტყობა, რაღაც გაასხენდა, გაელიმა და მაშინვე მისკენ წამოვიდა:
 — თქვენ... შენ... ირაკლის მეგობარი ხარ, ხომ?
 — მოსწავლე, — მშვიდად შეუსწორა გვანცამ.
 — ა-ა... — ბანჯველიან სახეზე რაღაც ღმილისმაგვარი გაუკრთა გაგასაც, — მეც არ გამიკვირდა, საიდან მეცნობა-მეთქი?
 გაგა გვანცამაც იცნო, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და მხერა ისევ ლაშაზე გადაიხანა. ლაშამ მაშინვე ოთახში მდგარი ერთადერთი სკამი შესთავაზა. გვანცა მოწყვეტით დაჯდა და გაოცებულმა მიმოიხედა. ოთახი და მისი კედლები თითქ-

მის ცარიელი იყო. ტახტიდან ვიღაცას ლოგინიც აეკეცა, ფანჯრებზე კი მარტო თხელი ფარდებილა ეკიდა. გვანცას მოეჩვენა, რომ ამ ოთახში ყველაფერს — კედლებს, ფანჯრებს და განსაკუთრებით — ტახტს, საკუთარი სიშიშვლისა რცხვენოდა... ტახტს მიშტერებულ გვანცას უცბად, თავდაცვით ისე ძალიან შერცხვა, ყურებამდე გაწითლდა. მერე კი ოთახს თვალი კიდევ ერთხელ მოავლო, კუთხეში მიდგმული მუყაოს ორი მოზრდილი ყუთიც შეამჩნია და ერთ-ერთს თვალი ისე გაუშტერა, თითქოს მისი შიგთავსის ამოცნობა სურდა.
 გვანცას მხერა ლაშას არ გამოჰპარვია:
 — ჩვენ... აქ... — ენის ბორძიკით დაიწყო მან, — ირაკლის ნივთების წასადებად მოვედი... ყველაფერი მამიდამისთან, სოფელში უნდა ჩავიტანო, რომ არ დაიკარგოს...
 — ირაკლი? — კითხვით და მუდართით სავსე თვალები შეანათა მას უცბად გვანცამ.
 — რა — ირაკლი?... — კიდევ უფრო დაიბნა ლაშა.
 — ირაკლი სად არის?
 — პაპიჩემის პაპასთან, — ჩაიღმუვლა პასუხად გაგამ.
 — გაგა! მორჩი, რა! — ახლა უკვე ვატომაც შეუძახა გაგას და დამნაშავესავით გადახედა გოგონას.
 — „კაროჩე“, მე დაბლა ჩავალ და მანქანაში დაგელოდებით, თორემ ვატყობ, აქ ყველას ხელს ვუშლი, — ბოლმიანად გადახედა გაგამ ვატოსაც და ოთახიდან ბრაგაბრუგით გავიდა.
 — კარგი გულის ბიჭია, მაგრამ რა ქნას? — ბავშვობაში ზრდილობის მასწავლებელი გაუნდა ავად და ყველა გაკვეთილი გაუცდინა, — გაელიმა ვატოს და თან, მდაბლად დაუკრა გვანცას თავი:
 — თქვენი მონა-მორჩილი ვატო, ვახტანგ აბაშიძე. ირაკლის მეც კარგად ვიცნობდი... კარგი ბიჭი იყო...
 — რატომ იყო? — ძლივსლა ამოილულულა გვანცამ. — რამე ხომ არ...
 — არა, არა! — უარის ნიშნად, სასწრაფოდ ხელები გაასავსავა ვატომ. — ეგ ნამდვილად არ მიგულისხმია. ეჭვიც არ მეპარება, რომ ირაკლი ცოცხალია, არა, ლაშა? — მიუბრუნდა ის ლაშას.
 — ჰო... ალბათ... — თავისთვის ჩაილაპარაკა ფიქრებში წასულმა ლაშამ. — მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ეს კი ვერაფრით გავიგე... ყველგან ვეძებე. „კაპეზეშიც“ რამდენჯერმე ვიყავი... ვინ აღარ ვნახე იქ... ირაკლი კი... — ხელები უშწევოდ გაშალა მან ბოლოს და გვანცას დამნაშავესავით გადახედა.
 — კარგი, მე წავალ, — ფეხზე წამოდ-

გა გვანცა.

— ცოტას კიდევ თუ მოიცდით, სახლამდე მანქანი მიგიყვანთ. — შესთავაზა ვატომ.

— არა, გამდლობთ, ასე ნამდვილად ვერ შეგაწუხებთ, — ვატოს წინადადებისგან თავი შორს დაიჭირა გვანცამ.

— რა შეწუხებაა? — ვატოს აჰყვა ლაშაც. — ძველი დრო რომ იყოს, სადმე კაფეში ან სულაც რესტორანში დავსხდებოდით და ერთმანეთს უფრო ახლოს გავიცნობდით. ჩემთვის ირაკლისთან დაკავშირებული ყველა და ყველაფერი ახლა განსაკუთრებით ძვირფასია...

— ჩემთვისაც, — ანთებული თვალები შეანათა მას გვანცამ და შემდეგ, საათზე დაიხედა. — მაგრამ ახლა აუცილებლად უნდა წავიდე: ბებია მელიძეა. ნახევარ საათში აუცილებლად საქმეზე უნდა წავიყვებ.

— რა გაეწყობა... — დაყბუღდა ლაშა. — იმედია, ერთმანეთს კიდევ შევხვდებით.

— ალბათ... — თავისთვის ჩაილაპარაკა გვანცამ და ოთახი კიდევ ერთხელ სევდიანად მოათვალიერა.

— მართალი ვითხრა, ამ ცარიელ კედლებს მეც ვერაფრით ვეგუები, — უხერხულად შეიმშუშნა ლაშა. — მაგრამ რომ დამეტოვებინა, ნელ-ნელა ყველაფერი გაიხსნება და დაიკარგება.

— რატომ?... — დაინტერესდა გვანცა. — აქ ვინმე სხვამ უნდა იცხოვროს?

— ალბათ, გავაჩრავებ... რომ დავეკეტო, უარესია... ახლა ქალაქში იმდენი უსახლკარო შვიერ-ოხერი დადის, რომ...

— ჰო... ალბათ... — თავისთვის ჩაილაპარაკა გვანცამ და კარისკენ შებრუნდა, მაგრამ მაშინვე ისევ ლაშასკენ მიიხედა: იქნებ, თქვენი ტელეფონი მომცეთ? ხანდახან დავგერეკავდით და ირაკლის ამბავს გკითხავდით... არ შეგაწუხებდით, მაგრამ თქვენ გარდა, ირაკლის არც ერთ ახლობელს არ ვიცნობ...

— რა შეწუხებაა?! — მაშინვე უბის წიგნაკი დაადრო ლაშამ, ერთი ფურცელი ამოხია და თავისი ტელეფონის ნომერი გაკრული ხელით წააწერა.

გვანცამ ფურცელი ფაქიზად დაკეცა და ჩანთაში შეინახა.

— იქნებ, შენც დამიტოვო? — უთხრა ლაშამ. — როგორც კი რამეს გავიგებ, უძალ შეგატყობინებ.

გვანცამ ლაშას საკუთარი ტელეფონის ნომერი ჩააწერინა და თან, სევდიანად დასძინა:

— ისე, იქნებ, მამაჩემის ამბავსაც მოპკრათ სადმე ყური... ისიც ირაკლისთან ერთად იყო...

— მართლა? — საუბარში ჩაერთო ვატომ. — მამათქვენს რა ერქვა?... უკ, მაპატიეთ, რა ჰქვია? — კითხვა სასწ-

რაფოდ გამოასწორა მან.

— მიშა... მიხეილ ჩოხელი.

— მამათქვენის მოძებნას პირადად ჩემს თავზე ვიღებ, — შეჰპირდა ვატო გვანცას და ლაშასთან ერთად, კარამდე მიაცილა...

რამდენიმე მომდევნო კვირა გვანცამ ამო ლოდინში გაატარა. ერთი-ორჯერ ლაშასთან დარეკვაც დააპირა, მაგრამ ბოლო წუთს მინც გადაიფიქრა. რატომღაც, ჯიუტი აზრი აეკვიტა — საკმარისია, დაუფრეკო, რომ მაშინვე, ირაკლის დალუპვის ამბავს მომახლისო.

ერთ საღამოს გვანცას ლაშას მეგობარი ვატო შეეხმინა. გვანცამ ის უცბად ველარც კი გაიხსენა. ვატომ კი, სასინარულო ამბავი აუწყა: უკვე დანამდივლებით ვიცი, მამაშენი მათ შორის იყო, ვინც პრეზიდენტს ჯერ სომხეთში და იქიდან ჩეჩნეთში რომ გაჰყვავა.

— ირაკლი? — მაშინვე ჰკითხა გვანცამ.

— ირაკლის ამბავი ჯერაც ვერაფრით გავარკვიეთ, თორემ ლაშას აბა, დარეკვას მე მოვასწრებდი?! — დანაშავესავით ჩაილაპარაკა ვატომ და სასწრაფოდ დაემშვიდობა.

— რა იყო, ბაბუ? — ჰკითხა გვანცას თავზე შეუმჩნეველად წამომდგარმა ამირანმა. — ირაკლისაც რამე ხომ არ დამართა?

— კი, — ყურმილი ფრთხილად დადო გვანცამ. — ომში დაიკარგა.

— რას მეუბნები?! — შეწუხდა ამირანი. — ზვიადისტი იყო თუ?..

— არავისტი!.. — ბოლმინად ჩაილაპარაკა გვანცამ.

— რა თქვი? — ვერ გაუგო ამირანმა.

— ირაკლი არავის მხარეზე არ იყო... უბრალოდ, ძმა რომ მოუკლეს, მერეღა აიღო იარაღი და შურის საძიებლად წავიდა.

— ძმა მოუკლესო? — კიდევ უფრო შეწუხდა ამირანი. — თუცა, ეგ ამბავი ხომ მეც ვიცი... შენ არ მითხარი?... მაგრამ, ამ ბოლო ხანებში, მგონი, სულმთლად გამოვპრუტუნდი... ხანდახან, გუშინ რა ვჭამე, ისიც კი აღარ მასხენდება... მაპატიე, ბაბუ... — დაიმორცხვა ამირანმა და ხელში შერჩენილ სქელტანინა წიგნში ჩარგო თავი.

— სამაგიეროდ, მამაჩემი ნამდვილად ცოცხალი ყოფილა... — ვითომ სასხვათაშორისოდ განაგრძო გვანცამ.

— რა თქვი? — წიგნი მაშინვე ხმაურით დახურა თავის ოთახში შესასვლელად გამზადებულმა ამირანმა და ისევ შეილიშვილს მიუბრუნდა. — ვინ ვითხრა?... როდის გაიგე?..

— წელან. მაგის სათქმელად დარეკეს.

— ვინ დაგირეკა?

— არის, რა, ერთი, შენ არ იცნობ...

— სანდო კაცია?

— მგონი, კი. თუ, რა თქმა უნდა, დღეს საერთოდ ვინმეს ნდობა შეიძლება.

— ახლა სად არისო?

— გროზნოში გაჰყოლია პრეზიდენტს.

— რას მეუბნები? — ცხვირზე დაკოსებული სათვალე შუბლზე აიწია ამირანმა და შვილიშვილი ისე შეათვალიერა, — მერე, იქ რა უნდა აკეთოს?

— რა ვიცი. — მხრები აიჩინა გვანცამ. — ალბათ, რასაც აქ აკეთებდა.

— დემრთმა გაუმარჯოს! კაცს ბოლომდე უერთგულა! ერთგულება კი, ძალიან დასაფასებელი თვისებაა, განსაკუთრებით დღეს, როცა ორგულობამ და ღალატმა ქვეყანა დალუპა!.. — ხმაში პათეტიკა გამოურია ამირანმა.

— დალუპა თუ ააშენა?... — გააწყვეტინა გვანცამ. — გუშინ არ იყო, ჩვენს მეზობელ შალიკოს რომ უმტკიცებელი — გამსახურდიამ ისე დაგვლუპა, ახლა მართლ შევარდნაძე თუ გვიშველისო?..

— ეგ, ბაბუ, ისე, სიტყვის მასალად ვუთხარი... — უხერხულად შეიმშუშნა ამირანი და თან, ხმას დაუწია. — ხომ იცი, შალიკოს რამსიგრძე ენა აქვს. სხვა რამე რომ მთიქვა, რა იცი, სად დამასმენდა...

— მაინც, სად უნდა დაესმინე? — გაუკვირდა გვანცას. — ისე შემინებული ლაპარაკობ, თითქოს 37 წელი იყოს...

— ამათ თუ ასე გააგრძელებს, 37 წელსაც სანატრელს გაგვიხდიან, — ხელი ჩაიქნია ამირანმა. — ისე, ახლა მართლა შევარდნაძე თუ უშველის საქმეს, თორემ, დანარჩენების უფროსობა არსად გაიშვა! რა იციან ამათ ქვეყნის მართვისა?!

საღამოს, ივანშემეს თუ არა, გვანცა მაშინვე დასაძინებლად დაწვა.

— ცუდად ხომ არა ხარ, ბაბუ? — ცოტა ხანში საძინებელი ოთახის კარი შეუღო ამირანმა. — რალაც შენი ფერი არ მომწონს.

— რა ვიცი... თავბრუ მეხვევა და გულიც მერევა, — უპასუხა გვანცამ. — შეიძლება, რამემ მაწყინა.

— რას უნდა ეწყინა? — შეწუხდა ამირანი. — ლამარა მიმიკოს და შენ წინა დღის სადილსაც კი არასდროს გაჭმევთ... ქუჩაში ხომ არაფერი ჭამე?

— არა.

— აბა, ნუ გეშინია, გაგივლის, — დაამეღა ამირანმა შვილიშვილი და კარი ფრთხილად გაიხურა.

უცბად გვანცას ისე ძლიერად წამოაზიდა, მაშინვე ტელეფონში რომ არ გავარდნილიყო, პირდაპირ ლამარას საამყო,



სარკესავით პრიალა იატაკზე აღებინებდა...

— აღარ იტყვი, რა გჭირს? — დაეხერხა ტუალეტდიან გამოსულ გვანცას ლამარა.

— მოურჩენელი... — ჩაიბურტყუნა გვანცამ.

— დაწევი და სიცხეს გაგიზომავე. შეიძლება, გაცივდი ანდა რამე ახალი ვირუსი აიკიდე. მაგ საქმეში, იცოცხლე, პირველი ხარ!..

გვანცას პირღებინება მეორე დღესაც გაუმეორდა...

— სხვა რომ იყოს, მართლა ეჭვს შევიტანდი... — გადაულაპარაკა გვიან ღამით ქმარს, გვანცას ოთახიდან გამოსულმა ლამარამ.

— რაში? — ვერ მიუხვდა ამირანი.

— რაში და ფეხმძიმობის ყველა სიმპტომი აქვს უკვე...

— რაღაც გაუგონარს ნუ იტყვი ხოლმე! — გააწვევტინა ამირანმა. — საიდან? როგორ?.. რა დროს გვანცას ეგეთეზია?..

— საიდან?.. იმ ლაწირაკს ღამის შენი ხელით ჩაუწვინო ლოგინში და ფეხმძიმობა სხვას კი არაფერს მოსდევს.

— ლუკაზე ამბობ? — უღვაშზე ხელი კმაცოფილებით გადაისვა ამირანმა. — ისე, მართლა, ეგ ლაწირაკი თვალს და ხელს შუა არ დავაჟკაცდა?! ბოლოს რომ იყო ჩვენთან მოსული, თვალი ველარ მოვწვებე...

— უცბად, შემოსასვლელ კარზე ვიღაცამ გამეტებით დააბრაზუნა.

— ა, მის ხსენებაზე, მგონი, დავაჟკაცებული სიძე გესტუმრა! — დაგესლა ქმარი ლამარამ.

— ლუკა ასე გვიან არ შეგაწუხებდა, — შეცბა ამირანი. — ნეტავ, ვინ უნდა

იყოს?

— მაშინ, რომელიმე ჩემი ბაციენტი მოეხეტებოდა, — უკმაცოფლო სახე მიიღო ლამარამ. — მაგათთვის ხომ დღე და ღამე სულერთია...

— გვანცა, გამობრძანდი. სტუმარი მოგივიდა! — ძილბურანში ჩაესმა გვანცას ლამარას ხმა.

— სტუმარი? — ძლივს გამოურკვა გვანცა. — ვინ?

— ვინცაა, უკვე აქ ბრძანდება და ბაბუაშენს ზოგადსაკაცობრიო თემებზეც ესაუბრება.

— სად არის? — უკმაცოფლო სახე მიიღო გვანცამ.

— სასტუმრო ოთახში ზის. მაინც, რა ახირება აქვთ ახლანდელ ახალგაზრდებს — უხდება თუ არა, ყველას წვერი აქვს მოშვებული.

— წვერი? — თვალები ჭყვტა გვანცამ.

— ჰო, რა იყო?.. ისე გაგიკვირდა, თითქოს რაღაც განსაკუთრებული გითხარი. ნახევარი თბილისი დღეს ვერე გაბურტყნილი დადის... — ქოთქოთი განაგრძო ლამარამ.

— უცბად გვანცა ლოგინიდან ფეთიანივით წამოხტა, ხალათი ფაცხაფუცხით შემოიცივა, წამში სასტუმრო ოთახში გაჩნდა და მაშინვე ტყვიანაკრავივით გაშეშდა: ამირანის პირდაპირ, სვარძელში, იარაღსხმული გაგა იჯდა და ამირანს, მხრების ჩვეული თამაშით ელაპარაკებოდა.

— გვანცა, ბაბუ, არ გაცივდე, — შილიფად ჩაცმული შვილიშვილის დანახვაზე შეწუხდა ამირანი.

— არ გავცივდები, — კბილებში გამოცრა გვანცამ და გაგას ბოროტი მზერა ესროლა. — თქვენ აქ საიდან გაჩნდით?

— გაგამ გვანცა ჯერ ნება-ნება აათვალღიერ-ჩათვალღიერა და მერე უპასუხა:

— რა იყო, გოგნი?.. გეგონა, ვერ მოგაგნებდი?..

— მე არაფერიც არ მეგონა... ეტყობა, თქვენ გგონიათ რაღაც, თორემ, ასეთ დროს კარზე არ მოგვადგებოდით.

— სხვისი არ ვიცი და ჩემთვის ნაღდად კარგი დროა, — უშნოდ გაიკრიჭა გაგამ. — საშოვარზე ყოველთვის ამ დროს გამოვდივარ ხოლმე.

— უკაცრავად, რაზე გამოდინხართ ხოლმე? — ჰკითხა გაკვირვებულმა ამირანმა.

— ჩვენთან რის საშოვნელად მობრძანდით? — გაგას პასუხის გაცემა აღარ აცალა გვანცამ.

— თქვენთან? — სახეზე უხამსმა ღიმილმა გადაურბინა გაგას და თან, პირი ნლმით გააწკლაპუნა. — ვერ ხვდები?

— ვერა, — ცივად მიუგო გვანცამ.

— შენ უნდა წაგიყვანო, გოგნი, ძალიან მეკასე და იმიტომ.

— რა ბრძანეთ? — ხელები გაშალა გაოგნებულმა ამირანმა.

— რა ვბრძანე, ბიძაჩემო და შენი გოგო ცოტა ხნით უნდა მათხოვო... ნუ გეშინია, ორ-სამ დღეში დაგიბრუნებ...

— ახალგაზრდავე, გესმით, რას კადრულობთ?! — სიბრაზისგან ხმა აუკანკალდა ამირანს და თან, ცოლს ისე გადახვდა, თითქოს შველას სთხოვსო.

— გვანცა, ვინ არის ეს კაცი და ასე რა უფლებით გველაპარაკება? — მაშინვე აკივლა ლამარაც, მაგრამ გაგა, ვითომ არაფერი გაუგონიაო, გვანცას მშვიდად მიუბრუნდა:

— წავედით, გოგნი?..

— არც იოცნებო! — ხმას აუწვია გვანცამ.

— ოცნება პირველ კლასში დავამთავრე, — ფეხზე ზღაზვნით წამოდგა გაგა. — ახლა ყველაფერი ნაღდი მაინტერესებს. იმიტომ მორჩი ბაზარს და ჩაიცვი...

— ჩემი შვილიშვილი არსადაც არ წამოვა! — უცბად ხმაში ლითონი ჩაუდგა ამირანს და სასწრაფოდ გვანცასა და გაგას შორის ჩადგა.

— ბიძაჩემო, ეტყობა, კარგად ვერ ავიხსენი! — აქამდე მხარზე გადაკიდებული ავტომატი ამირანს ცხვირწინ აუთამაშა გაგამ. — გაგა ქურხულისთვის ჯერ ქალს უარი არ უთქვამს, გაიგე?

— ეგ კი გავიგე, მაგრამ... — ხმა გაებზარა ამირანს.

— ნუ გეშინია, ბაბუ, თითქოს ვერ დაგვაკარებს! — წამოიძახა გვანცამ, შემდეგ ამირანი გვერდზე თითქმის ძალით გასწვია და გაგას თვალი თვალში გაუყარა.

— ნაღდად? — ბოროტად გაეღიმა გაგას. — ვითომ რატომო?

— იმიტომაც, გაგა ქურხულო, რომ მე უკვე შენი ძმაცაცის, ლამას ქალი ვარ და მისგან ბავშვსაც ველოდები...

— რაო, რა თქვი? — კბილები გაახრჭიალა გაგამ.

— რაც გაიგონე! — თვალები უცნაურად დააკვესა გვანცამ. — თუ არ გვერა, შეგიძლია, ახლავე გადაამოწმო. ტელეფონი მუშაობს. ლამას ნომერი მე ავიკრიბო თუ...

— მორჩი, რა, „რიჟა“ ბაზარს! — გააწვევტინა გაგამ, მაგრამ მერე ხელი ისე აიქნია, თითქოს თავიდან რაღაც ძალიან უსიამოვნო ფიქრს იშორებოდა და დაუმალა: — მაგ ჩემანალამ ყველაფერში როგორ უნდა დამასწროს?!. მარა არა უშავს,

აღრე თუ გვიან, მაინც მოგწვდები. ვერ-სად წამიხვალ!..

– მე ისედაც არსად ვაპირებ წასვლას, – მშვიდად მიუგო გვანცამ. – შენი აქედან წასვლის დრო კი, ნამდვილად მოვიდა.

გაცოფებულმა გაგამ გვანცას ერთი ბოროტად გადახედა და ანთაძეების სახელი სიტყვის უთქმელად დატოვა...

ერთიანად აკანკალებული გვანცა მაშინვე ტუალეტში შეიკეტა, ამირანი და ლამარა კი, ამის შემდეგაც კარგა ხანს ერთ ადგილზე გაშეშებული იდგნენ. პირველად, ისევ ლამარა მოეგო გონს:

– ამას რას მოვესწართ, ხალხნო? ყაჩაღები უკვე პირდაპირ სახლში გვიცვივდებიან და გამკითხველი არავინაა! ეს არის ქვეყანა?! იმისთვის ჩააწვინეს მიწაში ნარჩევ-ნარჩევი ბიჭები, რომ ბურთი და მოედანი ამ დამძლებს დარჩენოდათ?!

– კარგი, კარგი, ლამარიკო, დამშვიდდი, – მხარზე ხელი უხერხულად მოუთათუნა ამირანმა ცოლს. – დღეს მასეთებისაა ეს ქვეყანა და რას იზამ?! ისევ გვანცას უნდა ვუძალოდეთ, თორემ, ვინ იცის, მართლა ევკაცის არამსგავსი, რა უბედურებას გადაგვყრიდა... ისე დამაჯერებლად გაითამაშა ყველაფერი, რომ ერთი გაფიქრება მეც კი გავიფიქრე, ჩვენმა კულაჭა გეცოტ მართლა რამე ხომ არ იეშმაკა-მეთქი...

– კი, მართლა ვიეშმაკე, – უპასუხა იმწუთას შემოსულმა გვანცამ და სავარძელში ჩაესვენა.

– ისევ გალებინა? – შეწუხდა ამირანი.

– კი.

– „სასწრაფოს“ ხომ არ გამოვუძახოთ?

– მაშინვე არ მოიბრბინო!.. – შეილიშვილს თავზე წამოაღდა ლამარაც. – აგერ არა ვარ ექიმი?

– შენ რისი ექიმიც ხარ, ჩემს შეილიშვილს „ის“ არ „სიტყვა“! – თვალები გადაუბრიალა ამირანმა ცოლს.

– მაშინ, აბა, შენ ყოფილხარ მთლად მთავარი ექიმი და შენ დაუდგინე, რა სჭირს! – გაღიზიანდა ლამარა.

– დაწყნარდით, უკვე ვიცი, რაც მჭირს... – ამოიღულღულა გვანცამ.

– მაინც, რა, ქალბატონო? – დონჯვი შემოიყარა ლამარამ.

– მართლა ფეხმბიძედ ვარ...

– რა-ა?! – თითქმის ერთად წამოიძახეს ამირანმა და ლამარამ და ფერმიხდილ შეილიშვილს თვალუბაფართოებულები მიაშტერდნენ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ნაომი უოტსი:

„2003 წელი ჩემი წელიწადი იყო!“

„ის კარგი ღვინოსავითაა — ასეთი ღვინოს უცებ დაღვება ისე გენანება, რომ ბოთლს რამე განსაკუთრებული, სადღესასწაულო შემთხვევისთვის ინახავ. ათი, თხუთმეტი წლის შემდეგ კი, ხსნი ბოთლს და ხვდები: ის კვლავაც ყველა დანარჩენზე უკეთესია“, — თქვა მსახიობ ნაომი უოტსის შესახებ რეჟისორმა ალენხანდრო გონსალეს ინაირატუმ.

1995 წელს, ნაომი უოტსმა თავის ყველაზე უარეს ფილმში — „სომინდის შვილები“ მეოთხე ნაწილში ითამაშა. მაშინ ჰოლივუდის მწვერვალის დაპყრობამდე მსახიობს წინ კიდევ რვა გრძელი წელიწადი ელოდა. იმხანად ნაომი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ 2003 წელს ისეთ დიდ წარმატებას მიაღწევდა, რომ კინოს სამყაროს არაერთ სიახლეს სწორედ მის სახელს დაუკავშირებდნენ. „ლოს-ანჯელესი მეტისმეტად დიდხანს მძულდა. მე ხომ ამ საზოგადოებაში 15 წლის მანძილზე არ მაძლევდნენ სამუშაოს. თუმცა, ახლა ჩვენ ძველი მუღღღებებით ვართ, რომლებიც მართალია, სიყვარულით არ დაქორწინებულან, მაგრამ ხანგრძლივი თანაცხოვრების მანძილზე ეს გრძნობა თავისთავად ეწვიათ. ლოს-ანჯელესო გესმის? შენ ჩემი ხარ!“ — აი, ასე შეაფასა მსახიობმა თავისი არცთუ ისე ხანმოკლე ურთიერთობა კინოსამყაროს მექად აღიარებულ ქალაქთან.

ნაომი უოტსი 1968 წლის 28 სექტემბერს, დიდი ბრიტანეთის კენტის საგრაფოში მოველინა ქვეყნიერებას. როცა გოგონა თოთხმეტი წლისა შესრულდა, ნესტიანი და წვიმიანი უელსიდან მისი ოჯახი მზიან ავსტრალიაში გადაბარგდა. ქერთიანი, ცისფერთვალა გოგონას წინ უჩვეულო ბედი ელოდა...

ახლა უოტსი 35 წლისაა. ეს კრიტიკული ასაკია იმ მსახიობთათვის, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავები გახდებიან. თხუთმეტწლიანი კარიერის მანძილზე, ნაომის არც ერთ ჭეშმარიტად გახმაურებულ ფილმში არ უთამაშია და არც ვარსკვლავური როლი რგებია წილად. საერთოდაც, მის ცხოვრებაში არაფერი ყოფილა ვარსკვლავური, გარდა ერთი ვარსკვლავი მეგობრისა. უოტსი თექვსმეტი წლის იყო, როცა ნიკოლ კიდმანი გაიცნო: სარეკლამო რგოლის სინჯების გადაღებისას, გოგონები ერთად მოხვდნენ რიგში. მათთან ერთად რიგში მათი მესამე მეგობარი — რებეკა რინგიც იდგა. სწორედ იმ დღის შემდეგ დაგეგმობდნენ გოგონები და ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ როგორი მძიმეც არ უნდა ყოფილიყო მათი ცხოვრება, ისინი ყოველთვის მზარში ამოუდგებოდნენ ერთმანეთს. ცხოვრება გაგრძელდა და როგორც თითქმის ყოველთვის ხდება ხოლმე, გოგონებმაც თითქოსდა დაივიწყეს მოზარდობის პერიოდში დადებული ფიცი, როცა ორი მათგანი — ნიკოლი და ბეკი გათხოვდნენ. სხვა-

თა შორის, ორივე მათგანს გაუმართლა და საკმაოდ კარგადაც გათხოვდა. ნიკოლმა ხელში ჩაიგდო ახალგაზრდა და პერსპექტიული მსახიობი ტომ კრუზი, რეპეკამ – Guardian-ის მთავარი რედაქტორი. ნაომის ახალგაზრდა, გათხოვილმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, რომ თავი ოჯახისათვის მიეძღვნათ, უოტსი კი ამ დროს კარიერის შესაქმნელად ძალ-ღონეს არ იშურებდა: მონაწილეობდა სამინივლებათა ფილმებში, იაფფასიან კომედიებში, ტელევიზორიალებში. მოგვიანებით ისიც გაირკვა, რომ ნიკოლ კიდმანს სულაც არ დაევიწყებოდა თავისი დანაპირები. პერიოდულად, ის უოტსს გავლენიან პროდიუსერებს აცნობდა და თავისი საუკეთესო მეგობრისთვის როლებსაც თხოულობდა. „ამ გავლენიან ბოსებს მე მხოლოდ მანამდე ვახსოვდი, ვიდრე ნიკოლი კარს გაიხურავდა. მას შემდეგ კი, ისინი ისე მიყურებდნენ, თითქოს პირველად მხედავდნენ...“ – იხსენებდა მსახიობი. ერთხელ, ცოლის მეგობარს თავად ტომ კრუზმა გაუწია პროტექცია: ბეკონის სარეკლამო რგოლში ნაომი ტომთან ერთად მონაწილეობდა. კრუზს და კიდმანს მეტი არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ...

აბა, რას ელოდით თქვენ ფოტომოდელის გარეგნობის მქონე ქერა გოგონასგან? მით უმეტეს, რომ მას არც სოლიდური ბოიფრენდი ჰყავდა, რომელსაც კინოინდუსტრიაში საკუთარი კავშირები ექნებოდა. პოლივუდის სამყაროს მთელი სისასტიკე ნაომიმ საკუთარ ტყავზე იწვინა. ქერთიანი ლამაზმანთან თავის შექცევას ყველა ელტვოდა. ნაომის მოურიდებლად ეპატივებოდნენ იქვე, კუთხეში მდებარე ბარში და არც და-

განუმეორებელ ჰიტ ლეჯერთან ერთად



მის ერთად გატარების შეთავაზებისგან იკავებდნენ თავს. მსგავსი წინადადებები უოტსის ტიპის ქალისთვის განსაკუთრებულად საძულველი გახლდათ და ისიც ამ კატეგორიის მამაკაცებს საკმაოდ უხეშად იგერიებდა. ჩვეულებრივ, პრესაში ნიკოლ კიდმანის შესახებ წერენ, რომ ის გამოუსწორებელი ფემინისტია. სინამდვილეში კი, ჭეშმარიტი ფემინისტი მისი საუკეთესო მეგობარია. ყოველივე ეს კი, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ჯერ კიდევ ბავშვობაში, მამასთან ურთიერთობიდან დაიწყო. ნაომის მამა, პიტერ უოტსი Pink Floyd-ის ხმის ინჟინერი გახლდათ. გოგონა სულ რაღაც ოთხიოდე წლის იყო, როცა მამამ ოჯახი მიატოვა. „კონცერტებზეც კი არ მიყვავდი ხოლმე!“ – დღესაც იხსენებს ნაომი და ზრდასრული ქალის ამ რეპლიკიდან მამის სითბოს მოკლებული ბავშვის გულისტკივილი გამოსჭვავის.

როცა პიტერ უოტსი გარდაიცვალა, ნაომი ათი წლის იყო და მისი ცხოვრების ეს ეპიზოდი საძულადმოდ დაიხურა. მოგვიანებით, მის საუკეთესო მეგობარს ოჯახი დაეწვრა. ტომ კრუზი, რომელიც კიდმანს იდეალურ მამაკაცად ესახებოდა, ჩვეულებრივი მექალთანე აღმოჩნდა. ნიკოლი მის მკლავებში ქეითინება და ამბობდა: „მიმიფურთხება ისეთი ფულია და კარიერისათვის, რომელსაც ამხელა გულისტკივილი ახლავს თან“. მამაკაცებისა და ფულის საკითხში ნაომი აბსოლუტურად ეთანხმებოდა მას, მაგრამ რაც შეეხებოდა კარიერას, უოტსს არაფრით არ შეეძლო მიეფურთხებინა მისთვის.

„ერთადერთი მამაკაცი, რომელმაც

მამასთან, ბენტან ერთად



დედასთან ერთად ვენეციის კინოფესტივალზე

ირწმუნა ჩემი, დევიდ ლინჩი იყო“, – იტყვის ის მოგვიანებით. 30 წლის ქერთიანი მსახიობს ლინჩმა ფილმში „ძალა-ჰოლანდ-დრაივი“ (2001) მისცა როლი. სურათს წარმატება ელოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეკრანებზე მის გამოსვლამდე პროდიუსერები საკმაოდ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი: „კაცმა არ იცის, რა გადაიღო ლინჩმა, მის სანახავად ხომ არავინ წავა. ერთადერთი, რაც ამ უცნაურ ფილმში ყურადღებას იქცევს, ლესბოსური სცენაა ქერა და შავკვრემანი (ნაომი უოტსი და ლორა ელენ ჰარინგი) მსახიობების მონაწილეობით“. ყველასთვის მოულოდნელად ფილმს წარმატება ხვდა წილად; თანაც ნაომის გვარი მთელი მისი კარიერის მანძილზე პირველად მოხვდა კინორეცენზიებში.

უოტსი ბებიის მოსანახულებლად უელსში იყო ჩასული, როცა სრულიად მოულოდნელად, პოლივუდელი ბოსები მას ტელეფონით დაუკავშირდნენ: „ხვალ, ფილმ „ზარის“ სინჯებში მონაწილეობის მისაღებად ხომ ვერ ჩამოფრინდებოდი ლოს-ანჯელესში?“ უნდა აღინიშნოს, რომ „ზარი“ იაპონური ბლოკ-ბასტერის ამერიკული რემიკი გახლდათ. ეს იყო საკმაოდ შიშის მომგვრელი ზღაპარი გოგონასა და მომავლნიველ კასეტაზე. ფილმის საწყისი ბიუჯეტი 50 მილიონ დოლარს შეადგენდა. მის პროდიუსერობას კი, სტივენ სპილბერგი ეპირებოდა. ყველაფრიდან ნათლად ჩანდა, რომ სურათს აშკარა წარმატება გარანტირებული ჰქონდა. „მაგრამ რატომღაც გავიფიქრე, რომ ახლაც ისევე არ გამიმართლებდა, როგორც მთელი



თავის საყვარელ ძაღლთან, ბობთან ერთად

თხუთმეტი წლის მანძილზე არ მიმართლებდა. ავიაბილეთის შესაძენად ზედმეტი ხარჯი რაღად უნდა გაემდო? – გაიფიქრა უოტსმა. სამი დღის შემდეგ, პოლიუდელი ბოსები მისი ბებიის სახლში ისხდნენ. ავიაბილეთის შესაძენად ფულის დახარჯვა მათ მოუხდათ. ამ აღმძინებს ნამდვილად ვერ წაართმევ იმას, რაც მათ ყოველთვის წინასწარ იციან, ეს არის ალლო იმისა, თუ რა იქნება მოდამი ხვალ.

„ზარი“, ამერიკული კინოს მთელი ისტორიის მანძილზე, ყველაზე პოპულარულ საშინელებათა ფილმად იქცა, ნაომი კი – ვარსკვლავად. კარიერის ასპარეზზე გამარჯვებას, პირად ცხოვრებაში წარმატება მოჰყვა – ნაომიმ რომანი გააჩაღა მსახიობ ჰიტ ლეჯერთან. წარმოშობით ავსტრალიელი ლეჯერი ნაომიზე 11 წლით უმცროსი გახლავთ. გარეგნობით მას ელინთა ღმერთს – აპოლონს ადარებენ და მის ირგვლივ ყოველთვის მრავლად ირევან თავყანისმცელები. თუმცა, ნომისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მათ ერთმანეთი ფილმის – „ნედ კელი“ – გადაღებებზე გაიცნეს. რით მიიქცია ნაომიმ ჰიტის ყურადღება? იმით, რომ ის დამოუკიდებელი და თავდაჯერებულია, არ ელტვის ქორწინების უღლის დადგმას და არც ყველა მამაკაცის ლოგინში შეთრევას ცდილობს; აგრეთვე იმით, რომ ბოცმანივით ივინება... მოკლედ, მან ნაომი თავისიანად მიიჩნია. თანაც ის ხომ მასზე გაცილებით უფროსი და გამოცდილია. ლეჯერი ყურებამდგა შეყვარებული, მაგრამ საკუთარ თავს


ამაში დღემდე არ უტყდება. უკვე წელიწად-ნახევარია, რაც ისინი ერთად არიან და ამ ხნის მანძილზე ერთი მშვიდად გატარებული დღეც კი არ ახსოვთ – ემოციური ჩხუბი და ასევე ემოციური შემორიგება. ისინი ხან პაფდელის მცველებს ეჩხუბებიან ღამის კლუბში, ხანაც როდეო-დრაივზე კრიტკულთან მიახლოებული სიჩქარით დაქრან. ხან საკუთარი ნიშნობის შესახებ აცხადებენ, ხანაც ამ ნიშნობის ჩამლის შესახებ ამცნობენ საზოგადოებას. უოტსს ასეთი ცხოვრება სრულიად აკმაყოფილებს – აქ ხომ ადგილი არა აქვს მისთვის საძულველ ყოფას, არავინ არავის თრგუნავს და არც საქორწინო უღლის დადგმას აიბულებს. ერთადერთი, რის მოთმენასაც ის არ აპირებს – მის პირად ცხოვრებაში პრესის ჩარევაა. პრესკონფერენციაზე, როგორც კი მას ლეჯერზე ეკითხებიან რამეს, ის დგება და დარბაზს ტოვებს. „გაითვალისწინეთ: ჩემს ბინძურ თეთრეულში ხელის ფათურის უფლებას არავის მივცემ. დიას, ჩემს კარადებში არაერთი „ჩონჩხი“ გადაძალული, მაგრამ ყოველი მათგანი ჩატულია“, – აცხადებს ნაომი.

დემი მური სწორედ ამ რომანით იყო შთაგონებული, როცა საკუთარი ყურადღება მასზე ბევრად უმცროს ეშტონ კატჩერს მიაპყრო. როცა პოლიუდის ერთ-ერთი უპირველესი ვარსკვლავი – დემი მურიც კი შენ გბამავს, რაღაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი...

2003 წელს დასავლურ პრესაში არ იყო არც ერთი ქალთა ყურნალი, ნაომი უოტსზე სტატია, მასთან ინტერვიუ ან თუნდაც მისი ფოტოსესია რომ არ დაებეჭდა. იმიტომ, რომ 35 წლის ასაკში, ნაომი წლის ყველაზე მოდურ, ყველაზე აქტუალურ და ყველაზე პოპულარულ მსახიობად მოეწვინა პოლიუდს. ამ მხრივ, მან თავის საუკეთესო მეგობარსაც კი აჯობა – ამით თავად ნიკოლსაც მიეცა იმის საშუალება, რომ მისგან რაიმე ესწავლა. ისწავლა კიდეც: ნაომის მსგავსად, მან მთელი ძალები სამუშაოსკენ მიმართა, განუწყვეტლივ გადაღებითა დაკავებული, ხოლო როცა ყურნალისტები მის პირად ცხოვრებას ეხებიან, ის თამამად აწყვეტინებს მათ შეკითხვას. მეგობრები ერთად სტუმრობენ ღამის კლუბებს და არც ბრაზილიელ სტრიპტიზის მოცეკვავე ქალთა შოუზე დასწრებას არიდებენ თავს (მათი თქმით, ამქვეყნად ქალის სხეულზე ლამაზი

არაფერია). ხელიხელჩაკიდებულნი დადიან პრემიერებსა თუ წვეულებებზე... არც თავყანისმცემლების სიმცირეს უჩივიან.

ბედის წყალობა საკმაოდ უჩვეულო რამ არის: ბოლოს და ბოლოს, კიდეც რა ისეთ განმაურებულ ფილმში ითამაშა ნაომი უოტსმა, რომ ვარსკვლავის სტატუსი მოეპოვებინა? საკმაოდ სულელური და უსაგნო „გაყრაში“, სადაც ფილმის ორი მესამედის მანძილზე ის ორსულის როლს ასრულებდა და ვეებერთელა მუცლით ხან ისტერიკას უწყობდა სატრფოს, ხანაც საკმაოდ არანატურალურად თამაშოდა შეყვარებული ქალის როლს. კიდეც იყო „ოთხი დაკრძალვა და ერთი ქორწილი“, სადაც იაფფასიანი პერმანენტი და უხამსი ჩაცმულობით ისე იყო დამახინჯებული ნაომი, რომ ამ ლამაზმანი მსახიობის ამოცნობა აშკარად ჭირდა. იყო „ნედ კელიც“, რომლის გადაღებისას მან ჰიტ ლეჯერი გაიცნო... მას არ ჰქონია არც ერთი ისეთი სერიოზული როლი, რომლითაც შეიძლება ითქვას, რომ „ოსკარზე“ პრეტენზია გასწენოდა. თუმცა, როგორც უკვე დარწმუნდით, ნაომი იმ კატეგორიის ქალებს მიეკუთვნება, რომლებიც მოგვიანებით, მაგრამ საბოლოოდ მაინც აღწევენ მიზანს. წლებადღელ „ოსკარები“ დაჯილდოების ცერემონიაზე ნაომი უოტსი წარდგენილია „ქალის საუკეთესო როლის“ ნომინაციაზე ფილმით – „21 გრამი“.



საყიდლებზე სიარული საუკეთესო მეგობართან, ნიკოლ კილმანთან ერთად ყველაზე მოსახერხებელია

უფროსკლასელთათვის განკუთვნილმა სასკოლო ჟურნალმა „ეტალონი“, ნიგნისა და ცოდნისავენ მოზარდების მისაბრუნებლად, „მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავების ხელშემწყობი პროექტი“ შეიმუშავა და მის განსახორციელებლად, აქტიური საქმიანობაც გასწია. მოიცებნენ პროექტის მხარდამჭერი სპონსორები, რომლებმაც დააწესეს სტიპენდიები კონკურსში გამარჯვებული მოსწავლისა და მისი კლასის დამრიგებლისთვის — თითოეული, 50 ლარის ოდენობით.

მერი კობიაშვილი



სტიპენდიის მოპოვება საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ უფროსკლასელ მოსწავლეს შეუძლია

სოდნის გაღრმავების ხელშემწყობი პროექტი



გამარჯვებულ აკაკი მელაძის ხელშეკრულებას უფორმებენ

პირველად, ამ იდეას გაზეთმა „მსოფლიო სპორტმა“ შეასხა ფრთები. ამ დღეებში კი, ინტერნეტ-პროვაიდერმა „კაუკასუს ნეტვორქმა“ დააწესა სტიპენდია, რომლის მოპოვება შეეძლო საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ უფროსკლასელ მოსწავლეს, ვინც ჟურნალ „ეტალონი“ გამოქვეყნებულ ტესტს შეავსებდა და რელაქციას გაუგზავნიდა.

ცხადია, როცა ახალგაზრდები შინ ხსნიდნენ სტიპენდიის მაძიებლის ტესტს, მათ მშობლები და ახლობლებიც დაეხმარებოდნენ (ჟურნალში გამოქვეყნებულ ტესტს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებმა ათეულობით მოსწავლემ გასცა პასუხი, მაგრამ მათ შორის სწორი

56 აღმოჩნდა), 31 იანვარს კი, როცა ამ მოზარდებმა თბილისის 61-ე საშუალო სკოლაში მოიყარეს თავი, ისინი მხოლოდ საკუთარი ცოდნის იმედად დარჩნენ. იქ იყვნენ: თბილისის, ფოთის, საგარეჯოს, ბათუმის, ზესტაფონის, რუსთავისა და ლაგოდეხის სკოლების მოსწავლეები.

ბუნებრივია, თავიდან, ისინი ცოტას სერვიულობდნენ კიდევ, მაგრამ როდესაც ტესტირების ფურცლები დაურიგდათ, მიღვარებამ გაუარათ და გახალისდნენ კიდევ, მოგვიანებით კი, ისიც აღნიშნეს — კითხვები საკმაოდ იოლი იყო, — და ალბათ ამიტომაც, რეგლამენტით გათვალისწინებული ერთი საათიც არ დასჭირვებიათ.

მოსწავლეთა პასუხები მათი მშობლებისა და გულშემმატყვიერების თანდასწრებით შემოწმდა და მაშინვე შევსდა. ამის შედეგად, 6 მესამე, 6 მეორე და 2 პირველი ხარისხის დიპლომი გაიცა. კონკურსში გამარჯვებული კი (117 ქულით) დემირელის სახელობის კოლეჯის მე-8 კლასის მოსწავლე აკაკი მელაძე აღმოჩნდა, რომელმაც უფროსკლასელებსაც აჯობა. „კაუკასუს ნეტვორქმა“ იქვე გააფორმა მასთან ხელშეკრულება, რომლის მიხედ-

ვითაც, ყოველი თვის 26 რიცხვში, აკაკი მელაძე და მისი კლასის დამრიგებელი, ქალბატონი მანანა ანდრიაძე მიიღებენ სტიპენდიას — 50-50 ლარს. აპლოდიმენტებისა და მილოცვების შემდეგ, გამარჯვებულ მოზარდს გაეცასუბრეთ.

მოსწავლეთა პასუხები მათი მშობლებისა და გულშემმატყვიერების თანდასწრებით შემოწმდა

— აკაკი, ჟურნალ „ეტალონი“ გამოქვეყნებული ტესტის სხვების დაუნებარებლად შეავსე?

— მხოლოდ ერთ კითხვას ვერ ვუპასუხე: მწერებს რა ფერის სისხლი აქვთ? ნაცნობ სპეციალისტს ვკითხე...

— კლასის დამრიგებელი თუ ელოდა შენს გამარჯვებას?

— მან ჯერ არც კი იცის, ამ კონკურსში რომ ემონაწილეობდი.

— შენ თვითონ თუ გქონდა გამარჯვების იმედი?

— რაღაც იმედი მქონდა...

— ფულს რაში დახარჯავ?

— არ ვიცი. ჯერ არ გადამიწყვეტია — ცოტა დაბნეული ვარ...

P.S. ჟურნალ „ეტალონის“ მეგვეურობისგან შევიტყვეთ, რომ „მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავების ხელშემწყობი პროექტი“ კვლავაც გაგრძელდება და ნებისმიერ მსურველს (ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს) აქვს საშუალება, სტიპენდია დაუნიშნოს ახალგაზრდებს. ამასთან ერთად, უფროსკლასელებისთვის განკუთვნილი ეს ჟურნალი სხვა სიახლეებსაც გვპირდება.



აკაკი გეგენავა

წინამორბედი წერილი
იხ. „გზა“, №4

გარდა იმისა, რომ ამერიკა პარადოქსების ქვეყანაა, აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება არაორდინარულ სიტუაციაში აღმოჩნდე. სულ სხვაა, როცა ტურისტის თვალთუყურებ ამერიკულ ცათამბჯენებს და ეგზოტიკურ გასართობებს, მაგრამ როცა სამუშაოდ ხარ ჩასული, რომ როგორმე თავიც გაიტანო და ოჯახსაც გამოუგზავნო ფული ოკეანისგაღმადან, საქმე სულ სხვაგვარადაა. ამიტომ მუდამდღე დაძაბული ხარ, რომ რაიმე ხათბალაში არ გაეხვე, რომელსაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება გადაეყარო... შენი თავის პატრონი და დამცველი შენვე ხარ და ამდენად, მოდუნების უფლება არა გაქვს...

სწორედ ამგვარი მოულოდნელობების გამო ვხეხე ორი თვე ოლბანის ციხე ნარკოდილერის „იარლიყით“. კიდევ კარგი, რომ ჩემი უდანაშაულობა ამტკიცდა, თორემ, ახლაც იქაური საპატიმროს ბინადარი ვიქნებოდი...

ეს შარიანი რეკეტიორები...

ამიტომ არანაირი სურვილი აღარ მქონდა კრიმინალურ „ელემენტებთან“ ურთიერთობისა, მაგრამ ამჯერად არაფერი გამომივიდა. ვიჯექი ტრაილერების ავტოსადგომის დარაჯის, მოხუცი ჯოს ჯიხურში და ბახუსის მოყვარული კაცივით შევექცეოდი ვისკის. თანაც, რამდენადაც შემიძლო, ვცდილობდი, ყურადღება არ მიმექცია ჩიკაგოელი დაკუნთული რეკეტიორებისთვის, რომლებიც ძალზე საეჭვოდ და შინაურულად ფორიაქობდნენ დარაჯის „სამფლობელოში“.

თავდაპირველად, ჯიმიმ — ერთ-ერთმა რეკეტიორმა — იმით გამაოცა, რომ კარგად ერკვეოდა კალათბურთში. სწორედ მან მითხრა, ქართველი ლეგიონერი ვოვა სტეფანია მეორე დღეს რომ ითამაშებდა ჩიკაგოში. ის-ის იყო, სიმპათითაც კი განვეწყვე მის მიმართ, როცა მეორე რეკეტიორი შემოვიდა და ჯიმი მყისიერად შეიცვალა: თოფნაკრავით წარმოიჭრა, ისეთი სიხარუ-



როგორ ვისაპვი თავს ჩიკაგოში ნარკომანიისა და მანანალოებისგან...

ლი გამოეხატა სახეზე, რომ მასზე ბედნიერი კაცი თუ არსებობდა ამქვეყნად, ვერ წარმოიდგენდი. მეგობარს ხელის კანკალით ჩამოართვა რაღაც პაკეტი, სულმოუთქმელად გახსნა და...

გულმა ისეთი ბაგაბუგი დამიწყო, თითქოს დანაშაულზე წამასწრეს. ჯიმის ძვირფასი ნობათივით ეჭირა ხელში ცელოფანის პაკეტი, რომელშიც თეთრი ფხვნილი იყო ჩაყრილი...

ჯიმიმ მოამზადა შპრიცები და ისე ოსტატურად ამზადებდა ნარკოტიკს, მივხვდი — მთელი ცხოვრება ამ საქმით იყო დაკავებული...

ჯიმისა და მისი მეგობრის ფაციფუციის შემხედვარეს, ცივმა ოფლმა დამასხა. ნარკოტიკების (ისიც — სხვისი შემოგდებულის) გამო იყო, ციხეში რომ ამოგყავი თავი სულ ცოტა ხნის წინ. ახლა კი, ეს სატანისეული საცდური იხარშებოდა ჩემ თვალწინ. არადა, პოლიციელი რომ შემოსულიყო, როგორ უნდა დამემტკიცებინა — ამ რეკეტიორ-ნარკომაანებთან საერთო არაფერი მაქვს-მეთქი?!

უცბად გადავწყვიტე — აქაურობას გავეცლები-მეთქი. დანაშაულზე წასწრებულივით წამოვიმართე და კარს დავაშტერდი, ამ დროს, მეორე რეკეტიორმა შემამჩნია (ეტყობა, მანამდე ისე იყო გადართული ნარკოტიკზე, რომ ვერც დამინახა) და ჯიმის გამომცდელად ჰკითხა:

— ეს ვინდა? აქ რა უნდა?
— ნუ დარდობ, ჩვენინანია... ჯობს, ცხვირსახოცი გადამიჭირო... — არხეინად უპასუხა ჯიმიმ და გაშიშვლებული მკლავი მიუშვირა. მან დახვეული ცხვირსახოცი მკლავზე მაგრად გადაუ-

ჭირა და შპრიცი მოიმარჯვა. მონუსხულივით ვუყურებდი, როგორ შესრიალდა ამობურცულ ვენაში ნემსი... იგივე პროცედურა გაიმეორა ჯიმიმაც და მალე, ორივე რეკეტიორი „ნირვანაში ჩაიძირა“... დროის რაღაც მონაკვეთში ჯიმიმ დაბინდული თვალებით ამომხედა და ძლივგასავიწყად მითხრა:

— გასინჯე, ახალი პარტიაა — მაგრად ისიამოვნებ...

დარაჯისკენ გავიხედე. დაძაბული იჯდა და თვალს არ მამორებდა. ვიფიქრე — ამას რაღა სჭირს-მეთქი? და როცა ჯიმის ვუთხარი — გმადლობ, ნარკოტიკებისგან შორს ვარ-მეთქი, — შევამჩნიე, როგორ შევებით ამოისუნთქა დარაჯმა.

რატომღაც წასვლაც გადავიფიქრე. ახლა ამ პატარა ოთახში უბრალო მოძრაობაც კი ზედმეტი და უადგილო იქნებოდა. ჯიმიმ ისევ მინაბა თვალეზი...

ასე ვისხელით მე და მოხუცი ზანგი და შეეყურებდით მოკაიფე რეკეტიორებს. გარკვეული დროის შემდეგ ჯიმი ოდნავ გამოფხიზლდა და ნახევრად დაბინდული თვალებით გადმოგხედა.

— პირველად ვხედავ კაცს, კაიფზე რომ უარს ამბობს. ფულს კი არ გართმევ — მინდა, პატივი გცე... — ისევ სცადა ჩემი „ჩათრევა“ ჯიმიმ.

— გმადლობ, ნარკოტიკი ჩემი საქმე არ არის... — ვცადე, რაც შეიძლება თავაზიანად მეპასუხა. გონებაში კი ვფიქრობდი — ვინაა ეს ოხერი, რას გადამეკიდა-მეთქი?!

— აბა, რითი ერთობი? ალბათ ქალეზი გიყვარს!... მრავალმნიშვნელოვნად გავუღიმიე.

– ზანგი ქალი გყოლია ოდესმე? – კითხვა ისეთი ტონით დამისვა, რომ მივხვდი – ჯიმი შეტყვისთვის ემზადებოდა.

– იცი, ჯიმი, ასეთ თემაზე ლაპარაკი არ მიყვარს, ძალზე ინტიმური საკითხია...

– ინტიმური? გესმის, ბიძია ჯო, რა სიტყვა იხმარა? ინტიმური... ჩვენ ხომ ასე ლამაზად არ ვლაპარაკობთ... – ჯიმიმ ჯოსკენ გაიხედა. მოხუცი უხერხულად შეიშმუნა. თვალით მანიშნა – ყურადღებას ნუ მიაქცევო.

– ისე, თეთრებს გიყვართ ლამაზი სიტყვებით თავის მოწონება. ჩვენსავით, ზანგებვით კი არ ლაპარაკობთ... – აშკარად უკმაყოფილო იყო რეკეტიორი.

– მე რასაც ვფიქრობდი, ის ვთქვი – მეტი არაფერი... – თავის მართლება ცცაღე.

– არა უშავს, ჩვენი დროც დადგება. თანაც, რომ იცოდე, შავები არავისი დასაჩაგრები არ არიან... – აშკარად რასისტული პრობლემით გაღიზიანებულ კაცთან მქონდა საქმე. არადა, რომელი ადამიანის უფლებების დამცველი მე ვიყავი?!. ერთი სული მქონდა, იქაურობას გავცლოდი...

– ბიბი კინგი ხომ მაგარია? – ახლა სხვა „არხზე“ გადაერთო რეკეტიორი.

თავი დაუქუჩი.

– ლუი არმსტრონგი, ტინა ტერნერი, მაიკლ ჯორდანი, მუჰამედ ალი... როგორები არიან?!. – ისევ მკითხა.

– მაგრები არიან! – დაუვლასტურე.

– ჰოდა, რაღა გინდათ ამ თეთრებს? გასაქანს რატომ არ გვაძლევთ? დაგვანებეთ, რა, თავი, მოგვეცით საშუალება ჩვენც ვიცხოვროთ!.. – აშკარად ვგრძობდი – თუ კიდევ გააგრძელებდა, ჩემს ქმედებაზე პასუხს ვეღარ ვაგებდი...

– ჩემგან რა გინდა, ჯიმი? რაც გინდა, ის გააკეთე – მე ხელს არაფერში შეგიშლი. თუ გინდა, ამერიკის პრეზიდენტი გახდი, მე ხმას მოგცემ...

ზანგმა ეჭვის თვალთა გამოძახება. ალბათ ფიქრობდა – ხომ არ მაშაყირებსო, – მაგრამ როგორც ჩანს, ჩემი სახის სერიოზული გამომეტყველებით კმაყოფილი დარჩა. მომიხსლოდა და გადამეხვია.

– Good guy (კარგი ბიჭი ხარ)... – მითხრა, თავი დამაღო და... ჩათვლიდა... შვებით ამოვისუნთქე. ფრთხილად ჩავსვი სავარძელში... კონფლიქტს ნამდვილად გადაურჩი. ჯომ მანიშნა – სანამ დროა, ოთანხიდან გადი. მეც მაშინვე გარეთ გავვარდი.

...იმ ერთ საღამოს, უამრავი რამ

გადამხდა ჩიკაგოში თავს. ტვინი არეული მქონდა და თავიც საშინლად მტკიოდა. ერთი სული მქონდა, ჩემს ცინესიმაგრეში (ასე ვუძახდი ტრაილერს) ავსულიყავი და დამესვენა. ისე მიგრბოდი ტრაილერისკენ, კაცი იფიქრებდა, ვილაცა მოსდევსო... როგორც იქნა, მივალწიე, მოსასვენებელ ოთახში საიმიდოდ მოვკალათდი და მეორე დღის 12 საათამდე მკვდარივით მეძინა...

ვის „ჩაგრავენ“ მანანალები ჩიკაგოში

მობილური ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. ჩემი კომპანიის უფროსი, ედმონდი რეკავდა.

– როგორ ხარ, აკაკი? მუშაობა არ მოგეხატრა?

– სად უნდა წავიდე, მისტერ ედმონდ? – პირდაპირ საქმეზე გადავვიდი.

– ჯერ არსად – შეკვეთები იგვიანებს. ტელეფონი არ გამოართო, ნებისმიერ დროს შეიძლება, საქმე გამოჩნდეს...

გამიხარდა კიდევ, რომ ჯერ სამუშაო არ მქონდა, ვიფიქრე – ჩიკაგოს დაავთვალერებ და კალათბურთის მატჩზეც წავალ-მეთქი. თუმცა კი, ზანგი რეკეტიორების გადამკიდეს, იმისიც მემინოდა, რაიმე ხიფათს არ გადავყრიდი...

მოხუცმა დარაჯმა ტრაილერის კაბინის კარზე მომიკაკუნა და ყავაზე დამპატიჟა.

– არ მინდა, ბიძია ჯო, ცოტას კიდევ დავიძინებ... – ვუპასუხე, მაგრამ ვინ დავაძინებ?!

– ნუ გეშინია, აკაკი, ისინი უკვე წავიდნენ, ვიხურე მარტო ვარ... – არ მომეშვა მოხუცი.

კალათბურთის მატჩამდე საკმაო დრო იყო დარჩენილი და თავპატივი აღარ დამიღვია. გემრიელი ნამცხვარი ეყიდა მოხუცს და მისი მოღულებული ყავაც სიამოვნებით მივირთვი. მერე მადლობა გადაუხვინე და ჩიკაგოს ქუჩებს და-შეშვეო.

...რატომღაც დიდი ამერიკული ქალაქები, ყველა ერთნაირი მგონია. ფართო გზები, მრავალსართულიანი სახლები, რეკლამებით აჭრელებული მაღაზიები, მდიდრული სალონები, მოვლილი გაზონები და ხეები, მანქანებისა და ხალხის სიმრავლე... დავდიოდი ჩიკაგოს ქუჩებში და არანაირ აღფრთოვანებას არ ვგრძობდი. ეს სიმდიდრე და მკვეთრი, კამკაშა ფერები ჩვეულებრივი მოვლენა იყო დიდი ქალაქისთვის. თუმცა, აშკარა იყო განსხვავება მათხორებს შორის: ნიუ-იორკში, ბოსტონსა და დეტროიტში მაწანწალა საცოდავი თვალებით გიყურებს

და ისე გთხოვს მოწყალებას, თუ რაიმე მიეცი, მადლობას გიხდის. ჩიკაგოელი მათხორარი პირდაპირ შეტევაზე გადმოდის... მახსოვს, ერთ-ერთი ქუჩის კუთხეში როგორ გამაჩერა გამურულ-გაბურძენილმა კაცმა და ერთი დოლარი მთხოვა. არც დაფიქრებულვარ, ისე მივეცი. ვიფიქრე, მადლობას მეტყვის-მეთქი, მან კიდევ ერთი დოლარი მოითხოვა. როცა უარი მიიღო, არც აცია, არც აცხელა – ქურთუკში მწვლად და ისე შემაჯანჯლარა – როგორ თუ ფულს არ მამღვეო?! გაოცებისგან გავეშედი. ვერა და ვერ მოვიშორე – ჯიუტად მექაჩებოდა სახელოზე. ხელი უხეშად გავიქნიე და ისიც ტროტუარზე გაიშლართა და აღრიალდა (მერე მივხვდი – განგებ მოიქცა ასე). ხმაურზე ხალხი მოგროვდა, საიდანღაც პოლიციელიც გამოჩნდა. გაოგნებისგან აღარ ვიცოდი, რა მექნა. პოლიციელმა მანიშნა – წადი, შენს საქმეს მიხედო, – და მათხოვარს მიუბრუნდა...

ორასი მეტრიც არ მექნებოდა გავლილი, რომ მეორე მათხორარი გამომიხტა. უკვე გამოცდილებამიღებულმა, ყურადღება რომ არ მივაქციე, ისეთი საშინელი სიტყვებით გამომლანძღა, ლამის ცულად გავხდი.

მათხორების თავხედობამ ძალიან გამაჩერებია. გავივლიდი ასიოდე მეტრს და წინ ახალი მაწანწალა გამომიხტებოდა. ვერაფრით მივხვდი, რა მჭირდა, რით ვიზიდავდი ამ „ვენას“ (ვხედავდი, სხვები უპრობლემოდ მიდმოდიოდნენ ქუჩაში). არადა, არ მინდოდა, ავტოსადგომზე დაბრუნება. ერთ-ერთ კაფეში შევედი. ცხელი შოკოლადი და ნამცხვარი შევუკვეთე, თან მობილურზე ჯოს ნომერი აკვრიბე. მოხუცმა მაშინვე მიპასუხა და მეც ავუსხენი ჩემი გასაჭირი. ჯომ გულიანად გაიცინა და მკითხა:

– ერთი ეს მითხარი, აკაკი, ქუჩაში რა სიჩქარით დადიხარ?

– როგორ თუ რა სიჩქარით, ჩვეულებრივად – ვსეირნობ... – ვუპასუხე.

– ჰოდა, რომ მისეირნობ, ამიტომაც გაწუხებენ მათხორები: ხვდებიან, ჩამოსული რომ ხარ და უნდათ, რაიმე წაგვლიჯონ. ცოტა ტემპს მოუმატე და არავინ გაგაჩერებს.

გავითვალისწინე ჯოს რჩევა, თანაც, მათხოვარს რომ დავინახავდი, კიდევ უფრო ჩქარა მივდიოდი. ასე რომ, მაწანწალები ფულის თხოვნასა და გამოლაპარაკებას კი არა, ჩემთვის თვალის მოკვრასაც ვეღარ ასწრებდნენ...

P.S. აკაკი გვეენავს მოგონებებების ამსახველ მომდევნო წერილს „გზის“ №8-ში შემოვთავაზებთ.

ყვლაჭე ბუიბად ღიბრეშლი თილმი კინტს ისტორიაში



როგორც „ჰარი პოტერი და ცეცხლოვანი თასის“ მეოთხე სერიის რეჟისორი მაიკ ნიუელი ირწმუნება, ეს ფილმი მსოფლიო კინოს ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული იქნება. მისი ბიუჯეტი დაახლოებით 168 მლნ გირვანქა სტერლინგს შეადგენს, რაც „ბეჭდების მბრძანებლის“ ბიუჯეტს ბევრად აღემატება.

ახალი ფილმის გადაღებები, რომელშიც მოქმედება ბრიტანელი მწერლის ჯონ როულინგის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით ვითარდება, მიმდინარე წლის აპრილში ინგლისში დაიწყება. მისი ეკრანებზე გამოსვლა კი, 2005 წლის დასასრულისთვისაა დაგეგმილი. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ, სწორედ მაიკ ნიუელმა გადაიღო რომანტიკული კომედია „მონა ლიზას ღიმილი“ ჯულია რობერტსის მონაწილეობით. აქვე შეგახსენებთ, რომ ჰარი პოტერზე პირველი ორი ფილმი რეჟისორმა კრის კოლამბუსმა გადაიღო. მათ გაქირავებას თითქმის 1,9 მლრდ დოლარი მოუტანეს. რაც შეეხება მესამე ფილმს, მისი დამდგმელი მექსიკელი რეჟისორი ალფონსო კუარონი გახლავთ. ფილმი ზაფხულში გამოვა მსოფლიოს კინოეკრანებზე. ■



უბრეშელი მბრძანებელი „მმბმლიტბ“ ვისკის დაბრუნება

ცნობილი შოტლანდიელი მსახიობი შონ კონერი, რომელიც ერთ დროს, იაპონურ ვისკის უწვევდა რეკლამირებას, ახლა ეროვნულ პროდუქტს დაუბრუნდა. შოტლანდიური ვისკის 45-წამიან ვიდეორგოლს ლაიტ-მოტივად გასდევს სიტყვები: „ზოგი ბერდება, ზოგი – მწიფდება“. მას, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის გამოკლებით, 8 ქვეყანაში უჩვენებენ. როგორც BBC იუწყება, სარეკლამო რგოლი ინგლისურენოვანი იქნება და სუბტიტრების საშუალებით გადაითარგმნება. ■



ჯულია ბრეტსის მბრძანებელი რეჟისორი

ჰოლივუდის ვარსკვლავს ჯულია რობერტსსა და მის კინოკომპანიას, რომელმაც ფემინისტური რეტრო-დრამა – „მონა ლიზას ღიმილი“ გადაიღო, ჯაზის ოთხი შემსრულებელი ქალბატონი სასამართლოში უჩივის. რობერტსს ბრალდებას უყენებენ იმის გამო, რომ მან მუსიკოსების დისკრედიტაცია მოახდინა, რადგან, შეპირებული 790 დოლარის ნაცვლად, მათ 385 გადაუხადა – მაშინ, როდესაც მათ მამაკაც კოლეგებს დღეში 630 დოლარს უხდიდნენ. ამ ფილმში ჯულია ასრულებს გოგონათა დახურული კოლეჯის პროფესორის როლს, რომელიც თავის სტუდენტებს არწმუნებს, რომ ცხოვრება ოდენ მდიდარი ქმრების ძიებას როდი უნდა შეაღიონ...



აღსანიშნავია, რომ სიმართლის მამბებელი ოთხი ქალის სარჩელი უპასუხოდ არ დარჩენილა – რობერტსის კინოკომპანიამ თავის მხრივ წაუყენა ბრალდება მათ – გადამეტებული მოთხოვნების გამო. ■

მბრძანებელი ახალ სიმღერებს გოციდან აგზავნის

ახლო მომავალში, სახელგანთქმული მომღერლის, ბობ მარლის კომპოზიციების კრებული გამოვა. კომპანია Universal-მა შეისყიდა მუსიკოსის 211 სიმღერა, რომელიც 1967-72 წლებში იყო ჩაწერილი. მათში ექვსი უცნობი კომპოზიციაც შედის. როგორც ცნობილია, ბობ მარლი 1981 წელს კიბოსგან გარდაიცვალა. Universal-ის წარმომადგენლის თქმით, მუსიკოსი თავის პირველ ნამუშევრებში აშშ-ში ეროვნულ უმცირესობათა მოქალაქეობრივ უფლებებს უმღერის. ახალი მასალით შევსებული პირველი გამოცემა სამი დისკისგან იქნება დაკომპლექტებული, რომლის პრეზენტაციაც 2004 წლის მარტში იგეგმება. ■



უბრუნე ლაჯის ახალი პტომლომედი

39 წლის კორტნი ლაჯის ადვოკატები, რომლებიც მომღერალს Universal Music Group-თან კონტრაქტის შეწყვეტაში ეხმარებოდნენ, ირწმუნებიან, რომ კორტნის, იურიდიული კომპანიის – Cappello & McCann-ის 230.000 დოლარი ვალი აქვს. საუბარია საქმეზე, რომელიც 2001-2002 წლებში განიხილებოდა სასამართლოს მიერ. შარშან ოქტომბერში კი, კურტ კობეინის ქვრივი ნარკოტიკების მოხმარებაში ამხილეს და ახლა მის წინააღმდეგ ახალი სასამართლო პრცედი იწყება. პრობლემების მიუხედავად, მომღერალი მაინც ახერხებს ახალ, სადებიუტო სოლო ალბომზე მუშაობას, რომლის სახელწოდებაცაა America's Sweetheart. მისი პრეზენტაცია 10 თებერვალს შედგება.



კემბტნი გბანდიტტულ პტბუდტტუ მუშბბტმს

„ტიტბბბის“ ავტორი და რეჟისორი ჯეიმს კემერონი კინოსტუდია 20th Century Fox-ში ახალი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის გადასაღებად ემზადება. იგი იმედოვნებს, რომ გადაღებები წელსვე დაიწყება. პროექტს ჯერჯერობით სახელწოდება არა აქვს, მაგრამ რეჟისორის განმარტებით, ეს იქნება „უბბბბბი სპეცეფეჟტით გბჯერებული სამეცნიერო-ფბნტბსტიკური ჟბნრის ფილმი“.

როგორც ცნობილია, კინოკომპანია 20th Century Fox-ბა Paramount Pictures-ბან ერთად დააფინბნსა „ტიტბბბის“ გადაღებები. ფილმბა მსოფლიო



ვბნესბ პბბბდი „შბბბლის“ სბსყ სტტბბ



პოპულარული ფრბნგი მსბხიობი და მომღერალი ვბნესბ პბრბდი მბლბლი მოდის სბსლის – „შბბბლის“ ერთ-ერთი სბსყ იქნება.

90-იბნი წლების დასბწყისში, ის უკვე ბბნბშბრომლობდა „შბბბლბბ“. მბშბნ პბრბდი „კოკო შბბბლის“ სუნბმოს სარეკლბბო რგოლში მონბწილებობდა, სბბბც გბლიბში გბმომწყვდებულ ჩიტს გბნბსბხიერებდა. ახლბ კი მომღერბლს ქბლის ხელჩბბბების ახბლი კოლექციის – „კბმბბბის“ რეკლბბბში გბბბბბბბენ, რომელსბც სბვბჭბრო ქსებლში გბზბფხულზე გბბბბბენ. „შბბბლბბ“ კონტრბქტის გბფორმებბ პბრბბისბბბბ დაკბვბბბრებულ ახბლ ტბორებს დაებბხვბ. როგორც ამბობენ, იგი მესბბმე შვილს ელოდებბ. ხბბბი ამის ბბობბბზე კი მბს შებმდებ გბვრცებლბბ.

რბც მსბხიობი, ჯბნი დებბბბნ ერთბდ, ფბრბხუნბ კბბბში იხბლეს.

ჯბბბტ ჯბდსბბბის ყვბლბბტ სტტსტბლბბბი ბლბბბბი

როგორც ჯბბბტ ჯბქსბბბ გბნბცხბდა, მბსი ახბლი ბლბბბი ყველბზე სექსუბლური იქნებბ, რბც კი ოდებმე გბმბუშვბბ. ჯბბბბი კვლბვ მველ პბრბდიუსერებბბბ – ჯბბბი ჯბბბბბბბ და ტბერი ლუბისბბბნ ერთბდ მუშბბბს. ბლბბბბი, რომელსბც ჯბბრ სბხელწოდებბ არბ აქვს, მბრტში უნბდა გბმბვბდეს. „წბრბმბდგენბ არბ მბქვს, რბს მობბბქმბდებბნ ახბलगბზრბდა ბბჯებბ ამ დბსკბს მოსმბბბის შებმდებ, – ბბბბბს ბბნბპბრბდიუსერი დბლბს ოსტბბბი, – იგი მომღებრლბის ერთ-ერთი სბუკებბბსო ბლბბბბბ“. ოსტბბბბსბვე გბნმბრტებბბ, დბსკბ, მბუხბდბვბდ ბბბსბ, რომ ბბლზე სექსუბლურიბ, ბბბვბრბუბლბდ, სბოცრბდ ბბვმბესბქებვბ და პბზბბბბბბბბბ. „ბრბვბბბბბი სებვბდა სბგბბბ. მბსში მხბლოდ გბსბრბბბი სბმდებრებბბ, რომელშიც ჯბბბბი გულწრფებლბდ ლბბბრბკობს სექსზე“.



მბსშბბბბბბ 1,8 მლრდ დოლარი დაბგროვბ და 11 „ოსკბრბბ“ დაჯბბდბოვბდა – მბბ შბრბის, ბსებ ნობბნბბბბბბში, როგორებვბბბ „წლის სბუკებბბსო ფილმი“ და „სბუკებბბსო სარებბსორო ნბმუშვებბრ“. „ტიტბბბის“ შებმდებ კემერბბბბ ორი დოკუმბბტური ფილმი გბბბბბ. ესენბბ – „უფსკრულის ბრბბბბბბ“, რომელიც „ტიტბბბის“ ბბლბუბბის ბდგბლბსბბ გბბბბბბბი და „ებქსპბდბცბბ „ბბბმბრკბბ“, რომელიც მბორებ მსოფლიო ობბის ბბრბს, ბნგბლისებლებბს მბბრ ჩბბბრუბლი გებრმბბუბლი სბმხებბბო გებბბს – „ბბბმბრკბს“ ბმბბვებ მბუბბბბბბბ. ბლსბბბბბბბ, რომ „ტიტბბბბი“ და „ბბბმბრკბ“ ბბბ სბბრმებზე სბმუშბბოდ გბბვბლისწბბბბბბ, რუსებბის წბრბბბბბს წყბლქვებბ ბბბრბბბბბბ – მბრბ-ბბბ ბრბს გბბბბბბბბბ.

როგორ უნდა უმჯობესო გავხადოთ ჩვენი ქვეყანა?



პარტნიორის არჩევისას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის შექმნა გაქვთ გადაწყვეტილი, ძალიან ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი. ფორმალურად, ქვემოთ მოყვანილი რჩევები სწორი არჩევანის გაკეთებაში დაგეხმარებათ.

1) პირველ რიგში ჩამოწერეთ ის მოთხოვნები, რომელსაც ოჯახის შექმნის შემთხვევაში, თქვენს მეორე ნახევარს წაუყენებთ. მეუღლეობის საგარეულო კანდიდატისგანაც იგივე მოითხოვეთ, შემდეგ კი ფურცლები გაცალეთ. ეს დაგეხმარებათ იმაში, რომ ორივე მხარეს ნათელი წარმოდგენა შეგექმნათ, თუ რას მოითხოვთ ერთმანეთისგან.

2) ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ, თუკი საქმე ახალგაზრდა ადამიანს ეხება. მისი ქცევის სასიამოვნო ან არასიამოვნო შტრიხები, შეიძლება იყოს რაიმე მოვლენაზე უნებელი რეაგირება და არა მისი ჩვეულებრივი გამოხატვა რეაქცია.

3) ნუ დაიწყებთ იდეალური პარტნიორის ძებნას. შედეგად იმ აზრს, რომ ბევრ წერილმანზე მოგიწევთ თვალის დახურვა.

4) პარტნიორის ძებნისას ნუ შემოიფარგლებით რაიმე ვკუთხით (სოციალური, ასაკობრივი, პროფესიული და ა.შ.). ფართო დიაპაზონი სწორი არჩევანის გაკეთებას გაგიადვილებთ.

5) თავიდანვე განსაზღვრეთ, რა გინდათ – იპოვოთ ადამიანი, რომელიც გეყვარებათ, თუ ადამიანი, რომელსაც ეყვარებით.

6) ნუ უგულვებელყოფთ ფსიქოლოგ-ფიზიოლოგების რჩევებს. პარტნიორის არჩევისას ამ რჩევებმა შესაძლოა, კარგი სამსახური გაგიწიოთ – განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გსურთ, ინტერნეტით იპოვოთ ცხოვრების თანამგზავრი ან საქორწინო სააგენტოს მომსახურებით სარგებლობთ და გაქვთ საშუალება, ფოტოსურათით შეარჩიოთ თქვენთვის მისაღები კანდიდატურა.

მამ ასე, რას ამბობენ ფსიქოლოგ-ფიზიოლოგების რჩევები, რა შეიძლება „გვითხრას“ ადამიანის სანის ნაკეთობა?

ღაცნობიერი წარბაზები:

მსხვილი, მორკალური წარბები – ასეთი წარბები ეგზალტირებულ და მკაფიოდ გამოხატული არტისტული ნატურის მქონე ადამიანებს აქვთ. თუ თქვენ ბედს ასეთ ადამიანს დაუკავშირებთ, კამათის მიზეზი ხშირად იქნება უმნიშვნელო საყოფაცხოვრებო საკითხები და საერთოდ, თქვენს ოჯახში კამათისთვის მიზეზი ხშირად მოიძებნება.

ფართო, ნათელი თვალები – ადამიანებს, ვისაც ასეთი თვალები აქვთ, პატიოსნება პირდაპირ შუბლზე აწერიან, ალალი და კეთილი გულით გამოირჩევიან, ოჯახში კი შეუძლიათ საზეიმო განწყობილება შექმნან. მშვიდ, სტაბილურ ცხოვრებაზე მეოცნებენ, ასეთი თვალების მქონე ადამიანის გვერდით თავს კარგად იგრძნობენ.

სავსე ტუჩები – მათ, ვისაც აქვთ მსხვილი ტუჩები, დიდი პირი ან ტუჩების კუთხეში ფოსები უჩნდებათ, როგორც წესი ოუმორის გრძნობა არ ღალატობთ. აფასებენ ერთგულებას და სიამოვნებთ სხვებზე ზრუნვა. თხელი, ვიწრო ტუჩების პატრონები კი უმეტეს შემთხვევაში ბუნები არიან.

მოდრავი, მოუსვენარი თვალები – ასეთი თვალები ხშირად მატყუარებს აქვთ, თუმცა მათი ამოცნობა ფოტოსურათით ნამდვილად შეუძლებელია.

იმპულსური ადამიანი – ასეთ ადამიანს თუ პროფილში შეხედავთ, ნახავთ, რომ მისი ტუჩები ყოველთვის წინაა გამოწეული. ის ადამიანები კი, რომელთაც შიშით შეწყველი ტუჩები აქვთ, ძალიან ფრთხილები და წინდახელულები არიან. ასე რომ, ფოტოსურათითაც ზუსტად შეგიძლიათ განსაზღვროთ, არის თუ არა თქვენი პარტნიორი იმპულსური და ტემპერამენტური ადამიანი.

თუ თვალებიდან აზრი და სიღრმე არ გამოსჭვივის – ასეთი თვალების პატრონები მოვლენების ზედაპირული აღქმით გამოირჩევიან. სიყვარულში არამდგრადები და კრიტიკულ სიტუაციებში ნაკლებად საიმედო არიან. თუ თქვენს ბედს ასეთ ადამიანს დაუკავშირებთ, მაშინ მხოლოდ საკუთარი თავის იმედად ყოფნა მოგიწევთ.

თუ თვალის კუთხეები ქვემოთა დახრილი – თქვენ წინაშე კრიტიკოსია. ასეთები ნელი მოქმედებებით გამოირჩევიან და ხასიათიც მერყევი აქვთ. ცოლი არასოდეს იქნება მკაფიო ქმრის ხელფასით, ხოლო ქმარს, ქალი ვერასოდეს მოაწონებს გარეცხილ პერანგს თუ საგულდაგულად მოშადებულ სადღეს.

სახის ვიწრო ოვალი – თუ ასეთი სახის მქონე ადამიანის გვერდით მოგიწევთ ცხოვრება, მზად იყავით, თქვენს თავზე აიღოთ ინიციატივა, რადგან თქვენი მეორე ნახევარი არასოდეს იქნება დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში და ყოველთვის ზედმეტად მოკრძალებულად შეაფასებს საკუთარ პერსონას. ის ადამიანები კი, ვისაც ფართო სახის ოვალი აქვთ, პირიქით, ზედმეტად დარწმუნებულნი არიან საკუთარ თავში და თუ გინდათ, ოჯახს თქვენ წარმართავდეთ, ასეთი ადამიანისგან თავი შორს უნდა დაიჭიროთ.

სამუშაო – შეამოწმეთ, თქვენი პოტენციური მეუღლე მზად არის თუ არა საკუთარ თავზე აიღოს ოჯახური სამუშაოს დიდი ნაწილი, მზად არის თუ არა ოფლად დაიღვაროს და ისე გამოიმუშავოს თქვენი წამლისთვის საჭირო ფინანსები? თუ იგი თავიდანვე უკან იხევს, კრიტიკულ სიტუაციებში ზედმეტად დაიტვიტოს თავი, რათა უზრუნველყოს ოჯახის კეთილდღეობა, ნურც მომავალში გექნებათ იმის იმედი, რომ შეგიძლიათ მას დაეყრდნოთ.

ფული – ამბობენ, თუ ადამიანის გაცნობა გსურს, მას ფული უნდა მისცო. სცადეთ, მიეცით ფული თქვენს პოტენციურ მეორე ნახევარს და დააკვირდით, რაში დახარჯავს, ან რამდენ ხანს შეინახავს ის ამ ფულს, ნაჩუქარი ფულიდან რამდენს დახარჯავს თქვენთვის საჭირო ნივთის შესაძენად. ხელოვნურად შექმნილი ფულის ღეფიცობი და დააკვირდით, როგორ მოიქცევა ამ დროს თქვენი პარტნიორი.

ცეკვა – პარტნიორებს შორის ფსიქო-ფიზიოლოგიური ურთიერთშეთავსება ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. ლათინურამერიკულ ქვეყნებში დღემდე მიაჩნიათ, რომ ძალიან დიდი შეცდომაა წველის დაქორწინება, თუ მათ ერთხელ მაინც არ უცეკვიათ ერთად. ასე რომ, ქორწინებამდე აუცილებლად უნდა იცეკვოთ მომავალ მეუღლესთან და საბოლოო გადაწყვეტილება შეუძლებლობის თაობაზე მას შემდეგ მიიღოთ, როცა დარწმუნდებით, რომ თქვენი ფსიქო-ფიზიოლოგიური მონაცემები ერთმანეთს მიესადაგება.

ჩაუნდა ზიანები

● ფანჯრის მინები თვეში ორჯერ მაინც უნდა გაიწმინდოს, რადგან დამტვერილი მინები ცუდად ატარებს შუქს და ულტრაიისფერი სხივების 50%-ს აკავებს. თუ მინების გასაწმენდი სპეციალური ხსნარი არ გაქვთ, ფანჯრის მინა შეგიძლიათ გაწმინდოთ არაყში ან სპირტში დასველებული ქსოვილით, შემდეგ კი – მშრალი ჩვრით. ფანჯრის მინა ჯერ ძმარში და შემდეგ, წყალში დასველებული ჩვრითაც კარგად იწმინდება. მინას კარგად წმენდს მარილიანი წყალიც. ამ ხსნარით გაწმენდილ მინას ყინვაც კი ვერაფერს აკლებს. თუ შეორთქლილი ფანჯრის მინები გაიყინა, ნახევარ ლ წყალში გახსენით ერთი მუჭა მარილი, ხსნარში დაასველეთ ღრუბელი ან ჩვარი და გაუსვით მინას. ყინულის ქერქი გაქრება. ამის შემდეგ მშრალი ჩვრით გაწმინდეთ. გაწმენდილი მინის გასაბრიალებლად კარგია თუ ერთ ლ წყალში,

რამდენიმე წვეთ ნავთს ჩააწვეთებთ და ამ ხსნარში დასველებული ჩვრით გააბრიალებთ.

● თუ გინდათ, შარვალს ნაკეცი ღიდხანს ემჩნეოდეს, ძმრიან წყალში დასველებული ნაჭრით უნდა გაათოთოთ.

● ჭურჭელს თევზისა და კვერცხის სუნი რომ მოაშოროთ, ძმრიან წყალში უნდა გარეცხოთ. ასევე კარგ ეფექტს იძლევა, თუ წყალში ლიმონის წვეს ჩააწურავთ. შეგიძლიათ, ჭურჭელს მოუსვით გაჭრილი ლიმონი ან ძმარი და ცოტა ხნით ასე დატოვოთ. შემდეგ კი ცივი წყალში გარეცხეთ.

● თუ ხახვის, ნივრის ან თევზის გარჩევის შემდეგ ხელებზე დარჩენილი უსიამოვნო სუნის გაქრობა გსურთ, უნდა გადაივლოთ ძმარი, შემდეგ კი ცივი წყლით დაიბანოთ. შეგიძლიათ, ხელები



მარილითაც გაიწმინდოთ და შემდეგ საბინო დაიბანოთ.

● თუ სამზარეულოში საქმიანობის დროს ფრჩხილები და თითები გაგიშავდათ, ლიმონით ან ლიმონმჟავით გაიწმინდეთ.

● დანა ოჯახის პირობებში კარგად ილესება, თუ მას ნახევარი საათის მანძილზე მარილწყალში დატოვებთ, შემდეგ კი, გაუმშრალებლად ალესავთ.



რძისხილი ჯიშა

„ვარენიები“ ხაჭოთი და კარტოფილით

მოხარშეთ კარტოფილი, გაფუცქვით, გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. შეურიეთ ხაჭოსა და კარაქში მოხრაკულ ხახვს. შეაზავეთ მარილით და შავი პილპილით.

მანანის ბურღულს დაასხით 1 ჭიქა ცივი წყალი და დატოვეთ მანამდე, სანამ ბურღული არ გაფუცდება. შეაზავეთ მარილით. ათქვიფეთ კვერცხი, შეურიეთ ბურღულში და დაამატეთ ფქვილი. მოხილეთ ცომი, გაყავით რამდენიმე ნაწილად და თითოეული ნაწილი გააბრტყელეთ. შემდეგ დაჭერით ოთხკუთხედად.

თითოეულ ფირფიტაზე წინასწარ მომზადებული ხაჭოიანი კარტოფილი მოათავსეთ და შეაერთეთ ოთხკუთხედი ბოლოები დიაგონალურად, მიიღებთ სამკუთხედებს, კარგად შეაწებეთ ერთმანეთს სამკუთხედის წვეროები. ჩაყარეთ აღულებულ მარილწყალში და მოხარშეთ. როცა „ვარენიები“ ზემოთ ამოტივტივდება, კიდევ 5 წუთს გააჩერეთ, შემდეგ ამოიღეთ საწურზე, გადაავლეთ მდუღარე წყალი, დაალავეთ გაშლილ თევზზე, მოასხით მცენარეული ზეთი და მიირთვით არაუანთან ერთად.

4 ულუფისათვის საჭიროა: 1 კგ კარტოფილი, 250 გ ხაჭო, 1 საშუალო ზომის ხახვი, 1 ს/კ კარაქი. ცომისთვის საჭიროა: 300 გ ფქვილი, 1 კვერცხი, 2 ს/კ მანანის ბურღული, 200 გ არაყანი, 1 ჭ წყალი.

შემწვარი ყველი

ჰოლანდიური ან რუსეთის ყველი დაჭერით ნახევარი სმ სისქის ერთნაირი ზომის ოთხკუთხედებად. ამოავლეთ ჯერ პურის ფქვილში, შემდეგ ათქვიფილ კვერცხში, მოაყარეთ ორცხობილას საფანელი და შეწვით კარაქში. შეგიძლიათ მიირთვათ გამდნარ კარაქმოსხმულ მოხარშულ მაკარონთან ერთად.

4 ულუფისთვის საჭიროა: 300 გ ყველი, 2 კვერცხი, 1 ჭ ორცხობილას საფანელი, 100 გ კარაქი ან ერბო.

ვაშლის ბეზე

5 ცალი ვაშლი შეწვით, გახეხეთ სახეხზე, შეურიეთ 1 ჩ/ჭ შაქარი, 1 კვერცხის ცილა და კარგად აურიეთ. მიღებული მასა კოვზით სათითაოდ მოათავსეთ ქაღალდდაფენილ თუნუქის ფურცელზე და შედგით ნელთბილ ღუმელში გამოსაცხობად.

ალუბლის ყელე

დაალებთ 600 გ ფელატინი ნახევარ ლ აღულებულ და გაცივებულ წყალში 40-50 წუთის განმავლობაში. კურკამოცილილ ალუბალს მოაყარეთ შაქარი და დაასხით ნახევარი ლიტრი ანადუღარი და გაცივებული წყალი. შაქრის გადნობისთანავე წამოადუღეთ. მდუღარე წვენი (ალუბლის გარეშე) დაასხით დამდნარ ფელატინს, კარგად შეურიეთ ერთმანეთს, დაამატეთ ლიმონმჟავა და 5 წუთით ისევ შედგით ცეცხლზე. ფორმა, რომელშიც ფელეს ჩაასხამთ, ჩადგით ცივი წყალში... სითხე ჩაასხით ნელა. ალუბლის ნაყოფი შეგიძლიათ ჩაალაგოთ ფელეში გაცივებამდე. ვიდრე ფორმას გადმოაპირქვავებთ, სულ 1 წამით მოათავსეთ ცხელ წყალში დასველებულ ტილოზე და შედეგად ადვილად მოსცილდება ჭურჭელს.

ნამღაზი და ალკოჰოლი

რუბრიკას უძღვება ეტიმი თამარ მამასაშვილი

როგორ ურთიერთქმედებენ წამლები და ალკოჰოლი? მათი შეთავსებადობის პრობლემა ჩვენში განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან სპირტიანი სასმელი ლამის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად ქცეულა ბევრი ადამიანისათვის. რა თქმა უნდა, უმჯობესია, არ მოხდეს წამლისა და ალკოჰოლის თანხვედრა ორგანიზმში, თუმცა ასეთი რამ ზოგჯერ გარდაუვალია და მამინ სხვადასხვაგვარი უსიამოვნება მოსალოდნელი.

ანტიბუსი (ხველის საწინააღმდეგო საშუალება) — ალკოჰოლთან საშიშ კომბინაციას ქმნის — მცირე დოზაც კი ტოქსიკურია. თუ გაცივდით და ამ პრეპარატს იღებთ, გირჩევთ, დროებით უარი თქვათ ალკოჰოლიან სასმელზე.

აცეტისალიცილის მტავას ხშირად იყენებენ ხოლმე დოზის გადაჭარბებისას ნაბახუსევის უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად. მაგრამ გირჩევთ, ასე არ მოიქცეთ: ალკოჰოლიც და ასპირინიც კუჭის ლორწოვან გარსს აღიზიანებს, მაგრამ თანხვედრამ შესაძლოა ფარული სისხლდენა გამოიწვიოს.

აცეტამინოფენი — შედარებით მსუბუქი საშუალებაა ნაბახუსევისას თავის ტკივილის მოსაწყველად, მაგრამ რეგულარული გამოყენებისას იგი აჩქარებს ღვიძლის ალკოჰოლურ დაზიანებას.

ანტიკოაგულანტები — სისხლის

სიბლანტის, მისი შედეგების უნარის შესამცირებელი საშუალებებია. მათი ალკოჰოლთან ერთად მიღება გაუთვალისწინებელი, პოტენციურად საშიში ეფექტის მიზეზი შეიძლება გახდეს.

ანტიდებრესანტები — მათი ალკოჰოლთან ურთიერთქმედება უკიდურესად საშიშია. წამლისა და სასმელის სახეობის მიხედვით, შედეგები სრულიად სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს (მაგალითად, არტერიული წნევის უეცარი მატება ან კოორდინაციის მკვეთრი დარღვევა).


ანტიბისტამინურ საშუალებებს სვამენ არა მხოლოდ ალერგიის, არამედ გაცივების დროსაც. ზოგიერთი ადამიანი სრულიად ნორმალურად მიიჩნევს ერთი კათხა ლუდის ან ერთი ჭიქა ღვინის დალევის შემდეგ, საჭესთან ვლომას. მაგრამ თუ ამასთან ერთად ანტიბისტამინის ერთი შეხედვით უნებელ აბს გადაყლაპავთ ცხვირის გაჭვლევის გამო, ეფექტი ფატალური შეიძლება აღმოჩნდეს რეაქციების შენელების მიზეზით.

ბარბიტურატების ალკოჰოლთან თანხვედრა ასევე მძიმე შედეგით დამთავრდება.

ტივილეგამაყრებლები ალკოჰოლთან თანხვედრისას აქვეითებს ნერვული სისტემის რეაქციას საშიშ ზღვრამდე;

ამიტომ ფრთხილად უნდა იყოთ, რადგან ალკოჰოლის სულ უმნიშვნელო რაოდენობამაც შეიძლება ასეთი შედეგი მოგვცეს. დიაბეტის საწინააღმდეგო აბები კარგავს თავის მოქმედებას ალკოჰოლის მიღებისას. ამიტომ ვინც მას ღებულობს, საერთოდ არ უნდა დალიოს სასმელი.

ნიტროგლიცერინი და მისი შემცველი საგულე საშუალებები საერთოდ აქვეითებს წნევას და იწვევს თავბრუსხვევას.



ალკოჰოლთან თანხვედრისას კი ეფექტი ღრმავდება.

ტრანკვილიზატორები ისედაც ანელებს რეაქციებს და არღვევს კოორდინაციას. ალკოჰოლის უმნიშვნელო დოზის დამატებამაც სავალალო შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

გახანგრძლივებული მოქმედების მქონე ყველა პრეპარატი თავსდება სპეციალურ გარსში, რომელიც ძნელად იხსნება, რათა მოქმედი ნივთიერება თანდათანობით, რამდენიმე საათის განმავლობაში გამოთავისუფლდეს. ეს გარსი ადვილად იხსნება ალკოჰოლში; ასე რომ, ჩნდება ხანგრძლივი მოქმედებისათვის განკუთვნილი დოზის ერთბაშად მიღების რისკი.

არსებობს ალკოჰოლისა და წამლების სასიკეთო თანხვედრის ვარიანტებიც: B ვიტამინთა კომპლექსის მიღება (დალევაზე ან დალევის შემდეგ), ამცირებს ალკოჰოლის უარყოფით შედეგებს.

ექიმებმა აღმოაჩინეს აგრეთვე, რომ ორი პრეპარატი — ეფედრინი და ამინოფილინი, რომელიც ასთმის დროს გამოიყენება, საგრძნობლად აუმჯობესებს ნასვამთა კოორდინაციას. თუმცა ეს ეფექტი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საჭესთან დაჯდეთ — ამაზე არც იფიქროთ.

ნაბახუსევი თავიდან რომ აიცილოთ, საუკეთესო საშუალებაა მხოლოდ „განზავება“. რაც მეტ სითხეს მიიღებთ, მით ნაკლები იქნება გრადუსი და შესაბამისად — ალკოჰოლის უარყოფითი მოქმედება.

სწომბუნთლოგიური კლინიკა
გიორგი-დენში

1. უმეტესიგნეულო მკურნალობა მოკლე ვადებში;
2. 100% სტატისტიკა;
3. დაბალი ფასები;
4. ულტრა თანამედროვე მასალები აშშ-სა და გერმანიაში;
5. მაღალკვალიფიციური შედეგით მკურნალობა;
6. უფასო კონსულტაცია;
7. მკურნალობა გარანტიით.

მის: თაშისუფლანის მოედანი №4ა
(ახალაშენი სასტუმრო „მერიდიან“ იხილეთ)
☎ 98-64-83

სოფა რამ თირკმლის უსასხე

თირკმლები შარდგამომყოფი სისტემის ორგანოა. ის მუცლის ღრუში წელის არეში მდებარეობს. თირკმელი შედგება ტვინოვანი და ქერქოვანი ნივთიერებებისაგან.

თირკმლის ფუნქცია

აღამიანის ორგანიზმში მუდმივად მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა. მისი ნარჩენი პროდუქტების გამოდევნა კი აუცილებელია. ამ ფუნქციას ასრულებს გამოყოფი სისტემა, რომლის ნაწილიცაა თირკმლები. თუ გარემოდან მიღებული საკვების გამოუყენებელი პროდუქტები ორგანიზმიდან ნაწლავებით გამოიდევენება, ნაწლავის კედლიდან სისხლში მოხვედრილი და შემდეგ ქსოვილების ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი პროდუქტების გამოყოფა სისხლიდან სწორედ თირკმლების მეშვეობით ხორციელდება. გარდა ამისა, მის ფუნქციაში შედის ორგანიზმის შინაგანი გარემოს მუდმივობის, სისხლის ოსმოსური წნევის, მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის, მარილებისა და სხვა ნივთიერებების მუდმივი დონის შენარჩუნება.

თირკმელი ათავისუფლებს აღამიანის ორგანიზმს ჭარბი მარილებისგან, სამკურნალწამლო საშუალებების, ტოქსინების, საღებავებისა და სხვა ნივთიერებებისგან.



შარდი და მისი გამოკვლევა

შარდი ექსკრეტია (ნივთიერებათა ცვლის საბოლოო პროდუქტი), რომელიც თირკმლების მიერ გამოიყოფა. შარდის მეშვეობით ორგანიზმიდან გამოიდევენება აზოტის ცვლის თითქმის ყველა საბოლოო პროდუქტი, ნახშირწყლებისა და ცხიმების ცვლის პროდუქტთა უმრავლესობა.

შარდის გამოკვლევა გულისხმობს შარდის საერთო ანალიზს, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ არა მარტო თირკმლების მდგომარეობაზე, არამედ სხვა ორგანოების (ღვიძლის, პანკრეასის) ფუნქციონირებაზეც. შარდს იკვლევენ აგრეთვე სიმსივნურ უჯრედებზე, ბაქტერიების შემცველობაზე.

შარდის ანალიზისას სწავლობენ მის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს.

ფიზიკურ თვისებებს შორის ერთ-ერთი მთავარი მისი რაოდენობაა. ჯანმრთელი აღამიანი დღე-ღამეში მიღებული სითხის 50-80%-ს გამოყოფს. შარდის რაოდენობის მომატება სხვადასხვა

პათოლოგიის (შაქრიანი დიაბეტის, უშაქრო დიაბეტის, თირკმლის ამილოიდოზის) მაუწყებელია. მისი შემცირება კი მიუთითებს თირკმლებში მიმდინარე ანთებით პროცესებზე ან ნეკროზულ (ნეკროზი მთელი ორგანოს ან მისი ნაწილის კვდომა) სინდრომზე. ნორმალური შარდი **გამჭვირვალა**. მისი შემღვრვის მიზეზი შეიძლება იყოს მარილები, ბაქტერიები, ლორწო, ცხიმები.

შარდის ხვედრითი წონის

განსაზღვრა, წარმოდგენას გვიქმნის თირკმლის კონცენტრაციის უნარზე.

შარდის **რეაქცია** ნეიტრალური ან სუსტი მჟავე უნდა იყოს. რეაქციის შეცვლა შეუძლია საკვებს; მცენარეული საკვები შარდს ტუტე რეაქციას აძლევს, ხორციეული კი – გამოხატულ მჟავე რეაქციას. პათოლოგიური პროცესების დროს ტუტე რეაქცია ახასიათებს ცისტიტებს, ბაქტერიურიას (შარდში ბაქტერიების არსებობას), ჰემატურიას (შარდში სისხლის არსებობას), მჟავე რეაქცია კი – თირკმლის მიმე დაავადებებს.

მეტად მნიშვნელოვანია შარდში **ცილების** განსაზღვრა. თუ მათი რაოდენობა მომატებულია (პროტეინურია), რასაც საშარდე გზების ანთებითი პროცესების დროს აქვს ხოლმე ადვილი, ვითარდება შეშუპებები, ჯერ ქუთუთოებზე, შემდეგ სახეზე, კისერზე, ბოლოს მთელ ორგანიზმზე.

შარდში **შაქრის** დონის განსაზღვრა შაქრიანი დიაბეტის გამოვლენის ერთ-ერთი მეთოდია. თუმცა არსებობს თირკმლისმიერი დიაბეტიც, როცა გლუკოზის დონე მხოლოდ შარდშია მომატებული, სისხლში კი მისი შემცველობა ნორმალურია.

შარდის გამოკვლევა ღვიძლის ფუნქციონირებაზეც გვაძლევს წარმოდგენას. მაგალითად, ღვიძლისმიერი სიყვითლის დროს შარდი მომწვანო-მოყავისფროა და მასში უნდა განისაზღვროს ბილირუბინი.

შარდის მიკროსკოპით დგინდება, არის თუ არა მასში სისხლი, ლეიკოციტები, ცილინდრები. ყოველი მათგანის განსაზღვრას გარკვეული დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს.

სამკურნალო მცენარე

გოგრას მრავალი სამკურნალო თვისება აქვს. მისი რბილობი გაჯერებულია კაროტინით, C, B ვიტამინებით, ფოსფორმჟავით, კალიუმით, კალციუმით, მაგნიუმითა და რკინით. გამოიყენება ღვიძლისა და თირკმლების სამკურნალოდ; იგი საუკეთესო შარდმდენია. აჩქარებს თირკმლებიდან ქლორის გამოდევნას.

გოგრის თესლს იყენებენ შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებების დროს, აგრეთვე ჭიებით ინვაზიის (ლენტისებრი ჭია, სოლიტერი) წინააღმდეგ. ჰელმინთების საწინააღმდეგო მოქმედება ახასიათებს თესლში შემავალ ძალზე იშვიათ ამინომჟავას – კუკურბიტინს. გოგრის თესლი მდიდარია ალკალიდებით, გლიკოზიდებით, ცილებით, ეთერზეთებით, E, B ვიტამინებით.

ჭიის საწინააღმდეგო საშუალება შემდგენიარად შევიდითათ მოამზადოთ: 300 გ კანგაცლილი თესლი დანაყეთ; შემდეგ სანაყს გამოავლეთ 50-60 მლ წყალი და ესეც დანაყელ მასას

დაასხით; დაუმატეთ 100 გ-მდე თაფლი ან მურაბა (გემოს მისაცემად), კარგად აურიეთ. მიიღეთ უზმოზე, მწოლიარე მდგომარეობაში, ერთი საათის განმავლობაში, მცირე ულუფებით. სამი სთ-ის შემდეგ, დალიეთ მსუბუქი საფადარათო საშუალება, რომელსაც ექიმი შეგირჩევთ, შემდეგ ნახევარ საათში გაიკეთეთ ოყნა. საკვები უნდა მიიღოთ ოყნით გამოწვეული კუჭის მოქმედების შემდეგ.

გოგრის თესლისგან მიღებული ზეთი შეიცავს პალმიტინის, სტეარინის, ლინოლის, არაქიდონის მჟავებს და უებარი საშუალებაა წინამდებარე ჯირკვლის ანთებისას.



ქუჩუთი კვების შესახებ



ბუნებრივი კვება არა მხოლოდ ბავშვისთვისაა სასარგებლო, არამედ დედისთვისაც. მშობიარობის შემდგომ თუნდაც მალევე გიწვევდეთ სამსახურში გასვლა, პატარის ხელოვნურ კვებაზე გადაყვანას ნუ იჩქარებთ.

არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც ზოგიერთი დედა უარს ამბობს, ბუნებრივად გამოკვების პატარა.

ისინი მიიჩნევენ, რომ ხელოვნურ საკვებს შეუძლია შეცვალოს დედის რძე. სინამდვილეში ბავშვთა კვების პრობლემები თავისი შემადგენლობით მხოლოდ მიახლოებულია დედის რძესთან, მაგრამ მას მთლად ვერ ემსგავსება. დედის რძე ცოცხალია – მასთან ერთად ბავშვი ღებულობს ფერმენტებს, ჰორმონებს და ანტისხეულებს, რომელიც იცავს მას ინფექციისაგან. ამასთან დედის რძე ხელს უწყობს ახალშობილის ნაწლავში სასარგებლო ბიფიდობაქტერიების გამრავლებას, რაც საჭმლის მონელებას აუმჯობესებს.

ცოტა ხნის წინ აღმოაჩინეს, რომ დედის რძე შეიცავს უჯვრ ცხიმოვან მჟავებსაც, რომელიც ააქტიურებს ბავშვის გონებრივ განვითარებას. უდავოა ისიც, რომ იგი დადებითად მოქმედებს ჩვილის ემოციურ მდგომარეობაზე.

დედებმა არ იცინან, რაოდენ სასარგებლოა ახალშობილის ბუნებრივი კვება თავად მათთვის

მშობიარობის შემდგომ პირველ დღეებში ბუნებრივი კვება ხელს უწყობს

საშვილოსნოს სწრაფ შეკუმშვას, ამცირებს სისხლდენას, იცავს მშობიარობის შემდგომი დაავადებებისგან. მეტუბურ დედებს მომავალში გაცილებით იშვიათად უვითარდებათ მკერდის კიბო.

პირველი ექვის თვის განმავლობაში, თუ ბავშვს ბუნებრივი კვებით, არ გექნებათ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენების აუცილებლობა, რადგან რძის გამოყოფაზე პასუხისმგებელი ჰორმონი – პროლაქტინი, თრგუნავს ოვულაციას. მხოლოდ საჭიროა, რომ კვებებს შორის შუალედი არ იყოს სამ საათზე მეტი.

ქალებს უშინაო განწყობის ეს შეიძლება მამინ მონდვას, თუ ქალი ორი ადამიანის მაგიერ იკვებება, რაც სულაც არ არის აუცილებელი – პირიქით, საზიანოცაა.

ქალები უიძრობენ, რომ ბავშვს არ მყოფა რძე

რძის უქონლობა იშვიათი მოვლენაა, იგი 100-დან 4-7 ქალს აღენიშნება, დანარჩენ შემთხვევაში ლაქტაციის დარღვევა შეიძლება თავიდან ავიცილოთ. ამისთვის საჭიროა, პირველივე დღეებიდან კვებით ბავშვი და ნაკლები ინერვიულოთ. თუ მკერდის ჯირკვალი ხშირად და მთლიანად იცლება, მასში რძე მუდმივად მატულობს; თუ რძეზე მოთხოვნილება კლებულობს, მამინ მისი გამოიმუშავება აღარ ხდება.

ბოლო დრომდე ექიმები დედებს ურჩევდნენ, რომ ბავშვისთვის ეჭმით 3-3,5 სთ-იანი შუალედით და მკაცრად დაეცვათ ღამის 6-საათიანი შუალედი, მაგრამ გამოკვლევებმა აჩვენა, რომ საათობრივი კვება მხოლოდ ხელოვნური კვების დროსაა სასარგებლო. თავისუფალ რეჟიმში ბუნებრივი კვებისას კი შეგიძლიათ პირველ ხანებში პატარას დღეში 10-12-ჯერ, ზოგჯერ უფრო ხშირადაც აჭამოთ. 1-1,5 თვის შემდეგ აღარ მოეთხოვთ ჭამას ასე ხშირად და თავად გამოიმუშავებს რეჟიმს.

იმის შესამოწმებლად, ჰყოფნის თუ არა ბავშვს რძე, უნდა დათვალოთ, დღეში რამდენჯერ ისვენებს საფენს – თუ 6-ჯერ ან უფრო ხშირად, მამინ ყველაფერი რიგზეა.

შესაძლო სირთულეები

● რძის მატების დროს ზოგჯერ მკერდი მაგრდება, მკვრივდება და მძიმდება. თუ ტემპერატურა არ არის მონატებული, თავს ცუდად არ გრძნობთ,

მკერდი არ არის გაწითლებული – ნუ შეშინდებით. თქვენი პატარა დაგეხმარებათ – ხშირ-ხშირად კვებით იგი და ამგვარად გათავისუფლებით შეგუბებული რძისაგან. თუ ჩვილი ვერ გაუმკლავდა პრობლემას, მამინ თავად უნდა გაითავისუფლოთ მკერდი ჭარბი რძისგან.

● სერიოზული პრობლემა მეტუბური დედისთვის დვრილების ნახეთქებთან ბრძოლა. თუ ისინი მხოლოდ ერთ მკერდზეა, კვების დასაწყისში ბავშვს მეორე დვრილი ჩაუდეთ, თუ ორივეზეა, მამინ შეგიძლიათ ერთი-ორი დღე გამოწურული რძე აძლიოთ პატარას.

● ნახეთქების პროფილაქტიკის მიზნით ყოველი კვების შემდეგ დვრილებზე საკუთარი რძე შეიზილეთ და 15-20 წუთი დატოვეთ.

● რძის რაოდენობა და ხარისხი დამოკიდებულია დედის საერთო მდგომარეობაზე, მის კვებაზე. თქვენ გესაჭიროებათ რძის პროდუქტები, ხორცი, ხილი, ბოსტნეული. ნუ მიირთმევთ უხეში უჯვრედისით მდიდარ ბევრ ბოსტნეულს, მაგალითად, კომბოსტოს – ბავშვს შესაძლოა კოლიკა (ნაწლავთა სპაზმი) დაემართოს. უარი თქვით შოკოლადზე, ფორთოხალზე, მანდარინზე – ამგვარი საკვები ალერგიას იწვევს. მოერიდეთ მძაფრსუნთან სანელებლებს, მაგალითად, ნიორს, აგრეთვე სურნელოვან კოსმეტიკას.

თუ დედა სამსახურში მიდის

ზოგჯერ სიტუაცია მოითხოვს, რომ მეტუბურმა დედამ უნდა იმუშაოს. ეცადეთ, ნუ მოაკლებთ პატარას დედის რძეს – მას ისედაც ბევრი რამ აკლდება თქვენი წასვლით. 2-3 თვის ბავშვებს უკვე გამოიმუშავებული აქვთ მყარი რეჟიმი, ისინი განსაზღვრულ დროს ჭამენ, ამიტომ კარგი იქნება, თუ კვების დროისთვის მიხვალთ შინ, რათა აჭამოთ პატარას. თუ ყოველ კვებაზე ვერ ასწრებთ მისვლას, მამინ წინასწარ უნდა გამოიწუროთ რძე და ბოთლით დაუტოვოთ მომვლელს. მისი შენახვა მაცივარში შეიძლება 3 საათის განმავლობაში, ანუ მხოლოდ ერთი კვებისთვის გამოდგება. თუ მომდევნო კვებამდე ვერ ასწრებთ მისვლას, მამინ პატარა შერეულ კვებაზე უნდა გადაიყვანოთ, მაგრამ ბუნებრივი კვებაზე უარი არამც და არამც არ თქვათ.

გაგორხენილი სჯამიანეთს მოსწავსუნი გაგონათქაჲსაჲჲი

საპასუხო ბარათი

ერთ ამერიკულ საფირმო მალაზიაში საუკეთესო ჰალსტუხები იყიდებოდა. ქალაქის თითქმის ყველა მცხოვრები აქაურ ჰალსტუხს იკეთებდა. მალაზიის პატრონმა მოისურვა, სახელგანთქმული ამერიკელი მწერალი ერნესტ ჰემინგუეიცი მისი მუშტარი გამხდარიყო. ამიტომ მწერალს მშენებელი ჰალსტუხი გაუგზავნა და ბარათიც დაურთო.

„ჩვენს ჰალსტუხებს სიამოვნებით იკეთებენ. ვიმედოვნებ, თქვენც ჩვენი მუშტარი გახდებით და ამ ჰალსტუხის საფასურად ორ დოლარს გამოგვიგზავნით“.

რამდენიმე დღის შემდეგ მალაზიამ პაკეტი მიიღო, რომელშიც ასეთი შინაარსის ბარათი იყო:

„ჩემს წიგნს სიამოვნებით კითხულობენ. ვიმედოვნებ, თქვენც ჩემი მკითხველი გახდებით და შეიძენთ ჩემს ბოლო მოთხრობას, რომელსაც ამ პაკეტით გიგზავნით. იგი ღირს ორი დოლარი და ოთხმოცი ცენტი. მაშასადამე 80 ცენტი კიდევ მერგება თქვენგან“.

სიბრძნე და სისულელე

ერთ დღეს იმანუილ კანტს ქუჩაში ვიღაც კაცი აედევნა. კაცმა შენიშნა, რომ ფილოსოფოსის კოსტიუმს სიძველისაგან პატარა ნაჩვრეტი გასჩენოდა. მან კანტს ნაჩვრეტზე მიუთითა და ჩაიქირქილა:

- ბატონო იმანუილ, იქიდან სიბრძნე გამოიყურება.
- ხოლო შიგ სისულელე იყურება. – მშვიდად მიუგო ფილოსოფოსმა.

თავისი ფასი

დიდი შოტლანდიელი პოეტი რობერტ ბერნსი სანაპიროზე სეირნობის დროს მოწმე გახდა ერთი სოფადგრის გადარჩენისა, რომელიც მდინარეში ჩავარდნილიყო. ვიღაც ღარიბმა კაცმა საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო და განწირული ნაპირზე გამოიყვანა. მან კი ჯილდოდ მხოლოდ ერთი გროში მისცა.

შემთხვევის ადგილას შეგროვილი ხალხი აღშფოთდა სოფადგრის უმადურობით და მოინდომა, მისი უკანვე წყალში გადაგდება, მაგრამ საქმეში ბერნსი ჩაერია:

– გაუშვით, – თქვა მან, – თვითონ უკეთ იცის თავისი ფასი.

არგუმენტი

ერთხელ აინშტაინი ნიუ-იორკის ქუჩაში ნაცნობს შეხვდა. – ბატონო, – მიმართა მან დიდ ფიზიკოსს, – თქვენი პალტო ძალიან გაცვეთილია, რატომ ახალს არ შეიძენთ?

– რა საჭიროა? ნიუ-იორკში მე არაფერ მიცნობს, – მიუგო მან. რამდენიმე წლის შემდეგ აინშტაინი კვლავ შეხვდა იმავე ნაცნობს. ცნობილ ფიზიკოსს ისევ ის ძველი პალტო ეცვა. ნაცნობმა კვლავ ურჩია, ახალი პალტო იყიდეთო.

– რა საჭიროა? – უთხრა მეცნიერმა, – აქ ხომ ისედაც ყველა მიცნობს.



ანეკდოტები



სვანი უყურებს კანადის დროშას და ეფიქრობს:

– ნეტავ, რა ხატია ამ დროშაზე, ფოთოლი რომ მიუფარებიათ?

ქმარი წამოწოლილია დივანზე და გაზეთს კითხულობს. ცოლი ეუბნება:

- აიღე ჩანთა და წადი მალაზიაში, რამე საჭმელი მოიტანე.
- ეგ არ არის კაცის საქმე.
- მაშინ გაიხადე, შედი საძინებელში და მეც ახლავე მოვალ.
- კარგი, რა, გახუმრება არ შეიძლება? სად არის ჩანთა?

ამერიკის პრეზიდენტს ჟურნალისტი ეკითხება:

– მისტერ ბუშ, შინაგანად რასის-

ტი ხომ არ ბრძანდებით?

- არა, როგორ გეკადრებათ!
- არასოდეს გაგჩენიათ სურვილი, ზანგები და პარიკმახერები ქვეყნიდან გაგეძევებინათ?
- პარიკმახერებმა რა დააშავეს?

საბავშვო ბაღის მასწავლებელი აღსაზრდელს საყვედურობს:

- ასეთი ცუდი სიტყვები ვინ გასწავლა?
- მამიკომ, ის ხშირად იგინება.
- კი, მაგრამ იცი, ეგ სიტყვები რას ნიშნავს?
- ვიცი – ნიშნავს, რომ მანქანა არ იქოქება.

– მე წვნიანი და შემწვარი თევზი შეგიკვეთეთ, რატომ



თევზი და შემდეგ წვნიანი და არა ისე, როგორც საჭიროა?

– მზარეულმა თქვა, ეს თევზი ვუღარ მოიცდისო.

– ექიმო, გრიპი მაქვს, რას მირჩევთ?

– მოშორებით დადექით და ისე მელაპარაკეთ.



სამოთხე – ეს არის ამერიკული ხელფასი, რუსი ცოლი, ინგლისური სახლი და ჩინური საჭმელი.

ჩინური სახლი, ინგლისური საჭმელი, ამერიკელი ცოლი და რუსული ხელფასი – ეს ჯოჯოხეთია.

აბრამოვიჩს საიქიოში ეკითხებიან: – ეს შენ გაქვს ინგლისში და რუსეთში სასახლეები?

- კი.
- კარგი იახტაც?
- კი.
- „როლს-როისი“, „ლიმუზინი“?
- კი.
- შეგიძლია, სამოთხეში შეხვიდე, მაგრამ შეეჭვება, მოგეწონოს...

კვირის (9 - 15 თებერვალი)

ასპროლოგიური პროგნოზი

მარტო - 21/1-19/1

ქალი: ძალიან მღელვარე კვირა გელით. აგზნებული და გაღიზიანებული იქნებით, ამიტომ მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. კვირის ბოლოს კი, სტრესულ მდგომარეობასთან გამკლავება მოგიხდებათ. მომდევნო კვირაში სულიერი წონასწორობის აღდგენას შეძლებთ.

მამაკაცი: უმნიშვნელო წვრილმანებზე ნერვებს ნუ მოიშლით. შეეცადეთ, მომავალს ოპტიმიზმით შეხედოთ – ამის საფუძველი ნამდვილად გაქვთ.

თებერვალი - 20/II-20/III

ქალი: ახლობლების მხარდაჭერით საინტერესო საქმეს წამოიწყებთ. თუმცა, პირად ცხოვრებაში საქმე მთლად კარგად არ მიგდით, ამიტომ ჯობს, ისევ საქმიან ასპარეზზე იაქტიუროთ.

მამაკაცი: კარგი კვირაა მოგზაურობისა და დასვენებისთვის. თქვენ მხოლოდ სასიამოვნო მეგზურის შერჩევა გჭირდებათ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ერთკვირიანი შევტულებაც კი დიდხანს გემანსოვრებათ.

მარტი - 21/III-20/IV

ქალი: წინ შესაშური კვირა გელით. საქმიანობაში პროდუქტიული ხართ, პირად ცხოვრებაში – თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ აქტიურად მიისწრაფვით და მიზანსაც მიაღწევთ.

მამაკაცი: დინჯად აწონ-დაწონეთ ყველაფერი და რეალურად შეაფასეთ მოვლენები. ნუ იქნებით ზედმეტად მიმნდობი და გულუბრყვილო. ამ კვირაში მოსალოდნელ ცვლილებებს საკმარის მტკივნეულად აღიქვამთ – არადა, ეს ცვლილებები თქვენთვის სასიკეთო იქნება.

მარტი - 21/IV-21/V

ქალი: თქვენ გარშემო ამ კვირაში უამრავი ახალი სახე გამოჩნდება. თქვენი ინტელექტით კი ბევრი მოიხიბლება. მოერიდეთ ისეთ თემებზე საუბარს, რომელიც წინასწარ იცით, რომ კონფლიქტამდე მიგიყვანთ.

მამაკაცი: განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ საქმიან ქალაქებს. მთელი თქვენი ენერჯია და ენთუზიაზმი სამსახურში დახარჯეთ, მაგრამ სიფრთხილესაც ნუ დაივიწყებთ. შეიძლება, სერიოზულ ინტრიგაში გაგხვიონ.

მარტო - 22/V-21/VI

ქალი: ამ კვირაში ყურადღება მიაკციეთ ჯანმრთელობას. გაითვალისწინეთ მეგობრების რჩევები და შეეცადეთ, რეალურად შეაფასოთ სიტუაცია, რომელიც თქვენ გარშემო შეიქმნება. სამსახურში ცვლილებებია მოსალოდნელი.

მამაკაცი: შეიძლება, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა დაგეძახოთ, მაგრამ მომავალი კვირიდან ურთიერთობა გამოგისწორდება. ფულის შოვნის ახალი მანსი გამოგიჩნდებათ და ნუ გაუშვებთ მას ხელიდან.

მარტი - 22/VI-22/VII

ქალი: მომჯიწრება გამოიჩინეთ, თორემ ახლო მომავალში ფინანსური პრობლემები შეგექმნებათ. ოჯახის წევრებთან კამათს თავი აარიდეთ, ახალი ნაცნობები სასიამოვნო სიურპრიზს შემოგთავაზებენ.

მამაკაცი: სამოგზაუროდ მოემზადეთ. კვირის შუა დღეები განსაკუთრებით შთამბეჭდავი იქნება. თუ წვეულებაზე მოხვდებით, შეეცადეთ, მეტი დრო მანდილოსნებს დაუთმოთ და არა პოლიტიკასა და ფენბურთზე საუბარს.

ოქტო - 23/VII-23/VIII

ქალი: ყურს ნუ დაუგდებთ წამქეზებლურ წინადადებას. ამ კვირაში შეიძლება ისეთი ავანტიურისტული პროექტი შემოგთავაზონ, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც პრობლემები შეგექმნებათ.

მამაკაცი: კოლეგებთან ურთიერთობაში კონფლიქტია მოსალოდნელი. თუმცა, მისი თავიდან აცილება თქვენ ძალიან ადვილად შეგიძლიათ. მეტი დრო დაუთმეთ მეგობრებსა და ნათესავებს.

ქალწული - 24/VIII-23/IX

ქალი: თუ საკუთარი საქმის წამოწყებას აპირებთ, ამ კვირაში თავის შეკავებას გირჩევენ. ასევე თავი შეიკავეთ თქვენთვის ნაკლებად ნაცნობ ადამიანებთან სამომავლო გეგმებზე საუბრისაგან. კოლეგებისა და ახლობლებისაგან მოითხოვეთ იმის მაქსიმუმი, რასაც თქვენ იმსახურებთ.

მამაკაცი: „ქალწული“ მამაკაცები ამ კვირაში იმდენს ოცნებობენ, რამდენიც არასოდეს უოცნებიათ. განტვირთვის დღეები აქვთ და კარგი იქნება თუ ახლობლები ამ იდილიას არ დაურღვევენ.

სასწოტი - 24/IX-23/X

ქალი: საქმიანი საუბრები შემდეგი კვირისთვის გადადეთ. კვირის ბოლოს საინტერესო წინადადებას შემოგთავაზებენ. ეს დღეები მეტად მნიშვნელოვანია პირად ცხოვრებაში გარდატეხის მოსახდენად.

მამაკაცი: სამსახურებრივმა ინტერესებმა და პირადმა ცხოვრებამ ერთმანეთს ხელი არ უნდა შეუშალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ორივე ფრონტზე წარუმატებლობა გელით.

დღიანკალი - 24/X-22/XI

ქალი: ნუ დათანხმდებით ისეთ წინადადებას, სადაც მეტი პასუხისმგებლობა გეკისრებათ. და თუ არ გინდათ, გაწბილებული დარჩეთ, თქვენი საქმეები თავად აკონტროლეთ.

მამაკაცი: თუ მაქსიმალურად კორექტული არ იქნებით, შეიძლება, თქვენთვის საყვარელ ადამიანს გული ატკინოთ და მერე დიდი დრო დაგჭირდეთ მის შემოსარიგებლად. იყავით აქტიური. რაც უფრო ენერგიულად აუწყობთ ცხოვრებას ფენს, მით მეტად წარმატებული იქნება ეს კვირა თქვენთვის.

მშვილდოსანი - 23/XI-21/XII

ქალი: ამ კვირაში თქვენგან წარმოთქმულ ყოველ სიტყვას განსაკუთრებული ძალა აქვს. თავი შეიკავეთ ბილწისიტყვაობისაგან, გაბრაზებისა და მღელვარებისგან. იყავით მშვიდი და გაწონასწორებული.

მამაკაცი: თუ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაგირთუვლდათ, ნუ შეეცდებით კონფლიქტის მოგვარებას მესამე პირის დახმარებით. ფინანსური თვალსაზრისით წარმატებული კვირა გელით.

თხის რქა - 22/XII-20/I

ქალი: ნურც იხსენებთ და ნურც გაასხენებთ ფულს. პირად ურთიერთობებში სიმშვიდე და ჰარმონია სუფევს. თავი შეიკავეთ ჭორაობისა და მეგობრების გაკილვისაგან. ყურად იღეთ ახლობლების რჩევა.

მამაკაცი: ვარსკვლავები სასიყვარულო თავგადასავლებით აღსავსე კვირას გპირდებიან. საპირისპირო სქესის წარმომადგენლები თქვენით აღფრთოვანებულნი არიან. ამ კვირაში გაუთვალისწინებელი ხარჯებიც არ არის გამორიცხული.



ოთღიანი
მა ჰე
ძნუეს
მოისრობაში

„ლოლ-
იტა“
(მსახიობი)

წვალში
ხსნაღი
საღებავი

მონაკოს
მმარ-
თვეღი
ღინასტია

ქართუღი
ეკღესია
თურქეთში

ემიგრაცია-
ში მუღი
ქართუღი
მსახიობი

„ბაიერ-
ნის“
თავღამ-
სხმელი

პოღეღის
მსახიობა
საფრეღი
ფეღურნე

3,14
მიღანი
ლოღნიღში

ღროღის
მონაკვეთი

კენეციეღ
ძენავეთა
სიმღერა

აშშ-ის
ყოფიღი
პრეზი-
დენტი

იტალიღის
ტელეკო-
მპანია

ცხარე
საწე-
ბელი

კუნძუღი
სმელ-
თაშუა
ზღვაში

თეატრისა
ღა კინოს
ქართუღი
მსახიობი

კრტიფიკო
„სკოღარ-
ღღისნ“
ღანაუეი

ღაისკა
მენღიტას
ახანი
გუნღი

რღოღი
მსახიობი
ღა რეფორ-
კაური

საგამოცღო
პროღი
ინსტი-
ტუტში

იღეთი
ჭიღა-
ობაში

მჩღო ოღრ-
ოს ფუღი
ბიღიღარ-
ღღის ჯღბი

შოკოღა-
ღღის ხე

ზმიღ
ელფერი

ფრანგუღი
კოსტეღიკუღი
ღა სმოღი
ფრზ

ქართუღი
საბრუღი
ფეღორსტე-
ღა ფერსღი

ნახსად-
გური
ავსტრია-
ღღიღაში

პროვი-
ნციღ
ესპანეთში

მორ-
ჩიღაძე

ტროპი-
კუღი
ხიღი

გერმანუღი
პრეფე-
ტეღი
ღღიღი

მღღის
ნაღრის
ეკტრანი
ფეზბურღოღი

ნაკეციები
ქაღის
კაბაზე

ღღღეღღოღა
მეკღღღღი
წიღღღა
ესპანეთში

იჯარა

**შეღღინა
რამაზ აღღინიღა**

შოკოღა-ღღის ხე

„საუნდის“ ბოლო ალბომი და დაბადების დღე

როგორც „გზის“ წინა ნომერში გაცნობეთ, 31 იანვარს ვგვუფი „საუნდის“ ყოფილი წევრის თემო ხვიბლიანის დაბადების დღე და ნათლობა იყო. დღის სამ საათზე სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში თემოს მეგობრები, ნათესავები და ნათლიები – სოსო ჯაჭვლიანი, ნიკა ლომიძე,

აჩი ფურცელაძე და ინგა ქლიბაძე – შეიკრიბნენ. ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ გაირკვა, რომ ერთ-ერთ ნათლიას – ემზარ კვიციანს კოდორის ხეობაში სასწრაფოდ გამგზავრება მოუხდა და ცერემონიას ვერ დაესწრებოდა, თუმცა ნათლულს ოქროს ჯვარი გამოუგზავნა და მისი სახელი და



გვარი ნათლობის მოწმობაშიც შეიტანეს... ნათლობის შემდეგ, წვეულებაზე მისულ სტუმრებს ვგვუფ „საუნდის“ ბოლო ალბომი უსახსოვრეს, შემდეგ კი, ამ ალბომის პრეზენტაციაც შედგა. ჟურნალისტებმა, როგორც ყოველთვის, თავი ისახელეს და საცეკაოდ, დარბაზი რომ აღარ ეყოთ, რესტორნის ეზოში გადაინაცვლეს, სადაც იუბილარმა უნაკლოდ შეასრულა ქართული ხალხური ცეკვები. ამასობაში, დარბაზში შუქი ჩააქრეს და 22 სათლით დამშვენებული ტორტი შემოიტანეს. როიალს აჩი ფურცელაძე მიუვჯდა და Happy birthday-ის ფონზე თემომ ყველა სათელი ჩააქრო. მხიარულება გვიან დამემდეგ გაგრძელდა. ■



თემო ხვიბლიანი ნათლიებთან ერთად

ხმის ჩამწერმა სტუდიამ იუბილთა იზაიმა

პირველ თებერვალს რესტორან „ელეგანტში“ ნუკრი რუხაძის ხმის ჩამწერმა სტუდიამ – NM Records 10 წლის იუბილთ აღნიშნა. სუფრას „ოთხი გაა“-ს წევრი გია ნაცვლიშვილი თამადაობდა. სტუმრებს შორის იყვნენ ყველა თაობის პოპულარული მომღერლები, რომლებსაც ამ სტუდიაში სიმღერა ჩაუწერიათ, მათ შორის – ისეთი დამწეები შემსრულებლებიც, რომელთა სახელი საზოგადო-



ნუკრი რუხაძე მეუღლესა და გია ნაცვლიშვილთან ერთად

ბამ ჯერ არ იცის, თუმცა საკმაო პროფესიონალიზმით გამოირჩევიან და მხურვალე აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს.

ბატონმა თემურ წიკლაურმა ერთი სიმღერის შესრულების შემდეგ, მიკროფონი აღარ „გააცივა“ და მეორეც შეასრულა. არც მერე აპირებდა სცენის დატოვებას, მაგრამ ბატონი ვახტანგ ტატიშვილის მოთხოვნას – გადადექო! – დაემორჩილა და სუფრას დაუბრუნდა... მოგვიანებით, დაჯილდოების ცერემონია

უკანა პლანზე ბორის შხიანი და თემურ წიკლაური



ვახტანგ ტატიშვილთან ერთად

გაიმართა. სტუდიამ წლის აქტიურ და პოპულარულ მომღერლად თემურ წიკლაური აღიარა, რომელსაც დიპლომი და საჩუქარი ახალგაზრდა მომღერალმა გუჩი მეტრეველმა გადასცა. მეორე ნომინაციაში – „ყველაზე აქტიური კომპოზიტორი“ – ბატონმა ბორის შხიანმა გაიმარჯვა. ამას მოჰყვა „საუკეთესო ბექ-ვოკალი და პედაგოგი“ – გია ნაცვლიშვილი, „ყველაზე სევდიანი სიმღერისთვის“, ჯემალ სეფიაშვილი დაჯილდოვს, ხოლო NM Records-ის პირველი გრან-პრი აჩი ფურცელაძეს გადაეცა. ■



რამდენად კეთილგონიერი ხართ?

არსებობენ ზედმინევიანთ კეთილგონიერი ადამიანები, მათ უყვართ კომფორტი და კეთილდღეობა. ვიდრე რამეს გააკეთებდნენ, კარგად დაფიქრდებიან — ასჯერ გაზომავენ და ერთხელ გაჭრიან. მეორე კატეგორიის ადამიანები კი, გადანყვეტილებას თვალის დახამსამებაში იღებენ და მიიჩნევენ, რომ მათ ყველაფერი ხელეწიფებათ. მათ შეუძლიათ, სულ იოლად გარისკონ და სასწორზე შეაგდონ საკუთარი და ირგვლივყოფების კეთილდღეობა. ისინი უკან არც იმ შემთხვევაში დაიხევენ, თუკი მათ მიერ წამოწყებულ საქმეს გარანტირებული წარმატების შანსი არ ექნება. იმის გასარკვევად კი, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნებით თქვენ, პასუხები უნდა გასცეთ ქვემოთ მოყვანილი ტესტის უმარტივეს კითხვებს.



1) შესაძლოა თუ არა, რომ უმნიშვნელო წვრილმანმაც კი დაგაკარგვინოთ წონასწორობა?

- ა) დიახ — 0;
- ბ) არა — 1.

2) ერთდებით თუ არა თქვენზე ძლიერი ადამიანის მდგომარეობიდან გამოყვანას?

- ა) დიახ — 1;
- ბ) არა — 0.

3) ყურადღების მიპყრობის მიზნით, აწყობთ თუ არა სკანდალს?

- ა) დიახ — 0;
- ბ) არა — 1.

4) დააქროლებთ თუ არა დიდი სისწრაფით მანქანას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს თქვენს სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის?

- ა) დიახ — 0;
- ბ) არა — 1.

5) გჩვევიათ თუ არა ავადმყოფობის დროს დიდი რაოდენობით წამლის მიღება?

- ა) დიახ — 0;
- ბ) არა — 1.

6) თქვენთვის სასურველი მიზნის მისაღწევად, მიმართავთ თუ არა ყველა სერსსა და საშუალებას?

- ა) დიახ — 0;
- ბ) არა — 1.

7) მოგწონთ თუ არა დიდი ძაღლები?

- ა) დიახ — 0;
- ბ) არა — 1.

8) სიამოვნებას განიჭებთ თუ არა საათობით მზეზე მიფიცხებული ჯდომას?

- ა) დიახ — 0;
- ბ) არა — 1.

9) დარწმუნებული ხართ თუ არა იმაში, რომ ოდესმე ცნობილი ადამიანი გახდებით?

- ა) დიახ — 0;
- ბ) არა — 1.

10) შეგიძლიათ თუ არა დროზე შეჩერება, როცა გრძობთ, რომ აგებთ?

- ა) დიახ — 1;
- ბ) არა — 0.

11) ჭამთ თუ არა ბევრს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ გშიათ?

- ა) დიახ — 0;
- ბ) არა — 1.

12) გიყვართ თუ არა წინასწარ იმის ცოდნა, თუ რას მოგიძღვნიან საჩუქრად?

- ა) დიახ — 0;
- ბ) არა — 1.

დააჯამეთ ქულები

9 და მეტი ქულა: შეგიძლიათ, მიულოცოთ საკუთარ თავს, თქვენ ბრძენი ადამიანი ბრძანდებით. საოცარი კეთილგონიერებით გამოირჩევით და მოთხოვნილებებიც საკმაოდ ზომიერი გაქვთ. ცხოვრებაში გულის გატეხა და იმედგაცრუება ნაკლებად გემუქრებათ. ერთადერთი რამ, რაც თქვენ გაკლიათ, ეს არის დინამიზმი. შეეცადეთ, გახდეთ უფრო დინამიკური. ეს თქვენ ადამიანებთან ურთიერთობას გაგიოლებთ და ცხოვრებაც უფრო მარტივი გახდება.

4-8 ქულა: ეს გახლავთ ოქროს შუალედი. საოცარი ზომიერების გრძობით გამოირჩევით. თქვენ კარგად გაქვთ გაცნობიერებული საკუთარი შესაძლებლობები და ცაში ვარსკვლავებს

არ ეპოტინებით. მართალია, ცოტათი ასირებულიც ბრძანდებით, მაგრამ ეს თვისება სომ ადამიანებს საოცარ მომხიბვლელობას ანიჭებს.

3 და ნაკლები ქულა: თქვენ აბსოლუტურად უგუნური ადამიანი ბრძანდებით. ამ ცხოვრებაში ყველაფერი გეცოტავებათ და არაფერი გაკმაყოფილებთ. ამ დაუკმაყოფილებლობის გრძობის გამო, ხშირად თავს უბედურად მიიჩნევთ. ჩვენი კეთილი რჩევაა: ირგვლივ დაკვირვებით მიმოიხედეთ და ისწავლეთ იმ სასიამოვნო წვრილმანების დაფასება, რომელიც არც ისე ცოტაა ჩვენს ცხოვრებაში. ეს სულიერი სიმშვიდის მოპოვებაში დაგეხმარებათ თქვენ და იქნებ, ცოტა უფრო კეთილგონიერიც კი გახდეთ.

სახყოველი მეექვსეადასედი გოგონა უჩაინაში ყვედაზე ახადგაზხდა ედაა

ხარკოველმა სკოლის მოსწავლემ – 11 წლის გოგონამ იმშობიარა და სავსებით ჯანმრთელი ბიჭი შეეძინა – წონით სამი კილო და 800 გრამი.

ექიმები, რომლებიც ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე აკვირდებოდნენ ნაყოფის განვითარებას, იმედოვნებდნენ, რომ გოგონა ფიზიოლოგიურად – ყოველგვარი სამედიცინო ჩარევის გარეშე იმშობიარებდა. თუმცა, როგორც ხარკოვის სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრის გამგემ აღნიშნა, ბოლო პერიოდში ნაყოფის გულისცემა შესუსტდა და მოძრაობაც უფრო იშვიათი გახდა. „ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ საკეისრო კვეთა უნდა ჩაგვეტარებინა. ოპერაციაში წარმატებით ჩაიარა. დედაც და შვილიც თავს კარგად გრძობენ.“

ახალგაზრდა დედამ შვილი უკვე „გაიცნა“, რასაც სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ბავშვის მამაზე, რომელსაც როგორც კი გოგონას ფეხმძიმობის ამბავი შეუტყვია, მაშინვე უგზო-უკვლოდ გაუჩინარებულა.

გოგონას მხოლოდ მშობიარობის შემდგომი გამოკვლევის ჩატარების შემდეგ გაწერენ სამშობიაროდან. ბავშვის ბედს კი ნათესავებთან ერთად რეგისტრაციის ორგანოები გადაწყვეტენ. არ არის გამორიცხული, რომ დედის არასრულწლოვანების გამო, ბავშვის მეურვეობა გოგონას მშობლებმა ან რომელიმე მათმა ნათესავმა იკისროს.



ჩომში დიდოვლობა

რომში დიდოვლობა ბოლოს 1985-86 წლის ზამთარში დაფიქსირდა. მას შემდეგ, ქალაქის ცალკეულ რაიონებში მცირე თოვლის მხოლოდ ცალკეული შემთხვევები აღინიშნებოდა, ისიც ძალიან იშვიათად. იტალიის დედაქალაქის ცენტრში კი თოვლი მხოლოდ ერთხელ – 1999 წლის ზამთარში იხილეს.

გასულ კვირას, ქალაქის მცხოვრებნი საოცარი სანახაობის მომსწრენი გახდნენ: უხვად ბარდნიდა, ქალაქის ცენტრალური მოედანი კი, ძალიანად თოვლის საფარში იყო გახვეული. იმ დღით რომში ჰაერის ტემპერატურაც მკვეთრად – -3 გრადუსამდე დაეცა, რაც უკიდურესად დაბალია იქაური კლიმატის ფონზე.

მდგომარეობას, ცოტა არ იყოს, ართულებს ის ფაქტი, რომ ამ სამილიონან ქალაქში თურმე მხოლოდ 35 თოვლის საწმენდი და 32 მარილის საყრელი მანქანა არსებობს.



ეგვიპტის ხელისუფლებამ უცხოელ მოცეკვავეებს აღმოსავლეთი ცეკვების შესხელება უჩადა

ეგვიპტის ხელისუფლებამ რუსი და ავსტრალიელი მოცეკვავეები სამუშაოს გარეშე დატოვა. სახელმწიფო ადმინისტრაციული სასამართლოს საბჭომ დაადგინა, რომ ეგვიპტის შრომისა და დასაქმების სამინისტროს უფლება აქვს, ქვეყანაში მუშაობა აუკრძალოს გარკვეული პროფესიის უცხოელებს – მათ შორის, აღმოსავლური ცეკვების შემსრულებლებსაც – წერს ბრიტანული გაზეთი The Guardian.

აკრძალვის გაუქმების მოთხოვნით, რუსმა და ავსტრალიელმა მოცეკვავეებმა სასამართლოს მიმართეს, მაგრამ მათი სარჩელი არ დაქმნა. აღმოსავლური ცეკვების სამშობლოა და აქ უცხოელებს არაფერი ესაქმებათ. გოგონები ფარ-ხმალის დაფარს არ აბიჯებენ და კაიროს რომელიმე ლამის კლუბში სამუშაო ადგილის აღდგენას ითხოვენ.

ავსტრალიელი მოცეკვავის თქმით, მას ეგვიპტის დატოვება არ სურს, მაგრამ ამერიკიდან წარმოდგენა არა აქვს, რითი ირჩინოს თავი. თუმცა, გოგონებს შეუძლიათ, სარჩელი უმძლავრეს სასამართლო ინსტანციაში შეიტანონ.

აღმოსავლური ცეკვები საკმაოდ მომგებიანი ბიზნესია კაიროსთვის. ამ სანახაობით ტკობა კი შესაძლებელია, როგორც ფეშენებელურ სასტუმროებში, ასევე საუკვო რეპუტაციის მქონე კაფე-ბარებში.



მეხანძრეებმა ხანძის ჩაქრობაზე უახი განაცხადეს


ქალაქ ნილისის სახანძრო დეპარტამენტის მეხანძრეებმა, ქალაქ ვიზერსფილდის ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის გადასარჩენად ხელიც კი არ გაანძრინეს, რადგან, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, აღმოდებული სახლი მათი საპასუხისმგებლო ზონის მიღმა მდებარეობდა. თუმცა, პირობითი – გამყოფი ხაზი სულ 20 მეტრით ამორებდა მათ იმ ტერიტორიას, სადაც ხანძარი მიქვინარებდა.

„რომ არა მათი უმოქმედობა, ნივთების დიდი ნაწილის გადარჩენას შევძლებდით“ – განაცხადა დამწვარი სახლის პატრონმა – რადკლიფმა. იგი ამბობს, რომ როდესაც მისი სახლი ცეცხლის ალში იყო გახვეული, ქალაქ ნილისის სახანძრო რაზმი იდგა და მშვიდად ელოდა კოლეგებს ქალაქ ვიზერსფილდის სახანძრო დეპარტამენტთან. „მომხდარის შემდეგ მათ უბრალოდ უფლება არა აქვთ, მეხანძრეები ერქვათ“ – დასძინა რადკლიფმა.

ქალაქ ნილისის სახანძრო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, რენდი კიმინერომ მომხდარი იმით ახსნა, რომ ისინი შეცდომით გამოიძახეს ინციდენტის ადგილზე. დანიშნულების ადგილას მისული სახანძრო რაზმი კი მიხვდა, რომ აღმოდებული სახლი არა ქალაქ ნილისში, არამედ მეზობელ ქალაქ ვიზერსფილდში მდებარეობდა. კიმინერომ დასძინა, რომ მეხანძრეებმა მხოლოდ იმიტომ შეიცადეს, რათა ვიზერსფილდის სახანძრო რაზმის მოსვლამდე არავინ დაშავებულიყო.

პანსადავა შურნალ „კარუსელის“ რედაქცია სათანამშრომლოდ იწვევს თანამედროვე, მძაფრსიუყუტიანი ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორებს. გთხოვთ, მობრძანდეთ შურნალ „კარუსელის“ რედაქციაში (აკურის ქ. №8) ან დაგვირეკოთ ტელ.: 98-74-44.

ფოტოკუჩიონები



მარტომადიდებელი!

გაემოწილა „ქვირის პალიგრიის“ ღაგაგაგა,
ყოველთვიური მართლმადიდებლური ჟურნალი

F1224
2004

№1, თებერვალი, 2004

ფასი 80 თეთრი

ქვირის პალიგრიის

მართლმადიდებლური ჟურნალი

თებერვლის თაგა:
**ივარიის
ყოველდღე
ღვთისმყობელი**

640/6

**ღვკიტ
მღმწეებ ებელო**

იღლოვას მონგაგები
როგორ იფიღაგა სული
„ფორიან კანფობაგა“

ნათღმგხიღველები

**საქარტოველო
უკანასკნელი
ნებარი
კუნძული
იქნება**

ჟურნალი
მკითხველისთვის
სარეკლამო:
დიღლისა
და ძიღლად
მისვღლის ღლოცვები

ნაბიჯი ჭემმარტეებისაკენ